ინგლისურიდან თარგმნა ვახტანგ ჭელიძემ,
ანა რატიანმა

ჰ ე ნ რ ი რ ა ი დ ე რ ჰ ა გ ა რ დ ი

ს ო ლ ო მ ო ნ მ ე ფ ი ს ს ა გ ა ნ ძ უ რ ი

თ ა ვ ი I

შ ე ხ ვ ე დ რ ა ჰ ე ნ რ ი კ უ რ ტ ი ს თ ა ნ

უცნაური გეჩვენოთ ის ამბავი, რომ აგერ ორმოცდათხუთმეტი წლის კაცი შევიქენი და კალამს პირველად ახლა მოვკიდე ხელი. არ ვიცი, რა სახეს მიიღებს ჩემი მოთხრობა და, საერთოდ, შემწევს თუ არა ძალა, დავასრულო იგი.

როდესაც განვლილ ცხოვრებას გონების თვალით გავყურებ, გაოცებული ვრჩები: მიკვირს ხოლმე, რამდენი რამის გაკეთება მოვასწარ, რამდენი რამ განვიცადე და გადავიტანე. ალბათ ჩემი სიცოცხლის გზაც ასე უსასრულოდ გრძელი მიტომ მეჩვენება, რომ ძალიან ადრე გავები მძიმე უღელში. იმ ასაკში, როცა პატარა ბიჭუნები სკოლაში სიარულს იწყებენ, მე უკვე ვშრომობდი: ვყიდდი წვრილმან საქონელს ძველ კოლონიაში, შემდეგ ვნადირობდი, ვვაჭრობდი, ვმუშაობდი მაღაროში და, ასე გასინჯეთ, ვიბრძოდი კიდეც. მხოლოდ ამ რვა თვის წინათ შევიქენი მდიდარი ადამიანი და ამჟამად დიდძალ ქონებას ვფლობ, თუმცა ჯერჯერობით კარგად არც კი ვიცი, რა მაქვს და რისი პატრონი ვარ. მიუხედავად ამისა, არაფრით აღარ დავთანხმდებოდი გადამეტანა ის, რაც ამ თხუთმეტ-თექვსმეტ თვეში გადავიტანე, თუნდაც წინასწარ მცოდნოდა, ყველაფერი ასე შესანიშნავად დასრულდებოდა და ასე ზღაპრულად გავმდიდრდებოდი.

მე ერთი მოკრძალებული, თავმდაბალი კაცი გახლავართ, მძულს სისხლი და ძალმომრეობა და, გულწრფელად რომ გამოგიტყდეთ, ამ ფათერაკებმა და უცნაურმა შემთხვევებმა გვარიანად მომაბეზრა თავი.

არ ვიცი, რატომ დავიწყე ამ წიგნის წერა, ეს ხომ ჩემი საქმე სულაც არ არის! ამასთან, არც განათლებულ ადამიანად მომაქვს თავი, თუმცა „ძველ აღთქმასა" და ინგოლძბის ლეგენდებს მუდამ დიდი სიამოვნებით ვკითხულობ.

ასეა თუ ისე, შევეცდები გაგაცნოთ ის მიზეზები, რამაც მაიძულა ხელი მომეკიდა ამ მძიმე საქმისათვის. ჯერ ერთი, ხათრი ვეღარ გავუტეხე სერ ჰენრი კურტისსა და კაპიტან გუდს, რომელთაც მთხოვეს ამეწერა ჩვენი ფათერაკებით აღსავსე თავგადასავალი. მეორეც, ამჟამად შინ, დურბანში ვარ და უსაქმობა მკლავს, რადგან მარცხენა ფეხში ატეხილმა ტკივილმა კვლავ საწოლს მიმაჯაჭვა. ეს სატკივარი მტანჯავს მას შემდეგ, რაც იმ წყეულ ლომს გადავეყარე. ამ ცოტა ხნის წინათ კი ჭრილობა გამეხსნა და ჩვეულებრივზე მეტად დავიწყე კოჭლობა.

ალბათ ლომის კბილებში არის რაღაც შხამი, თორემ რას უნდა მიეწეროს ის ამბავი, რომ სავსებით მოშუშებული ჭრილობა ისევ და ისევ იხსნის ხოლმე პირს? თანაც ნუ დაგავიწყდებათ, ეს ხდება ყოველწლიურად და მუდამ ერთსა და იმავე დროს.

ჩემს სიცოცხლეში სამოცდახუთი ლომი მყავს მოკლული. ნადირობისას თავზე ბეწვიც კი არ შემრხევია და განა საწყენი არ არის, რომ იმან, სამოცდამეექვსემ, ასე უმოწყალოდ დამიღიჯნა ფეხი? ეს არღვევს საქმის ბუნებრივ მსვლელობას; მე კი, სხვა სიკეთესთან ერთად, წესრიგის მოყვარული კაცი ვარ და არ მომწონს ეს ამბავი.

გარდა ამისა, მინდა ჩემმა ვაჟიშვილმა ჰარიმ, რომელიც ამჟამად ლონდონის ერთ-ერთ საავადმყოფოში პრაქტიკაზე იმყოფება და მალე ექიმი უნდა გახდეს, ამ მოთხრობის კითხვისას დროებით დაივიწყოს თავისი საქმეები და ცოტათი მაინც გაერთოს.

საბრალო ბიჭს საავადმყოფოში მუშაობით ალბათ თავი აქვს მობეზრებული და ვფიქრობ, მაინცდამაინც არც გვამების გაკვეთა ანიჭებს დიდ სიამოვნებას... ყოველ შემთხვევაში, ჰარის ეს წიგნი მოსაწყენი არ მოეჩვენება და მის ერთფეროვან ცხოვრებას ორიოდე დღით მაინც გაახალისებს. მით უმეტეს, რომ აქ მრავალ საოცარ ამბავს ამოიკითხავს.

იქნებ გაგიკვირდეთ, ამ წიგნის ფურცლებზე, ფულატას გარდა, არც ერთი ქალი რომ არ შეგხვდებათ, თუმცა, რას ვამბობ, არის კიდევ გაგული, მაგრამ ახლაც არ ვიცი, ქალი იყო ის თუ ქაჯი. ასეა თუ ისე, სათვალავში ჩასაგდები არ არის, რადგან სულ ცოტა, ასი წლის მაინც იქნებოდა და დამეთანხმებით, თავისი ქალობით დიდად არავის დააინტერესებდა.

მაგრამ ხომ არ არის დრო, გავება უღელში და გავწიო ეს მძიმე ჭაპანი? აქ, ცოტა არ იყოს, ძნელი სავალია და ვშიშობ, ბორბლებიანად ჭანჭრობში არ ჩავეფლა. თუმცა ხარები ადვილად ამომათრევენ იქიდან. ძლიერ უღლეულს ეს არ გაუჭირდება, სუსტი კი, რასაკვირველია, ვერაფერს გააწყობს. ასე და ამგვარად, ვიწყებ თხრობას!

„მე, ალან ქუოტერმენი, ნატალის პროვინციის ქალაქ დურბანის მცხოვრები, ჯენტლმენი, ფიცსა ვდებ და ვაცხადებ, რომ..." ამგვარად დავიწყე ჩვენების მიცემა სასამართლოში ხივასა და ვენტფოგელის საბედისწერო დაღუპვის გამო, მაგრამ წიგნისთვის ასეთი დასაწყისი მაინცდამაინც შესაფერისი არ უნდა იყოს.

ვეჭვობ აგრეთვე, შემიძლია თუ არა ჯენტლმენი ვუწოდო ჩემს თავს? საერთოდ, რას ნიშნავს სიტყვა „ჯენტლმენი"? ამ საკითხში ჯერჯერობით კარგად ვერ გავრკვეულვარ. ჩემს ცხოვრებაში არა ერთსა და ორ ნიგერთან მქონია საქმე... არა, არა, წავშლი ამ სიტყვას, არ მომწონს იგი. მე ვიცნობდი ზანგებს, რომლებიც ნამდვილი ჯენტლმენები იყვნენ, ამაში შენც დამეთანხმები, ჰარი, ჩემო ბიჭიკო, როცა ბოლომდე ჩაიკითხავ ამ წიგნს... ვიცნობდი აგრეთვე ძალზე ბოროტსა და ფლიდ თეორკანიანებს, ჯენტლმენობისა რომ არა ეცხოთ რა, თუმცა ფული თავსაყრელად ჰქონდათ. ყოველ შემთხვევაში, მე ჯენტლმენად ვარ შობილი, მიუხედავად იმისა, რომ ერთი საწყალი მეწვრილმანე და მონადირე გახლდით. შემომრჩა თუ არა ცხოვრებაში ჯენტლმენობა, ეს თქვენ განსაჯეთ, მე ვერაფერს გეტყვით. ისე კი, გამოგიტყდებით, ძალიან დიდი სურვილი მქონდა ჯენტლმენი ვყოფილიყავი.

ჩემს სიცოცხლეში ბევრი ადამიანი გამოვასალმე წუთისოფელს, მაგრამ უმანკო სისხლით ხელი არასოდეს გამისვრია. ვკლავდი მხოლოდ მაშინ, როცა იძულებული ვიყავი, თავი გადამერჩინა.

უფალმა გვიბოძა სიცოცხლე და გვიბრძანა, დაგვეცვა იგი. მეც მუდამ ამ მრწამსით ვმოქმედებდი და იმედი მაქვს, როცა ჩემი განკითხვის ჟამი დადგება, უფალი მომიტევებს.

ვაი რომ ქვეყანა ბოროტებით არის სავსე და ეს წყნარი ადამიანი იძულებული შევიქენი ბლომად დამედვარა სისხლი. არ ვიცი, სწორად ვმსჯელობ თუ არა, მაგრამ ნაქურდალით ხელი არასოდეს მომითბია, თუმცა ოდესღაც, ერთ კაფრს მოტყუებით გამოვაცალე ხელიდან ძროხების ჯოგი. მართალია, ვალში არც ის დამრჩენია და კარგადაც გამაცურა, მაგრამ სინდისი მაინც დღემდე მქენჯნის.

ამრიგად, სერ ჰენრი კურტისსა და კაპიტან გუდს დაახლოებით თვრამეტი თვის წინათ შევხვდი. ეს შემდეგნაირად მოხდა:

იმხანად ბამანგვატოს მახლობლად სპილოებზე ვნადირობდი, მაგრამ რატომღაც ხელი მომეცარა, ბოლოს საშინელმა ციებ-ცხელებამ დამრია ხელი. ოდნავ მოვიკეთე თუ არა, მაშინვე ალმასის ქვიშრობისაკენ გავწიე. აქ გავყიდე სპილოს ძვლები, ფურგონი, ხარები, ანგარიში გავუსწორე მონადირეებს და ჩავჯექი საფოსტო კარეტაში, რომელიც კაპში მიდიოდა.

კაპში ერთი კვირა სასტუმროში ვცხოვრობდი და, უნდა გამოვტყდე, საკმაოდ დამიცარიელეს ჯიბე. საქმე არა მქონდა რა და, დრო ტყუილუბრალოდ რომ არ დამეკარგა, გადავწყვიტე დამეთვალიერებინა ქალაქის ყველა ღირსშესანიშნავი ადგილი. მოვიარე ბოტანიკური ბაღები, რომელთაც, ჩემი აზრით, ქვეყნისთვის დიდი სიკეთე და სარგებლობა მოაქვთ, მოვინახულე პარლამენტის შენობაც, რომელსაც არავისთვის არავითარი სარგებლობა არ უნდა მოჰქონდეს. კვირის სწორზე გადავწყვიტე „დანკელდით" ნატალში დავბრუნებულიყავი. ეს გემი იმხანად ნავსადგურში იდგა და ინგლისიდან „ედინბურგ კასტლს" მოელოდა.

ის იყო ფული გადავიხადე და გემზე ავედი, რომ „ედინბურგ კასტლმაც" მოატანა, ნატალში მიმავალი მგზავრები ამ გემიდან „დანკელდზე" გადმოსხდნენ. მეზღვაურებმა ღუზა აუშვეს და ჩვენ ზღვაში გავედით.

ახალ მგზავრებს შორის გემბანზე ჩემი ყურადღება ორმა კაცმა მიიპყრო. ერთი მათგანი ასე, ოცდაათიოდე წლის ჯენტლმენი იქნებოდა. გამოგიტყდებით, ასეთი მოსული და ლამაზი მამაკაცი მანამდე არსად შემხვედრია.

მას ქერა თმა, სქელი წვერი, სახის სწორი ნაკვთები, ღრმად ჩამჯდარი ნაცრისფერი თვალები ჰქონდა და თავისი გარეგნობით რატომღაც ძველ დანიელს მომაგონებდა. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, თითქოს დანიელებზე ბევრი რამ ვიცოდე. ჩემს ცხოვრებაში მხოლოდ ერთ დანიელს შევხვდი და ისიც საკმაოდ გაიძვერა აღმოჩნდა.

ჰო, კიდევ ერთხელ, დიდი ხნის წინათ ვნახე სურათი. ტილოზე რამდენიმე ბატონი იყო დახატული, ისინი ძალზე წააგავდნენ თეთრკანიან ზულუსებს. ხელში ყანწები ეჭირათ, გრძელი თმა კი ზურგზე ჩამოშლოდათ. როცა კიბესთან ჩვენს ახალ მგზავრს ვუცქეროდი, უნებლიეთ გამიელვა ფიქრმა, ამ კაცმა თმა ოდნავ რომ მოიზარდოს, ჯავშანი ჩაიცვას, ხელში საბრძოლო ნაჯახი და კათხა დაიჭიროს, თავისუფლად შეეძლება იმ სურათისთვის პოზირება-მეთქი.

სხვათა შორის, შემდგომ შევიტყვე, რომ ჰენრი კურტისის ძარღვებში (ჰენრი კურტისი ის მაღალ-მაღალი ჯენტლმენი გახლდათ) მართლაც ჩქეფდა დანიური სისხლი. საოცარია, როგორ იჩენს ხოლმე თავს მემკვიდრეობა! ჰო, კურტისი ვიღაც ჩემს ძველ ნაცნობსაც მივამსგავსე, მაგრამ ვის, ვეღარ გავიხსენე.

სულ სხვა იყო მეორე მამაკაცი, სერ ჰენრის რომ ესაუბრებოდა. შევხედე თუ არა, იმწამსვე გავიფიქრე, საზღვაო ოფიცერი იქნება-მეთქი. არ ვიცი, რატომ

და საზღვაოსნო ოფიცრებს თვალის ერთი შევლებით იცნობს ხოლმე კაცი. მე რამდენჯერმე მქონდა შემთხვევა, მენადირა მათთან ერთად და ყოველთვის კმაყოფილი ვრჩებოდი. ყველანი არაჩვეულებრივად გაბედული, სასიამოვნო ვაჟკაცები იყვნენ, რაც ასე იშვიათია ჩვენს დროში. მხოლოდ ერთი რამ არ მომწონს მათი – ძალიან უყვართ უშვერი სიტყვები და ლანძღვა-გინება. თუ გაგონდებათ, ამ მოთხრობის დასაწყისში ვიკითხე, ვინ არის ნამდვილი ჯენტლმენი-მეთქი? ახლა შემიძლია ამ კითხვაზე გიპასუხოთ. ნამდვილი ჯენტლმენი ბრიტანეთის სამეფო ფლოტის ოფიცერი გახლავთ. თუმცა, რასაკვირველია, გამონაკლისი მათ შორისაც არის. ვფიქრობ, ზღვის უკიდეგანო სივრცე და მსუსხავი ქარები, რომელთაც თვით ღმერთების სუნთქვა მოაქვთ, წმენდენ და აკრიალებენ მათ გულებსა და გრძნობებს ყოველგვარი სიბილწისაგან.

მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს მოთხრობას. მე ახლაც მართალი გამოვდექი. ეს კაცი მართლაც ყოფილი საზღვაო ოფიცერი იყო. უმწიკვლოდ ემსახურა მისი უდიდებულესობის, ბრიტანეთის დედოფლის ფლოტში ჩვიდმეტი წელი და სრულიად მოულოდნელად, საკუთარი სურვილის გარეშე, კაპიტნის ჩინით რეზერვში ჩაერიცხათ. აი, რა მოელით ადამიანებს, რომლებიც დედოფლის სამსახურში იმყოფებიან. როგორც კი ცოდნასა და გამოცდილებას დააგროვებენ და მათი ნიჭი, მათი უნარი სრულად გაიფურჩქნება, თავიდან იცილებენ, უსპობენ ყოველგვარ საარსებო წყაროს და ცხოვრების ბობოქარ ტალღებში მოისვრიან ხოლმე. შესაძლოა, ისინი ურიგდებიან კიდეც ასეთ ცხოვრებას, მაგრამ მე მირჩევნია, ლუკმაპური ნადირობით ვიშოვნო. რა თქმა უნდა, ფული ცოტა მექნება, მაგრამ, სამაგიეროდ, დამცირებასა და ზედმეტ ჭიტლაყებს გადავურჩები.

კაპიტანი ჯონ გუდი – მე მისი სახელი და გვარი მგზავრთა სიაში ამოვიკითხე – ოცდაათიოდე წლის, ჩასკვნილი, საშუალო ტანის შავთმიანი და საკმაოდ ორიგინალური გარეგნობის მამაკაცი იყო. ძალზე ფაქიზად და გემოვნებით ეცვა, წვერი გულდაგულ გაეპარსა, თვალზე კი მონოკლი ედგა. ეს მონოკლი ზედ შეხორცებული გეგონებოდათ, რადგან უზონროდ ატარებდა და მხოლოდ მაშინ მოიხსნიდა ხოლმე, როცა გაწმენდას დააპირებდა. ჩემი გულუბრყვილობით მეგონა, საწოლშიაც ასე ძინავს-მეთქი, მაგრამ მერე დავრწმუნდი, რომ ვცდებოდი. ძილის წინ მონოკლს, ხელოვნურ კბილებთან ერთად, შარვლის ჯიბეში ინახავდა. კბილები ორი წყვილი ჰქონდა, თანაც, ისე ოსტატურად ნახელავი, რომ ხშირად მავიწყდებოდა მეათე მცნება, რადგან საკუთარით მაინცდამაინც კმაყოფილი არ ვიყავი.

მე მგონია, ცოტა ავჩქარდი.

ზღვაში რომ გავედით, მალე მოსაღამოვდა, ნაპირიდან სუსხიანმა ქარმა დაქროლა, ცოტა წამოწინწკლა კიდეც. მგზავრებმა კაიუტებს შეაფარეს თავი და გემბანი მალე დაცარიელდა. ჩვენს ბრტყელფსკერიან გემს მსუბუქი ტვირთი მიჰქონდა, ამიტომაც ტალღები თავის ნებაზე ათამაშებდა. ზოგჯერ გვეგონა, სადაც არის, გადავყირავდებითო, მაგრამ, საბედნიეროდ, მსგავსი არაფერი მომხდარა.

გემბანზე ვეღარ გავძელი, დაბლა ჩავედი და სამანქანო განყოფილებასთან დავდექი. აქ თბილოდა. თანაც დახრის საზომს შევყურებდი და თავს ვირთობდი. ხელსაწყოს ისარი ნელ-ნელა მოძრაობდა და გემის ყოველ დაფერდებაზე დახრის კუთხეს უჩვენებდა.

– ესეც დახრის საზომია, რაღა, მგონი, შემოწმებულიც არ არის! – ბრაზით ჩაილაპარაკა ვიღაცამ ჩემ გვერდით.

მივიხედე და სწორედ ის ოფიცერი დავინახე, წეღან გემბანზე ჩემი ყურადღება რომ მიიპყრო.

– მართლა? რატომ ფიქრობთ ასე? – გავეპასუხე.

– რატომ ფიქრობო? აქ საფიქრალი რა არის? გემი რომ მართლა იმ გრადუსამდე გადახრილიყო, ეს ხელსაწყო რომ უჩვენებს, მაშინვე გადავყირავდებოდით; თუმცა სავაჭრო ფლოტის კაპიტანს სხვა რა მოეთხოვება, მაგათზე დაუდევარი არავინ მინახავს.

სწორედ ამ დროს გაისმა გონგის ხმა. მგზავრებს სადილად უხმობდნენ. ამან ძალზე გამახარა, რადგან აუტანელი მოსასმენია, როცა ბრიტანეთის ფლოტის კაპიტანი სავაჭრო ფლოტის კაპიტნის შემკობას იწყებს. ამაზე უარესი მხოლოდ ერთი რამ არის – უსმინო, რა გულახდილად თათხავს სავაჭრო ფლოტის კაპიტანი ბრიტანეთის ფლოტის ოფიცრებს.

მე და კაპიტანი გუდი კაიუტ-კომპანიაში ჩავედით. სერ ჰენრი კურტისი უკვე სუფრას უჯდა. კაპიტანი გუდი გვერდით მოუჯდა, მე კი მათ პირდაპირ დავიკავე ადგილი. მე და კაპიტანმა ნადირობაზე ჩამოვაგდეთ საუბარი. იგი კითხვას კითხვაზე მაყრიდა, მე კი ვცდილობდი, რაც შეიძლება, ამომწურავი პასუხი გამეცა. მალე სპილოებზეც ჩამოვაგდეთ სიტყვა.

– ბედი გქონიათ, სერ, – თქვა ვიღაც უცნობმა ჩემ გვერდით, – ქუოტერმენზე უკეთესად ვის შეუძლია სპილოებზე რამე გითხრათ.

სერ ჰენრი აქამდე უხმოდ ისმენდა ჩვენს საუბარს. ამ სიტყვებზე კი შესამჩნევად შეკრთა.

– მაპატიეთ, სერ, თქვენ ალან ქუოტერმენი ხომ არ ბრძანდებით? – ბოხი ხმით მკითხა მან.

– გახლავართ-მეთქი, – ვუპასუხე.

„მართლაც ბედი მქონია", – თავისთვის ჩაილაპარაკა სერ ჰენრიმ, ჩემთვის კი აღარაფერი უთქვამს.

ნასადილევს კაიუტ-კომპანიიდან რომ გამოვდიოდით, სერ ჰენრიმ მთხოვა, ჩემთან შემობრძანდით, ჩიბუხი გავაბოლოთო. კაიუტა ფართო და ნათელი იყო. გემბანზე გადიოდა. იგი ორი კაიუტისაგან გადაეკეთებინათ. ოდესღაც ერთ-ერთ წარჩინებულ ფრანტს „დანკელდით" ზღვის სანაპიროს გასწვრივ უმოგზაურია, ეს კაიუტაც მაშინ მისთვის მოუწყვიათ, ტიხარი აუღიათ და მერე აღარ აღუდგენიათ. კაიუტაში ფართო დივანის წინ პატარა მაგიდა იდგა, სერ ჰენრიმ სტიუარდს ვისკი შეუკვეთა, ჩვენ კი ამასობაში ჩიბუხები გავაჩაღეთ.

– მისტერ ქუოტერმენ, – თქვა სერ ჰენრიმ, როცა სტიუარდმა ვისკი შემოიტანა და ლამპა აანთო, – შარშანწინ, დაახლოებით ამ დროს, მგონი, ტრანსვაალის ჩრდილოეთით, ბამანგვატოში იყავით, არა?

– დიახ, დიახ, – მივუგე გაოცებულმა. გამიკვირდა, ამ უცხო ადამიანმა საიდან იცის, სად ვიყავი და სად არა-მეთქი.

– თქვენ იქ ვაჭრობდით? – მკვირცხლად შემეკითხა გუდი.

– ჰო, საქონლით დატვირთული ფურგონი წავიყვანე, ბამანგვატოში გავჩერდი და სანამ ყველაფერი არ მივყიდ-მოვყიდე, ფეხი არ მოვიცვალე.

სერ ჰენრი ჩემ პირდაპირ მოწნულ სავარძელში იჯდა, იდაყვებით მაგიდას დაყრდნობოდა, თვალჩაციებით მიცქერდა და რაღაც უცნაურად აღელვებული ჩანდა.

– შემთხვევით ხომ არ შეხვედრიხართ იქ ვინმე ნევილს? – მკითხა მან.

– როგორ არა, ნევილმა თავისი ფურგონი სწორედ ჩემი ფურგონის გვერდით დააყენა. ორიოდე კვირა დაჰყო იქ. უნდოდა ხარები დაესვენებინა და ისევ განეგრძო გზა. ამ რამდენიმე თვის წინათ ვიღაც ვექილის წერილიც

მივიღე, მთხოვდა, თუ იცით, მაცნობეთ, ნევილი საით გაემგზავრაო; მეც დაუყოვნებლივ მივწერე, რაც ვიცოდი.

– დიახ, – მითხრა სერ ჰენრიმ, – იმ ვექილმა გადმომიგზავნა თქვენი წერილი, სადაც ატყობინებდით, ჯენტლმენი, გვარად ნევილი, მაისის პირველ რიცხვებში ბამანგვატოდან ფურგონით გაემგზავრა, თან კაფრი მონადირე ჯიმი ახლდაო. ნევილს უნდოდა, აინაიტამდე, მატაბელეს სულ ბოლო დასახლებამდე მისულიყო, იქ ფურგონი გაეყიდა და გზა ფეხით განეგრძოო. იწერებოდით აგრეთვე, ნევილს მართლაც გაუყიდია თავისი ფურგონი, რადგან ექვსი თვის შემდეგ მას ერთი პორტუგალიელი ვაჭარი დაატარებდაო. პორტუგალიელს ფურგონი აინაიტში თეთრკანიანისაგან ეყიდა. იმ კაცის სახელი აღარ ახსოვდა, მაგრამ დაბეჯითებით ამბობდა, ისა და მისი შავკანიანი გამყოლი სანადიროდ აფრიკის შუაგულისკენ წავიდნენო.

– სრული სიმართლეა, – დავუდასტურე მე.

ერთხანს სამივენი ჩუმად ვისხედით.

– მისტერ ქუოტერმენ, – მოულოდნელად მითხრა სერ ჰენრიმ – თქვენ, რასაკვირველია, არ იცით და ვერც ხვდებით, რამ აიძულა ჩემი... ჰმ, დიახ... მისტერ ნევილი ჩრდილოეთისკენ დასდგომოდა გზას.

– როგორ არა, ცოტა რაღაც ვიცი, – მივუგე და გავჩუმდი, არ მინდოდა ამ საკითხზე ლაპარაკი.

სერ ჰენრიმ და გუდმა ერთმანეთს გადახედეს, კაპიტანმა მრავალმნიშვნელოვნად დააქნია თავი.

– მისტერ ქუოტერმენ, – განაგრძო სერ ჰენრიმ, – მინდა რაღაც გაგანდოთ და რჩევა გკითხოთ, ადვილი შესაძლებელია, თქვენი დახმარებაც დამჭირდეს. ჩემმა ვექილმა თქვენი წერილი გადმომცა და მითხრა: შეგიძლიათ მისტერ ქუოტერმენს სავსებით ენდოთ, მას ნატალში კარგად იცნობენ, საერთო პატივისცემით სარგებლობს, თანაც ისეთი კაცია, რომ საიდუმლოს არასოდეს გასცემსო.

მე დარცხვენით დავუკარი თავი და, უხერხულობა რომ დამეფარა, გაზავებული ვისკი ოდნავ მოვსვი.

– მისტერ ქუოტერმენ, ახლა აღარაფერს დაგიმალავთ, მისტერ ნევილი ჩემი ძმაა.

– ოჰ, – წამოვიძახე მე და უცებ გამახსენდა, ვის მაგონებდა სერ ჰენრი კურტისი. მისტერ ნევილი უფრო ტანმორჩილი იყო, წვერიც შავი ჰქონდა, მაგრამ ძმები თვალებით და სახის მოყვანილობით ძალიან წააგავდნენ ერთმანეთს.

– მისტერ ნევილი ჩემი ერთადერთი ძმაა, – განაგრძო სერ ჰენრიმ, – რაც თავი მახსოვს, უერთმანეთოდ დღეც არ გაგვიტარებია. ამ ხუთიოდე წლის წინათ კი დიდი უბედურება დაგვატყდა თავს: სამკვდრო-სასიცოცხლოდ ვიჩხუბეთ (ეს ხშირად ემართებათ ხოლმე ძალიან დაახლოებულ ადამიანებს) და მე მას საკმაოდ ცუდად მოვექეცი.

აქ კაპიტანმა გუდმა, თითქოს ამ სიტყვების დადასტურება სურსო, ენერგიულად დააქნია თავი. ამ დროს ჩვენი გემი კარგა მაგრად დაფერდდა, კედლის დიდი სარკე ზედ ჩემს თავზე მოექცა და სარკეში გამოჩნდა კაპიტანი, რომელიც გამალებით აკანტურებდა თავს.

– უთუოდ მოგეხსენებათ, – განაგრძო სერ ჰენრიმ, – რომ დიდი ბრიტანეთის კანონების მიხედვით, თუ კაცი მოკვდა ისე, რომ ანდერძის დატოვება ვერ მოასწრო, და თუ მას არ გააჩნდა სხვა ქონება, გარდა მიწისა, რომელსაც ჩვენში უძრავ საკუთრებას ეძახიან, ყველაფერი მისი უფროსი

შვილის ხელში გადადის. სამწუხაროდ, მამაჩვენი სწორედ მაშინ გარდაიცვალა, როდესაც მე და ჩემი ძმა ერთმანეთს ვემდუროდით. კანონის მიხედვით, მთელი ადგილ-მამულის მფლობელი მე შევიქენი, ჩემი ძმა კი ულუკმაპუროდ დარჩა, რადგან არც ფული გააჩნდა და არც რაიმე პროფესია ჰქონდა. რასაკვირველია, ვალდებული ვიყავი მიმეცა მისთვის წილი, მაგრამ ამ დროისთვის ჩვენს შორის მდგომარეობა იმდენად გამწვავდა (ამ სიტყვებს ღრმა ოხვრა მოჰყვა), რომ საამისოდ თავი აღარ შევიწუხე. არ იფიქროთ, თითქოს მსურდა უსამართლოდ მოვპყრობოდი, მაგრამ სულ ველოდი, გაუჭირდება და პირველად თვითონ შემირიგდება-მეთქი. მაპატიეთ, ასეთ წვრილმანებზე რომ გელაპარაკებით, მაგრამ თქვენთვის ამთავითვე ყველაფერი ნათელი უნდა იყოს. ხომ ასეა, გუდ?

– რასაკვირველია, – მიუგო კაპიტანმა, – დარწმუნებული ვარ, მისტერ ქუოტერმენი არ გაგთქვამთ.

– ეგ თავისთავად იგულისხმება, – ვუპასუხე მე. – უნდა გითხრათ, ძალიან ვამაყობ იმით, რომ საიდუმლოს შენახვა მეხერხება.

– ჰოდა, – განაგრძო სერ ჰენრიმ, – იმ დროისათვის ჩემს ძმას ბანკში რამდენიმე ასეული გირვანქა სტერლინგი ჰქონდა, ეს უმნიშვნელო თანხა ისე გამოიტანა, ჩემთვის არაფერი უთქვამს, გვარი გადაიკეთა და გიჟური ოცნებით, რომ სიმდიდრეს მოიხვეჭდა, სამხრეთ აფრიკისკენ გაემგზავრა. ყველაფერი ეს შემდგომ შევიტყვე. სამიოდე წელმა განვლო, მე კი მასზე არაფერი მსმენია, წერილებს ვწერდი, მაგრამ, ცხადია, არ ღებულობდა. რაც დრო გადიოდა, მით უფრო ვწუხდი. მაშინღა მივხვდი, მისტერ ქუოტერმენ, რას ნიშნავს საკუთარი სისხლი და ხორცი.

– მართალს ბრძანებთ, – მივუგე მე და თვალწინ ჩემი ჰარი დამიდგა.

– ჩემი ქონების ნახევარს მივცემდი, ვინც მეტყვის, ჯორჯი ცოცხალია და კარგად არისო. ღმერთო ჩემო, ნუთუ აღარასოდეს შევხვდებით ერთმანეთს?

– მე მგონია, დიდი იმედი არ უნდა იქონიოთ, კურტის, – ნაწყვეტ-ნაწყვეტად თქვა კაპიტანმა და სერ ჰენრის გადახედა.

– დიახ, მისტერ ქუოტერმენ, წლები გადიოდა, მე კი სულ უფრო და უფრო მტანჯავდა ფიქრი იმაზე, ცოცხალი იყო თუ არა ჯორჯი და თუ ცოცხალი იყო, როგორ დამებრუნებინა შინ. დავიწყე ძებნა, მალე თქვენი წერილიც მივიღე, შევიტყვე, რომ არც თუ ისე დიდი ხნის წინათ კარგად ყოფილა და ცოტა დავმშვიდდი, მაგრამ დღემდე მასზე სხვა ვერაფერი შევიტყვე. ბოლოს და ბოლოს, გადავწყვიტე, ჩამოვსულიყავი და ყველაფერი ადგილზე გამერკვია, კაპიტანმა გუდმა კი იმდენი სიკეთე გამოიჩინა, რომ თან წამომყვა.

– მოგეხსენებათ, სხვა საქმე მაინც არაფერი მაქვს, – თქვა კაპიტანმა გუდმა, – საადმირალოს ლორდებმა ფლოტიდან ნახევარ ხელფასზე გამომაგდეს, რომ შიმშილით სული ამომძრომოდა, ახლა კი, სერ, იქნებ დაწვრილებით გვითხრათ, რა იცით, ან რა გაგიგონიათ მისტერ ნევილზე?

თ ა ვ ი I I

ლ ე გ ე ნ დ ა ს ო ლ ო მ ო ნ მ ე ფ ი ს ს ა ბ ა დ ო ე ბ ზ ე

ჩიბუხს თამბაქოთი ვტენიდი და პასუხი კარგა ხანს დავაყოვნე.

– გითხრათ თუ არა ჩემმა ძმამ მაშინ, სად მიდიოდა, ან რას აპირებდა? – მოუთმენლად მკითხა სერ ჰენრიმ.

– მითხრა, მაგრამ დღემდე ამაზე სიტყვა არავისთან დამცდენია. მისტერ ნევილი მეუბნებოდა, სოლომონ მეფის საბადოებისკენ უნდა წავიდეო.

– სოლომონ მეფის საბადოებისკენო? მერე და, საით არის ეგ საბადოები? – ერთბაშად წამოიყვირა ორივემ.

– რა მოგახსენოთ, მეც გადმოცემით ვიცი. მართალია, დიდი ხნის წინათ დამანახეს მთის მწვერვალები, რომლის იქითაც თითქოს ის საბადოები მდებარეობს, მაგრამ იმ მთებამდე, მთელ ას ოცდაათ მილზე გადაჭიმული იყო უდაბნო. რამდენადაც ვიცი, თეთრკანიანთა შორის მხოლოდ ერთმა შეძლო მისი გადალახვა. მაგრამ იქნებ სჯობდეს გაგაცნოთ ლეგენდა სოლომონ მეფის საბადოებზე? ოღონდ სიტყვა მომეცით, რომ უჩემოდ არსად არაფერს იტყვით. თანახმა ბრძანდებით? მე სერიოზული საფუძველი მაქვს, მოგმართოთ ასეთი თხოვნით.

– რასაკვირველია, რასაკვირველია! – წამოიძახა კაპიტანმა გუდმა, სერ ჰენრიმ კი მხოლოდ თავი დააქნია.

– ალბათ მოგეხსენებათ, – დავიწყე მე, – რომ სპილოზე მონადირენი უხეში, ტლანქი ადამიანები არიან და, გარდა ყოველდღიური წვრილმანებისა, ცხოვრებაში არაფერი აინტერესებთ. თუმცა ზოგჯერ მათ შორისაც შეხვდებით ორიოდე კაცს, რომლებიც დიდი გულმოდგინებით კრებენ ადგილობრივ მკვიდრთა შორის გადმოცემებსა და ლეგენდებს და ცდილობენ ოდნავ მაინც ახადონ ფარდა ამ საიდუმლოებით მოცული ქვეყნის ისტორიას. პირველად სწორედ ასეთი ადამიანისაგან გავიგე ლეგენდა სოლომონ მეფის საბადოებზე. მას შემდეგ აგერ ოცდაათი წელიწადი გავიდა. მაშინ სპილოებზე ნადირობა ის-ის იყო დავიწყე და საამისოდ მატაბელეს მხარე ავირჩიე. იმ კაცის გვარი ივენსი იყო. საბრალო მომდევნო წელიწადს დაიღუპა – დაჭრილმა კამეჩმა იმსხვერპლა. ზამბეზის ჩანჩქერთან დაასაფლავეს. მახსოვს, ერთ საღამოს ვუთხარი, ანტილოპებზე ნადირობისას საოცარ საბადოს წავაწყდი-მეთქი, ის ადგილი ახლა ტრანსვაალის ლიდენბურგის რაიონს ეკუთვნის. ახლახან მითხრეს, ოქროსმაძიებლებმა იქ საბადო აღმოაჩინესო, მაგრამ მე დიდი ხნის წინათ ვიცოდი მისი არსებობა. იქ პიტალო კლდეში გაჭრილია ფართო გზა, რომელიც საბადოს შესასვლელში, ანუ ტალანში ჩადის. ამ ტალანში გროვა-გროვა ყრია ოქროვანი კვარცი, ჩანს, იგი დასამსხვრევად იყო გამზადებული. ყველაფერზე ეტყობა, რომ მუშები, ვინც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, იძულებულნი გამხდარან სასწრაფოდ მიეტოვებინათ იქაურობა. შესასვლელიდან ოციოდე ნაბიჯის დაშორებით, სიღრმეში ოსტატურად მოპირკეთებული ფართო ტალანი მიემართება.

– მართლა? – წამოიძახა ივენსმა, – მე კი უფრო გასაოცარ ამბავს გეტყვი. ერთხელ აფრიკის შუაგულში თავს წავადექი ქალაქის ნანგრევებს. ჩემი აზრით, ეს იყო ოფორი, დაბადებაში რომ არის მოხსენებული. – სხვათა შორის, კარგა ხნის შემდეგ სხვა, უფრო გამოცდილმა და განათლებულმა მკვლევარებმა დაადასტურეს ივენსის ეს მოსაზრება.

მახსოვს, მოჯადოებულივით ვისმენდი და ხარბად ვიჭერდი მის ყოველ სიტყვას. მხიბლავდა თხრობა უძველეს ცივილიზაციაზე და იმ განძეულზე, იუდეველ და ფინიკიელ ავანტიურისტებს აფრიკიდან რომ გაჰქონდათ, როცა ქვეყანა კვლავ ბარბაროსულ მდგომარეობას დაუბრუნდა.

– გაგიგონიათ რამე სულეიმანის მთებზე? – მკითხა უეცრად ივენსმა, – ეს მთები მაშუკულუმბვეს ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს.

მე ვუპასუხე, არაფერი გამიგია-მეთქი.

– ჰოდა, სოლომონ მეფის საბადოები სწორედ იმ მთების გადაღმა არის. მე, რასაკვირველია, ალმასის საბადოებს ვგულისხმობ.

– საიდან იცით? – შევეკითხე.

– როგორ თუ საიდან? განა სულეიმანი დამახინჯებული „სოლომონი" არ არის? გარდა ამისა, მონიკას მიწაზე ერთმა მოხუცმა იზანუზიმ მითხრა, იმ მთების იქით მცხოვრები ხალხი ზულუსების ტომის შთამომავალია, მათ კილოკავზე ლაპარაკობენ, მაგრამ უფრო ტანმაღალნი და ლამაზები არიანო. წინათ თურმე მათ შორის გრძნეულებიც ყოფილან, გრძნეულებს მისნობა თეთრკანიანებისაგან ჯერ კიდევ მაშინ შეუთვისებიათ, „როცა მთელი სამყარო ბნელით მოცული ყოფილა". მაშინ თურმე იცოდნენ, სად იყო ის საბადოები, ბრჭყვიალა ქვებს რომ პოულობდნენ.

მართალი რომ მოგახსენოთ, ივენსის ნაამბობი მაშინ სასაცილოდ მეჩვენა, თუმცა დამაინტერესა კია, რადგან ალმასის ქვიშრობი იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო აღმოჩენილი. საბრალო ივენსი მალე იმ ადგილებიდან გამოემგზავრა და დაიღუპა კიდეც. მთელი ოცი წლის განმავლობაში ერთხელაც არ გამხსენებია მაშინდელი ჩვენი საუბარი. მაგრამ სწორედ ოცი წლის შემდეგ – ეს კი სამკაოდ დიდი დროა, რადგან სპილოებზე ნადირობა მეტად საშიში ხელობაა და მონადირეთა შორის იშვიათად თუ ვინმე ცოცხლობს ამდენ ხანს – ბევრი რამ შევიტყვე სულეიმანის მთებსა და მათ გადაღმა მხარეზე. იმხანად მონიკას მიწის იქით, კრაალ სიტანდში ვცხოვრობდი. უნდა მოგახსენოთ, მეტად საზიზღარი ადგილია, საჭმელი არაფერია და არც ცხოველი ან ფრინველია სადმე, რომ კაცმა ცოტა მაინც წაინადიროს. ციებ-ცხელებამ შემომიტია და თავს საძაგლად ვგრძნობდი. სწორედ ამ დროს კრაალში ერთი პორტუგალიელი მოვიდა. მას მეტისი მსახური ახლდა. უნდა გითხრათ, პორტუგალიელებს კარგად ვიცნობ, რადგან ხშირად შევხვედრივარ დელაგოაში. დედამიწის ზურგზე არ მოიპოვება მათზე უფრო ვერაგი და მზაკვარი ხალხი. ყველამ იცის, რომ ისინი თავიანთი მონების სისხლითა და ტანჯვა-წამებით მდიდრდებიან. მაგრამ ეს ადამიანი არაფრით არ ჰგავდა თავის თანამემამულეებს და უფრო ზრდილობიან ესპანელს მოგაგონებდათ – ისეთ ესპანელს, წიგნებში გმირებად რომ გამოჰყავთ ხოლმე. ეს იყო მაღალ-მაღალი, გამხდარი კაცი, კეთილი, შავი თვალები და ხუჭუჭი, ჭაღარა ულვაში ჰქონდა.

ჩვენ ერთხანს ვიმუსაიფეთ, მან დამტვრეული ინგლისური იცოდა, მე კი ცოტ-ცოტა პორტუგალიური მახსოვდა. გამეცნო, ხოზე სილვესტრი გახლავარ, დელაგოას ყურესთან საკუთარი მიწის ნაკვეთი მაქვსო. გამოთხოვებისას ძველებურ ყაიდაზე კოხტად მომიხადა ქუდი და მითხრა:

– ნახვამდის, სენიორ, თუკი ოდესმე ამქვეყნად ისევ შევხვდით ერთმანეთს, იცოდეთ, მაშინ უმდიდრესი ადამიანი ვიქნები და თქვენც არ დაგივიწყებთ.

ამ სიტყვებმა ცოტა გამამხიარულა, თუმცა ძალზე მისუსტებული ვიყავი და სიცილის თავი არ მქონდა. დავინახე, რომ სილვესტრი დასავლეთისაკენ გაემართა და გეზი დიდი უდაბნოსკენ აიღო. ნეტავ რას ეძებს, რა დარჩენია იქ, ჭკუაზე აფრაკად ხომ არ არის-მეთქი? – გავიფიქრე მაშინ.

გავიდა ერთი კვირა, ნელ-ნელა გამოვჯანსაღდი. ერთ საღამოს პატარა კარვის წინ ვიჯექი (ამ კარავს ყველგან თან დავატარებდი) და საცოდავი, გაძვალტყავებული ჩიტის ფეხს ვღრღნიდი. ეს ჩიტი ერთ ზანგს გავუცვალე ქსოვილში, რომელშიც, სულ უკანასკნელი, ოცი ასეთი ჩიტი მაინც მეკუთვნოდა.

ფიქრმორეული გავცქეროდი წითლად გავარვარებულ მზეს, უკიდეგანო უდაბნოში რომ იძირებოდა. უეცრად სამასიოდე იარდის დაშორებით, ბორცვზე ვიღაც კაცს მოვკარი თვალი. ტანსაცმელზე ეტყობოდა, ევროპელი უნდა

ყოფილიყო. ჯერ მოფორთხავდა, შემდეგ წამოდგა, ტორტმანით გაიარა რამდენიმე იარდი, მერე დაეცა და ისევ წამოფორთხდა. მივხვდი, საქმე კარგად არ იყო და დასახმარებლად ერთ-ერთი ჩემი მონადირე გავაგზავნე. იგი მალე დაბრუნდა და, როგორ გგონიათ, ვინ მოიყვანა?

– რასაკვირველია, ხოზე სილვესტრი იქნებოდა, – წამოიძახა კაპიტანმა გუდმა.

– დიახ, ხოზე სილვესტრი გახლდათ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, კანგადაკრული მისი ჩონჩხი. ციებ-ცხელებისაგან სახე ბაიასავით გახდომოდა, სიგამხდრით თვალები ლამის ბუდიდან გადმოცვენოდა, ყვითელ კანქვეშ, რომელიც პერგამენტს უფრო წააგავდა, საცოდავად ამოჩროდა ძვლები, თმა კი ერთიანად გაჭაღარავებოდა.

– წყალი, ღვთის გულისათვის, წყალი! – ამოიკვნესა მან. დამსკდარ-დახეთქილი ტუჩები ძლივს აამოძრავა და ჩაშავებული ენა გამოუჩნდა.

მე რძეგარეული წყალი მივაწოდე. ერთბაშად უზარმაზარი ყლუპებით დასცალა ორი კვარტი. მეტის მიცემა შემეშინდა. ცოტა ხნის შემდეგ ციებ-ცხელებამ შემოუტია, დაეცა და ბოდვა დაიწყო. რას არ ახსენებდა: სულეიმანის მთებს, ალმასებს, უდაბნოს... საბრალო კაცი კარავში შევიყვანე და ვცდილობდი, რამდენადაც შემეძლო, ტანჯვა შემემსუბუქებინა. რასაკვირველია, ბევრი არაფერი შემეძლო. ჩემთვის ცხადი იყო, რით დამთავრდებოდა ყველაფერი ეს.

ასე, თერთმეტი საათისთვის ავადმყოფი ოდნავ დამშვიდდა, მეც დავწექი, ვიფიქრე, ცოტა დავისვენებ-მეთქი, მაგრამ ჩამძინებოდა. ალიონზე გამომეღვიძა, ბინდბუნდში ჩემს სტუმარს მოვკარი თვალი. გამხდარ-დალეული, ქვეშაგებზე წამომჯდარიყო და უდაბნოს გასცქეროდა. უეცრად მზის პირველმა სხივმა ჩვენს წინ გადაშლილი ფართო ველი გაანათა, მერე ჩვენგან ასეული მილით დაშორებული სულეიმანის მთების ყველაზე მაღალი მწვერვალი მოძებნა და ზედ გასრიალდა.

– აჰა, აი, ისიც! – წამოიძახა მომაკვდავმა პორტუგალიურად და გრძელი, ძვალტყავად ქცეული ხელი გაიწვდინა, – მაგრამ მე ვერასოდეს, ვერასოდეს ვეღარ მივაღწევ იქამდე, ვერც სხვა ვინმე მივა, ვერა! – უეცრად დადუმდა, თითქოს რაღაც უნდა მოიფიქროსო. – მეგობარო, – მითხრა მერე და ჩემკენ შემობრუნდა, – აქა ხართ? თვალთ დამიბნელდა, ვეღარაფერს ვხედავ.

– ნუ გეშინიათ, თქვენ გვერდითა ვარ, – ვუთხარი. – ახლა დაწექით და დაისვენეთ.

– დასასვენებლად დრო მერეც მეყოფა, – მომიგო საბრალომ, – მალე, სულ მალე სამუდამოდ დავისვენებ... ვკვდები... თქვენ ადამიანურად მომეპყარით. მინდა გადმოგცეთ ერთი დოკუმენტი. იქნებ თქვენ მაინც გაგიღიმოთ ბედმა და მიხვიდეთ იქამდე, თუ გაუძლებთ უდაბნოში მგზავრობას. უდაბნომ, უდაბნომ დამღუპა მეცა და საბრალო ჩემი მსახურიც.

თქვა ეს, უბეში ხელი ჩაიყო და ამოიღო რაღაც ნივთი, რომელიც ანტილოპას ტყავისაგან გაკეთებულ თამბაქოს ქისას მივამსგავსე – ისეთ ქისას, ბურებს რომ აქვთ ხოლმე. იგი მაგრად იყო შეკრული ტყავის თასმით, რომელსაც ჩვენ „რიმპის" ვეძახით. მომაკვდავი შეეცადა თასმა გაეხსნა, მაგრამ ძალა არ ეყო. მაშინ ის ნივთი მე გამომიწოდა და მთხოვა, გამიხსენიო. უმალ შევაგებე ხელი, გავხსენი და დაფლეთილი, გაყვითლებული ტილოს ნაჭერი ამოვიღე; ტილოზე ჟანგისფერი ასოებით რაღაც ეწერა, შიგ კი ქაღალდი იყო გახვეული.

ხოზე სილვესტრს ძალამ უმტყუნა, იგი ოდნავდა ჩურჩულებდა:

– მაგ ქაღალდზე ის წერია, რაც ტილოზე იყო დაწერილი, ამ ამბების გარკვევასა და დაზუსტებას მრავალი წელი მოვანდომე. მისმინეთ! ჩემი წინაპარი, ლისაბონელი პოლიტიკური ემიგრანტი, ერთ-ერთი პირველთაგანი გადმოვიდა ამ ნაპირზე თავის თანამემამულეებთან ერთად. ეს დოკუმენტი კი დაწერა სიკვდილის წინ, აი, იმ მთებში, სადაც არც მანამდე, არც შემდეგ თეორკანიანს ფეხი არ დაუდგამს. ეს ჩემი წინაპარი ხოზე და სილვესტრა იყო და ზუსტად სამასი წლით წინათ ცხოვრობდა. მონას, რომელიც მთების გადმოღმა ელოდა, ეპოვნა მისი გვამი და ეს წერილი შინაურებისათვის მოეტანა. წერილი ოჯახში ინახებოდა, მაგრამ მისი წაკითხვა არასოდეს არავის უცდია, ვიდრე ბოლოს მე არ დავინტერესდი. ამან შეიწირა ჩემი სიცოცხლე, ახლა შეიძლება ვინმე სხვას გამოადგეს და უმდიდრესი კაცი გახადოს. ოღონდ ამ ქაღალდს ხელში ნურვის ჩაუგდებთ. თქვენ თვითონ სცადეთ ბედი.

ამის შემდეგ კვლავ ბოდვა დააწყებინა და ერთ საათში გათავდა კიდეც. ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს მის სულს! მშვიდად მოკვდა. რაც შემეძლო, ღრმად გავუთხარე სამარე და ზედ დიდი ქვები დავაწყვე, იმედი მაქვს, ტურები მის გვამს ვერ ამოთხრიდნენ. მერე კი იმ კრაალიდან მეც წამოვედი.

– იმ დოკუმენტს რა ბედი ეწია? – მკითხა სერ ჰენრიმ, რომელიც დიდი გულისყურით მისმენდა.

– დიახ, დიახ, რა ეწერა იმ დოკუმენტში? – დაუმატა კაპიტანმა გუდმაც.

– კარგით, ბატონებო, რაკი გაინტერესებთ, ამასაც გეტყვით. ეს საიდუმლო ჯერ არავისთვის გამიმხელია, ღვინით გამტყვრალ ბებერ პორტუგალიელ ვაჭარს კი, რომელმაც მაშინ ის დოკუმენტი მითარგმნა, მეორე დღესვე აღარ ახსოვდა მისი შინაარსი. ის ტილო, საბრალო დონ ხოზეს თარგმანთან ერთად, დურბანში მაქვს. მაგრამ უბის წიგნაკში მაშინვე ჩავიწერე ინგლისური თარგმანი, რუკაც გადავიხატე, თუკი შეიძლება მას, საერთოდ, რუკა უწოდოს კაცმა. აი, ის ჩანაწერიც, მაშ მისმინეთ:

„მე, ხოზე და სილვესტრა, შიმშილისაგან ღონემიხდილი ვკვდები პატარა მღვიმეში, სამხრეთით მდებარე თოვლიანი მთის მწვერვალზე, უფრო სწორად, მის ჩრდილო კალთაზე. ეს არის ერთ-ერთი მთა, იმ ორს შორის, რომელთაც მე დედოფალ საბიას მკერდი ვუწოდე. ამას ვწერ საკუთარი სისხლით, 590 წელს, ჩემი ტანსაცმლის ნაფლეთზე. კალმად ძვლის ნატეხს ვხმარობ. თუ ჩემმა მონამ აქ ამოაღწია, ეს წერილი იპოვა და დელაგოას მოიტანა, ჩემმა მეგობარმა (სახელი გაურკვეველია) აცნობოს მეფეს, რაც აქ წერია, რათა მან ლაშქარი გამოგზავნოს. თუ ლაშქარი მოახერხებს უდაბნოსა და მთების გადალახვას, დაამარცხებს მხნე კუკუანელებსა და მათ წყეულ ჯადოს გასტეხს, რისთვისაც თან მღვდელმსახურნი უნდა იახლონ, მაშინ ჩვენი მეფე სოლომონის შემდეგ ამქვეყნად უმდიდრესი გვირგვინოსანი შეიქნება.

მე საკუთარი თვალით ვნახე აურაცხელი ალმასი და ძვირფასი თვლები სოლომონის საგანძურში, „თეთრი სიკვდილის" უკან, მაგრამ მისნებზე მონადირე გაგულას მუხანათობის გამო, ბეწვზე გადავურჩი სიკვდილს და ვერაფერი წამოვიღე. ის, ვინც წამოსვლას დააპირებს, დაადგეს რუკაზე აღნიშნულ გზას, აჰყვეს თოვლს დედოფალ საბიას მარცხენა ძუძუზე, ვიდრე მწვერვალს არ მიაღწევს... მწვერვალის ჩრდილოეთით იწყება სოლომონ მეფის დიდი გზა, აქედან კი კუკუანელთა სამეფო სამი დღის სავალზეა. გაგულა უნდა მოკლათ. ილოცეთ ჩემი სულისათვის. მშვიდობით. ხოზე და სილვესტრა".

როცა კითხვა დავასრულე და ჩემს მსმენელებს პორტუგალიელის უღონო ხელითა და მისივე საკუთარი სისხლით დახატული რუკის ასლი დავანახე, კაიუტაში სიჩუმემ დაისადგურა.

კურტისი და კაპიტანი გუდი გაოგნებულები შემომცქეროდნენ.

– დიახ, – დაარღვია ბოლოს დუმილი კაპიტანმა გუდმა, – მე ორჯერ შემოვუარე დედამიწას და თითქმის ყველა კუთხე მოვლილი მაქვს, მაგრამ მიწა გამისკდეს, თუ ამგვარი რამ ოდესმე გამეგონოს, ან სადმე წამეკითხოს.

– დიახ, მეტად უცნაური ამბავია, მისტერ ქუოტერმენ, – თქვა თავის მხრივ სერ ჰენრიმ, – იმედი უნდა ვიქონიოთ, აბუჩად არ გვიგდებთ. გამიგია, ახალბედებთან ასეთი რამ დასაშვებიაო.

– თუ ასე ფიქრობთ, ჯობია ახლავე დავანებოთ ყველაფერს თავი, – ვუთხარი ძალზე გაბრაზებულმა, ქაღალდი ჯიბეში ჩავიდე და წამოვდექი. – არ მიყვარს, როცა მაკუთვნებენ იმ ვიგინდარათა რიცხვს, რომელთაც მახვილგონიერებად მიაჩნიათ ტყუილების ცხობა და ჩამოსულთა წინაშე გამუდმებული ტრაბახი, ნადირობისას ესა და ეს შემემთხვაო.

სერ ჰენრი შეეცადა დავემშვიდებინე და თავისი დიდი ხელი მხარზე დამადო.

– დაბრძანდით, დაბრძანდით, მისტერ ქუოტერმენ, – თქვა მან, – მაპატიეთ, ვიცი, გულშიც არ გაგივლიათ ჩვენი მოტყუება, მაგრამ თქვენი ნაამბობი იმდენად არაჩვეულებრივი იყო, რომ ძალაუნებურად ეჭვი შემეპარა.

– დურბანში რომ ჩავალთ, ნამდვილ რუკას და დოკუმენტს გიჩვენებთ, – ვუთხარი რამდენადმე დამშვიდებულმა, რადგან, ცოტა რომ დავფიქრდი, მივხვდი, სერ ჰენრი სავსებით მართალი იყო. – თქვენს ძმაზე ჯერ არაფერი მითქვამს. მე ვიცნობდი ჯიმს, მის მსახურს. ძალიან ჭკვიანი და კარგი მონადირე იყო. სწორედ იმ დილით, როცა მისტერ ნევილი გასამგზავრებლად ემზადებოდა, ჯიმი ჩემს ფურგონთან იდგა და ჩიბუხისთვის თამბაქოს ჭრიდა.

– ჯიმ, სპილოებზე სანადიროდ ხომ არ მიდიხართ? – ვკითხე.

– არა, ბაას, სპილოს ძვლები რაა, ჩვენ უფრო ძვირფასი რამ გვაინტერესებს.

– უფრო ძვირფასიო? მაშ ოქროს საძებნელად მიდიხართ?

– არა, არა, ბაას, ის, რასაც ჩვენ ვეძებთ, ოქროზე ძვირფასია, – ჩაიცინა ჯიმმა.

აღარაფერი ვკითხე, რომ ზედმეტ ცნობისმოყვარეობას მის თვალში არ დავემცირებინე, მაგრამ, მართალი გითხრათ, ძალიან დავინტერესდი.

– ბაას, – მითხრა უეცრად ჯიმმა და თამბაქოს დაჭრას თავი მიანება.

მე წავიყრუე, ვითომც არ გამიგონია.

– ბაას, – განმეორებით მომმართა მან.

– ჰმ, რა გინდა, მეგობარო?

– ბაას, ჩვენ ალმასების საძებრად მივდივართ.

– ალმასების საძებრად? მაშ, სწორ გზას არ ადგახართ, ქვიშრობისკენ უნდა წასულიყავით.

– ბაას, არ გაგიგია რამე სულეიმანის მთებზე?

– ჰო.

– არ გაგიგია, იქ ალმასები არისო?

– ჰო, რაღაც მაგის მსგავსს ხშირად ჩმახავენ, ჯიმ.

– ეს მოჩმახული ამბავი არ არის, ბაას, მე ვიცნობდი ერთ ქალს, იქიდან გამოქცეულიყო და თავის პატარა ვაჟთან ერთად ნატალამდე მოეღწია. ყველაფერი თავისი პირით მიამბო. ახლა ის ქალი უკვე მკვდარია.

– შენი ბატონი მტაცებელი ფრინველების ლუკმა გახდება, ჯიმ, თუ ამ უგუნურ განზრახვაზე ხელი არ აიღო. არც შენ დაგადგება კარგი დღე, თუმცა ეგ შენი გადამღრძვალი, გამხდარ-გაფშეკილი ჩონჩხი ვის რა ხეირს დააყრის.

– მართალი ხარ, ბაას, – ჩაიცინა ჯიმმა, – მაგრამ ადამიანი ბოლოს და ბოლოს მაინც უნდა მოკვდეს, მე კი ძალიან მინდა ბედი ვცადო. ამასთან, აქ მალე სპილოებს სულ ამოწყვეტენ.

– კარგი, კარგი, მოიცადე, ვიდრე ყვიციანი ანგელოზი არ გწვდება მაგ ჩაყვითლებულ ყელში, მერე ნახე, რა სიმღერებს დაამღერებ, – ვუთხარი მე.

ნახევარი საათის შემდეგ ნევილის ფურგონი გზას დაადგა. უეცრად ჯიმი შემობრუნდა და ჩემკენ გამოიქცა.

– მისმინე, ბაას, მინდა დაგემშვიდობო, შენ მართალი ხარ, ჩვენ ვეღარასოდეს დავბრუნდებით.

– ჯიმ, შენი ბატონი მართლა სულეიმანის მთებისკენ აპირებს წასვლას თუ წეღან ტყუილი მითხარი?

– ტყუილს რად გეტყოდი? ჩემმა ბატონმა თქვა, რადაც არ უნდა დამიჯდეს, უნდა გავმდიდრდეო; ჰოდა, ალმასები საამისოდ არ გამოდგება?

– ერთი წუთი დამიცადე, ჯიმ, შენს ბატონთან წერილს გაგატან, მაგრამ პირობა უნდა მომცე, რომ ამ წერილს მხოლოდ აინაიტში გადასცემ (აინაიტი ჩვენგან ასიოდე მილით იყო დაშორებული).

– კეთილი, ბაას, – მიპასუხა ჯიმმა.

მე ქაღალდის ნაგლეჯი ავიღე და ზედ დავწერე: „ის, ვინც იქ წასვლას დააპირებს, დაადგეს რუკაზე აღნიშნულ გზას, აჰყვეს თოვლს დედოფალ საბიას მარცხენა ძუძუზე, ვიდრე მწვერვალს არ მიაღწევს. მწვერვალის ჩრდილოეთით იწყება სოლომონ მეფის დიდი გზა".

– მაშ, ასე, ჯიმ, ეს წერილი შენს ბატონს გადაეცი და უთხარი, ზუსტად მიჰყვეს იმ გზას. ქაღალდი ახლა არ მისცე, თორემ მობრუნდება და შეკითხვებით ამომახრჩობს, მე კი პასუხის თავი არა მაქვს. ახლა კი გასწი, ზარმაცო, ხედავ, თქვენი ფურგონი აღარც კი ჩანს.

ჯიმმა წერილს ხელი დაავლო და ფურგონს უკან გამოუდგა. ამის შემდეგ მისტერ ნევილზე აღარაფერი გამიგია, სერ, მაგრამ ძალიან ვშიშობ, რომ...

– მისტერ ქუოტერმენ, – გამაწყვეტინა სიტყვა სერ ჰენრიმ, – მე მივყვები იმ გზას სულეიმანის მთებამდე და, თუ საჭირო იქნა, უფრო შორსაც წავალ. არ მოვისვენებ, სანამ არ ვიპოვი ჯორჯს, ან სანამ არ გავიგებ, რომ ნამდვილად დაიღუპა. ხომ არ წამოხვალთ ჩემთან ერთად?

მგონი უკვე მოგახსენეთ, ძალზე ფრთხილი, ჩუმი და მოკრძალებული კაცი ვარ-მეთქი, ამიტომ იყო, რომ ამ წინადადებამ ძალზე გამაოცა და შემაშფოთა კიდეც. ეს ხომ უეჭველ სიკვდილს ნიშნავდა! გარდა ამისა, სხვა რომ აღარაფერი ვთქვა, მოვალე ვიყავი შვილს დავხმარებოდი და უფლება არ მქონდა, ასე ნაადრევად გამეწირა თავი.

– გმადლობთ, სერ, მაგრამ მიჯობს, უარი მოგახსენოთ, საკმაოდ მოვხუცდი იმისთვის, რომ მსგავს გიჟურ საქმეებში მივიღო მონაწილეობა. ეჭვი არ მეპარება, ჩვენც ჩემი საბრალო მეგობრის სილვესტრის ბედი მოგველის. ამასთან, ვაჟის პატრონი ვარ, მას ჯერ კიდევ ესაჭიროება ჩემი დახმარება, ამიტომ უფლება არა მაქვს, თავი საფრთხეში ჩავიგდო.

ეტყობოდა, ჩემმა პასუხმა სერ ჰენრი და კაპიტანი გუდი ძალიან გაანაწყენა.

– მისტერ ქუოტერმენ, – მითხრა სერ ჰენრიმ, – მე მდიდარი კაცი ვარ და ჩემს განზრახვაზე ასე ადვილად ხელს არ ავიღებ, თუკი ჩვენთან წამოხვალთ, გასამრჯელოდ რაც გინდათ მთხოვეთ. ამ თანხას ჩვენს გამგზავრებამდე მიიღებთ. ამასთან, წინასწარ მივიღებთ ზომებს, რომ თქვენი ვაჟი ყოველმხრივ იქნეს უზრუნველყოფილი იმ შემთხვევაში, თუ ამ მოგზაურობიდან ვეღარ

დავბრუნდით. ალბათ ჩემი ნათქვამიდან მიხვდებით, რამდენად საჭიროდ მიმაჩნია თქვენი მონაწილეობა ამ ექსპედიციაში. თუ სულეიმანის საბადოს მივაღწიეთ და ალმასების პოვნა მოვახერხეთ, თქვენ და გუდი მათ შუაზე გაიყოფთ, მე მათ არ ვსაჭიროებ. თანაც გზაში სპილოებზე წავინადირებთ და სპილოს ძვალსაც ასევე თანაბრად გაინაწილებთ. შეგიძლიათ წარმოადიგნოთ თქვენი პირობები, მისტერ ქუოტერმენ. გარდა ამისა, მინდა იცოდეთ, რომ ყოველგვარ ხარჯებს მე ვკისრულობ.

– სერ ჰენრი, – ვუთხარი პასუხად, – ასეთი სარფიანი საქმე ჩემთვის ჯერ არავის შემოუთავაზებია. ღარიბმა მონადირემ ყველაფერი კარგად უნდა აწონ-დაწონოს, ამისთვის კი დროა საჭირო. ყოველ შემთხვევაში, პასუხს დურბანში ჩასვლამდე მოგახსენებთ.

– ძალიან კარგი, – მომიგო სერ ჰენრიმ.

ამის შემდეგ ორივეს ღამე ნებისა ვუსურვე და წამოვედი.

იმ ღამით სიზმარში სულ საბრალო სილვესტრსა და ალმასებს ვხედავდი.

თ ა ვ ი I I I

ა მ ბ ო პ ა ჩ ვ ე ნ ი მ ს ა ხ უ რ ი ხ დ ე ბ ა

კეიპტაუნიდან დურბანამდე ზღვით მგზავრობას ოთხი-ხუთი დღე სჭირდება: ეს დამოკიდებულია ამინდზე და გემის სვლაზე. ისტ-ლონდონში მშენებლობა არ დამთავრებულა, მიუხედავად იმისა, რომ იქ უამრავი ფულია ჩაყრილი. ამიტომაც, ნაცვლად იმისა, რომ კარგად მოწყობილ პორტში შევიდეს, – ამაზე ლაპარაკით ხომ დიდი ხანია ყურები გამოგვიჭედეს – გემი იძულებულია ნაპირიდან კარგა მოშორებით ჩაუშვას ღუზა. თუ ზღვა ღელავს, მაშინ მთელი დღე და ღამე უნდა ელოდო, რომ ნაპირიდან საბუქსირო ნავებმა მოაღწიონ. საბედნიეროდ, ჩვენ ცდა არ დაგვჭირვებია. ისტ-ლონდონს რომ მივუახლოვდით, ზღვა ოდნავ ღელავდა. ნაპირიდან უმალვე გამოგზავნეს ბუქსირები, რომელთაც მწკრივად მოჰყავდათ უშნოდ გამოჩორკნილი ბრტყელძირა ნავები. ჩვენი გემიდან გამეტებით ისროდნენ ნავებში ფუთებს, არც კი დაგიდევდნენ, რა იყო შიგ: მატყლი, მინა თუ ფაიფური. გემბანზე ვიდექი და დავინახე, როგორ დაიმსხვრა ყუთი, რომელშიც ოთხი დუჟინი შამპანურის ბოთლი იყო. ბოთლებიდან შადრევანივით გადმოჩქეფა ღვინომ და ბინძური ნავის ფსკერს ქაფად მოედო. გული დამწყდა, ეს ძვირფასი სასმელი ასე ტყუილუბრალოდ რომ იკარგებოდა.

ალბათ კაფრ მტვირთავებსაც სინანული ამოძრავებდათ, ნამსხვრევებიდან ხელად ამოაცოცეს შემთხვევით გადარჩენილი ორი ბოთლი, ყელი წაამტვრიეს და უკანასკნელ წვეთამდე დაცალეს. ღვინო იმწამსვე თავში აუვარდათ და კარგა მაგრა შეზარხოშდნენ. ამას კი აღარ ელოდნენ, თავზარდაცემულები ნავის ფსკერზე დაფოფხავდნენ და გაჰყვიროდნენ, ეს საუცხოო სასმელი „ტაგატი", ესე იგი, მოჯადოებულიაო. მე დავუმოწმე, საშინელი საწამლავი დალიეთ და ახლა ყველანი სათითაოდ დაიხოცებით-მეთქი. კაფრები შიშისაგან მთლად გადაირივნენ, ნიჩბებს ეცნენ და ნავი ნაპირისკენ გააქროლეს. დარწმუნებული ვარ, შამპანურს თავის სიცოცხლეში აღარ გაეკარებიან.

ჩვენი საუბრის შემდეგ სულ კურტისის წინადადებაზე ვფიქრობდი. პირველ ორ დღეს ამ საკითხს აღარ შევხებივართ, თუმცა სულ ერთად ვიყავით. მე

ვუყვებოდი სერ ჰენრისა და გუდს სხვადასხვა ამბებს, ნადირობისას თავს რომ გადამხდენოდა, ამასთან, არაფერს ვთხზავდი და არც ვაზვიადებდი, როგორც ეს საერთოდ მონადირეებს სჩვევიათ. ანკი რაში გვჭირდება ჩვენ, აფრიკელ მონადირეებს, ტყუილების ცხობა, განა სატრაბახოდ ის არ კმარა, რაც თავს გადაგვხდენია?

ბოლოს, იანვრის ერთ მშვენიერ დღეს – იანვარი ხომ ჩვენში ყველაზე ცხელი თვეა – ჩვენი გემი ნატალს მიუახლოვდა და მის თვალწარმტაც ნაპირებს გაუყვა. ვფიქრობდით, მზის ჩასვლამდე დურბანის კონცხისთვის შემოგვევლო. ეს ნაპირი ხომ ყველას აჯადოვებს ქვიშის წითელი გორაკებით, უსასრულო ზურმუხტისფერი სივრცით და ამ სივრცეში, ამ სიმწვანეში აქა-იქ მიყუჟული კრაალებით. ტალღები ზედიზედ ეხეთქება ნაპირთან წამოყუდებულ კლდეებს, ყალყზე შემდგარი იმსხვრევა, უკუეცემა და აჩენს ქათქათა ქაფს, ზოლებად რომ გასდევს ნაპირს. მაგრამ განსაკუთრებით ლამაზია ბუნება თვით დურბანთან. საუკუნეთა განმავლობაში წვიმასა და ღვართქაფს ბორცვები ღრმა ხეობებით დაუსერავთ. ამ ხეობებში მოშხუიან მდინარეები, რომელთაც მზე თვალისმომჭრელად ალაპლაპებს; აყრილ-ატეხილ ბარდებსა და ბუჩქნარს შორის, რომელიც ისეა დარგულ-გახარებული, როგორც ეს თვით უფალს უნებებია, აქა-იქ მოჩანს პურის ხის ჭალაკები და შაქრის ლერწმის პლანტაციები. ამ მწვანე წალკოტში უეცრად გამოკრთება ხოლმე თეთრი სახლი, თითქოს მის წინ უშფოთველად გართხმულ ზღვას უღიმისო, და მისი გამოჩენა რაღაც განსაკუთრებულ დასრულებულ იერს აძლევს ირგვლივ ყველაფერს.

ჩემი აზრით, რაგინდ თვალწარმტაცი არ უნდა იყოს ბუნება, ადამიანი მას კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის. იქნებ ასე მიტომ მეჩვენება, რომ ძალიან დიდხანს მომიხდა ცხოვრება ველურ, უკაცრიელ ადგილებში და ამის გამო უფრო ვაფასებ ცივილიზაციას, მიუხედავად იმისა, რომ იგი სპობს და სდევნის ფრინველსა და ცხოველს. ედემის ბაღი, უეჭველია, წარმტაცი იყო ადამიანის გაჩენამდეც, მაგრამ უფრო წარმტაცი გახდა მას შემდეგ, რაც მის ბილიკებზე ევა გამოჩნდა.

თუმცა დავუბრუნდეთ ამბავს! ჩვენ, ცოტა არ იყოს, ანგარიშში მოვტყუვდით. მზე დიდი ხნის ჩასული არ იყო, როცა ღუზა დურბანის კოშკის მახლობლად ჩავუშვით. გაისმა ზარბაზნის გრიალი, დურბანის მცხოვრებლებს ატყობინებდნენ, ინგლისიდან ფოსტა მოვიდაო.

რაკიღა დავიგვიანეთ და ნაპირზე გადასვლა აღარ შეიძლებოდა, გემბანზე ავედით და ვუცქეროდით, როგორ დატვირთეს მაშველი ნავი ფოსტით, მერე კი სასადილოდ წავედით.

როცა ამოვბრუნდით, მთვარე უკვე ამოსული დაგვხვდა, მის შუქს ზღვა და ხმელეთი გაეჩახჩახებინა.

ნიავს ნაპირიდან სასიამოვნო მოტკბო-მოცხარო სურნელი მოჰქონდა. ეს სურნელი რატომღაც საეკლესიო საგალობლებსა და მისიონერებს მაგონებს. სანაპიროზე სახლები განათებული იყო. უზარმაზარი ხომალდიდან, ჩვენ გვერდით რომ იდგა, მუსიკა და სიმღერა ისმოდა. მეზღვაურები ღუზას ხსნიდნენ და ზღვაში გასასვლელად ემზადებოდნენ. საუცხოო, წყნარი ღამე იყო, ერთი იმ ღამეთაგანი, რომელიც მხოლოდ სამხრეთ აფრიკაში იცის. მთვარე თავის ვერცხლის საბურველში ხვევდა მთელ ბუნებას.

სიმშვიდე მოჰფენოდა დედამიწას. იმ სიწყნარისა და სიმშვიდის გავლენით უზარმაზარ ბულდოგსაც კი დავიწყებოდა თავისი სურვილი – წაჩხუბებოდა მაიმუნს, გემბანზე, გალიაში რომ იჯდა. ძაღლი კაიუტის კართან გაშოტილიყო და ტკბილად ხვრინავდა.

ჩვენ სამნი – სერ ჰენრი კურტისი, კაპიტანი გუდი და მე – საჭევართან დავსხედით.

– მისტერ ქუოტერმენ, – მკითხა ჰენრიმ ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ, – რა პასუხს მაძლევთ ჩემს თხოვნაზე?

– დიახ, დიახ, – სიტყვა შეაშველა კაპიტანმა გუდმა, – რა გადაწყვიტეთ? იმედი მაქვს, მონაწილეობას მიიღებთ ჩვენს ექსპედიციაში. ჩვენ ბედნიერად ჩავთვლით თავს, თუ დაგვთანხმდებით, წამოგვყვეთ არა მარტო სულეიმანის მთების გადაღმა, არამედ, საერთოდ, ყველგან, სადაც შეიძლება იმყოფებოდეს ჯენტლმენი, რომელსაც ჩვენ ვეძებთ.

უხმოდ წამოვდექი, გემის ქიმთან მივედი და ჩიბუხი გამოვბერტყე. არ ვიცოდი, რა პასუხი გამეცა, სულ ცოტა, ერთი წუთი მაინც მჭირდებოდა, რომ დავფიქრებულიყავი და საბოლოოდ გადამეწყვიტა რამე. ბნელში თამბაქოს ფერფლმა გაიციმციმა და იმავე წამს გადაწყვეტილებაც მივიღე.

ცხოვრებაში ხშირად ხდება ასე: ადამიანი წვალობს, ყოყმანობს, არ იცის, რა გზას დაადგეს და ბოლოს, ერთ წამში გადაწყვეტს ხოლმე ყველაფერს.

– კარგი, ბატონებო, – ვთქვი და ჩემს ადგილზე დავჯექი, – მეც თქვენთან ერთად მოვდივარ. ახლა კი ნება მიბოძეთ, მოგახსენოთ, რატომ და რა პირობებში ვღებულობ თქვენს წინადადებას.

პირველი: გარდა იმისა, რომ გზის ხარჯები თქვენ გეკისრებათ, სპილოს ძვალი და სხვა ფასეულობა, რასაც გზაში ვიშოვით, მე და კაპიტანმა გუდმა შუაზე უნდა გავიყოთ.

მეორე: გარდა ამისა, ვიდრე გავემგზავრებოდეთ, ხუთას გირვანქა სტერლინგს გადამიხდით, მე კი ვალდებულებას ვკისრულობ, პატიოსნად გემსახუროთ მანამდე, ვიდრე ეს თქვენთვის საჭირო იქნება, ან ვიდრე მიზანს არ მივაღწევთ, უკიდურეს შემთხვევაში, ვიდრე არ დავიღუპებით.

მესამე: სანამ სულეიმანის მთებისკენ გავემგზავრებოდეთ, უნდა გავაფორმოთ ხელშეკრულება, რომლის მიხედვით ჩემი დაღუპვის, ან მძიმედ დაშავების შემთხვევაში ვალდებული იქნებით ჩემს ვაჟს, ჰარის, რომელიც ლონდონის უნივერსიტეტში მედიცინას ეუფლება, ხუთი წლის განმავლობაში აძლიოთ გარკვეული თანხა – წლიურად ორას-ორასი გირვანქა სტერლინგი. ხუთი წლის შემდეგ კი იგი ფეხზე დადგება და საკუთარი თავის რჩენას შეძლებს, თუ რასაკვირველია, მისგან საერთოდ რამე გამოვიდა. აი, ჩემი პირობები. ხომ არ ფიქრობთ, რომ გადავჭარბე?

– არა, არა, – აჩქარებით მომიგო სერ ჰენრიმ, – სიამოვნებით გეთანხმებით. გადაწყვეტილი მაქვს, მოვძებნო ჩემი ძმა და, რაც არ უნდა დამემართოს, ამ განზრახვაზე ხელს არ ავიღებ. ვიცი, რომ გამოცდილი და საქმეში ჩახედული კაცი ბრძანდებით და მზადა ვარ უფრო მეტიც გადაგიხადოთ.

– რაკი ასეა, ძალიან ვწუხვარ, რომ ვერ მოვისაზრე მეტი მეთხოვა, მაგრამ რაც არის, არის, ჩემი სიტყვა უკან არასოდეს წამიღია. ახლა კი გეტყვით, რამ მაიძულა თქვენთან ერთად წამოვსულიყავი: უპირველეს ყოვლისა, მთელი ამ ხნის განმავლობაში თვალყურს გადევნებდით, და კადნიერებად ნუ ჩამომართმევთ, თუ გეტყვით, რომ ძალიან მომეწონეთ. ეჭვი არ მეპარება, ჩვენ საუცხოოდ გავწევთ უღელს, ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს, როცა კაცს წინ ასეთი შორი გზა უდევს. რაც შეეხება სულეიმანის მთების გადალახვას, ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ იქიდან ცოცხლები ვეღარ დავბრუნდებით. რა ბედი ეწია მოხუც სილვესტრას სამი საუკუნის წინათ? რა ბედი ეწია მის შთამომავალს ამ ოცი წლის წინ? რა ბედი ეწია თქვენს ძმას? ვერ დამარწმუნებთ, რომ ჩვენც იგივე არ გველის.

ვთქვი ესა და შევჩერდი. მინდოდა მენახა, რა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემმა სიტყვებმა. კაპიტანი გუდი ოდნავ შემკრთალი მეჩვენა, სერ ჰენრის კი სახეზე ძარღვიც არ შეკრთომია.

– რაც უნდა იყოს, მაინც უნდა ვცადო ბედი, – მშვიდად მომიგო მან.

– შესაძლოა უცნაური გეჩვენოთ, – განვაგრძე მე, – რომ ეს ფრთხილი და გაუბედავი კაცი, იმის შემდეგ, რაც ახლა ვთქვი, წამოსვლაზე უარს არ გეუბნებით, მაგრამ საამისოდ ორი მიზეზი არსებობს: ჯერ ერთი, საოცარი ფატალისტი ვარ და ღრმად მწამს, რომ ჩემი სიკვდილის დღე და საათი წინასწარ განსაზღვრულია, და თუ ბედით სულეიმანის მთებში წასვლა და იქ დაღუპვა მიწერია, რაც უნდა მოვიმოქმედო, ამას ვერ ავცდები. ღმერთს ყოველივე უკეთ მოეხსენება, ამიტომ ამაზე ფიქრით თავს არ შევიწუხებ. მეორე: მე ერთი ღარიბი კაცი ვარ და, მიუხედავად იმისა, რომ ორმოცი წელი ნადირობაში გავატარე, შავი დღისათვის მცირეოდენი თანხაც კი ვერ გადავინახე. ის კი არა, თავი ძლივძლივობით გამქონდა. ბატონებო, თქვენ, რასაკვირველია, იცით, რა სახიფათო და საძნელო საქმეა სპილოზე ნადირობა. ადამიანები, რომლებიც ამით ცხოვრობენ, საშუალოდ ოთხ-ხუთ წელიწადში იღუპებიან. მე კი ეს ვადა თითქმის შვიდჯერ გავადიდე, ახლა კი ალბათ ჩემი აღსასრულიც მოახლოებულია. თუ ნადირობისას დავიღუპე, ჩემს შვილს, ჰარის, ვალების გასტუმრების შემდეგ საარსებო წყარო აღარ დარჩება, და მაშასადამე, ვეღარც სწავლას განაგრძობს. თქვენთან რომ წამოვიდე, მაშინ იგი ხუთი წელიწადი უზრუნველყოფილი იქნება და საშუალება მიეცემა, ფეხზე დადგეს. აი, მოკლედ ჩემი შეხედულება ამ საკითხზე.

– მისტერ ქუოტერმენ, – მითხრა სერ ჰენრიმ, რომელიც დიდი ყურადღებით მისმენდა, – თქვენ ეჭვი გეპარებათ ექსპედიციის წარმატებაში და ფიქრობთ, ყველაფერი ცუდად დამთავრდებაო. მართალი ხართ თუ არა, ამას დრო გვიჩვენებს, პირადად მე კი, რაც უნდა მოხდეს, გადაწყვეტილი მაქვს, საქმე ბოლომდე მივიყვანო. თუ მაინცდამაინც დაღუპვა გვიწერია, იმედი მაქვს, სიკვდილის წინ ცოტას მაინც წავინადირებთ. თქვენ რას იტყვით, გუდ?

– რასაკვირველია, – დაუმოწმა კაპიტანმა, – ჩვენ სამივენი შეჩვეული ვართ, სიკვდილს თვალებში ვუცქიროთ, ამიტომაც თავსაც კარგად დავიცავთ. ჩემი აზრით, უკან დახევა არ ღირს. ახლა კი, მეგობრებო, კაიუტ-კომპანიაში ჩავიდეთ და ერთმანეთს გზა დავულოცოთ.

მეორე დღეს ნაპირზე გადავედით. მე შევთავაზე სერ ჰენრის და კაპიტან გუდს ჩემს პატარა სახლში დასახლებულიყვნენ. სახლი სანაპიროზე დგას, სამოთახიანია, აქვს სამზარეულოც. გამოუწვავი აგურისაგან არის ნაგები, სახურავი კი მოთუთიებული რკინისა აქვს. თავისთავად დიდი არაფერია, სამაგიეროდ, საუცხოო ბაღი აკრავს. რა არ ხარობს იქ: იაპონური ზღმარტლი და მანგოს ხეები, რომლებიც წელს დიდ მოსავალს მომცემენ. ეს ხეები ბოტანიკური ბაღის დირექტორმა მაჩუქა. მებაღეობა ჯეკს დავაკისრე. ჯეკი ჩემი ყოფილი მონადირეა, სიკუკუნისის მხარეში გარეულმა კამეჩმა ფეხი ბარძაყში გადაუმტვრია. საბრალო კაცი დასახიჩრდა და იძულებული შეიქნა, ნადირობაზე სამუდამოდ აეღო ხელი. ახლა ნელ-ნელა დახანხალობს და, ასეა თუ ისე, ბაღს უვლის. ჯეკი ზულუსი არ გეგონოთ, გრიკვას მშვიდობიან ტომს ეკუთვნის. ზულუსს ვერავინ აიძულებს, მებაღეობას მოჰკიდოს ხელი. ამგვარ შრომას იგი გულს ვერ დაუდებს.

რადგან სახლში სივიწროვე იყო, სერ ჰენრისა და გუდს კარავში ეძინათ. კარავი ბაღის ბოლოს, ფორთოხლის ხეივანში ჩავდგით. ხეები ყვაოდა და ირგვლივ საამო სურნელი იდგა, ტოტები კი მწვანე და ყვითელი ნაყოფით იყო

დახუნძლული (უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენთან, დურბანში, ხეები ერთდროულად ყვავიან კიდეც და ნაყოფსაც იძლევიან), ბაღის ეს კუთხე განსაკუთრებით ლამაზია და სუფთა ჰაერზე ძილიც სასიამოვნოა, მით უმეტეს, რომ ჩვენთან, ბერეაში, ქინქლი არ იცის და თუ გაჩნდა, ისიც ძლიერი წვიმების შემდეგ ჩნდება.

მაგრამ უნდა განვაგრძო თხრობა, თორემ, ვიდრე ჩვენ სულეიმანის მთებამდე მივაღწევდეთ, ეს წიგნი თავს მოგაბეზრებთ. რაკი გადავწყვიტე სერ ჰენრის გავყვები-მეთქი, შინ დაბრუნებისთანავე სამზადისს შევუდექი. უპირველეს ყოვლისა, ჩემო ბიჭიკო, სერ ჰენრისაგან ჩავიბარე ქაღალდი, რომელიც უზრუნველყოფდა შენს მომავალს. აქ რამდენადმე გაგვიჯანჯლდა კიდეც საქმე. სერ ჰენრი ადგილობრივი მკვიდრი არ იყო და ფული, ჩემი სიკვდილის შემთხვევაში შენთვის რომ უნდა გადმოერიცხათ, ინგლისის ბანკში ინახებოდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ერთი მარჯვე ვექილის წყალობით ეს საქმეც მოვაგვარეთ, თუმცა იმ უსინდისომ გასამრჯელოდ ოცი გირვანქა სტერლინგი წაგვგლიჯა.

ხუთასი გირვანქა სტერლინგის ჩეკი ჯიბეში ჩავიდე და ამით სიფრთხილეს ხარკი გადავუხადე, მერე სერ ჰენრის ანგარიშზე ფურგონი და საუკეთესო ხარები ვიყიდე. ფურგონის სიგრძე ოცდაორი ფუტი იყო, რკინის ღერძები ჰქონდა, ძალიან გამძლე და მსუბუქი ჩანდა, თუმცა მთლად ახალთახალი არ ყოფილა, ერთხელ უკვე მოევლოთ იმით ალმასის ქვიშრობი (ამან უფრო დამარწმუნა, რომ მშრალი, გამოსული ხისგან იყო ნაკეთები). ფურგონი რომ ცუდად ყოფილიყო შეკრული ან ნედლი მასალისაგან გამზადებული, ეს პირველი მგზავრობისთანავე გამოჩნდებოდა. ჩვენს ფურგონს უკანა მხარე ღიად ჰქონდა დატოვებული; აქ ტვირთის დასაწყობი ადგილი იყო. ასეთ ფურგონს ჩვენში „ნახევრად გადახურულს" ეძახიან. ჩარდახი საცხოვრებლად იყო განკუთვნილი, შიგ მოეწყოთ ტყავის საწოლი, რომელზედაც ორი კაცი მოთავსდებოდა. იყო აგრეთვე იარაღების თარო და გზაში გამოსადეგი სხვადასხვა ნივთები და საგნები. ფურგონში ას ოცდახუთი გირვანქა გადავიხადე, ვფიქრობ, ბევრი არ მიმიცია.

შემდეგ შევიძინეთ ოცი საუკეთესო ზულუსური ხარი. ჩვენებურ უღელში თექვსმეტ ხარს აბამენ, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის ოთხი კიდევ დავუმატე. ზულუსური პირუტყვი გაცილებით დაბალი და მსუქანია, ვიდრე აფრიკანდერული, რომელთაც მძიმე ტვირთის გადასაზიდად იყენებენ. ეს პატარა ჯიშის ხარები მაინცდამაინც არ ირჩევენ საჭმელს, ნაკლებად ავადდებიან და ეგუებიან უმძიმეს პირობებს. ამიტომ შეუძლიათ თავი გაიტანონ იქ, სადაც აფრიკანდერული ხარები შიმშილით იხოცებიან. ამასთან, მათზე უფრო სწრაფადაც დადიან და მსუბუქი ტვირთით დღეში ხუთი მილის გავლა შეუძლიათ. გარდა ამისა, ჩვენი უღლეული კარგად იყო ადიდაში გამოსული, ესე იგი, გაკაჟებულ-გამოწრთობილი, რადგან მთელი აფრიკა სიგრძე-სიგანით ჰქონდა მოვლილი. სწორედ ამის გამო, ასე თუ ისე, დაზღვეულები იყვნენ მალარიისაგან, ასე ხშირად რომ ანადგურებს ხოლმე ჯოგებს უცხო, შეუჩვეველ ველდებში. არის კიდევ ერთი საშინელი დაავადება – ჭლექი, რომელიც უმოწყალოდ ჟლეტს პირუტყვს, მაგრამ არც ამის გვეშინოდა, რადგან ჩვენი ხარები თავის დროზე აცრილნი იყვნენ, ეს სენი რომ არ შეყროდათ. აცრა ასე ხდება ხოლმე: კუდის რიკიდან დაახლოებით ერთ ფუტზე კუდს გადასერავენ და ზედ ამ სენით დაღუპული პირუტყვის ფილტვის ნაჭერს მიაკრავენ. რამდენიმე ხნის შემდეგ ხარი მსუბუქად ავადდება ჭლექით, კუდი კი ნაჭდევზე ძვრება. აცრის შემდეგ ხარი სენშეუვალი ხდება. რასაკვირველია, საცოდაობაა

პირუტყვის უკუდოდ დატოვება იმ ქვეყანაში, სადაც ამდენი ბუზია, მაგრამ პატრონს ხარის დაკარგვას მისი კუდის დაკარგვა უჯობს. კუდი უხაროდ რის მაქნისია, ზოგჯერ მტვრის გადმოსაფერთხად თუ იხმარ, ეგ არის და ეგ! მაგრამ მაინც სასაცილოა, როცა ხარებს უკან მიჰყვები და კუდის ნაცვლად უბადრუკ ჯირჯვებს უცქერი. ასე გგონია, ბუნებამ რაღაც აურდაურია და ამ საბრალო პირუტყვებს კუდის ნაცვლად პრემირებული ბულდოგების უკანალის მოსარ-თავები მიაწებაო.

ერთი სიტყვით, ფურგონი და ხარები შევიძინეთ, ახლა სურსათ-სანოვაგესა და წამლებზე უნდა გვეფიქრა. ეს ადვილი როდი იყო, ყველაფერი წინასწარ უნდა აგვეწონ-დაგვეწონა, რომ არ გადაგვეტვირთა ფურგონი და, ამავე დროს, თან წაგვედო ყველაფერი, რაც საჭირო იქნებოდა ასეთი ხანგრძლივი მოგზაურობისათვის. საბედნიეროდ, აღმოჩნდა, რომ გუდს მედიცინისა ცოტა რაღაც გაეგებოდა. დიდი ხნის წინათ როგორღაც მოესმინა კურსი მედიცინასა და ქირურგიაში და ახლა დროდადრო თავის ცოდნას პრაქტიკულად იყენებდა. რასაკვირველია, კაპიტანს ექიმის დიპლომი არ ჰქონდა, მაგრამ ჩვენ თანდათანობით დავრწმუნდით, რომ ამ საქმისა გაცილებით მეტი გაეგებოდა, ვიდრე იმ ვაჟბატონებს, რომელთაც უფლება ეძლევათ თავის თავს „მედიცინის დოქტორი" უწოდონ. გუდს საუცხოო სამგზავრო აფთიაქი და ქირურგიული ხელსაწყოები ჰქონდა. მან ჯერ კიდევ დურბანში ყოფნისას ისე მარჯვედ მოჰკვეთა ერთ კაპრს ფეხზე ცერი, რომ ყველანი გაოცებულები დავრჩით. კაცმა ეს ოპერაცია ძალზე მშვიდად და გულგრილად გადაიტანა, მაგრამ როგორ გაოცდა ჩვენი კაპიტანი, როცა კაფრმა სთხოვა, ახალი თითი გამიკეთე, უკიდურეს შემთხვევაში, თეთრიც გამოდგებაო.

სურსათისა და წამლების საქმე, ღვთის მადლით, მოვაგვარე, ახლა ჯერი იარაღის შერჩევასა და მსახურების აყვანაზე მიდგა. სერ ჰენრიმ ინგლისიდან ჩამოიტანა თოფები, მეც მქონდა ზოგი რამ, აქედან შევარჩიეთ, რაც ჩვენთვის გზაში ყველაზე მეტად იყო საჭირო. თუმცა ჯობია მოვიშველიო სია, რომელიც ჩემი უბის წიგნაკში შემონახულა. ახლა მხოლოდ მისი გადაწერაღა დამჭირდება:

„სამი მძიმე ორლულიანი თოფი, თითოეული დაახლოებით თხუთმეტ გირვანქას იწონის და დასატენად თერთმეტი დრახმა შავი თოფის წამალი სჭირდება".

ეს თოფები სპილოებზე სანადიროდ მიგვქონდა. ორი თოფი – სერ ჰენრისა და კაპიტან გუდისათვის ლონდონის ერთ-ერთი ცნობილი ფირმის საუკეთესო ოსტატების მიერ იყო დამზადებული. ჩემი თოფი სიკოხტავით იმ ორ თოფს ვერ შეედრებოდა და არც ფირმა მახსოვდა მისი, მაგრამ სპილოებზე ნადირობისას ჩემთვის არასოდეს უმტყუნია. შემდეგ:

„სამი ორლულიანი თოფი „ექსპრეს 500" სასკდომი ტყვიისათვის. დასატენის წონა ექვსი დრაჰმა".

ეს თოფები უბრალო იყო, ასე, საშუალო სიდიდის ცხოველებზე სანადიროდ (ანტილოპა და სხვ.) და გაშლილ ალაგას მტრისაგან თავის დასაცავად გამოგვადგებოდა.

„ერთი ორლულიანი თორმეტყალიბიანი ფილთა თოფი ცენტრალური დარტყმით".

ეს თოფი გზაში ძალიან გამოგვადგა, წვრილ-წვრილ ცხოველებს ვხოცავდით და საჭმლით უზრუნველყოფილნი ვიყავით.

„სამი „ვინჩესტერის" სისტემის კოლოფიანი შაშხანა (არა კარაბინი)". ეს ჩვენი სათადარიგო თოფები გახლდათ.

„სამი კოლტის" თვითშესამართი რევოლვერი, მსხვილყალიბიანი ტყვიებით".

ამგვარი იყო ჩვენი აღჭურვილობა. აღსანიშნავია, რომ ყოველი კლასის იარაღი ერთი და იგივე სისტემის და ყალიბის იყო, ამიტომ საჭიროების შემთხვევაში შეგვეძლო ტყვიები ერთმანეთისთვის გაგვეცვალა.

მე დაწვრილებით ჩამოვთვალე ყველაფერი, შესაძლოა, მკითხველი დაიქანცა კიდეც ამდენი წვრილმანით, მაგრამ მის წინაშე მაინც არ ვიხდი ბოდიშს, რადგან ყოველმა გამოცდილმა მონადირემ იცის, რა დიდი მნიშვნელობა აქვს იარაღის შერჩევას.

ახლა მინდა რამდენიმე სიტყვა მსახურებზეც მოგახსენოთ.

დიდი ბჭობის შემდეგ გადავწყვიტეთ, წაგვეყვანა ხუთი კაცი: მეგზური, მეხრე და სამი მსახური. მეგზურისა და მეხრის დაქირავებაზე დიდი დრო არ დამიხარჯავს. ორივე ზულუსი იყო, ერთს გოზა ერქვა, მეორეს – ტომი. მსახურების შერჩევა კი, ცოტა არ იყოს, გამიჭირდა. უნდა მოგვეძებნა გულადი, ერთგული და სანდო ადამიანები. მათზე ხომ ბევრი რამ, თვით ჩვენი სიცოცხლეც კი, იქნებოდა დამოკიდებული. როგორც იქნა, მივაკვლიე ორ მათგანს, – ერთი ჰოტენტოტი ვენტფოგელი იყო, მეორე კი – პატარა ზულუსი ხივა. მან მშვენივრად იცოდა ინგლისური. ვენტფოგელს კარგა ხანია ვიცნობდი. ჩემს სიცოცხლეში მასზე უკეთესი მეგზური და მონადირე არსად შემხვედრია. ერთი ჩასკვნილი, ძარღვმაგარი კაცი იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ყველა ჰოტენტოტს, ერთი ნაკლი ჰქონდა: ძალიან უყვარდა სმა. საკმარისი იყო, მის წინ ბოთლი გროგი დაედგათ, რომ ამქვეყნად ყველაფერი დავიწყებოდა. ცხადია, ასეთ ადამიანს სავსებით ვერ მივენდობოდით, მაგრამ რაკი გზად არც სამიკიტნოები შეგვხვდებოდა სადმე და არც ღვინის დუქნები, მისი ეს ნაკლი მაინცდამაინც არაფრად ჩაგვიგდია.

მესამე მსახურის პოვნა ძალიან გამიძნელდა, ამიტომ გადავწყვიტეთ, ჯერჯერობით ეს ორი წაგვეყვანა. იმედი გვქონდა, გზაში ვინმეს შევხვდებოდით, მაგრამ სწორედ ჩვენი გამგზავრების წინა საღამოს, სადილობის ხანს, ხივა შემოვიდა და მომახსენა, ვიღაც ზულუსს თქვენი ნახვა უნდაო. სადილი რომ დავამთავრეთ, ხივას ვუბრძანე, ზულუსი შემოიყვანე-მეთქი. ოთახში ახოვანი, ლამაზი მამაკაცი შემოვიდა, ასე, ოცდაათიოდე წლის იქნებოდა, ზულუსის კვალობაზე კანი მეტად ღია ფერისა ჰქონდა. მისალმების მაგიერ თავისი კორძებიანი ჯოხი მაღლა ასწია და ოთახის კუთხეში უხმოდ ჩაცუცქდა. რამდენიმე ხანს თავს ისე ვაჩვენებდი, ვითომ მის იქ ყოფნას ვერც კი ვამჩნევდი. ჩემი მხრივ დიდი წინდაუხედაობა იქნებოდა, სხვაგვარად მოვქცეულიყავი. ასეთ ხალხს მაშინვე რომ გამოელაპარაკო, მის თვალში ყოველგვარ ღირსებას დაკარგავ, მაგრამ შევნიშნე, რომ ეს ზულუსი „კეშლა", ესე იგი, „გვირგვინიანი კაცი" იყო. თმაში ჩაწნული ჰქონდა კაუჩუკის ფართო რგოლი, რომელიც ქონით იყო გაპოხილ-გაპრიალებული. რგოლის ასე ტარების უფლება აქვთ მხოლოდ წარჩინებულ ზულუსებს მას შემდეგ, რაც გარკვეულ ასაკს მიაღწევენ.

მისი სახე მეცნაურა.

– ჰეი, შენ, მანდ, – ვუთხარი ბოლოს, – რა გქვია?

– ამბოპა, – მომიგო ზულუსმა დაბალი, სასიამოვნო ხმით.

– მგონი, ადრე სადღაც მინახიხარ.

– დიახ, ინკოოზი, სწორედ ბრძოლის წინა დღეს, ლიტლჰენდთან იზანდჰლუანში შემხვდით.

უეცრად ჩემთვის ყველაფერი ცხადი გახდა.

ზულუსებთან იმ დასაქცევი ომის დროს მე ლორდ ჩელმსფორდის ერთ-ერთი მეგზურთაგანი ვიყავი. რამდენიმე ფურგონი მყავდა ჩაბარებული. ჩემდა

საბედნიეროდ, სწორედ ბრძოლის დაწყების წინ იმ ფურგონებთან ერთად მომიხდა ბანაკის დატოვება. ვიდრე ხარებს შეუბამდნენ, სწორედ ამ ზულუსს გამოველაპარაკე. მაშინ იგი ჩვენი მოკავშირე ზულუსების რაზმს მეთაურობდა. მითხრა, ძალიან ვეჭვობ, ჩვენმა ბანაკმა მტრის შემოტევას გაუძლოსო. მე ვურჩიე, ენა დაიმოკლე, ეს შენი ჭკუის საქმე არ არის-მეთქი, მაგრამ შემდეგ მისი სიტყვები ხშირად მახსენდებოდა.

– ჰო, მართალი ხარ, – ვუთხარი, – ახლა რისთვის გარჯილხარ?

– აი რა, მაკუმაზან (ეს სახელი კაფრებმა შემარქვეს, მაკუმაზან ნიშნავს „ადამიანს, რომელიც ნაშუადამევს დგება", ჩვენებურად კი, უბრალოდ, ადამიანს, რომელიც მუდამ ფრთხილობს), მითხრეს, თითქოს თეთრკანიან ბელადებთან ერთად შორს, ჩრდილოეთისკენ აპირებ წასვლას. მართალია ეს?

– მართალია, მერე რა?

– თქვეს, გადაწყვეტილი აქვთ, მდინარე ლუგანგამდე მივიდნენო. ლუგანგას კი მანიკას მიწიდან ერთი მთვარის სავალი გზა აცილებს. ესეც მართალია, მაკუმაზან?

– რაში გესაჭიროება იმის ცოდნა, სად მივდივართ და სად არა, შენ ვინ გეკითხება? – ვუთხარი და ეჭვით გადავხედე. გადაწყვეტილი გვქონდა, ჩვენი მგზავრობის მიზანი არავისთვის გაგვემხილა და საიდუმლოს გულმოდგინედ ვინახავდით.

– ოჰ, თეთრო ადამიანებო! – წამოიძახა ზულუსმა, – თუ მართლა ასე შორს მიდიხართ, ნუ დამტოვებთ, მეც წამიყვანეთ!

მართალი გითხრათ, გამაოცა ამ კაცის კილომ და ლაპარაკმა; თავი ძალზე ღირსეულად ეჭირა და საქციელიც კეთილშობილური ჰქონდა. არც მისი მომართვა იყო ჩვეულებრივი. ზულუსი თავის დღეში არ ეტყვის თეთრკანიანს – ოჰ, თეთრო ადამიანოო! თეთრკანიანთან საუბრისას ჩვეულებრივი მისი მიმართვაა: „ინკოოზი", რაც მათ ენაზე ბელადს ნიშნავს.

– თავს ნუ იგდებ, – მკაცრად ვუთხარი, – ვიდრე თეთრკანიანს რამეს ეტყოდე, კარგად უნდა დაფიქრდე. სად არის შენი კრაალი, ვინა ხარ? მიპასუხე, რომ ვიცოდეთ, ვისთან გვაქვს საქმე.

– ამბოპა მქვია. ზულუსების ტომს ვეკუთვნი, მაგრამ სინამდვილეში მათთან საერთო არაფერი მაქვს. ჩემი სამშობლო აქედან შორს, ჩრდილოეთშია. ჩემი ტომის ხალხი იქ დარჩა, როცა სხვა ზულუსები აქეთკენ წამოვიდნენ. ეს მოხდა ათასი წლის წინათ, გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე მეფე ჩაკა ტახტზე ავიდოდა. მე არა მაქვს კრაალი და დიდი ხანია აქეთ-იქით დავეხეტები. ბავშვი ვიყავი, ზულუსთა ქვეყანაში ჩრდილოეთიდან რომ მოვედი. შემდეგ ნომაბაკოზის პოლკში მეფე კეჩვაიოს ვემსახურებოდი. ზულუსების ქვეყნიდან ნატალში გავიქეცი, მინდოდა გამეგო, როგორ ცხოვრობდნენ თეთრკანიანები. შემდეგ კეჩვაიოს წინააღმდეგ ვიბრძოდი. მას მერე ნატალში ვცხოვრობ, მაგრამ ჩემი ადგილი აქ არ არის. გული ისევ ჩრდილოეთისაკენ მიმიწევს. წამიყვანეთ. ფულს არ გამოგართმევთ. ამტანი კაცი ვარ, გამოგადგებით. საჭმელს საკუთარი ოფლით მოვიპოვებ და ცეცხლთანაც ადგილს მართებულად დავიჭერ. აი ეს არის ჩემი სათქმელი!

ამ კაცის თხოვნამ საგონებელში ჩამაგდო, ყველაფერზე ეტყობოდა, არა ტყუოდა, მაგრამ იმდენად განსხვავდებოდა სხვა ზულუსებისაგან და მისი თხოვნა, უფულოდ გემსახურებითო, იმდენად უცნაური იყო, რომ ძალაუნებურად დავეჭვდი. არ ვიცოდი, რა პასუხი მიმეცა, ამიტომ ჩვენი საუბარი სერ ჰენრისა და კაპიტან გუდს გადავუთაგმნე და რჩევა ვკითხე.

– აბა, ერთი უთხარით, ფეხზე წამოდგეს, – მითხრა პასუხის ნაცვლად სერ ჰენრიმ.

ზულუსმა გრძელი სამხედრო მოსასხამი მხრებიდან გადაიგდო და წამოდგა. მთლად დედიშობილა იყო, თუ არ ჩავთვლით მუჩასა და ლომის ბრჭყალების ყელსაბამს. ასეთი ლამაზი ზულუსი ჩემს სიცოცხლეში არ მენახა. სიმაღლით ექვსი ფუტი და სამი დუიმი იქნებოდა, მხარბეჭიანი და კარგად მოყვანილი იყო. ლამპის შუქზე მისი კანი ჩვეულებრივ შავგვრემანზე ოდნავ მუქი თუ ჩანდა. მხოლოდ ასეგაით მიყენებული ჭრილობები აქა-იქ მუქი ლაქებივით ეტყობოდა. სერ ჰენრი მიუახლოვდა ზულუსს და თვალი თვალში გაუყარა.

– რა საუცხოო წყვილია, – მითხრა გუდმა და ჩემკენ გადმოიხარა. – შეხედეთ, თითქმის ერთი სიმაღლისა არიან.

– მე მომეწონეთ, – უთხრა ზულუსს სერ ჰენრიმ, – მომეწონეთ და ჩემთან გტოვებთ.

ეტყობა, ამბოპა მიხვდა, რასაც ეუბნებოდნენ, იმიტომ რომ ზულუსურ ენაზე უპასუხა: კარგი, გმადლობთო. მერე ახედ-დახედა მის წინ მდგომ თეთრკანიან ბუმბერაზს და დასძინა:

– მე და შენ ნადვილი მამაკაცები ვართ, დიახ, დიახ, ნამდვილი ვაჟკაცები.

თ ა ვ ი I V

ნ ა დ ი რ ო ბ ა ს პ ი ლ ო ე ბ ზ ე

მე არ ვაპირებ დაწვრილებით მოგითხროთ ყველაფერი, რაც გზაში, კრაალ სიტანდამდე თავს გადაგვხდა. სიტანდა დურბანიდან სამი ათასი მილით არის დაცილებული და მდინარე ლუკანგასა და კალუკვეს შესართავთან მდებარეობს.

ჩვენ იძულებული გავხდით, უკანასკნელი სამასი მილი ფეხით გაგვევლო, რადგან იმ ადგილებში ძალიან გახშირდა საზარელი ბუზი ცეცე, რომლის ნაკბენი, ვირისა და კაცის გარდა, ყველასათვის საბედისწეროა.

დურბანიდან იანვრის ბოლოს გამოვედით, სიტანდას კი მხოლოდ მაისში მივაღწიეთ, გზად ბევრი რამ გადაგვხდა თავს, თუმცა დიდად საყურადღებო არაფერი მომხდარა, გარდა ერთი შემთხვევისა, რომელზედაც მინდა დაწვრილებით გესაუბროთ.

აინაიტში, მატაბელეს ბოლო სავაჭრო პუნქტში, რომელსაც მეფე ლობენზულა მართავს (უნდა ითქვას, რომ ეს ლობენზულა წარმოუდგენელი არამზადაა), სინანულით გამოვეთხოვეთ ჩვენს ფურგონსა და ხარებს. იმ ოცი ხარიდან, დურბანში რომ შევიძინეთ, თორმეტიღა დაგვრჩა. ერთს კობრამ უკბინა, სამი უწყლობით დაგვეღუპა, ერთს გზა აებნა და დაგვეკარგა, სამმა კი ხეტიტას მსგავსი რაღაც შხამიანი მცენარე შეჭამა და მოკვდა. ის მცენარე სხვა ხარებსაც ეჭამათ, მაგრამ გადავარჩინეთ, ხეტიტას ფოთლების ნახარში ვასვით. ამგვარი ნახარში, თუ დროულად მიაშველეთ, შხამის მოქმედებას მაშინვე აქარწყლებს. ფურგონი ხარებითურთ გოზას და ტომს ჩავაბარეთ. მათ, რასაკვირველია, ზედმიწევნით ვენდობოდით, მაგრამ მაინც ვთხოვეთ შოტლანდიელ მოხუც მისიონერს, რომელიც ამ უდაბურ მხარეში დასახლებულიყო, მათზე თვალი სჭეროდა. შემდეგ ამბოპას, ხივას, ვენტფოგელისა და ექვსი კაფრი მებარგულის თანხლებით ქვეითად დავადექით გზას.

მახსოვს, მდუმარედ მივაბიჯებდით. ყოველი ჩვენგანი გულში ალბათ იმას ფიქრობდა, უკან დაბრუნება მომიწევს თუ არაო. მე კი, მართალი მოგახსენოთ, სულაც არ მქონდა იმედი, რომ ოდესმე ჩვენს ფურგონს ისევ დავინახავდი. კარგა ხანს მივყვებოდით გზას ასე, მწარე ფიქრებში წასულნი. უეცრად ამბოპამ, რომელიც წინ მიგვიძღოდა, ზულუსურ ენაზე სიმღერა წამოიწყო: რამდენიმე გულითად ადამიანს გული გაუწვრილა ერთფეროვანმა ცხოვრებამ, მობეზრდათ შეჩვეული გარემო და უკიდეგანო უდაბნოსაკენ გაუყვნენ გზას, რომ იქ ან რაღაც სიახლე ენახათ, ან ვაჟკაცურად დაღუპულიყვნენ, მაგრამ აი საოცრება! უდაბნოს შუაგულს რომ მიაღწიეს, თვალწინ საუცხოო წალკოტი გადაეშალათ. ოჰ, რა კეკლუცი ქალები, რა საქონლის ჯოგები დახვდათ იქ. ამასთან, ტყეში ბლომად იყო ნადირი, ბრძოლის ველზე კი – მტერი. სხვა რაღა უნდოდათ?

ამ სიმღერამ გულში იმედი გაგვიღვიძა და ყველანი გავმხიარულდით. ამბოპასაც შემოაწვებოდა ხოლმე გულზე ნაღველი, მაგრამ მხოლოდ მცირე ხნით. საოცარი უნარი ჰქონდა, სხვები გაემხიარულებინა, მასთან საკუთარ ღირსებას არასოდეს ჰკარგავდა. ეს სიცოცხლით სავსე ადამიანი ყველამ გულით შევიყვარეთ.

ახლა კი მინდა ერთი შემთხვევა გავიხსენო, ამით მეც ცოტას გავერთობი, რადგან ნადირობის ამბები ძალიან მიტაცებს.

აინაიტიდან ასე, ორიოდე კვირის სავალზე ერთ თვალწარმტაც ადგილს წავაწყდით. ნიადაგი ნოტიო იყო. მაღლა, გორაკებს შორის, დაღრანტულ ხეობებში, სქლად აყრილიყო აიდოროს ბუჩქები (ასე ეძახიან ამ ბუჩქებს ადგილობრივი მკვიდრნი), აქა-იქ კი „წაცჰტ-ეენ-ბეცჰე-ს" („ცოტა ხანს შეჩერდი") ეკლიანი ჯაგები მოჩანდა. მათ შორის აშოლტილიყო მაჩაბელეს ლამაზი ხეები, რომელთაც ტოტები ყვითელი, გამაგრილებელი ნაყოფით ჰქონდათ დახუნძლული. ეს ნაყოფი სპილოების საყვარელი საჭმელია, ამიტომ არ გამკვირვებია, მთელი ის არემარე მათი ნაკვალევით რომ დაგვხვდა გადათელილი. ბევრგან შეგვხვდა გადამტვრეული და ძირფესვიანად ამოთხრილი ხეებიც. სპილო ხომ ჭამის დროს თავის ირგვლივ ყველაფერს ერთიანად ამტვრევს და ანადგურებს.

მახსოვს, მთელი დღე შეუჩერებლივ ვიარეთ და საღამო ხანს ბუჩქნარით დაფარულ ერთ ლამაზ გორაკს მივუახლოვდით. გორაკის ძირში მდინარის დამშრალი კალაპოტი მოჩანდა. აქა-იქ ხნარცვებში კი ბროლივით გამჭვირვალე წყალი ლივლივებდა. წყლის სიახლოვეს ნადირისაგან ბილიკები იყო დახლაკნილი. ჩვენ წინ გადაშლილი ფართო ველი წალკოტს მოგაგონებდათ. აქ ჯგუფ-ჯგუფად მოჩანდა მორცხვი მიმოზა და ფოთლებხასხასა მაჩაბელეს ხეები. ირგვლივ კი ზღვად აყრილიყო ბუჩქნარი, რომელსაც ერთი ბილიკიც არსად სერავდა.

როგორც კი მდინარის კალაპოტს მივუახლოვდით, აყლაყუდა ჟირაფების ჯოგი ადგილს მოსწყდა და ჭენებ-ჭენებით გაქუსლა. ჭენებითო ვამბობ, თორემ ამ ცხოველმა ისეთი უცნაური სირბილი იცის, გეგონებათ, მიცურავსო. კუდები სასაცილოდ აეპრიხათ და ჩლიქებს კასტანეტებივით უხათქუნებდნენ მიწას. როცა სამასიოდე იარდით დაგვშორდნენ, ესე იგი, ფაქტიურად გასცდნენ ტყვიის სასროლ მანძილს, გუდმა ცთუნებას ვეღარ გაუძლო, სასკდომი ტყვიით დატენილი თოფი შემართა და ესროლა ახალგაზრდა ჟირაფს, ჯოგს კუდში რომ მისდევდა. რაღაც საოცარი შემთხვევის წყალობით, საბრალო პირუტყვს ტყვია კისერში მოხვდა და ხერხემალი გადაუმსხვრია. ჟირაფი კურდღელივით გადავიდა ყირას. კაცი ნადირობაში დავბერდი, მაგრამ ამაზე საოცარი სურათი, მართალი გითხრათ, არასოდეს მინახავს!

– ეშმაკმა დალახვროს! – წამოიძახა გუდმა (როცა აღელვებული იყო, ჩვეულებად ჰქონდა მაგარ-მაგარი სიტყვები ეხმარა, რაც მე ძალიან მწყინდა), – ეშმაკმა დალახვროს-მეთქი, აკი მოვკალი!

– უ უგწან! (დიახ, ბუგვან)! – წამოიყვირეს ჩვენმა კაფრმა მტვირთავებმა, – უ, უ! (დიახ, დიახ)!

ისინი გუდს მუდამ მონოკლით ხედავდნენ, ამიტომაც იყო, რომ „ბუგვანი" (შუშისთვალა) შეარქვეს.

იმ დღიდან მოყოლებული, გუდმა, თუ ჩვენ შორის არა, კაფრებში მაინც, მარჯვე მსროლელის სახელი დაიმკვიდრა, თუმცა სინამდვილეში თოფს კარგად ვერც კი ხმარობდა.

მსახურებს ვუბრძანეთ, მოკლული ჟირაფისთვის საუკეთესო ნაჭრები აეჭრათ, ჩვენ კი ერთ-ერთი ხნარცვის მარჯვნივ ასიოდე იარდი გადავზომეთ და ადგილის შემორაგვას შევუდექით. შემორაგვა ასე ხდება: რაც შეიძლება ბლომად დაჭრიან ეკლიან ძეძვს და მრგვალი ღობის მაგვარად აწყობენ. მერე შიგნით მიწას მოასწორებენ, ცენტრში ბალახისაგან საწოლებს გამართავენ, მერე კი ერთს ან რამდენიმე კოცონს გააჩაღებენ.

მუშაობაში შემოგვაღამდა კიდეც. ღობის შემორაგვას რომ მოვრჩით, ცაზე უკვე მთვარე მიცურავდა. ვახშამიც მზად იყო. ძალიან გემრიელი გვეჩვენა ჟირაფის ხორცის ბივშტექსი და შემწვარი ძვლის ტვინი, თუმცა ტვინის გამოსაღებად ძვლის გატეხვა, ცოტა არ იყოს, გაგვიძნელდა.

სავსე მთვარის შუქზე შეგვექცეოდით ჩვენს უბრალო ვახშამს, თანაც გუდს ვაქებ-ვადიდებდით. ნავახშმევს კი ჩიბუხები გავაბოლეთ და საუბარი გავაბით. კოცონის ირგვლივ ჩამსხდარ-ჩაცუცქულები ალბათ ძალზე უცნაური სანახავები ვიყავით.

განსაკუთრებით თვალში გეცემოდათ განსხვავება სერ ჰენრისა და ჩემ შორის. მე ერთი გამხდარი, ტანმორჩილი კაცი ვარ. მუქი კანის ფერი და ჯაგარივით გაფშეკილი თმა მაქვს, თანაც სულ რაღაც სამოციოდე კილოგრამს თუ ვიწონი. სერ ჰენრი კი ბრგე, მხარბეჭიანი კაცია, თმა ქერა აქვს და წონითაც კაი ოთხმოცდათხუთმეტი კილოგრამი იქნება. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ მაშინდელ პირობებს, ჩვენ სამში ყველაზე უცნაური სამეფო ფლოტის გადამდგარი ოფიცერი, კაპიტანი ჯონ გუდი მოგეჩვენებოდათ. იგი ტყავის ტომარაზე იჯდა და ისე სუფთად და ფაქიზად იყო ჩაცმული, გეგონებოდათ, სადმე ცივილიზებულ ქვეყანაში იმყოფება და ნადირობაში სასიამოვნოდ გატარებული დღის შემდეგ ეს-ეს არის დაბრუნდაო. საიმდღეისოდ ტვიდის ყავისფერი კოსტუმი შეერჩია, ისეთი, მონადირეები რომ იცვამენ ხოლმე. თავზეც ყავისფერი ქუდი ეხურა, ფეხებზე კი კოხტა გეტრები ეცვა. უნდა მოგახსენოთ, არასოდეს მინახავს აფრიკის უდაბნოში ასე წმინდად გაპარსული, ასე კოხტად და სუფთად ჩაცმული ჯენტლმენი. მისი ჩასმული კბილები საუცხოო მოვლილ-შენახული იყო, მარჯვენა თვალზე მონოკლი ედგა. როგორც, ჩვეულებრივ, სხვა დროს, არც იმ საღამოს დავიწყებია გუტაფისის თეთრი საყელოს გაკეთება. უნდა მოგახსენოთ, რომ ამ საყელოების კაიხელა მარაგი ჰქონდა წამოღებული.

– იცით, ეს საყელოები ძალიან ცოტას იწონის, – გულუბრყვილოდ მითხრა მან, როცა გაოცება ვერ დავფარე. – მე კი მუდამ ჯენტლმენივით ჩაცმა-დახურვა მიყვარს.

დიახ, ამგვარად ვისხედით და ვსაუბრობდით მთვარის მომაჯადოვებელ შუქზე, თან გავცქეროდით კაფრებს, რომლებიც ჩვენგან რამდენიმე იარდზე კოცონს შემოსხდომოდნენ და მათრობელა დაკათი დატენილ ჩიბუხებს უპლაკუნებდნენ. ჩიბუხის ტარები სამხრეთაფრიკული ანტილოპის რქისაგან იყო

გაკეთებული. ბოლოს კაფრები საბნებში გაეხვივნენ და ცეცხლის პირას მიიძინეს. მათ შორის ამბოპა არ ერია, იგი მოშორებით მიმჯდარიყო (შევამჩნიე, რომ კაფრებს გაურბოდა), თავი ხელისგულებზე დაეყრდნო და ღრმა ფიქრს მისცემოდა.

უეცრივ ზურგს უკან, ბუჩქნარიდან ხმამაღალი ბრდღვინვა შემოგვესმა.

– ლომია! – წამოვიძახე მე.

ყველანი ფეხზე წამოვხტით და სმენად ვიქეცით.

იმავე წამს ხნარცვიდან, ჩვენგან ასიოდე იარდზე, ყურთასმენის წამღებად დაიღრიალა სპილომ.

– ნკუნგუნკლოვო Iნდლოვუ! (სპილო, სპილო!) – აჩურჩულდნენ კაფრები.

რამდენიმე წუთის შემდეგ ბუნდად დავლანდეთ სპილოების ჯოგი. ეს უზარმაზარი ცხოველები ნელი ნაბიჯით მიემართებოდნენ ბუჩქნარის შუაგულისაკენ. გუდი ნადირობის ჟინმა აიტანა და გახელებული წამოხტა. ალბათ ეგონა, სპილოსაც ისევე ადვილად მოვკლავ, როგორც ის ჟირაფი მოვკალიო. მაგრამ მე მკლავში ხელი წავატანე და ძალისძალად დავსვი.

– არავითარ შემთხვევაში არ ესროლოთ, – ვუთხარი, – დააცადეთ, გაიარონ.

– ეს მხარე მონადირისათვის ნამდვილი სამოთხე ყოფილა... მე მგონია, ცუდი არ იქნება, ერთი-ორი დღით აქ რომ შევჩერდეთ და ცოტა წავინადიროთ, – თქვა მოულოდნელად სერ ჰენრიმ.

ცოტა არ იყოს, გაკვირვებული დავრჩი. აქამდე სერ ჰენრი სულ იმის ცდაში იყო, რაც შეიძლება სწრაფად გვევლო წინ. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც აინაიტში გვითხრეს, ამ ორიოდე წლის წინათ ინგლისელმა, გვარად ნევილმა გაყიდა თავისი ფურგონი და უდაბნოსაკენ გაემართაო. ახლა კი ალბათ მონადირის ინსტინქტმა სძლია და ეს სიტყვები ათქმევინა.

სერ ჰენრის წინადადებას გუდი სიხარულით შეხვდა, რადგან სპილოებზე ნადირობა ოცნებად ჰქონდა გადაქცეული. მართალი გითხრათ, მეც ამაზე ვოცნებობდი, ვერ შევრიგებოდი იმ აზრს, რომ სპილოების ჯოგი მშვიდად გაეცლებოდა აქაურობას, ჩვენ კი ასე გულხელდაკრეფილები ვისხდებოდით.

– ძალიან კარგი, მეგობრებო, – ვთქვი მე, – არ გვაწყენს, ცოტათი მაინც რომ გავერთოთ, ახლა კი დავიძინოთ, ხვალ უთენია უნდა ავდგეთ, რომ ჯოგმა არ გაგვასწროს.

ჩემი თანამგზავრები დამეთანხმნენ და ყველანი დასაძინებლად მზადებას შევუდექით. გუდმა ტანსაცმელი გაფერთხა, გაწმინდა, შემდეგ მონოკლი და ხელოვნური კბილები ჯიბეში ჩაიწყო, შარვალი და ხალათი გულდაგულ დაკეცა და, დილის ცვარს რომ არ დაესველებინა, თავისი გარეზინებული ზეწრის ქვეშ ამოსდო. მე და სერ ჰენრიმ კი სწრაფად გავიხადეთ ტანსაცმელი, საბნები წავიხურეთ და თავი ღრმა ძილს მივეცით. დაღლილ-დაქანცულებს სიზმარიც კი არ გვინახავს, მაგრამ ძილშიც კი გვეჩვენებოდა, რომ მივდიოდით, მივდიოდით და მივდიოდით...

ჩუ, ეს რა ხმები ისმის?

იქ, სადაც წყალი გვეგულებოდა, ერთი ორომტრიალი და ლაწალუწი ატყდა. მეორე წუთს გაისმა შემზარავი ღრიალი. დიახ, დიახ, ასე მხოლოდ ლომი ღრიალებს ხოლმე. თვალისდახამხამებაში წამოვხტით და სიბნელეს თვალჩაციებით დავაშტერდით. როგორც იქნა, გავარჩიეთ მოყვითალო-მოშავო ფერის რაღაც სხეულები. ისინი აქეთ-იქით აწყდებოდნენ და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლით თანდათანობით გვიახლოვდებოდნენ. ჩვენ თოფებს ხელი დავავლეთ, ველდსკუნები გზადაგზა ჩავიცვით და მოღობილიდან

სირბილით გავედით. სწორედ ამ დროს მოწინააღმდეგენი მიწაზე დაეცნენ, ერთ ხანს გვესმოდა, როგორ კოტრიალობდნენ ბალახში, მერე მიყუჩდნენ და როცა მივუახლოვდით, უკვე გაშეშებულნი იყვნენ.

აი, რა სურათი წარმოგვიდგა თვალწინ.

ბალახში მამალი ანტილოპა ეგდო – ეს ანტილოპა აფრიკაში გავრცელებულ ჯიშებს შორის ყველაზე ლამაზია. იქვე დავინახეთ საუცხოო შავფაფრიანი ლომი, იგი ანტილოპას თავისი უზარმაზარი მოხრილი რქებით გაეგმირა. ალბათ ანტილოპა წყლის დასალევად ჩავიდა ხნარცვთან, სადაც საკბილოს მოლოდინში ლომი იყო მიმალული (უთუოდ მისი ღრიალი გვესმოდა დაწოლის წინ). ანტილოპა რომ წყალს დაეწაფა, ლომი ზურგზე შეახტა და ზედ მის წვეტიან რქებს წამოეგო (მსგავს სურათს ერთხელ უკვე სადღაც წავაწყდი). ლომი გააფთრდა და, რაკი თავი ვერაფრით გაითავისუფლა, სულ დაუფლითა ანტილოპას კისერი და ზურგი. შიშისა და ტკივილისაგან გაგიჟებული ანტილოპა გამწარებული გამოიქცა ხნარცვიდან. ასე გარბოდა, ვიდრე მკვდარი არ დაეცა ძირს.

ჩვენ დავათვალიერეთ უსულო ცხოველები, მსახურებსა და მტვირთავ კაფრებს ვუხმეთ და საერთო ძალით ლომი და ანტილოპა ღობისკენ გადმოვათრიეთ, შემდეგ ჩვენს საწოლებს დავუბრუნდით და მზის ამოსვლამდე ფეხიც აღარ გაგვინძრევია.

ცისპირი გატყდა თუ არა, ფეხზე წამოვდექით და ნადირობის სამზადისს შევუდექით. გადავწყვიტეთ წაგვეღო მსხვილყალიბიანი სამი თოფი და ბლომად ტყვია-წამალი, ჩვენი მოზრდილი მათარები კი ცივი ჩაის სუსტი ნაყენით აგვევსო. მე ვფიქრობ, ნადირობისას ჩაი საუკეთესო სასმელია. შემდეგ ნაჩქარევად ვისაუზმეთ და გზას გავუდექით. ამბოპა, ხივა და ვენტფოგელი უკან მოგვყვნენ. კაფრი მტვირთავები კი ბანაკში დავტოვეთ და ვუბრძანეთ, ლომი და ანტილოპა გაეტყავებინათ, მერე ანტილოპა ნაჭერ-ნაჭერ აექნათ.

სპილოების ფართო ბილიკის მიგნება არ გაგვჭირვებია. ვენტფოგელმა ბილიკი დაათვალიერა და თქვა, აქ ოც-ოცდაათამდე სპილოს გაუვლია, ამათგან უმეტესობა მამალი სპილოებიაო.

ღამით ჯოგს კარგა დიდი მანძილის გავლა მოესწრო და მხოლოდ ათი საათისათვის, როცა სიცხემ გვარიანად შეგვაწუხა, დამტვრეულ-დალეწილი ხეების, მოთხრილი ფესვების, მიყრილ-მოყრილი ფოთლებისა და აბოლილი ნაკელის დანახვისას მივხვდით, რომ სპილოები სადღაც ახლოს იმყოფებიან.

მართლაც, ცოტა ხნის შემდეგ თვალი მოვკარით ჯოგს. ვენტფოგელი მართალი გამოდგა, ასე ოცი-ოცდაათი სპილო იქნებოდა. საუზმე დაემთავრებინათ, ახლა ღარტაფში იდგნენ და უზარმაზარ ყურებს აფართხუნებდნენ. მართალი მოგახსენოთ, საუცხოო სანახაობა იყო.

სპილოები ჩვენგან ორასიოდე იარდით იყვნენ დაშორებულნი. მე დავიხარე, გამხმარ ბალახს ხელი მივუსვ-მოვუსვი, მუჭში შევაგროვე და მერე მაღლა შევისროლე, რომ ქარის მიმართულება გამეგო. ვიცოდი, თუ სუნს იკრავდნენ, ისე სწრაფად მიეფარებოდნენ თვალს, თოფის დაცლასაც ვერ მოვასწრებდით. როცა დავრწმუნდით, ქარი ჩვენკენ ქროდა, ნელ-ნელა, ფორთხვით წავედით სპილოებისკენ და, რაკი მაღალი ბალახი გვფარავდა, ამ უზარმაზარ ცხოველებს ასე, ორმოც იარდზე მივუახლოვდით. სწორედ ჩვენ წინ, გვერდშექცევით სამი ვეებერთელა სპილო იდგა. ერთ მათგანს უშველებელი ეშვები ჰქონდა. ჩემს თანამგზავრებს გადავუჩურჩულე, მე შუათანას ვესვრი-მეთქი. სერ ჰენრიმ მარცხნივ მდგომი სპილო ამოიღო მიზანში, გუდმა კი იმ დიდეშვიანს უმიზნა თოფი.

– აბა, ვესროლოთ! – ჩურჩულით ვთქვი.

– ბახ! ბახ! ბახ! – იჭექა თოფებმა და სერ ჰენრის სპილო უსულოდ დაეცა ძირს, ტყვია შიგ გულში ჰქონდა მოხვედრილი.

ჩემმა სპილომ წამოიჩოქა, ასე მეგონა, სასიკვდილოდ დავჭერი-მეთქი, მაგრამ წამის შემდეგ ფეხზე წამოდგა და ჩვენკენ გამოიქცა, ცოტას გაწყდა, გვერდი არ გამკრა. ამჯერად თოფი ფერდში დავუმიზნე და ვესროლე. სპილო მკვდარი დაეცა. თოფი საჩქაროდ დავტენე, მისკენ გავექანე, საბრალო პირუტყვს მესამე ტყვია ტვინში ჩავაჭედე და ამით მის ტანჯვას ბოლო მოვუღე, მერე გუდისკენ მივიხედე, რომ მენახა, როგორ გაართვა თავი იმ უზარმაზარ ცხოველს, სიბრაზისა და ტკივილისაგან რომ ღრიალებდა და იქაურობას აყრუებდა. დავინახე, ცუდ დღეში ჩავარდნილიყო და მისკენ გავექანე. ძალიან აღელვებული დამხვდა.

პირველი ტყვიით დაჭრილი, გააფთრებული ცხოველი თავდათავ მისკენ გამოქანებულიყო. საბრალო კაპიტანს ძლივს მოესწრო განზე გახტომა. ახლა სპილო გზა-კვალის განურჩევლად პირდაპირ ჩვენი ბანაკისაკენ გარბოდა, დაფეთებული ჯოგი კი საწინააღმდეგო მიმართულებით მიქროდა.

ჩვენ შევყოყმანდით, ვერ გადაგვეწყვიტა, დაჭრილ სპილოს გამოვდგომოდით თუ ჯოგს ავდევნებოდით. ბოლოს ვარჩიეთ, ისევ ჯოგს გავყოლოდით. გვეგონა, იმ უზარმაზარ ეშვებიან სპილოს ვეღარასოდეს ვიხილავდით, მაგრამ შევცდით. ნეტავ მართლა ასე მომხდარიყო! სპილოების დევნა არ გაგვძნელებია, ისინი გზად ტოვებდნენ ფართო ბილიკს, ისე თხრიდნენ და ლეწავდნენ სქელ ბუჩქებსა და ბარდნარს, თითქოს ბალახის ღეროები ყოფილიყო.

მაგრამ მათთან მიახლოვება არც ისე ადვილი აღმოჩნდა. სიცხისაგან გათანგულები ორი საათი მაინც მივდევდით უკან, ვიდრე ხელახლა დავინახავდით. უზარმაზარი მამალი სპილოს გარდა, ყველანი ერთად შუქუჩულიყვნენ, მოუსვენრად ტოკავდნენ და ხორთუმს წამისწამ მაღლა სწევდნენ, რომ ჰაერი დაეყნოსათ. ამით მივხვდი, რაღაც ცუდი განეზრახათ.

ის მამალი სპილო ჯოგს, ასე, ორმოცდაათ იარდზე დაშორებოდა. ალბათ დარაჯად იდგა. ჩვენგანაც დაახლოებით ამ მანძილით იქნებოდა დაშორებული. უფრო ახლოს მისვლა რომ გადაგვეწყვიტა, შეიძლებოდა დავენახეთ, ან სუნი ეკრა და მაშინ ჯოგი ისევ გაიქცეოდა. ამიტომ ჯოგის გუშაგი ყველამ მიზანში ამოვიღეთ და ჩემს მიცემულ ნიშანზე ერთბაშად ვესროლეთ. სამივე ტყვია მიზანში მოხვდა და სპილო უსულოდ დაენარცხა ძირს. ჯოგი გაიქცა, მაგრამ, საუბედუროდ, ასიოდე იარდის შემდეგ წააწყდა ნულას – მდინარის დამშრალ ციცაბონაპირიან კალაპოტს. სპილოებმა თავი ვეღარ შეიკავეს და ფლატეზე გადაცვივდნენ. როცა მივუახლოვდით, დავინახეთ, დაფეთებული ცხოველები თავგანწირვით ცდილობდნენ იქეთა ნაპირზე აბობღებას, შემზარავი ღრიალით იქაურობას აყრუებდნენ და გადარჩენის ეგოისტური ინსტინქტით ამოძრავებულები ერთმანეთს ფეხქვეშ თელავდნენ. ერთი სიტყვით, იქცეოდნენ ისე, როგორც მოიქცეოდა ადამიანთა უმრავლესობა მსგავს შემთხვევაში.

დრო ხელსაყრელი იყო. ჩვენც სასწრაფოდ დავტენეთ თოფები, ვისროლეთ და ხუთი ცხოველი სიცოცხლეს გამოვასალმეთ. ალბათ მთელ ჯოგს ამოვწყვეტდით, მაგრამ სპილოებმა მოულოდნელად გეზი იცვალეს. იმის ნაცვლად, რომ მაღლა აჰყოლოდნენ, მდინარის კალაპოტს თავქვე დაუყვნენ და რაც ძალი და, ღონე ჰქონდათ გაქუსლეს. ძალზე დაქანცულები ვიყავით, მათი დევნის თავი აღარ გვქონდა, მგონი, მოგვწყინდა კიდეც ეს ხოცვა-ჟლეტა.

ხუმრობა ხომ არ იყო, რვა სპილო მოვკალით! ერთი დღისთვის ეს არც თუ ისე ცუდი ნადავლი იყო.

ცოტა ხნით შევისვენეთ. ამასობაში ჩვენმა მსახურებმა ორ მოკლულ სპილოს გულები ამოაცალეს და ვახშმისათვის შეინახეს, მერე კი კმაყოფილებმა ბანაკისკენ გამოვწიეთ. გადავწყვიტეთ, მეორე დილით მებარგულები გამოგვეგზავნა, რომ სპილოებისათვის ეშვები დაეძროთ.

იმ ადგილს რომ მივუახლოვდით, სადაც გუდმა უზარმაზარი სპილო დაჭრა, წინ ანტილოპების ჯოგი შემოგვეფეთა. არ გვისვრია, რადგან ხორცი ისედაც საკმარისი გვქონდა. ანტილოპებმა გვერდით ჩაგვიქროლეს, ასიოდე იარდი გაირბინეს, ბუჩქებს მიეფარნენ და შემობრუნდნენ, რომ კარგად დავეთვალიერებინეთ. გუდს სამხრეთაფრიკული ანტილოპა არასოდეს ენახა, ერთი სული ჰქონდა, მათთან ახლოს მისულიყო, ამიტომ თოფი ამბოპას გაუწოდა და ხივას თანხლებით ბუჩქნარისკენ გასწია. ჩვენ კი მის მოლოდინში დასასვენებლად დავსხედით.

მზე ჩადიოდა დიდებული და ბრწყინვალე, დასალიერს მეწამული ფერი დასდებოდა. მე და სერ ჰენრი ამ ლამაზი სურათის ცქერით ვტკბებოდით. უეცრად საზარელი ღრიალი შემოგვესმა. იმავე წამს უზარმაზარი სპილოც დავინახეთ. მას ხორთუმი აეშვირა, კუდი აეპრიხა და ისე გამორბოდა.

სწორედ ის სპილო იყო, დილით გუდმა რომ დაჭრა; გააფთრებული ცხოველის წინ თავქუდმოგლეჯილები გამორბოდნენ გუდი და ხივა. დიახ, დიახ, სპილო სწორედ მათ მოსდევდა. საზარელი სურათი იყო. ჩვენ გაშეშებულები ვიდექით, სროლას ვერ ვბედავდით, გვეშინოდა, შემთხვევით ჩვენიანები არ დაგვეჭრა, თუმცა სიმართლე რომ ითქვას, ამ სიშორეზე სროლას აზრიც არ ჰქონდა.

წამიც და საშინელი რამ მოხდა: გუდი მისმა ევროპულმა ტანსაცმელმა იმსხვერპლა. რომ არ აეხირებინა და შარვლისა და გეტრების ნაცვლად ჩვენსავით ფლანელის ხალათი და ველდსკუნები ეტარებინა, არაფერი მოხდებოდა. ახლა კი, ამ სამკვდრო-სასიცოცხლო წუთში შარვალი სირბილში ხელს უშლიდა. კაპიტანი სამოციოდე იარდით იქნებოდა ჩვენგან დაცილებული, რომ ფეხი აუსხლტა და ზედ სპილოს ცხვირწინ პირქვე გაიშხლართა (ფეხი კი მიტომ აუსხლტა, რომ მისი ევროპული ფეხსაცმლის ლანჩები ბალახზე სირბილის დროს გაპრიალდა და ძალზე ცურავდა).

ჩვენ ყველამ საზარლად შევყვირეთ და მისკენ გავექანეთ, თუმცა ვიცოდით, ვეღარაფერს ვუშველიდით.

მართლაც, სამიოდე წამში ყველაფერი დამთავრდა, მაგრამ არა ისე, როგორც ჩვენ ვვარაუდობდით. როცა ხივამ დაინახა, გუდი დაეცაო, შებრუნდა და გააფთრებულ ცხოველს შუბი ხორთუმში აძგერა. გამწარებულმა სპილომ დაიღრიალა, ზულუსი მიწაზე დაანარცხა, წელქვევით თავისი უზარმაზარი ფეხი დაადგა, წელზევით ხორთუმი შემოარკალა და საბრალო ბიჭი შუაზე გახლიჩა.

ამ საშინელი სანახაობით გონდაკარგულები იქითკენ გავქანდით, თან გზადაგზა შეუჩერებლივ ვისროდით, ვისროდით მანამ, სანამ სპილო ზულუსის გვამს ზედ არ დაეცა.

ამასობაში გუდიც წამოდგა და, სასოწარკვეთილი ხელების მტვრევას მოჰყვა. დასტიროდა მამაც ჭაბუკს, მის გადასარჩენად სიცოცხლე რომ არ დაიშურა.

თუმცა ცხოვრებამ საკმაოდ გამაკაჟა, ამ სურათის დანახვისას ყელში ბურთივით მომაწვა რაღაც და ლამის მეც ავქვითინდი. ამბოპა განზე იდგა და უზარმაზარ სპილოს და პატარა დასახიჩრებულ გვამს დასჩერებოდა.

– რა ვუყოთ, – თქვა მან უეცრად, – მართალია, ხივა მოკვდა, მაგრამ მოკვდა გმირულად, ვაჟკაცური სიკვდილით.

თ ა ვ ი V

ჩ ვ ე ნ უ დ ა ბ ნ ო ს მ ი ვ ყ ვ ე ბ ი თ

ჩვენ ცხრა სპილო მოვკალით, ეშვები დავაძვრეთ, ბანაკის ახლოს გადმოვიტანეთ და ერთი უზარმაზარი ხის ძირას ქვიშაში ჩავფალით. ყველაფერ ამას ორი დღე მოვანდომეთ. უკეთესი სპილოს ძვალი არსად შემხვედრია, ყოველი ეშვი, საშუალოდ, ორმოციდან ორმოცდაათ გირვანქამდე იწონიდა. ხივა რომ დაფლითა, იმ სპილოს ეშვები კი, ჩვენი ვარაუდით, ას სამოცდაათი გირვანქა მაინც იქნებოდა. საბრალო ხივა, უფრო სწორად, მისი დასახიჩრებული გვამი, ჭიანჭველაჭამიას სოროში დავკრძალეთ. თან, ზულუსების ჩვეულების თანახმად, საფლავში შუბი ჩავაყოლეთ, ეგება საიქიოს გზაზე მიმავალს თავდასაცავად დასჭირდესო.

მესამე დღეს, ალიონზე ისევ გზას გავუდექით. იმედი გვქონდა, თუ ცოცხლები გადავრჩებოდით, აქეთობისას იმ ეშვებს ამოვთხრიდით და თან წამოვიღებდით. საკმაოდ გრძელი და მომქანცველი გზა გავიარეთ და, ბოლოს, როგორც იქნა, სიტანდას მივაღწიეთ. ეს კრიალა მდინარე ლუკანგას მახლობლად მდებარეობს. კაცმა რომ თქვას, ჩვენი მოგზაურობა სინამდვილეში სწორედ აქედან იწყებოდა.

შესანიშნავად მახსოვს, როგორ მივედით სიტანდაში. მარჯვნივ პატარა დაბა იყო. დაბა-მეთქი ვამბობ, მაგრამ ამ დაბაში სულ რამდენიმე უბადრუკი ქოხი იდგა. ქოხებზე საქონლისთვის ქვის გომურები მიეშენებინათ. უფრო ქვემოთ, ზედ მდინარესთან ზოლებად ილანდებოდა დამუშავებული მიწის ნაკვეთები, სადაც აქაური მკვიდრნი მარცვლეულს თესავდნენ. უფრო შორს, თვალმიუწვდომელ სივრცეზე გაჭიმულიყო მაღალი მობიბინე ბალახით დაფარული ველები, ანუ მდელოები, ზედ კი ჯოგ-ჯოგად დაეხეტებოდა წვრილფეხა პირუტყვი.

კრაალი სიტანდა სწორედ ამ ნაყოფიერი მიწის საზღვარზე მდებარეობდა. კრაალის მარცხნივ უდაბნო გადაჭიმულიყო. ძნელი სათქმელია, რას უნდა მიეწეროს, რომ ნიადაგი ასე მკვეთრად და მოულოდნელად იცვლიდა სახეს, მაგრამ განსხვავება იმდენად გასაოცარი იყო, რომ, გინდა არ გინდა, თვალში გეცემოდა.

ჩვენ პატარა მდინარის მახლობლად დავიკარვეთ, წყალგაღმა ქვაღორღიანი ფერდობი მოჩანდა. ოციოდე წლის წინათ ამ ფერდობს ხოხვით მიჰყვებოდა საბრალო სილვესტრი; მისი გიჟური ოცნება, მიეღწია სოლომონის საბადომდე, მარცხით დამთავრდა. ფერდობის იქით, დაბლა, ეკლიანი ბუჩქნარით დაფარული უწყლო უდაბნო იწყებოდა.

საღამოვდებოდა. მზის უზარმაზარი ბირთვი ნელ-ნელა ეშვებოდა უდაბნოსკენ და მისი სხივები თვალუწვდენელ სივრცეს ნაირფრად აშუქებდა.

ვიდრე გუდი ბანაკის საქმეებს მოაგვარებდა, მე სერ ჰენრის ვთხოვე, ცოტა გავისეირნოთ-მეთქი. ორივენი გორაკზე ავედით და იქიდან გავხედეთ უდაბნოს. ჰაერი წმინდა და კრიალა იყო. შორს, შორს, ცის დასალიერთან თვალი მოვკარი სულეიმანის მთების თოვლიან მწვერვალებს, რომლებიც აქედან ძალზე ბუნდოვნად მოჩანდა.

– შეხედეთ, – ვუთხარი სერ ჰენრის ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ, – ის კედლები გარს ერტყმიან სოლომონ მეფის საბადოს. ღმერთმა უწყის, მივაღწევთ თუ არა იქამდე.

– იქ უნდა იყოს ჩემი ძმა და თუ ეს ასეა, უსიკვდილოდ მოვძებნო, – მშვიდად მიპასუხა სერ ჰენრიმ.

– რა გაეწყობა, ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი, იმედს ნუ დავკარგავთ, – ამოვიოხრე და შევტრიალდი, რომ ისევ ბანაკში გავბრუნებულიყავი. მაშინდა დავინახე, მარტონი არ ვიყავით.

ჩვენ უკან შორეული მთებისკენ თვალმიპყრობილი ჩვენი ზულუსი ამბოპა იდგა. როცა დამინახა, მისკენ ვიყურებოდი, სერ ჰენრის მიუბრუნდა (ვატყობდი, ამბოპამ სერ ჰენრი რაღაც გამორჩეულად შეიყვარა):

– მაშ, იმ მთებისკენ აპირებ წასვლას, ინკუბუ? – უთხრა და თავისი ფართო ასეგაი მთებისკენ გაიწვდინა.

ინკუბუ სპილოს ნიშნავს, ეს სახელი სერ ჰენრის ზულუსებმა შეარქვეს.

ბრაზი მომერია და მკაცრად ვუთხარი, – როგორ ბედავ შენს ბატონთან ასე მოურიდებლად ლაპარაკს; შეგიძლიათ ერთმანეთში როგორც მოგესურვებათ, ისე ილაპარაკოთ, მაგრამ უფლება არა გაქვთ, თეთრკანიანს რაღაც სულელური შერქმეული სახელებით მიმართოთ-მეთქი. ამაზე ამბოპამ მშვიდად გაიცინა. მისმა სიცილმა კიდევ უფრო აღმაშფოთა.

– რა იცი, რომ ადამიანი, რომელსაც ვემსახურები, ჩემი ტოლი და სწორი არ არის? – მითხრა ამბოპამ. –თქმა არ უნდა, ჩემი ბატონი მეფის შთამომავალია, ამას მისი სიმაღლე და გარეგნობა მოწმობს; მაგრამ საიდან იცით, რომ მეც სამეფო გვარს არ ვეკუთვნი? ოჰ, მაკუმაზან, გადაეცი ჩემი სიტყვები ინკუბუს, ჩემს ბელადსა და ბატონს, შენც მისმინე, მინდა რაღაც გითხრა.

გაბრაზებული ვუგდებდი ყურს. ზულუსებისაგან ჩვეული არა ვარ ასეთ ლაპარაკს. მაგრამ ასე იყო თუ ისე, ამ კაცს ჩემდაუნებურად პატივს ვცემდი, თანაც მაინტერესებდა, რა უნდა ეთქვა ჩვენთვის; ამიტომ მისი სიტყვები მაშინვე ვუთარგმნე სერ ჰენრის, ჩემი მხრივ კი დავუმატე, ეს ზულუსი ნამეტნავად გათავხედდა და გაკადნიერდა-მეთქი.

– ჰო, ამბოპა, – მიუგო სერ ჰენრიმ, – იმ მთებისკენ ვაპირებ წასვლას.

– უდაბნო უსასრულოა, იქ წყალი არ არის, ცად აზიდული მთები კი თოვლითაა დაფარული. ვერავინ იტყვის, რომ გადალახა ის მთები, რომელთა უკან მზე იმალება. როგორ მიაღწევ იქამდე, ინკუბუ, ან რატომ ეშურები იქითკენ?

მე სერ ჰენრის ეს სიტყვებიც ვუთარგმნე.

– გადაეცი, – მითხრა სერ ჰენრიმ, – რომ დიდი ხნის წინათ იქით წავიდა ერთი ადამიანი, რომლის ძარღვებშიც ჩემი სისხლი ჩქეფს. ჩემი ვალია, მოვძებნო იგი.

– მართალს ამბობ, ინკუბუ. აქეთობას ერთ ჰოტენტოტს შევხვდი, მან მითხრა, ორი წლის წინათ ვიღაც თეთრკანიანი უდაბნოს გაჰყვა და იმ მთებისკენ წავიდა, თან მონადირე-მსახური ახლდა, უკან არც ერთი აღარ დაბრუნებულაო.

– რა იცი, რომ ის კაცი ჩემი ძმა იყო? – ჰკითხა სერ ჰენრიმ.

– მე არაფერი ვიცი, მაგრამ ჰოტენტოტს რომ ვკითხე, ის კაცი როგორი იყო-მეთქი, მითხრა, თვალებით შენს ბატონს წააგავდა, ოღონდ შავი წვერი ჰქონდაო. მის მსახურს ჯიმი ერქვა. ბეჩუანლენდიდან ყოფილა, ტანსაცმელს ატარებდა თურმე.

– მართლაც თქვენი ძმა ყოფილა! – წამოვიყვირე მე, – ჯიმს ხომ კარგად ვიცნობდი!

სერ ჰენრიმ დაფიქრებით დამიქნია თავი.

– ამაში ეჭვი არ მეპარებოდა, – თქვა მან, – ჯორჯი კერპი კაცია, თუ რამე ამოიჩემა, უკან აღარ დაიხევს. ბავშვობიდანვე ასეთი იყო. რაკი გულში ჩაიდო, სულეიმანის მთებზე უნდა გადავიდეო, გადავიდოდა კიდეც, რასაკვირველია, თუ გზაში რაიმე უბედურება არ დაატყდა თავს. ამიტომაც სწორედ იმ მთების იქით უნდა ვეძიო.

ამბოპას ცოტ-ცოტა ესმოდა ინგლისური, მაგრამ ამ ენაზე იშვიათად ლაპარაკობდა.

– ძალზე შორი გზაა, ინკუბუ, – თქვა მან.

მე მისი სიტყვები სერ ჰენრის ვუთარგმნე.

– დიახ, გზა მართლაც შორია, – მიუგო სერ ჰენრიმ, – მაგრამ არ არსებობს ამქვეყნად გზა, ადამიანმა რომ ვერ გალიოს, თუკი ამას მთელ ძალ-ღონეს მოახმარს. თუ სიყვარული კელაპტრად წინ უძღვის, კაცი ყველაფერს დაძლევს. არ არსებობს ისეთი მთა, მან ვერ გადალახოს, არ არსებობს უდაბნო, იგი რომ შეაჩეროს, გარდა, რასაკვირველია, იმ მთებისა და უდაბნოებისა, რომელთა ნახვა ამ ცხოვრებაში არ გვიწერია. ასეთი სიყვარულისთვის ყველაფერს გაწირავ, თვით სიცოცხლესაც კი. დიახ, საკუთარ სიცოცხლესაც მსხვერპლად გაიღებ, თუკი უფალმა ასე ინება.

– დიადი იყო შენი სიტყვები, ოჰ, მამავ ჩემო, – მიუგო ზულუსმა (ასე ვეძახდი ამბოპას, მიუხედავად იმისა, რომ იგი ზულუსი არ ყოფილა), როცა სერ ჰენრის სიტყვები გადავეცი, – დიადი და ამაღელვებელი, სწორედ ისეთი, ჭეშმარიტ მამაკაცს რომ შეჰფერის. შენ მართალი ხარ, ინკუბუ, მამავ ჩემო! რა არის სიცოცხლე? მსუბუქი ბუმბული, ან ბალახის თესლია, რომელსაც ქარი თავის ნებაზე წაიღ-წამოიღებს. ზოგჯერ იგი მრავლდება, ზოგჯერ ზეცისკენ მიფარფატებს, მაგრამ თუ თესლი საღია, შეიძლება გზად მცირე ხნით შეჩერდეს. კარგი იქნება, ქართან ჭიდილში განვლო ასეთი გზა და ერთ ხანს სადმე დაყოვნდე. ადამიანი ბოლოს მაინც უნდა მოკვდეს, უარეს შემთხვევაში, შეიძლება მოკვდეს ცოტათი ადრე. მე შენთან ერთად ყველგან წამოვალ, ინკუბუ, უდაბნოშიც და იმ მაღალ მთებშიც. დიახ, წამოვალ, თუ გზაზე არ დავეცი.

ამბოპა დადუმდა, მაგრამ იმწამსვე განაგრძო ლაპარაკი რიტორიკული აღტყინებით, რომელიც ზოგჯერ ეუფლება ხოლმე ზულუსებს. ეს ამტკიცებს, რომ ამ ტომის ხალხი დაჯილდოებულია პოეტური ნიჭით და ინტელექტით, თუმცაღა ერთსა და იმავე სიტყვას რამდენჯერმე იმეორებენ.

– დიახ, რა არის სიცოცხლე? – განაგრძო ამბოპამ, – მითხარით, ჰოი, თეთრო ადამიანებო, თქვენ ხომ გონება ყველგან მიგიწვდებათ, აკი ფლობთ სამყაროს საიდუმლოს, ვარსკვლავების საიდუმლოს. ოჰ, თეთრო ადამიანებო, თქვენ, რომელთაც გეხერხებათ შორი მანძილიდან უხმოდ, თვალისდახამხამებაში, გადასცეთ ერთმანეთს სიტყვები, გამიმჟღავნეთ სიცოცხლის საიდუმლო, მარქვით, სად მიდის, ან საიდან მოდის იგი. არ ძალგიძთ, არა, მიპასუხოთ, რადგან თავადაც არ უწყით ეს. მაშ მისმინეთ, ისევ მე გეტყვით! უკუნეთიდან მოვდივართ და უკუნსავე ვერწყმით. ღამეში ქარიშხლისაგან დევნილი ჩიტივით ამოვიჭრებით ხოლმე არარაობიდან, კოცონის შუქზე წამით გაიელვებს ჩვენი ფრთები და მერე კვლავ არარაობას ვუბრუნდებით. სიცოცხლე არარაობაა, არაფერია, მაგრამ ამავე დროს ყველაფერია. ეს ის ხელია, რომელიც განარიდებს სიკვდილს, ეს ციცინათელაა, ღამით რომ ციმციმებს და დილის შუქზე ქრება, ხარების მიერ ზამთრობით

ამონასუნთქი თეთრი ბოლია, ბალახზე გაწოლილი ოდნავ შესამჩნევი ჩრდილია, რომელიც მზის ჩასვლისთანავე უნდა გაქრეს.

– უცნაური კაცი ხარ, ამბოპა, – უთხრა სერ ჰენრიმ, როცა ზულუსი დადუმდა.

ამბოპამ გაიცინა.

– მე მგონია, ჩვენ ძალიან ვგავართ ერთმანეთს, ინკუბუ. ვინ იცის, იქნებ მეც ვეძებ ჩემს საკუთარ ძმას იმ მთების იქით.

– რა გინდა ამით თქვა? და საერთოდ, რა იცი იმ მთებზე? – ვკითხე მე და ეჭვით შევათვალიერე.

– ოჰ, ძალიან ცოტა რამ. ამბობენ, იმ მთების გადაღმა საიდუმლოებით მოცული წარმტაცი ქვეყანა არისო. საოცრებათა და გრძნეულთა, მამაცი მეომრებისა და მაღალი ხეების, თოვლიანი მწვერვალების, მქუხარე ჩანჩქერებისა და თეთრი ვაზის ქვეყანაო. მაგრამ ღირს კი ამაზე ლაპარაკი? წასვლის დროა, საღამოვდება. ვისაც ბედი წარუძღვება, ის მიაღწევს კიდეც იქამდე.

მე კვლავ უნდობლად გადავხედე, ამ კაცმა უეჭველად იცოდა რაღაც.

– ჩემი ნუ გეშინია, მაკუმაზან, – მითხრა ამბოპამ, ჩემი იჭვნეული მზერა რომ დაიჭირა, – გულში ცუდი არაფერი მიდევს. არც სამარეს გითხრით ჩუმ-ჩუმად. თუ ოდესმე გადავლახეთ ის მთები, მზის უკან რომ აღმართულან, ვიტყვი ყველაფერს, რაც ვიცი, მაგრამ ვაი, რომ მათ მწვერვალებზე სიკვდილი დახეტიალობს. გამოიჩინეთ კეთილგონიერება, დაბრუნდით უკან, დაბრუნდით-მეთქი, ბატონებო, და სპილოებზე ინადირეთ. მე ვთქვი!

შემდეგ დამშვიდობების ნიშნად შუბი ასწია, შებრუნდა და თავქვე დაეშვა; ბანაკში რომ ჩავედით, იგი უკვე თოფს წმენდდა, როგორც ეს ჩვეულებრივ მსახურს შეეფერება.

– რა უცნაური კაცია, – თქვა სერ ჰენრიმ.

– უცნაურზე მეტია, – დავუმოწმე მეც. – ჩემი აზრით, საეჭვოდ იქცევა, რაღაც იცის, მაგრამ არ უნდა თქვას. თუმცა მასთან ურთიერთობის გაფუჭება არა ღირს. გზაში ათას რამეს გადავეყრებით. და ჩვენი უცნაური ზულუსი უთუოდ დიდ დახმარებას გაგვიწევს.

მეორე დღეს სამგზავროდ მზადებას შევუდექით. რასაკვირველია, სისულელე იქნებოდა იმაზე ფიქრიც კი, ჩვენი თოფები და სხვა იარაღი უდაბნოში თან წაგვეღო. მებარგულები გავისტუმრეთ და მოველეპარაკეთ იქვე მცხოვრებ კაფრს, ვიდრე დავბრუნდებოდით, ჩვენი ნივთები თავისთან შეენახა. გული მეფლითებოდა, როცა ვფიქრობდი, ეს საუცხოო თოფები ამ ქურდს უნდა ჩავაბაროთ-მეთქი. ბებერ გაიძვერას მათ დანახვაზე თვალები აუციმციმდა, ვერ იქნა და ვერ მოაცილა წუწკი მზერა. იძულებული გავხდი, სასწრაფო ზომებისთვის მიმემართა.

პირველ ყოვლისა, დავტენე ყველა თოფი, ჩახმახები შევაყენე და კაფრს გამოვუცხადე, ამ იარაღს თითი არ დააკარო, თორემ უბედურებას დაატრიალებ-მეთქი. კაფრმა მაშინვე მოისურვა შეემოწმებინა, მართალს ვეუბნებოდი თუ არა, და ჩემს ორლულიან თოფს დასწვდა. გაისმა გრიალი და ტყვიამ ფერდი შეულეწა ხარს, რომელსაც სწორედ ამ დროს კრაალში მოდენიდნენ. კაფრი კი უკუდარტყმისაგან ზურგზე გადაკოტრიალდა, იმავე წამს წამოხტა. ხარის დაკარგვა საშინლად ეწყინა და გათავხედებულმა საზღაური მომთხოვა. ერთი კია, მეფიცებოდა, მაგ თოფებს სიახლოვეს აღარ გავეკარებიო.

– ჩამალეთ თივაში ეგ ცოცხალი ქაჯები, თორემ ყველას გაგვჟლეტს! – ბუტბუტებდა იგი.

ვიცოდი, მოხუცი ძალზე ცრუმორწმუნე იყო და დავემუქრე: ერთი თოფიც რომ დაგვეკარგოს, ჯადოს ვიხმარ და შენც და შენს სახლობასაც ერთიანად ამოგჟუჟავთ-მეთქი. თუ ბედმა გვიმტყუნა და გზაში დავიღუპეთ, შენ კი ამ დროს ჩვენი თოფების დასაკუთრება მოიწადინე, საიქიოდან გამოგეცხადები, ჩემს აჩრდილს ვერც დღისით და ვერც ღამით ვერსად გაექცევი-მეთქი... გარდა ამისა, შენს საქონელს შევულოცავ, დავაცოფებ, რძეს გავუშრობ, შენ კი იმ ზომამდე მიგიყვან, სიკვდილი სანატრელი გაგიხდეს-მეთქი. ამას არ გაკმარებ, ეშმაკეულებს, თოფში რომ სხედან, გარეთ გამოვუძახებ და ისინი მოგელაპარაკებიან, როგორც წესი და რიგია-მეთქი. ერთი სიტყვით, გავაგებინე, რა სასჯელი ელოდა, თუ ჩვენს ნდობას არ გაამართლებდა. ბებრუხანა გვარიანად შეშინდა და შემომფიცა, თქვენს ნივთებს ისევე გავუფრთხილდები, როგორც განსვენებული მამაჩემის სულსო.

ზედმეტი ტვირთისაგან გავთავისუფლდით და საგზაოდ მზადებას შევუდექით. საჭირო იყო, გადაგვერჩია თან წასაღები იარაღი და ნივთები. ძალიან ვცდილობდით თავი არ გადაგვეტვირთა და რაც შეიძლება მსუბუქად გვევლო, მაგრამ თითოეულ ჩვენგანს ორმოც-ორმოცი გირვანქა ტვირთი მაინც შეხვდა საზიდად. აი, რა მიგვქონდა თან:

სამი „ექსპრესის" სისტემის თოფი, თავისი ორასი ტყვიით; ორი სავაზნეკოლოფიანი „ვინჩესტერი" (ამბოპასა და ვენტფოგელისათვის), ესეც ორასი ტყვიით; სამი „კოლტის" სისტემის რევოლვერი სამოცი ტყვიით; ხუთი ოთხ-ოთხპინტიანი მათარა; ხუთი საბანი; ოცდახუთი გირვანქა ბილტონგი ანუ აპოხტი; ათი გირვანქა საუკეთესო მძივი საჩუქრებისათვის; პატარა აფთიაქი აუცილებელი წამლებით. თან წავიღეთ აგრეთვე ერთი უნცია ქინაქინა და მცირე ზომის ქირურგიული ხელსაწყოები.

ამას ემატებოდა ზოგიერთი წვრილმანი: კომპასი, ასანთი, ჯიბის ფარანი, ფილტრი, თამბაქო, პატარა ბარი, ერთი ბოთლი ბრენდი და, ბოლოს, ტანსაცმელი, რომელიც ზედ გვეცვა. ასეთი შორი და სახიფათო მოგზაურობისათვის ყველაფერი ეს, რასაკვირველია, ცოტა იყო, მაგრამ მეტის წაღება ვეღარ გავბედეთ, ორმოცი გირვანქა ტვირთი ჩვენთვის საკმაოზე მეტიც იყო. უდაბნოს გავარვარებულ ქვიშაზე მძიმე ტვირთით სიარული ძნელზე ძნელი საქმეა. ასეთ შემთხვევაში, ყოველი ზედმეტი გრამი უნდა აიწონ-დაიწონოს. ძალიანაც რომ ვცდილიყავით, ტვირთს ვერ შევიმსუბუქებდით, რადგან თან მხოლოდ აუცილებელი ნივთები მიგვქონდა.

დიდი გაჭირვებით დავიყოლიე სამი საცოდავი კაფრი, ოციოდე მილზე წამოგვყოლოდა. – ეს ჩვენი მოგზაურობის პირველი საფეხური იყო. ყოველ მათგანს უნდა წამოეღო გოგრის დიდი ბოთლი, თითო გალონი წყლით. ფეხის ქირად თითოეულისათვის მონადირის დანა უნდა მიმეცა. იმედი გვქონდა, წყლის მარაგს პირველ გადასასვლელზე შევავსებდით. გადავწყვიტეთ გზას ღამით დავდგომოდით, რადგან ამ დროს შედარებით უფრო გრილოდა. კაფრებს ვუთხარი, სირაქლემებზე სანადიროდ მივდივართ-მეთქი. კაფრები პასუხად რაღაცას მეუბნებოდნენ, მხრებს იჩეჩდნენ და მარწმუნებდნენ, ნამდვილად დაგიჟებულხართ, აუცილებლად წყურვილით დაიხოცებითო. ერთი მხრივ, ეს მართლაც საფიქრალი იყო. მაგრამ კაფრებს ძალიან უნდოდათ დანები ხელთ ეგდოთ. სხვა დროს და სხვა პირობებში ასეთ რამეზე ვერც იოცნებებდნენ, ამ ველურსა და უკაცრიელ ადგილებში დანა დიდი იშვიათობაა. ჰოდა, დანების ხათრით დაგვთანხმდნენ ის ოცი მილი ჩვენთან ერთად გაევლოთ. ალბათ გულში ფიქრობდნენ, თუნდაც ახლავე დახოცილან წყურვილით, ჩვენი რა საქმეაო.

მთელი მეორე დღე ძილსა და დასვენებას მოვანდომეთ: მზის ჩასვლისას ძროხის ხორცით კარგად წავივახშმეთ და ზედ ჩაიც დავაყოლეთ. გუდმა ნაღვლიანად შენიშნა, ვინ იცის, ჩაის კვლავ როდისღა დავლევთო. ნავახშმევს გავამზადეთ ბარგი-ბარხანა, შემდეგ ისევ დავწექით და მთვარის ამოსვლას დაველოდეთ. ბოლოს, დაახლეობით საღამოს ცხრა საათისათვის, მთვარეც ამობრწყინდა. მისი შუქი თქრიალით მოეფინა არემარეს და შორეთში გაჭრილი უდაბნო ვერცხლისფრად აალაპლაპა. ჩვენ წინ გართხმული სივრცე ისეთივე დიადი და მდუმარე ჩანდა, როგორც ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ტატნობი.

ყველანი მზად ვიყავით, გზას დავდგომოდით, მაგრამ ადგილიდან არ ვიძროდით, თითქოს ვყოყმანობდით, ფეხს ვითრევდით. თუმცა რა გასაკვირია, მოუსავლეთის კარიბჭესთან ადამიანი მუდამ ყოყმანობს ხოლმე. ჩვენ, სამი თერთკანიანი, განზე გავდექით. ამბოპა ჩვენგან რამდენიმე ნაბიჯზე იდგა. თოფი მხარზე გადაეგდო, ხელში შუბი ეჭირა და თვალჩაციებით გასცქეროდა უდაბნოს. ვენტფოგელი და კაფრები ჩვენს ზურგს უკან შექუჩულიყვნენ.

– ბატონებო, – წამოიწყო სერ ჰენრიმ დაბალი, სასიამოვნო ხმით მცირე დუმილის შემდეგ, – ჩვენი მოგზაურობა არაჩვეულებრივი იქნება, ვეჭვობ, იგი კეთილად დამთავრდეს. ჩვენ სამნი ვართ და ღრმად მჯერა, რაც უნდა მოხდეს, ერთმანეთს უკანასკნელ წუთამდე დავიცავთ. ახლა კი, ვიდრე გზას გავუდგებოდეთ, ვახსენოთ ღმერთი, შემოქმედი ყოვლისა, რომელიც დასაბამიდან წარმართავს ადამიანთა ბედს და აღვავლინოთ მცირე ლოცვა მისდამი. ვენდოთ ღვთის ნებას, შევევედროთ, სწორი და ჭეშმარიტი გზით გვატაროს.

სერ ჰენრიმ ქუდი მოიხადა, სახეზე ხელები აიფარა და ორიოდე წუთი ლოცვად იდგა. მე და გუდიც ვლოცულობდით.

მე, მსგავსად მონადირეთა უმრავლესობისა, არ შემიძლია მხურვალედ ლოცვა. სერ ჰენრი კი ღრმად მორწმუნე ადამიანია, თუმცა ამგვარი სიტყვები მისგან სხვა დროს აღარ გამიგონია. გუდიც ღვთისმოსავია, მხოლოდ ლანძღვა-გინება უყვარს. ყოველ შემთხვევაში, არ მახსოვს, ოდესმე ასე მხურვალედ მელოცოს. ლოცვა რომ დავასრულე, გულს მეფონა. ჩვენი მომავალი ბნელით იყო მოცული, მაგრამ, ჩემი აზრით, იდუმალი და შეუცნობელი, ყოველგვარი საფრთხე და განსაცდელი, ადამიანს შემოქმედთან აახლოვებს.

– აბა, ახლა კი წავიდეთ! – თქვა სერ ჰენრიმ.

გზას დავადექით. მივდიოდით, მაგრამ არსებითად ალალბედზე უნდა გვევლო, რადგან გარდა იმ შორეული მთებისა, აქედან ძლივს რომ ილანდებოდა და ხოსე და სილვესტრას მიერ სამასი წლის წინათ ქსოვილის ნაფლეთზე დახატული რუკისა, ვერაფრით ვიხელმძღვანელებდით. ნახევრად შეშლილი მომაკვდავი მოხუცის დატოვებული ტილოს ეს ნაფლეთი მაინცდამაინც დიდად საიმედო არ იყო. მიუხედავად ამისა, მთელ იმედებს მასზე ვამყარებდით. პირადად მე სულ იმაზე ვფიქრობდი, მივაგნებდით თუ არა პატარა ტბორს „ცუდი წყლით", რომელიც, მოხუცი პორტუგალიელის რუკის მიხედვით, უდაბნოს შუაგულში, ესე იგი, კრაალ სიტანდადან სამოციოდე მილის დაშორებით უნდა ყოფილიყო. ეს ტბორი ამავე მანძილით იყო დაშორებული დედოფალ საბიას მთებიდან. წყლისთვის რომ ვერ მიგვეგნო, საშინელ ტანჯვაში ამოგვხდებოდა სული, მაგრამ ვინ იყო თავდები, რომ ქვიშისა და ბუჩქნარის ამ უკიდეგანო ზღვაში მაინცდამაინც იმ ტბორს წავადგებოდით. დავუშვათ და, სილვესტრამ სწორად გადაიტანა რუკაზე მისი ადგილსამყოფელი, მაინც ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ სამი საუკუნის მანძილზე უდაბნოს თაკარა სხივებს ერთიანად არ ამოეშრო იგი. ბოლოს და ბოლოს, სულ რომ არაფერი, ქვიშით ამოივსებოდა ან გარეული ცხოველები გადატკეპნიდნენ.

აჩრდილებივით უხმოდ მივყვებოდით ბნელს. ჩქარი სიარული შეუძლებელი იყო. ფეხი წამდაუწუმ ქვიშაში გვეფლობოდა. ეკლიანი ბარდები გზას გვიღობავდა, ფეხსაცმელი სილით გვევსებოდა. იძულებული ვიყავით, დროდადრო შეგვესვენა და სილა გამოგვეფერთხა. უდაბნოს მძიმე, სულის შემხუთველ ჰაერს ღამის სიგრილე რამდენადმე ამსუბუქებდა და სასიამოვნოს ხდიდა. ამიტომაც, მიუხედავად ზემოაღნიშნული სიძნელეებისა, საკმაო მანძილის გავლა მოვასწარით. ირგვლივ შემზარავი სიჩუმე გამეფებულიყო. გუდმა ჩვენ გასამხნევებლად სტვენა წამოიწყო. მაგრამ მხიარული კილო ვრცელ უდაბნოში როგორღაც უღიმღამოდ და ავბედითად გაისმა. გუდმა იგრძნო ეს და სტვენა შეწყვიტა.

მალე ძალზე სასაცილო ამბავი გადაგვხდა თავს, თუმცა, უნდა ითქვას, თავდაპირველად ძალიან შევშინდით. გუდი კომპასით ხელში წინ მიგვიძღოდა – როგორც, საერთოდ, ყველა მეზღვაურს, მასაც ემარჯვებოდა კომპასით გზის გაკვლევა. ჩვენ კი ერთიმეორის მიყოლებით მის უკან მივაბიჯებდით. უეცრად ჩვენმა კაპიტანმა ხმამაღლა წამოიყვირა და სადღაც გაქრა. იმავე წამს ჩვენ ირგვლივ რაღაც საოცარი ხმები გაისმა: ფრუტუნი, ხვრინვა და კვნესა ერთმანეთში აირია, მერე ფეხის მძიმე ბარტყუნით ვიღაც გაიქცა.

დიდი გაჭირვებით დავლანდეთ ბნელში რაღაც უცნაური ცხოველები, ფხოჭა-გლეჯით რომ გარბოდნენ წინ და ირგვლივ მტვრის კორიანტელს აყენებდნენ. შეშინებულმა კაფრებმა ტვირთი მიწაზე დააგდეს და გაქცევა დააპირეს, მაგრამ მალე მიხვდნენ, გასაქცევი რომ არსად ჰქონდათ, პირქვე დაემხნენ და აყვირდნენ, ეშმაკი, ეშმაკიო! მე და სერ ჰენრი გაოცებულები ვიდექით. მაგრამ წარმოიდგინეთ, რა დაგვემართებოდა, როცა დავინახეთ, რომ გუდი გამალებული მიქროდა მთებისკენ, თან საზარლად ღრიალებდა. მოგვეჩვენა, თითქოს ცხენს მიაჭენებდა. უეცრად ხელები აიქნია და მთელი ძალით მძიმედ დაასკდა მიწას.

მაშინვე მივხვდით, რაც მომხდარიყო: ბნელში კვაგების ჯოგს გადავწყდომოდით. ცხენებს ეძინათ. გუდმა წაიფორხილა და ერთ-ერთ მათგანს ზურგზე დაეცა. დაფეთებული ცხოველი წამოხტა, ბნელში გაიჭრა და „მხედარიც" თან გაიტაცა. ჩვენებს მივაძახე, არ შეშინდეთ-მეთქი, და სასწრაფოდ გუდისკენ გავექანე.

ადვილი წარმოსადგენია, როგორ გამიხარდებოდა, როცა ჩვენი კაპიტანი ქვიშაზე მჯდარი დავინახე. საბედნიეროდ, სულაც არ დაშავებულიყო, მხოლოდ ძალზე შეშინებული ჩანდა და კარგა მაგრადაც იყო დაჟეჟილი, თუმცა ეს არც მას და არც მის მონოკლს არ ემჩნეოდა.

ამ შემთხვევამ გვარიანად გაგვამხიარულა და მალე ისევ გზას დავადექით. ღამის პირველი საათისთვის შევისვენეთ. ცოტა წყალი დავლიეთ (წყალს სამყოფად ვერ დავლევდით, რადგან კარგად გვესმოდა, რას წარმოადგენდა ჩვენთვის ეს ძვირფასი სითხე) და ნახევარი საათის შემდეგ ისევ გზას გავუდექით.

ვიარეთ, ვიდრე აღმოსავლეთი ალისფრად არ შეფერადდა, და მოყვითალო-მოვარდისფრო ნაზი სხივები არ გამოჩნდა. ეს სხივები სწრაფად გაღადღადდა და უცებ ცეცხლოვან ზოლებად მოედო მიწას, სწორედ ამ ზოლებით შემოცურდა უდაბნოში განთიადი, ვარსკვლავები გაუფერულდნენ და ბოლოს სრულიად გაქრნენ. მთვარე მიიბნიდა და მის მკრთალ დისკოზე გამოჩნდა მთაგრეხილის ზოლი. ასე ლაცლაცებს ხოლმე მომაკვდავის სახეზე ჩრდილი. მზის სხივებმა ისრებივით გაიელვეს სადღაც, ძალიან შორს, დაცხრილეს უდაბნოს ბურუსის საბურველი და მთელი უდაბნო ოქროსფრად ალაპლაპდა.

გზამ ძალიან მოგვქანცა, მაგრამ გადავწყვიტეთ, არ დაგვესვენა, რადგან ვიცოდით, როგორც კი მზე აიმაღლებდა, ისე ჩამოცხებოდა, ფეხს წინ ვეღარ წავდგამდით. ბოლოს, დაახლოებით ერთი საათის სიარულის შემდეგ სწორ ადგილას წამოყუდებული რამდენიმე ქარაფი დავლანდეთ. დაღლილ-დაქანცულები წავლასლასდით იქით და დავინახეთ, რომ რამდენიმე დიდი ლოდი წინ წამოწვდილიყო. ამ ლოდების ქვეშ თავისუფლად შეგვეძლო მზისგან თავის შეფარება. სიამოვნებით შევლაგდით ჩრდილში. მიწა წვრილი სილით იყო მოფენილი. დავლიეთ ცოტაოდენი წყალი, თითო ნაჭერი ბილტონგი დავაყოლეთ, მერე იქვე მივეყარეთ და იმწამსვე მკვდრებივით ჩაგვეძინა.

თვალი რომ გავახილე, უკვე სამი საათი იყო.

კაფრი მებარგულები ჩვენ გაღვიძებასდა ელოდნენ, რომ უკან გამობრუნებულიყვნენ, მათ ეს უდაბნო ყელში ამოუვიდათ და ვეღარაფერი აიძულებდათ, ცოტაზე კიდევ გამოგვყოლოდნენ. ოღონდ აქაურობას გასცლოდნენ და დანებზეც კი ხელს აიღებდნენ.

ჩვენ აუწერელი სიამოვნებით დავლიეთ მათარებში ჩარჩენილი წყალი, მერე გოგრის ბოთლებიდან წყალი მათარებში გადავასხით და კაფრები შინ გავისტუმრეთ.

ხუთის ნახევრისთვის კვლავ გზას გავუყევით. უდაბნოში სამარისებური სიჩუმე იდგა. თვალმიუწვდომელ ქვიშის ზღვაში, გარდა რამდენიმე სირაქლემისა, სულიერი არ ჭაჭანებდა. ამ უწყლო, გამომშრალ-გამოფიტულ მიწას, ეტყობა, ნადირიც გაურბოდა და ფრინველიც. ორიოდე შხამიანი კობრას გარდა, ქვეწარმავალიც კი არსად შეგვხვედრია. მიუხედავად ამისა, იყო ერთი მწერი, რომელსაც ვერა და ვერ დავაღწიეთ თავი. ეს გახლდათ ბუზი, დიახ, ჩვეულებრივი ოთახის ბუზი. ისინი უდაბნოში დაფრინავდნენ, ჯაშუშებივით გვზვერავდნენ და თან მოგვყვებოდნენ, მაგრამ თითო-თითოდ კი არა, გუნდ-გუნდად. ოთახის ბუზი ძალიან უცნაური მწერია. სად გნებავთ წახვიდეთ, რომ მას არ გადაეყაროთ. რას იზამთ, ათადან ბაბადან ასეთი ყოფილა მათი მოდგმა და ჯიში.

ერთხელ ქარვის ნატეხი მაჩვენეს, შიგ ბუზი მოქცეულიყო. ეს ქარვა ხუთი ათასი წლის მაინც იქნებოდა. ბუზი ზუსტად ჩვენი ოთახის ბუზს წააგავდა. ჩემი აზრით, როდესაც დედამიწის ზურგზე უკანასკნელი ადამიანი მოკვდება, ბუზი (თუ, რასაკვირველია, ეს ზაფხულში მოხდა) ბზუილ-ბზუილით იტრიალებს მიცვალებულის ირგვლივ, რომ როგორმე დრო იხელთოს და ცხვირზე დაასკუპდეს.

საღამო ჟამს შევისვენეთ, რომ მთვარის ამოსვლას დავლოდებოდით. როცა იგი ჩვეულებრივ მშვიდად და უშფოთველად ცაზე ამოგორდა, ჩვენც გზას გავუყევით. ღამის ორი საათისათვის ცოტა ჩავიფერხეთ, მერე კი მზის ამოსვლამდე შეუსვენებლივ ვიარეთ. მზე რომ ამოვიდა, დაღლილ-დაქანცულები დასასვენებლად შევჩერდით. დავლიეთ რამდენიმე ყლუპი წყალი და პირდაპირ ქვიშაზე დავეყარეთ. გაწამებულებს იმწამსვე ჩაგვეძინა. გუშაგის დატოვება სრულიად ზედმეტი იქნებოდა, რადგან ჩვენს ირგვლივ ჭაჭანება არაფრისა იყო. ჩვენი ერთადერთი მტერი სიცხე, უწყლობა და ბუზები იყო. პირადად მე მერჩივნა, კაცს ან გამძვინვარებულ მხეცს შევბმოდი, ოღონდ კი ამ საზარელი „სამებისაგან" როგორმე თავი მეხსნა. სამწუხაროდ, ამჯერად არ გვქონდა ბედნიერება, სადმე კედელს შევფარებოდით, რომ მზისგან თავი დაგვეცვა. შვიდ საათზე აუტანელმა სიცხემ გაგვაღვიძა, ასე გვეგონა, გავარვარებულ ნაკვერჩხლებზე ვიხრუკებოდით. მზე წვეთ-წვეთად გვიშრობდა სისხლს. სულს ძლივს ვითქვამდით, რის ვაივაგლახით მოვახერხეთ წამოჯდომა.

– გაეთრიეთ! – შევძახე გასავათებულმა და ხელი ავუქნიე ბუზების გროვას, თავზე გულდაგულ რომ დამბზუოდა.

– რა ბედნიერები არიან, სიცხეს არც კი გრძნობენ.

– ღმერთმანი... – აღმოხდა სერ ჰენრის.

– ჰო, ცოტა არ იყოს, ცხელა, – შეაწყვეტინა გუდმა.

როგორც ვთქვი, სიცხე მართლა ჯოჯოხეთური იყო, თანაც თავს ვერსად შევაფარებდით. ირგვლივ, სადაც კი თვალი მიგვიწვდებოდა, გავარვარებული უდაბნო გადაშლილიყო. არ ჩანდა არც ბორცვი, არც ქვა, არც ხე და არც არაფერი, რომ პაწაწინა ჩრდილი მაინც სადმე დაგვეგულებინა. მზის მკვეთრად მოლაპლაპე სხივებს ლამის დავებრმავებინეთ. ჰაერის გახურებული, მოლივლივე ნაკადი კი, უდაბნოს ბუღივით რომ დასწოლოდა, თვალებს გვწვავდა და ხედვას გვიშლიდა.

– როგორ მოვიქცეთ? – იკითხა სერ ჰენრიმ, – გეენას დიდხანს ვერც ერთი ვერ გავუძლებთ.

შეცბუნებულები ერთმანეთს მივაჩერდით.

– მოვიფიქრე, – თქვა გუდმა, – ორმო უნდა ამოვთხაროთ, შიგ ჩავძვრეთ, ზემოდან კი ბუჩქის ტოტები წავიფაროთ.

ამ წინადადებას დიდი აღფრთოვანებით არ შევხვედრივართ, მაგრამ სხვა გამოსავალი არ ჩანდა. თქმა და შესრულება ერთი იყო. მაშინვე მიწის თხრას შევუდექით. ვთხრიდით ბარით, თან რომ წამოვიღეთ, ვიშველიებდით ხელებსაც და ასე, ერთი საათის შემდეგ, ამოვთხარეთ ორმო, რომლის სიგრძე ათ ფუტს უდრიდა, სიგანე – ოცს, სიღრმე კი – ორს. შემდეგ სანადირო დანებით ავკაფეთ მიწაზე გართხმული ბუჩქნარის ტოტები, ორმოში ჩავწექით და ეს ტოტები ზემოდან წავიფარეთ. მხოლოდ ვენტფოგელს არ მოუბაძავს ჩვენთვის. ის ჰოტენტოტი იყო და სიცხე სრულებით არ აწუხებდა.

ეს საფარი რამდენადმე გვიცავდა მზის მწველი სხივებისგან. მკითხველი ადვილად წარმოიდგენს, რა ჰაერი იქნებოდა ამ სამარისმაგვარ ორმოში, მე კი ამის ასაწერად სიტყვები არ მყოფნის. კალკუტის „შავი ორმო" ჩვენს სოროსთან შედარებით ალბათ სამოთხედ მოგვეჩვენებოდა. დღემდე ვერ მივმხვდარვარ, რამ გადაგვარჩინა იმ დღეს. ორმოში ჩაყრილებს ჰაერი არ გვყოფნიდა, სული გვეხუთებოდა, მხოლოდ ჟამიდან ჟამზე ვისველებდით ტუჩებს წყლით. წყალი კი ძალიან ცოტა გვქონდა. თავისთვის ნება რომ მიგვეცა, აქამდე ყლუპიც არ დაგვრჩებოდა; ამ ძვირფას სითხეს თვალისჩინივით ვუფრთხილდებოდით, თორემ წყურვილი დაგვახრჩობდა.

დრო საოცრად ნელა მიიზლაზნებოდა, მაგრამ ამქვეყნად ყველაფერს აქვს დასასრული, – თუ, რასაკვირველია, კაცმა მანამდე მიატანა. ეს საზარელი დღეც მიიწურა. სამი საათისათვის ვთქვით, ამ ორმოში ნელ-ნელა სიკვდილს გვირჩევნია, გზაში დავიხოცოთო. დავლიეთ რამდენიმე ყლუპი თბილი წყალი და ბარბაცით გავუდექით გზას.

უკვე ორმოცდაათი მილი გვქონდა გავლილი უდაბნოში. თუ გაიხსენებთ და სილვესტრას სიტყვებს და ერთხელ კიდევ დახედავთ მის რუკას, დაინახავთ, რომ უდაბნო ორმოც ლიეზეა გადაჭიმული, ტბორი „მღვრიე წყლით" კი თითქმის მის შუაგულშია მონიშნული. ორმოცი ლიე ას ოც მილს შეადგენს, მაშასადამე, ჩვენ იმ ტბორს, დიდი-დიდი თხუთმეტი-ოცი მილით ვიყავით დაცილებული, თუკი, რასაკვირველია, იგი ამ არემარეზე მართლა იყო სადმე.

გატანჯულ-გაწამებულები მზის ჩასვლამდე ძლივს მივლასლასებდით წინ, საათში მილ-ნახევარზე მეტს ვერ გავდიოდით. მზე რომ ჩავიდა, შევისვენეთ, რამდენიმე ყლუპი წყალი კიდევ მოვსვით და მთვარის ამოსვლამდე ცოტა

წავთვლიმეთ კიდეც. სანამ დავწვებოდით, ამბოპამ პატარა ბორცვი დაგვანახვა. იგი ბუნდად ილანდებოდა ქვიშის სწორ ზედაპირზე და ჩვენგან დაახლოებით რვა მილით იქნებოდა დაცილებული. აქედან ჭიანჭველების ბუდეს წააგავდა.

ბოლოს მთვარეც ამოვიდა. სიცხისა და წყურვილისაგან არაქათგამოცლილები გზას დავადექით. ვისაც ეს ტანჯვა საკუთარ თავზე არ გამოუცდია, ვერ წარმოიდგენს, რა გადავიტანეთ იმ დღეს. კი არ მივდიოდით, მივბარბაცებდით. ყოველ საათში ვჩერდებოდით. ისე მოვიქანცეთ, ლაპარაკიც აღარ შეგვეძლო. აქამდე გუდს ენა არ გაუჩერებია, სულ ლაპარაკობდა და ოხუნჯობდა, რადგან ძალზე მხიარული ხასიათის კაცია, მაგრამ ახლა ისიც დადუმდა.

ბოლოს, ღამის ორი საათისათვის, სულიერად და ფიზიკურად გაწამებულები მივუახლოვდით პატარა ბორცვს, ერთი შეხედვით უზარამაზარ ჭიანჭველების ბუდეს რომ წააგავდა.

ამ ბორცვს სიმაღლე ასიოდე ფუტი ჰქონდა და ასე, ორ აკრზე იქნებოდა გადაჭიმული.

აქ შევისვენეთ და აუტანელი წყურვილისაგან სასოწარკვეთილებამდე მისულებმა უკანასკნელ წვეთამდე დავცალეთ მათარებში ჩარჩენილი წყალი. მაგრამ თვითოეულს ნახევარმა პინტმა თუ მოგვიწია. ეს მაშინ, როცა შეგვეძლო მთელი გალონები დაგველია.

წყალი დავლიეთ და დავწექით. ის იყო ჩამთვლიმა, რომ ამბოპას ხმა შემომესმა:

– თუ ხვალ წყალს ვერ მივაგენით, მთვარის ამოსვლამდე ყველანი დავიხოცებით, – ზულუსურ ენაზე თქვა მან.

მიუხედავად იმისა, რომ აუტანელი სიცხის ბუღი ტრიალებდა, ცივმა ჟრუანტელმა დამიარა. საზარელია სიკვდილზე ფიქრი, მაგრამ ისე ვიყავი დაღლილი, რომ ძილი ამ ფიქრმაც კი ვერ დამიფრთხო.

თ ა ვ ი VI

წ ყ ა ლ ი ! წ ყ ა ლ ი !

დილის ოთხი საათისათვის გამეღვიძა. ძილმა თავისი გაიტანა და დაღლილობას ისე აღარა ვგრძნობდი, სამაგიეროდ, აუტანელი წყურვილი მტანჯავდა. ამის შემდეგ თვალი ვეღარ მოვხუჭე. სიზმარში ვნახე, ვითომ მდინარეში ვბანაობდი. ნაპირები ხეებითა და ბუჩქებით იყო გადამწვანებული, მაგრამ გაღვიძებისთანავე იძულებული გავხდი, მწარე სინამდვილეს დავბრუნებოდი: ირგვლივ ისევ გადახრუკული უდაბნო გადაჭიმულიყო. გამახსენდა ამბოპას სიტყვები, თუ წყალს ვერ მივაგენით, საზარელი სიკვდილით დავიხოცებითო. ვის შეუძლია უწყლოდ გაძლოს ასეთ თაკარაში! მე წამოვჯექი და ბინძური სახე გამშრალ-გაფშეკილი თითებით დავიზილე. ქუთუთოები ერთმანეთზე შემწებებოდა, ვეღარც ბაგეებს ვაცილებდი ერთმანეთს. თვალები ვერ გავახილე, სანამ მაგრად არ მოვიფშვნიტე. მალე გარიჟრაჟმა მოატანა, მაგრამ ჰაერში დილის სიგრილე ოდნავადაც არ იგრძნობოდა. საოცრად დახუთული, გავარვარებული დილის ბინდი გადაგვფენოდა თავს. ჩემს თანამგზავრებს ჯერ კიდევ ეძინათ. ბოლოს იმდენად ინათა, რომ კაცი ნაწერის გარჩევას შეძლებდა. მაშინ გადავშალე ინგოლძბის ლეგენდების პატარა წიგნი,

რომელსაც ჯიბით დავატარებდი, და კითხვა დავიწყე. იმ ადგილს მივადექი, სადაც ეწერა:

პატარა ბიჭუნას მიჰქონდა ოქროს ნაჭედი ლიტრა,
სავსე ანკარა წყლით, ფირუზის
ნაკადად რომ მოედინება ნამურსა და
რეიმსს შორის...

დახეთქილი ტუჩები უნებლიეთ ავაცმაცუნე, ან, უკეთ რომ ვთქვათ, შევეცადე ამეცმაცუნებინა. ამ ანკარა წყალზე ფიქრიც კი ჭკუას მაკარგვინებდა. აქ რომ რაღაც სასწაულით კარდინალი გაჩენილიყო თავისი ზანზალაკებით, საღმრთო წერილითა და სანთლებით, მივვარდებოდი და უკანასკნელ წვეთამდე შევსვამდი მის ხელსაბან წყალს, თუნდაც ეს წყალი პაპის ხელის დასაბანად ღირსქმნილი საპნით ყოფილიყო აქაფებული. უკანასკნელ წვეთამდე შევსვამდი-მეთქი, ვამბობ, რომ მცოდნოდა კიდევაც, ამისათვის მთელი კათოლიკური ეკლესიის რისხვა და შეჩვენება დამატყდებოდა თავს. წყურვილმა, დაღლილობამ და შიმშილმა ცოტათი გონი ამიმღვრია. უცბად ცხადლივ წარმომიდგა თვალწინ, რა გაოცებული მიაჩერდებოდა კარდინალი, მისი თანმხლები ლამაზი პატარა მორჩილი ამ ტანდაბალ, მზით გარუჯულ, ჭაღარა მონადირეს, როცა იგი ერთი ნახტომით გაჩნდებოდა მათ წინ, თავის ბინძურ სახეს წყლიან ჭურჭელში ჩაჰყოფდა და სულმოუთქმელად, უკანასკნელ წვეთამდე შესვამდა ძვირფას სითხეს. ეს იმდენად სასაცილოდ მეჩვენა, რომ თავი ვეღარ შევიკავე და გადავიხარხარე. ჩემმა ხრინწიანმა ხმამ დანარჩენებიც გააღვიძა. ისინიც მოჰყვნენ ჭუჭყიანი სახეების ზელასა და თვალების ფშვნეტას.

როცა ძილს ყველამ თავი გავართვით, გავმართეთ ბჭობა, როგორ მოვქცეულიყავით. ჩვენი მდგომარეობა სავალალო იყო, წვეთი წყალიც არ გაგვაჩნდა. მათარები გადმოვაპირქვავეთ, რომ სველ ყელზე ენა აგვესვა, მაგრამ რა, მათარები მშრალი იყო. გუდს ერთი ბოთლი ბრენდი ჰქონდა წამოღებული, იგი ახლა ხარბად დასცქეროდა ბოთლს, მაგრამ სერ ჰენრიმ იგი ხელიდან გამოსტაცა და გადაუმალა. ჩვენს ყოფაში მაგარი სასმელის დალევა უეჭველ სიკვდილს ნიშნავდა.

– წყალს რომ ვერ მივაგნოთ, დავიღუპებით და ის არის, – თქვა სერ ჰენრიმ.

– თუ მოხუცი პორტუგალიელის რუკას ვერწმუნებით, წყალი აქ სადღაც ახლოს უნდა იყოს, – მივუგე მე.

ჩემი სიტყვებით მაინცდამაინც არავინ აღფრთოვანებულა, ცხადზე უცხადესი იყო, რომ იმ რუკაზე დიდი იმედები არ უნდა დაგვემყარებინა.

ამასობაში კარგად გათენდა. ვისხედით და გაწამებულები შევცქეროდით ერთმანეთს. უეცრად ვენტფოგელი წამოდგა, აქეთ-იქით სიარულს მოჰყვა, თან მიწას თვალს არ აცილებდა. მერე ერთბაშად შეჩერდა, რაღაც წამოიყვირა და მიწაზე მიგვითითა.

– რა არის? – შევძახეთ ჩვენ, წამოვცვივდით და მისკენ გავექანეთ.

– დავუშვათ, ეს ქურციკის კვალია და ამასთან, სულ ახალი, მერე რა გინდა ამით თქვა? – ვკითხე მე.

– ქურციკი მუდამ წყლის სიახლოვეს ცხოვრობს, – მიპასუხა მან ჰოტენტოტურ ენაზე.

– მართალი ხარ, – ვუთხარი მე, – ეგ სულ გადამავიწყდა. ისღა დამრჩენია, ამისთვის ღმერთს მადლობა შევწირო.

ამ უმნიშვნელო აღმოჩენამ ძალა გაგვიორკეცა. საოცარია, რაგინდ გულგატეხილი და სასოწარკვეთილი არ უნდა იყოს ადამიანი, მაინც რაღაცას ებღაუჭება და იმედის ნაპერწკალიც რომ ჩაეღვენთოს გულში, თავს უკვე ბედნიერად გრძნობს. ბნელ ღამეში ცაზე ობლად რომ ციმციმებდეს ვარსკვლავი, მგზავრისთვის ესეც დიდი ნუგეში იქნება.

ამასობაში ვენტფოგელმა თავისი პაჭუა ცხვირი აპრიხა და გახურებული ჰაერი დაყნოსა. ასე ყნოსავს ჰაერს მთის ბებერი შურთხი, როცა საიდანმე საფრთხის მოახლოებას გრძნობს.

– წყლის სუნი მცემს, – თქვა ვენტფოგელმა.

სიხარულით ცას ვეწიეთ, რადგან ვიცოდით, რა საოცარი თანდაყოლილი ალღო აქვთ უდაბნოში გაზრდილ ადამიანებს.

სწორედ ამ დროს მზემაც ამოანათა მთელი თავისი ბრწყინვალებით და ჩვენს დატანჯულ თვალთა წინაშე ისეთი გასაოცარი სურათი გადაიშალა, რომ ლამის წყალიც კი დაგვავიწყდა. ჩვენგან ორმოცი-ორმოცდაათიოდე მილის დაშორებით დილის მზის სხივებში ვერცხლისფრად ლაპლაპებდა დედოფალ საბიას მკერდი. მის ორივე მხარეს სულეიმანის დიდი მთები გადაჭიმულიყო. ახლა, როცა ჩემს მაგიდასთან ვზივარ და მინდა ამ განსაცვიფრებელი სურათის სიდიადე გადმოგცეთ, საჭირო სიტყვებს ვეღარ ვპოულობ. ზედ ჩვენ წინ, თხუთმეტი ათასი ფუტის სიმაღლეზე აღმართულიყო ორი უზარმაზარი მთა, რომელთა ბადალი აფრიკაში კი არა, ჩემი აზრით, მთელი დედამიწის ზურგზე არ მოიპოვება. ამ ორ მთას, რომლებიც ერთმანეთისაგან ათიოდე მილით იყვნენ დაშორებული, ჩამოფხავებული კლდოვანი ქედი აერთებდა. მთებს ამაყად აღემართათ ცაში თოვლით დაფარული, გაქათქათებული მწვერვალები. ისინი თითქოს სვეტებად შედგომოდნენ უზარმაზარ ჭიშკარს და მოყვანილობით ძლიერ წააგავდნენ ქალის მკერდს. მთები თანდათან ვიწროვდებოდნენ მომრგვალებული მწვერვალებისაკენ და აქედან თითქმის გადატკეცილნი ჩანდნენ. ორივე მწვერვალი ვეებერთელა, თოვლით დაფარული ბორცვით მთავრდებოდა, ბორცვის მოყვანილობა ქალის ძუძუსთავს წააგავდა. ჩამოფხავებული კლდოვანი ქედის სიმაღლე რამდენიმე ათას ფუტს უდრიდა. ამ მთების ორივე მხარეს, სადამდეც კი თვალი მიგვიწვდებოდა, მოჩანდა ასეთივე ქედების ჯაჭვი. მათ შორის ამოზიდულიყო ბრტყელმწვერვალიანი მთები, რომლებიც რამდენადმე კეიპტაუნის მთას მოგვაგონებდა. სხვათა შორის, აფრიკისათვის ეს მთები ჩვეულებრივი გეოლოგიური წარმონაქმნია.

ვიმეორებ, არ ძალმიძს აღვწერო ამ სურათის თვალისმომჭრელი სილამაზე. ეს უზარმაზარი ვულკანები – მთები უეჭველად ჩამქრალ ვულკანებს წარმოადგენდნენ – იმდენად დიადი და დამთრგუნველი ჩანდა, რომ სუნთქვა შეგვეკრა.

დილის მზის სხივები ერთხანს აციალებდა თოვლიან მწვერვალებს და ელაციცებოდა ყავისფერ კლდეებს თოვლის ხაზს ქვემოთ. შემდეგ ღრუბელი და სქელი ნისლი უცნაურ ბოლქვებად აირ-დაირია და მთებს სქელ ფარდად აეკრა; თითქოს უნდოდა ეს დიდებული სურათი ჩვენი თვალთამზერისაგან მიეფარებინა. ახლა ძლივსღა ვარჩევდით მთების წმინდა მოხაზულობას, რომელიც ნისლის საბურველში ზმანებასავით მოჩანდა. როგორც შემდგომ დავადგინეთ, ამ მთებს, ჩვეულებრივ, უცნაური მჭივრი ნისლი ფარავდა ხოლმე. ალბათ ამიტომაც იყო, აქამდე კარგად რომ ვერ დავინახეთ.

როგორც კი მთებმა ნისლის პირბადე აიფარეს, გულზე კვლავ ცეცხლი შემოგვენთო, წყურვილი ადრინდელზე მეტად გვახრჩობდა.

ვენტფოგელმა კი თქვა, წყლის სუნი მცემსო, მაგრამ საითაც უნდა გაგვეხედა, სანუგეშოს ვერაფერს ვპოულობდით. სადაც კი თვალი მიგვიწვდებოდა, ყველგან მოჩანდა უნაყოფო, სიცხისაგან გათანგული ქვიშა და დაბალი ბუჩქნარი – სამხრეთ აფრიკის უწყლო პლატოების ჩვეულებრივი მცენარეულობა. ბორცვს ირგვლივ შემოვუარეთ. აღელვებით ვაკვირდებოდით ყოველ მტკაველ მიწას იმ იმედით, რომ სადმე წყალს წავაწყდებოდით, მაგრამ სად იყო წყალი? არ ჩანდა არც ორმო, არც ტბორი, არც ნაკადული, წვეთი რომ წვეთია, ისიც კი არსად შეგვინიშნავს.

– ჩერჩეტი ხარ და სხვა არაფერი, – გაბრაზებით ვუთხარი ვენტფოგელს. – ხომ ხედავ, წყალი აქ არსად არის.

მაგრამ ვენტფოგელმა ისევ აბზიკა თავისი საზიზღარი პაჭუა ცხვირი და ჰაერი დაყნოსა.

– მე ვგრძნობ წყლის სუნს, ბაას, – მითხრა პასუხად, – აქ, სადღაც, ჰაერში ვგრძნობ.

– დიახ, დიახ, – ჩავიცინე მე, – ღრუბლებში წყლის მეტი რაა! იმედი მაქვს, ერთი-ორი თვის შემდეგ იგი წვიმად წამოვა და ჩვენს გამხმარ ძვლებს დაალტობს.

სერ ჰენრიმ დაფიქრებით ჩამოისვა ქერა წვერზე ხელი.

– ეგება ბორცვის თხემზე მოჩუხჩუხებდეს და არა მის ძირში?

– ყოველი შემთხვევისათვის, წავიდეთ და ვნახოთ, – შევთავაზე მე.

უიმედოდ შევყევით ქვიშიან ფერდობს. უეცრად ამბოპა, რომელიც ჩვენ წინ მიაბიჯებდა, გაქვავებულივით შედგა.

– ანზია! ანზია! (წყალი, წყალი!) – დაიყვირა მან.

მისკენ გავექანეთ და, მართლაც, ზედ თხემზე ფიალის მსგავსი ღრმული დავინახეთ. ღრმულში წყალი იყო, დიახ, ნამდვილი წყალი!

დრო არ დაგვიკარგავს იმის გამოსაკვლევად, ამ უადგილო ადგილას წყალი საიდან გაჩნდაო, არც მისი შავი ფერის გამო დაგვიწყია ყოყმანი. ისიც კმაროდა, რომ ჩვენ წინ იყო წყალი, ან რაღაც მისი მსგავსი. წამის შემდეგ მიწაზე განრთხმულები დავეწაფეთ ამ მღვრიე სითხეს. ისეთი ნეტარებით ვსვამდით, თითქოს ღმერთების სასმელი ყოფილიყოს.

ვსვამდით და როგორ ვსვამდით! ოჰ, ღმერთო ჩემო!

როგორც იყო, მოვიკალით წყურვილი, მერე ტანთ გავიხადეთ და ტბორში ჩავწექით, რომ ჩვენს მზისაგან გაფშეკილ კანსაც შეესრუტა მაცოცხლებელი ტენი.

შენთვის, ჩემო მკითხველო, საკმარისია გახსნა ონკანი, რომ უხილავი ვეება ქვაბიდან გადმოდინდეს ცივი ან ცხელი წყალი, ამიტომ შენთვის არც თუ მთლად გასაგები იქნება, რა ნეტარებით ვჭყუმპალაობდით ამ მომლაშო, ბინძურ წყალში.

რამდენიმე ხნის შემდეგ გახალისებულები წყლიდან ამოვედით და მადიანად შევექეცით ჩვენს ბილტონგს, რომელსაც ამ ბოლო ხანებში არც ერთი ჩვენგანი არ გაკარებია. შემდეგ ჩიბუხები გავაბოლეთ, ამ კურთხეული წყლის პირას მივწექით და შუადღემდე ვიძინეთ.

მთელი ის დღე წყალთან გავატარეთ, ვისვენებდით და ბედს მადლობას ვწირავდით, რომ ეს ტბორი გვაპოვნინა. როგორი იყო ეს წყალი, ამას, რასაკვირველია, არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. არც ჩვენგან დიდი ხნის წინ წასული სილვესტრას მოხსენიება დაგვიწყებია, რომლისადმი უდიდესი მადლიერების გრძნობით ვიყავით გამსჭვალულები იმისათვის, რომ ასე ზუსტად გადაეტანა თავისი პერანგის ნაფხრეწზე ეს ტბორი, რაღაც მანქანებით ამდენ

ხანს რომ არ დამშრალიყო. ჩემი ვარაუდით, მას კვებავდა მიწისქვეშა ნაკადი, რომელიც ქვიშის სქელი ფენის ქვეშ მოედინებოდა.

მთვარის ამოსვლისთანავე კვლავ გზას გავუყევით, რასაკვირველია, გამგზავრების წინ ბლომად დავლიეთ წყალი და პირთამდე ავავსეთ ჩვენი მათარები. ყველანი საუცხოო გუნებაზე ვიყავით და იმ ღამით თითქმის ოცდახუთი მილი მოვიტოვეთ უკან.

თავისთავად ცხადია, წყალი აღარსად შეგვხვედრია. მაგრამ მეორე დღეს ბედმა მაინც გაგვიღიმა, ჭიანჭველების ბუდის უკან პაწაწინა ჩრდილი დავინახეთ, როცა მზე ამოვიდა და მთებს ნისლის საიდუმლო საბურველი ახადა, ჩვენთვის ცხადი შეიქნა, რომ სულეიმანის და დედოფალ საბიას მთებს ოციოდე მილიღა გვაშორებდა.

ასე გვეგონა, ეს მთები ზედ ჩვენ წინ იყო აღმართული. ახლა ისინი უფრო წარმტაცი გვეჩვენებოდა, ვიდრე წინათ. დაღამდა თუ არა, გზა განვაგრძეთ და მეორე დღეს, ალიონზე, უკვე დედაფალ საბიას მარცხენა ძუძუს ძირში ვიყავით. ეს არ გაგვკვირვებია, რაკი გზაში გეზი აქეთკენ გვეჭირა. ამ დროისათვის წყალი ისევ გაგვითავდა და წყურვილი საშინლად გვტანჯავდა. ახლა კი არავითარი იმედი აღარ გვქონდა, წყალს სადმე შევხვედროდით, ვიდრე არ მივადგებოდით თოვლის ზოლს, ამ უზარმაზარი მთის წვერზე რომ იყო. ერთი-ორი საათი დავისვენეთ და აუტანელი წყურვილით გაწამებულები კვლავ გზას დავადექით. დიდი გაჭირვებით შევყევით გაცივებული ლავით დაფარულ მთის ფერდობს. მზე უმოწყალოდ გვაჭერდა. აღმოჩნდა, რომ ეს უზარმაზარი მთა მრავალი საუკუნის წინათ ამოფრქვეული ლავის ფენებისაგან შედგებოდა.

თერთმეტი საათისათვის ძალ-ღონე მთლად გამოგველია. ფეხზე ძლივსღა ვიდექით. გაქვავებულმა, უსწორმასწორო ლავამ ფეხები დაგვისერა. მართალია, აქ ლავა საკმაოდ გლუვი იყო შედარებით მის სხვა სახეობებთან, რომელიც გვხვდება, მაგალითად, ამაღლების კუნძულზე, მაგრამ ზედ სიარული მაინც გვიჭირდა და ფეხებში გვტეხდა. როცა ყველა ჩვენს უბედურებას ესეც ზედ დაერთო, ვიგრძენით, რომ მეტის ატანა აღარ შეგვეძლო. ჩვენგან რამდენიმე იარდის დაშორებით ლავის დიდი ლოდები იყო გადმოშვერილი, მათ ჩრდილში თავისუფლად შეიძლებოდა თავის შეფარება.

რის ვაი-ვაგლახით მივაღწიეთ იქამდე და გაოცებულები შევდექით (საკვირველი იყო, კიდევ რომ შეგვრჩენოდა გაოცების უნარი!). ჩვენს ზემოთ, პატარა პლატოზე ლავა სქლად იყო დაფარული მწვანე მცენარეულით. როგორც ეტყობოდა, ლავის პროდუქტების დაშლის შედეგად იქ წარმოიქმნა მიწის ფენა, რომელზედაც დროთა განმავლობაში მოხვდა ჩიტების მიერ შემოტანილი თესლი. მაგრამ ამ მწვანე საფარმა დიდი ხნით ვერ დაგვაინტერესა. კაცი ვერ იცოცხლებს, ნაბუქოდონოსორივით მხოლოდ ბალახეული რომ ჭამოს. ბალახეულით სიცოცხლე რომ შეინარჩუნო, ამისთვის სხვანაირ ვარსკვლავზე უნდა იყო დაბადებული და ცოტა სხვა მოყვანილობის კუჭიც უნდა გქონდეს. ლოდების ჩრდილში შეფარებულები მძიმედ ვოხრავდით. პირადად მე გულწრფელად ვნანობდი, ამ ბედუკუღმართ საქმეში რომ ჩავები. უეცრად ამბოპა წამოდგა და იმ მწვანე პლატოსკენ წალასლასდა. რამდენიმე წუთის შემდეგ დავინახე, რომ ეს მუდამ დინჯი და საკუთარი თავის პატივისმცემელი პიროვნება ცეკვავდა და შლეგივით გაჰყვიროდა, ხელში კი რაღაც მწვანე ნაყოფი ეჭირა.

ვიფიქრეთ, ამბოპამ წყალი იპოვაო და ამ იმედით ფრთაშესხმულნი მისკენ გავექანეთ.

– რა მოხდა, ამბოპა, შე დამთხვეულის შვილო? – დავუყივრე.

– ეს წყალიც არის და საჭმელიც, მაკუმაზან, – მითხრა მან და ის მწვანე ნაყოფი კვლავ ჰაერში შეათამაშა. ახლა კი დავინახე, რა ეჭირა ხელში. ეს გახლდათ ნესვი. ჩვენ წავადექით პლატოს, სადაც ათასობით გარეული ნესვი მწიფობდა.

– ნესვები! – დავუყვირე გუდს, რომელიც ფეხდაფეხ მომყვებოდა უკან.

წამის შემდეგ გუდმა უკვე ჩაასო მწიფე ნაყოფს თავისი ხელოვნური კბილები.

ალბათ თითოეულმა ჩვენგანმა ექვს-ექვსი ნესვი მაინც შეჭამა, სანამ დაცარიელებულ კუჭს ამოივსებდა და გაძღებოდა. თუმცა ამ ნესვებს განსაკუთრებული გემო არა ჰქონია, მაგრამ ასე მეგონა, ჩემს სიცოცხლეში ამაზე გემრიელი არაფერი მეჭამა.

წყურვილი რომ მოვიკალით, ნესვები შუა-შუა დავჭერით და მზის გულზე დავაწყვეთ, რომ წყალი აორთქლებულიყო და ნაყოფი გაეცივებინა. მაგრამ მოგეხსენებათ, ნესვი არც თუ ისე მსუყე საჭმელია და შიმშილმა მალე ისევ შემოგვიტია. ცოტაოდენი ბილტონგი კი გვქონდა, მაგრამ გული არავის მიგვდიოდა. გარდა ამისა, უნდა დაგვეზოგა, რადგან, ვინ იცის, როდის ვიშოვიდით საჭმელს. სრულიად მოულოდნელად ბედმა გაგვიღიმა. მე უდაბნოსკენ ვიცქირებოდი. უეცრად თვალი მოვკარი ათიოდე დიდი ზომის ფრინველს, რომლებიც პირდაპირ ჩვენკენ მოფრინავდნენ.

– შკიტ, აას, სკიტ (ესროლე, ბატონო, ესროლე!) – ჩამიჩურჩულა ჰოტენტოტმა და მიწაზე განერთხო. ჩვენც მის მაგალითს მივბაძეთ.

ახლაღა მივხვდი, რომ ეს ფრინველები გარეული ინდაურები იყვნენ. ისინი ორმოცდაათი იარდის სიმაღლეზე მიფრინავდნენ. მე ვინჩესტერი ავიღე, თან ფრინველებს თვალს არ ვაშორებდი. როცა ზედ თავზე გადაგვიფრინეს, მოულოდნელად ფეხზე წამოვიჭერი, ფრინველები დაფრთხნენ და, როგორც მოველოდი, ერთად შუქუჩდნენ. ორჯერ დავახალე ტყვია და ერთი ინდაური ჩამოვაგდე. კარგა მოზრდილი ფრინველი იყო, ასე, ოც გირვანქამდე ხორცი აუვიდოდა. ნახევარი საათის შემდეგ ჩვენი ვახშამი ცეცხლზე შიშხინებდა, ცეცხლი ნესვის გამხმარი ღეროებისაგან გავაჩაღეთ. მთელი კვირის განმავლობაში ასეთი ღრეობა პირველად გვქონდა. ინდაური პირწმინდად შევჭამეთ, ძვლებისა და ნისკარტის გარდა აღარაფერი დაგვიტოვებია. კარგად დავნაყრდით და ახლა თავს გაცილებით უკეთ ვგრძნობდით.

ღამით, მთვარე რომ ამოვიდა, კვლავ გზას გავუდექით, თან წავიღეთ ნესვები, რამდენსაც მოვერიეთ. რაც უფრო მაღლა მივიწევდით, მით უფრო იგრძნობოდა სიცივე. ეს ჩვენთვის დიდი შეღავათი იყო. გამთენიისას თოვლის ხაზს სულ რაღაც ათიოდე მილით ვიყავით დაცილებული. იქ, მაღლა, კვლავ წავაწყდით ნესვს. წყალზე ფიქრი ახლა უკვე აღარ გვაშინებდა, რადგან სულ მალე თოვლიან მწვერვალს უნდა მივდგომოდით, მაგრამ გზა სულ უფრო და უფრო საშიში ხდებოდა. ჩვენ დიდი სიფრთხილით, ნელ-ნელა მივიწევდით წინ და საათში ერთ მილსაც ძლივს გავდიოდით. იმ ღამით ბილტონგის უკანასკნელი ნაჭერი შევჭამეთ. მას შემდეგ, რაც მთას ავუყევით, გარდა ინდაურებისა, არც ერთი ცოცხალი არსება არ შეგვხვედრია, არ წავწყდომივართ არც წყაროს, არც ნაკადულს, რაც ძალზე უცნაური გვეჩვენა. მწვერვალზე ხომ თოვლის უზარმაზარი ზვინები იდო, რომელიც, ჩვენი აზრით, დროდადრო მაინც უნდა დამდნარიყო, მაგრამ როგორც შემდეგ აღმოჩნდა, რაღაც ამოუხსნელი მიზეზის გამო, ყველა ნაკადული მთის ჩრდილო კალთაზე მიედინებოდა.

შიმშილი ძალიან გვაწუხებდა. ნამცეცი საჭმელიც არ გვქონდა. ნუთუ წყურვილით სიკვდილს მხოლოდ იმიტომ გადავურჩით, რომ შიმშილით დავხოცილიყავით?

ჩემი მოკლე ჩანაწერები უბის წიგნაკში ყველაზე უკეთ გაგაცნობთ ჩვენს სავალალო მდგომარეობას უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში.

მაისი. გზას დილის თორმეტ საათზე დავადექით, რადგან საკმაოდ გრილოდა და სიცხე არ შეგვაწუხებდა. თან წავიღეთ რამდენიმე ნესვი. გაჭირვებით მივდიოდით მთელი დღე. ნესვებს აღარსად გადავწყდომივართ, ალბათ გავცდით ზოლს, სადაც ისინი ხარობენ. არც ნადირი და ფრინველი შეგვხვედრია. მზის ჩასვლისას დავიკარვეთ. უკვე დიდი ხანია, არაფერი გვიჭამია. ღამით საშინლად ციოდა. გავწამდით.

მაისი. რიჟრაჟზე გზა განვაგრძეთ. ძალიან დასუსტებულები ვართ. მთელი დღის განმავლობაში ხუთი მილის გავლა ძლივს მოვახერხეთ. შეგვხვდა თოვლით დაფარული მიწის პატარა ნაკვეთები. თოვლი შევჭამეთ, რადგან სხვა საჭმელი არაფერი გვებადა. ღამის სათევად უზარმაზარ პლატოს შევეფარეთ. ძალიან ციოდა, ცოტა ბრენდი დავლიეთ, საბნებში გავეხვიეთ და, რომ არ გავყინულიყავით, ერთმანეთს მივეკარით. შიმშილი და დაღლილობა წარმოუდგენლად გვტანჯავდა. გვეშინოდა, ვენტფოგელი ღამით ხელში არ ჩაგვკვდომოდა.

მაისი. როგორც კი მზემ აიმაღლა და ჩვენი გაფშეკილ-გაშეშებული კიდურები ცოტათი შეათბო, კვლავ შევეცადეთ განგვეგრძო გზა. საშინელ მდგომარეობაში ვართ, თუ საჭმელს ვერსად წავაწყდით, ეს ჩვენი მოგზაურობისა და არსებობის უკანასკნელი დღე იქნება. ბრენდი სულ რამდენიმე ყლუპიღა დაგვრჩა. გუდს, სერ ჰენრისა და ამბოპას მშვენივრად უჭირავთ თავი, მაგრამ ვენტფოგელი ძალიან ცუდად არის, ჰოტენტოტები ხომ საერთოდ ვერ იტანენ სიცივეს. დღეს კუჭი ისე მწვავედ აღარ მტკივა, პირიქით, როგორღაც გაბუჟებული მაქვს. სხვებიც ასეთ მდგომარეობაში არიან. ჩვენ ახლა ვიმყოფებით იმ ფლატოვანი ქედის ანუ ლავის კედლის სიმაღლეზე, რომელიც ორ მთას აერთებს. ხედი საუცხოოა. ჩვენ უკან გადაშლილია თვალუწვდენელი უდაბნო, წინ კი რამდენიმე მილის მანძილზე თოვლის სწორი საფარია გადაჭიმული. მთა ზემოთ და ზემოთ თანდათან მრგვალდება. მის ცენტრში, ოთხი ათასი ფუტის სიმაღლეზე, აზიდულია უზარმაზარი მწვერვალი. ჩვენ ირგვლივ სულიერი არსად ჭაჭანებს. ღმერთო, გვიხსენი! ვფიქრობ, ჩვენი აღსასრული მოახლოებულია.

ახლა კი ჩემს დღიურს გვერდზე გადავდებ, რადგან იგი მაინცდამაინც დიდი ინტერესით არ უნდა იკითხებოდეს. გარდა ამისა, ის, რაც შემდეგ მოხდა, უფრო საინტერესოა და მინდა დაწვრილებით მოგითხროთ.

მთელი ის დღე (მაისი) ნელ-ნელა მივუყვებოდით თოვლიან ფერდობს. დროდადრო ჩავიფერხებდით, ან დავწვებოდით, რომ ძალა მოგვეკრიბა. ალბათ საოცარი სანახავები ვიყავით. ხუთი კაცი, ხუთი ძალღონეგამოცლილი, გასავათებული ადამიანი ძლივს მიათრევდა ფეხებს აზინვარებულ თოვლში და დამშეულები ხარბად აცეცებდნენ აქეთ-იქით თვალებს, მაგრამ სულ ტყუილად კი. რაც უნდა გვეძებნა, ირგვლივ პირში ჩასაკარებელს ვერაფერს ვიპოვიდით. იმ დღეს შვიდ მილზე მეტი არ გაგვივლია. მზის ჩასვლის ხანს მივაღწიეთ დედოფალ საბიას მარცხენა ძუძუს მწვერვალს – უზარმაზარ სწორ ბორცვს, რომელიც გაყინული თოვლით იყო დაფარული და ჩვენ ზემოთ ათასი ფუტის სიმაღლეზე გადმოყუდებულიყო.

ხომ შავი დღე გვადგა, მაგრამ ჩვენ წინ გადაშლილ სურათს მაინც თვალს ვერ ვაცილებდით. ჩამავალი მზის შუქი კიდევ უფრო აძლიერებდა ამ წარმტაცი ბუნების სილამაზეს. მზის სხივებს ალაგ-ალაგ სისხლისფრად შეეღება თოვლი, მთის მწვერვალისათვის კი ბრწყინვალე ჯიღა დაედგა.

– იცით, რა? – თქვა უეცრად გუდმა, – თუ ვერწმუნებით მოხუც და სილვესტრას, აქ, სადღაც მღვიმე უნდა იყოს.

– დიახ, დიახ, – მივაგებე მე, – უნდა იყოს, თუკი, საერთოდ, სადმე არსებობს.

– მომისმინეთ, ქუოტერმენ, – ამოიოხრა გუდმა, – ნუ ლაპარაკობთ ასე. მე სავსებით ვენდობი ამ რუკას. აბა წყლის ამბავი გაიხსენეთ? ჰოდა, მღვიმესაც მალე მივაგნებთ.

– ძალიან კარგი, მაგრამ თუ მაგ მღვიმეს დაბნელებამდე ვერსად წავადექით, მაინც ცოცხლებში აღარ უნდა ვიგულოთ თავი, – გაისმა დამამშვიდებელი პასუხი.

კიდევ ათიოდე წუთს მივლასლასებდით სიჩუმეში. ამბოპა ჩემს გვერდით მოდიოდა. საბანში გახვეულიყო, ტყავის ქამარი მაგრად შემოეჭირა წელზე, რომ, როგორც თვითონ ამბობდა, „შიმშილი მოეკრუნჩხა". უეცრად მან ხელზე ხელი წამატანა.

– შეხედეთ! – მითხრა და თითი მწვერვალისაკენ გაიწვდინა. მე იქითკენ გავიხედე და ორასიოდე იარდის დაშორებით, თოვლიან ფერდობზე ხვრელის მსგავსი რაღაც დავლანდე.

– იქ მღვიმეა, – თქვა ამბოპამ.

უკანასკნელი ძალა მოვიკრიბეთ და აჩქარებით გავეშურეთ იქითკენ. ის ხვრელი მართლა მღვიმის შესასვლელი აღმოჩნდა, სწორედ იმ მღვიმისა, და სილვესტრას რუკაზე რომ იყო აღნიშნული. სულზე მივასწარით. როგორც კი მღვიმეს მივაღწიეთ, მზე საოცარი სისწრაფით ჩაესვენა და ირგვლივ ყველაფერი წყვდიადმა მოიცვა. ამ განედზე ხომ ბინდბუნდი თითქმის არ არსებობს. მღვიმეში შევძვერით, იგი არც თუ ისე დიდი გვეჩვენა. ერთმანეთს მივეკარით, რომ როგორმე გავმთბარიყავით, და დარჩენილი ბრენდი გადავკარით. თითოეულს თითო ყლუპმა თუ მოუწია. ბრენდი დავლიეთ და შევეცადეთ, ჩვენი უბედურება და შავსვიანობა ძილში დაგვევიწყებინა, მაგრამ აუტანელმა სიცივემ თვალი არ მოგვახუჭინა.

დარწმუნებული ვარ, რომ ამ მაღალ ადგილას თერმომეტრი თოთხმეტ-თხუთმეტ გრადუს ყინვას უჩვენებდა. მკითხველს შეუძლია წარმოიდგინოს, რა იქნებოდა ეს ჩვენთვის, გზის სიმძიმით, უსმელ-უჭმელობითა და უდაბნოს სიცხით ღონემიხდილი ადამიანებისათვის. მე კი ამის ასაწერად სიტყვები არ მყოფნის. საკმარისია ვთქვა, რომ არასოდეს მიგრძვნია სიკვდილის მოახლოება ისე, როგორც იმ საზარელ ღამეს ვიგრძენი.

საათი საათს მისდევდა, ჩვენ მღვიმეში ვისხედით და ვგრძნობდით, როგორ დაეხეტებოდა ყინვა ჩვენ ირგვლივ, დაგვეძგერებოდა ხოლმე თითებში, ფეხებზე, სახეში. სულ უფრო მჭიდროდ ვეკვროდით ერთმანეთს, ვცდილობდით, გავმთბარიყავით, მაგრამ ამაოდ, ჩვენს გასაცოდავებულ დამშეულ ჩონჩხებს სითბო აღარ შერჩენოდათ. ზოგჯერ რომელიმე ჩვენგანს ძილი წაართმევდა თავს, მაგრამ ეს იყო მხოლოდ რამდენიმე წუთით. დიდხანს ძილი, საბედნიეროდ, არავის შეგვეძლო, რადგან, რომ დაგვძინებოდა, ვეღარც გავიღვიძებდით. დარწმუნებული ვარ, იმ ღამით მხოლოდ ნებისყოფამ შეგვინარჩუნა სიცოცხლე.

გათენებას ბევრი აღარაფერი უკლდა, როცა ვენტფოგელმა, მთელი ღამე კბილს კბილზე რომ აცემინებდა, ერთი მაგრად ამოიოხრა და კბილების კაწკაწი შეწყვიტა. მაშინ ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია, ვიფიქრე, ალბათ ჩაეძინა-მეთქი.

ვენტფოგელი და მე ზურგიზურგმიყრდნობილი ვისხედით და ვიგრძენი, რომ მისი ზურგი თანდათანობით გაცივდა, ბოლოს კი ყინულივით შეიქნა.

წყვდიადი რიჟრაჟმა შეცვალა. შემდეგ თოვლზე ოქროს სხივებიც აკიაფდა. მზე ამოგორდა და ჩვენი გათოშილ-გაყინული სხეულები გაანათა. მაშინღა დავინახეთ, ვენტფოგელი გარდაცვლილიყო, რაღა გასაკვირია, მისი ზურგი ასე ცივი რომ მეჩვენებოდა. საბრალოს ალბათ მაშინ ამოხდა სული, როცა მისი ოხვრა შემომესმა. ახლა მისი გვამი ერთიანად გაშეშებული იყო. ღრმად შეძრწუნებულნი, ფოფხვით გავშორდით ცხედარს (საოცარია, რა თავზარდამცემი გრძნობა გვიპყრობს ხოლმე მიცვალებულის დანახვისას). საბრალო ვენტფოგელი ისევ ისე იჯდა მუხლებზე ხელებშემოჭდობილი.

ამასობაში მზის ცივმა სხივებმა (დიახ, ნამდვილად ცივი სხივები იყო) პირდაპირ მღვიმეში შემოანათა. უეცრად ვიღაცამ საზარლად შეჰყვირა. უკან მივიხედე და რა დავინახე: მღვიმის ბოლოში, – მღვიმის სიგრძე ოციოდე ფუტი თუ იქნებოდა, – ვიღაც იჯდა, თავი მკერდზე ჩამოეგდო, გრძელი ხელები კი დაბლა დაეშვა. მიცვალებული იყო, თანაც თეთრკანიანი.

მიცვალებული სხვებმაც დაინახეს. ჩვენმა დაძაბულმა ნერვებმა ვეღარ შეძლეს ამ სურათის ატანა. ყველანი ერთმა სურვილმა შეგვიპყრო, – სასწრაფოდ გავცლოდით ამ საშინელ ადგილს. წამოვცვივდით და ნახევრად გაყინული ფეხების თრევით გასასვლელისაკენ გავექანეთ.

თ ა ვ ი V I I

ს ო ლ ო მ ო ნ მ ე ფ ი ს გ ზ ა

მღვიმიდან მზით გაბრწყინებულ თოვლიან პლატოზე გამოვცვივდით, მაგრამ თითქმის იმწამსვე შევჩერდით. ყველანი უხერხულად ვგრძნობდით თავს იმ სულმოკლეობისათვის, მიცვალებულის დანახვაზე რომ გამოვიჩინეთ.

– მე მღვიმეში უნდა შევბრუნდე, – თქვა სერ ჰენრიმ.

– რატომ? – შეეკითხა გუდი.

– რატომღაც ასე მგონია, რომ ის... ის ჩემი ძმა უნდა იყოს, – აღელვებით თქვა სერ ჰენრიმ.

ეს სავსებით შესაძლებელი გვეჩვენა და მღვიმეში შევბრუნდით. მზის სხივებმა და თოვლის ქათქათა სითეთრემ გარეთ ყველას თვალი მოგვჭრა, ამიტომ ნახევრად ბნელ მღვიმეში ერთ ხანს ვერაფერი გავარჩიეთ, მაგრამ თვალი ბნელს მალე შეეჩვია და ჩვენც კრძალვით მივუახლოვდით მიცვალებულს.

სერ ჰენრიმ ჩაიმუხლა და მკვდარს სახეში ჩააშტერდა.

– მადლობა ღმერთს, ჯორჯი არ ყოფილა! – შვებით წამოიძახა მან ბოლოს.

მაშინ მიცვალებულს მივუახლოვდი და დაკვირვებით დავაცქერდი, ასე, შუახნის კაცი იქნებოდა. სწორი ნაკვთები, გრძელი შავი ულვაში და შავი ჭაღარაშერეული თმა ჰქონდა. გადაყვითლებული კანი მაგრად გადაჭიმოდა გამშრალ სახეზე. ტანთ არაფერი ეცვა, გარდა ნახევრად შემომპალი შარვლისა,

რომელიც უკვე ძონძებად ქცეულიყო. მიცვალებულს ყელზე სპილოს ძვლის ჯვარცმა ეკიდა.

– ნეტავ ვინ უნდა იყოს? – წამოვიძახე გაკვირვებით.

– ნუთუ ვერ მიმხვდარხარ? – შემეკითხა გუდი.

მე უარის ნიშნად თავი გავიქნიე.

– ვინ უნდა იყოს, თუ არ ხოზე და სილვესტრა!

– ეგ შეუძლებელია! – შევძახე ათრთოლებული ხმით. – და სილვესტრა ხომ სამასი წლის წინათ მოკვდა.

– ვერ გამიგია, რა გიკვირთ, – მშვიდად მიპასუხა გუდმა, – ასეთ ყინვაში მიცვალებული სამასს კი არა, სამი ათას წელსაც გაძლებს. დაბალ ტემპერატურაზე სისხლი და ხორცი არ იხრწნება და უკუნითი უკუნისამდე შეინახება. ამ მღვიმეში კი, ღმერთმა დასწყევლოს აქაურობა, საკმაოდ ცივა. მზე აქ არ შემოიხედავს, ვერც ნადირი მოეხეტება, რადგან სულიერი არსად ჭაჭანებს. უეჭველია მონამ, დონ ხოზე თავის წერილში რომ ახსენებს, ტანსაცმელი თან წაიღო, მიცვალებული კი აქ დატოვა. ეს გასაგებიცაა, მარტო ვერაფრით შეძლებდა მის დამარხვას. აბა, ამას შეხედეთ! – გუდი დაიხარა და საკმაოდ უცნაური მოყვანილობის წვეტიანი ძვლის ნატეხი აიღო. – აი, ამ ძვლით დახატა და სილვესტრამ ის რუკა.

თავზარდაცემულები ვიდექით. ამ აღმოჩენამ იმდენად გაგვაოცა, რომ საკუთარი გასაჭირი სულ გადაგვავიწყდა. ყველაფერი თითქმის ზებუნებრივად მიგვაჩნდა. ჩუმად დავცქეროდით ძვლის ნატეხს და მოხუცი პორტუგალიელის ცხედარს.

– აბა, ნახეთ, – თქვა სერ ჰენრიმ და სილვესტრას მარცხენა ხელზე მიგვითითა. ხელს ოდნავ აჩნდა პატარა ჭრილობა. – აი, საიდან აუღია სისხლი, რომ წერილი დაეწერა. განა თქვენს სიცოცხლეში მსგავსი რამ გინახავთ?

ახლა ეჭვი აღარ გვეპარებოდა, რომ ჩვენ წინაშე ნამდვილად და სილვესტრას ცხედარი იყო. მართალი მოგახსენოთ, შიშმა ამიტანა.

შევყურებდით მიცვალებულს, რომლის მითითებების წყალობით ამ გამოქვაბულამდე მოვაღწიეთ. ეს მითითებები ხომ სამი საუკუნით ადრე იყო დაწერილი. ხელში მეჭირა ძვლის ნატეხი, რომლითაც სიკვდილის წინ წერდა. ვუცქეროდი ჯვარცმას, რომელსაც ალბათ მიცვალების ჟამს გაყინული ტუჩებით ეამბორა. ვიდექი ცხედრის წინაშე და თვალწინ დამიდგა ამ საზარელი დრამის უკანასკნელი სურათი. თვალწინ დამიდგა შიმშილისა და სიცხისაგან ღონემიხდილი მოგზაური, რომელსაც მარტოდმარტო ამოხდა სული ამ მღვიმეში. კვდებოდა, მაგრამ მაინც იმაზე ფიქრობდა, როგორმე ადამიანებისათვის გადაეცა თავისი დიდი საიდუმლო. მომეჩვენა კიდეც, რომ სახის ნაკვთებით რამდენადმე წააგავდა თავის შთამომავალს, ჩემს მეგობარს, სილვესტრს, ამ ოცი წლის წინ ჩემს მკლავზე რომ დალია სული. ეგებ ყველაფერი ეს ჩემი დაღლილი ფიქრის ნაყოფი იყო, მაგრამ ასეა თუ ისე, ჩვენ წინ იჯდა მოხუცი და სილვესტრა და თითქოს სასტიკად აფრთხილებდა მათ, ვინც არად აგდებს ბედისწერას და ცდილობს ფარდა ახადოს საიდუმლოებას. გაივლის საუკუნეები, ისევ და ისევ იჯდება აქ და თავზარს დასცემს მგზავრს, რომელიც ჩვენსავით შემთხვევით შემოეხეტება ამ მღვიმეში და მყუდროებას დაურღვევს. მიუხედავად იმისა, რომ შიმშილი გვაწუხებდა და სიცივით ვკანკალებდით, ამ სურათმა სულით-ხორცამდე შეგვძრა.

– წავიდეთ აქედან, – ხმადაბლა თქვა სერ ჰენრიმ, – თუმცა არა, ჩვენ დავუტოვებთ და სილვესტრას თანამოსაგრეს, რომელიც მის მარტოობას გაიზიარებს. ისინი ხომ ერთნაირი სიკვდილით დაიხოცნენ!

სერ ჰენრიმ ჰოტენტოტის გვამი და სილვესტრას ცხედრის გვერდით გადაიტანა. შემდეგ დაიხარა, გადაჭრა დამპალი თასმა, მოხუც პორტუგალიელს ყელზე რომ ეკიდა, და ჯვარცმა ხელში აიღო. არც ცდილა, თასმა გაეხსნა, რადგან გაყინულ თითებს ვერც კი ხრიდა. ვფიქრობ, ეს ჯვარცმა დღესაც მასთან ინახება. მე კი წამოვიღე ძვლის ნატეხი, და სილვესტრამ კალმად რომ იხმარა. ეს „კალამი" ახლაც ჩემ წინ, მაგიდაზე დევს. ზოგჯერ ხელს ამ ძვლის პატარა ნატეხით ვაწერ ხოლმე.

გარდასულ საუკუნეთა ამაყი თეთრკანიანი და საბრალო ჰოტენტოტი ფეხდაუკარებელი თოვლიანი მთების სიჩუმეში მუდმივ სადარაჯოზე დავტოვეთ. არაქათგამოცლილები მზით გაბრწყინებულ ველზე გამოვედით და გზას გავუყევით, დარწმუნებულნი, რომ სულ მალე ჩვენც ამ ორი ადამიანის ბედს გავიზიარებდით.

ნახევარი მილი თუ გვექნებოდა გავლილი, პლატოს კიდეს რომ მივადექით. აქედან ცხადად დავინახეთ, რომ მწვერვალი, ანუ ბორცვი, რომელიც მთას აგვირგვინებდა, არ იმყოფებოდა მთის შუაგულში, როგორც ეს უდაბნოდან გვეჩვენებოდა. სქელი ნისლის გამო ჩვენ ქვემოთ ვერაფერს ვხედავდით, მაგრამ მალე ნისლი შეფრთხა, მიიფანტ-მოიფანტა და დაბლა, ასე ორმოცდაათიოდე იარდზე, ზედ თოვლიანი ფერდობის კიდეზე ხასხასა ბალახით დაფარულ მდელოს მოვკარით თვალი. მდელოზე ნაკადული მიწანწკარებდა, მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ნაკადულის პირას ათი-თორმეტი ანტილოპა მიფიცხებოდა მზეს. ძალიან შორს ვიყავით, ამიტომ გაგვიჭირდა დადგენა, რა ჯიშს ეკუთვნოდნენ.

ვერ აგიწერთ, როგორ გაგვეხარდა ამ ცხოველების დანახვა. ეს იყო საჭმელი, აუარება საჭმელი და იგი ახლა როგორმე ხელთ უნდა გვეგდო. როგორ მოვქცეულიყავით? ანტილოპები ჩვენგან ექვსასი იარდით მაინც იქნებოდნენ დაცილებულნი, ესე იგი, აქედან კარგ მსროლელსაც კი გაუჭირდებოდა ტყვიის მიწვდენა. ვის უნდა ესროლა? არადა, ჩვენი სიკვდილ-სიცოცხლე ამ ერთ ტყვიაზე იყო დამოკიდებული.

სასწრაფოდ მოვითათბირეთ, რა გზას დავდგომოდით. ვერც კი ვიფიქრებდით იმაზე, რომ ანტილოპებს ჩუმად მივპარვოდით, რადგან ქარი მათკენ ქროდა. გარდა ამისა, როგორც არ უნდა გვეფრთხილა, შეუძლებელი იყო ამ ქათქათა თოვლში ჩვენთვის თვალი არ მოეკრათ.

– მეტი რა გზა გვაქვს, აქედან უნდა ვესროლოთ, – თქვა სერ ჰენრიმ. – საქმე ისაა, რომელი თოფი ვიხმაროთ, „ვინჩესტერი" თუ „ექსპრესი". თქვენ რას ფიქრობთ, ქუოტერმენ?

საკითხი სერიოზული იყო, სავაზნეკოლოფიანი „ვინჩესტერი" („ვინჩესტერი" ორი გვქონდა, ამბოპამ თავის თოფთან ერთად საბრალო ვენტფოგელის თოფიც წამოიღო) ათას იარდზე სცემდა, ორლულიანი „ექსპრესი" კი სამას ორმოცდაათ იარდს ძლივს უწევდა. ამ მანძილს იქით სროლა საფრთხილო იყო, რადგან შეიძლებოდა მიზნისათვის აგვეცდინა, მაგრამ თუ ტყვიას მოვახვედრებდით, ცხოველის მოკვლის მეტი შანსი გვქონდა, რადგან „ექსპრესი" სასკდომი ტყვიებით იყო დატენილი. საკითხი ძნელი გადასაჭრელი იყო, მე მაინც გავბედე და „ექსპრესი" ავირჩიე.

– ყველამ ესროლეთ იმ ანტილოპას, რომელიც თქვენს პირდაპირ დგას, – გავეცი განკარგულება, – უმიზნეთ პირდაპირ ბეჭში, ან ცოტა ზემოთ, შენ კი, ამბოპა, მოგვეცი ნიშანი, რომ ყველამ ერთბაშად გავისროლოთ.

ჩამოვარდა სიჩუმე. სამივენი ვუმიზნებდით თოფებს და გულდაგულ ვემზადებოდით სასროლად. უთუოდ ასე ემზადება ადამიანი, რომელმაც იცის, რომ მისი სიცოცხლე ამ ერთ გასროლაზეა დამოკიდებული.

– ისროლეთ! – ზულუსურ ენაზე თქვა ამბოპამ და სამივე თოფმა გამაყრუებლად იჭექა.

წამით ჰაერში, ჩვენს თვალთა წინ, ბოლის სამი ღრუბელი დაეკიდა. ეხომ აიტაცა თოფის ხმა და თოვლის თეთრი მდუმარება დაარღვია. მაგრამ აი, ბოლი გაიფანტა და, ოჰ, ღმერთო ჩემო! მამალი ანტილოპა ზურგით მიწაზე განრთხმულიყო და სასიკვდილოდ იკრუნჩხებოდა. არა, შიმშილით აღარ დავიხოცებოდით. ათიოდე წუთის შემდეგ წინ გვეწყო ანტილოპას გულ-ღვიძლი. მაგრამ აქ ახალი დაბრკოლება გადაგვეღობა წინ. შეშა არსად იყო, რომ ცეცხლი გაგვეჩაღებინა და ხორცი შეგვეწვა. დამწუხრებულ-დანაღვლიანებულნი შევცქეროდით ერთმანეთს.

– როდესაც ადამიანი სიკვდილის პირზეა მისული, მისთვის არჩევანი აღარ არსებობს, – თქვა გუდმა, – ვჭამოთ ეს ხორცი უმად.

მართლაც, სხვა გამოსავალი არ გვქონდა. შიმშილი კი იმ ზომამდე გვტანჯავდა, რომ გუდის სიტყვებს ჩვენში ზიზღის გრძნობა არ გამოუწვევია, რაც სხვა შემთხვევაში და სხვა დროს უთუოდ მოხდებოდა.

ხორცი რამდენიმე წუთით თოვლში ჩავმარხეთ გასაცივებლად, მერე ნაკადულის ცივ წყალში გავაღანღალეთ და დავუწყეთ ჭამა.

ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, ყველაფერი ეს ძალზე საზარელი მეჩვენება, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ იმ გულ-ღვიძლზე გემრიელი ჩემს სიცოცხლეში არაფერი მიჭამია. სულ რაღაც თხუთმეტიოდე წუთში ჩვენი ცნობა აღარ შეიძლებოდა. ყველანი გამოვცოცხლდით, ძალ-ღონე მოგვემატა, სუსტი მაჯისცემა გაგვიცხოველდა, ძარღვებში სისხლი აჩქეფდა, მაგრამ რაკი კარგად ვიცოდით, რა სახიფათო იყო ნაშიმშილარზე გაძღომა, ძალიან ვფრთხილობდით და დაზოგვით ვჭამდით.

– მადლობა ღმერთს! – წამოიძახა სერ ჰენრიმ, – ამ ცხოველმა სიკვდილს გადაგვარჩინა. სხვათა შორის, ქუოტერმენ, რა ცხოველი იყო ეგ?

მე წამოვდექი და მოკლულ ცხოველს მივუახლოვდი, რომ კარგად დამეთვალიერებინა, რადგან ბოლომდე არც ვიყავი დარწმუნებული, რომ ნამდვილად ანტილოპა იყო.

იგი სიდიდით ვირს არ ჩამოუვარდებოდა, ბეწვი სქელი ჰქონდა, ყავისფერი და ზედ ოდნავ შესამჩნევი წითელი ზოლები გასდევდა, რქები – დიდი და უკან გადახრილი. მართალი გითხრათ, ასეთი ცხოველი არასოდეს მენახა. ეს ჯიში ჩემთვის სრულიად უცნობი იყო. ბოლოს შევიტყვე, რომ ამ უცნაური ქვეყნის მცხოვრებნი მას „ინკოს" ეძახდნენ. „ინკო" ანტილოპას ერთ-ერთი იშვიათი სახეობაა და მხოლოდ და მხოლოდ ძალიან მაღლობ ადგილებში გვხვდება – იქ, სადაც სხვა ცხოველები, საერთოდ, არ ბინადრობენ. ჩვენს ანტილოპას ტყვია შიგ ბეჭში ჰქონდა მოხვედრილი. ძნელი სათქმელია, ვისმა ტყვიამ მოუსწრაფა სიცოცხლე, მაგრამ ვფიქრობ, გუდს ახსოვდა, როგორ მოკლა ჟირაფი და გულის სიღრმეში ანტილოპას სიკვდილსაც თავის მარჯვენას მიაწერდა. მაგრამ, მართალი გითხრათ, ამის გამო არ შევდავებივართ.

ჭამაში გართულებს ყველაფერი გადაგვავიწყდა და არც კი გვიფიქრია, სად ვიმყოფებოდით, მაგრამ მხეცური შიმშილი რომ დავიოკეთ, დავმშვიდდით და ადგილმდებარეობის დათვალიერებას შევუდექით. ამბოპას ვუბრძანეთ, აეკაფა საუკეთესო ნაჭრები, რომ გზაში ხორცის საკმაო მარაგი გვქონოდა. უკვე დილის რვა საათი სრულდებოდა. ჰაერი სუფთა და კრიალა იყო, გეგონებოდათ, ის სქელი ნისლი, წეღან ხევხუვებს რომ ებურა, ერთიანად მზემ შეიწოვაო. როგორ ავწერო იმ სურათის სიდიადე, თვალწინ რომ გადაგვეშალა – ჩვენს თავზე და ზურგს უკან ამართული იყო მთები, დედოფალ საბიას მთების ქათქათა, თეთრი

მწვერვალები. დაბლა კი, ასე, ხუთასი ფუტის დაშორებით, თვალისმომჭრელი ხედი იშლებოდა. ჩვენ პირდაპირ ქედებს, ველებსა და თვალუწვდენ ჩაბნელებულ ტყეებს შორის მოედინებოდა ფართო მდინარე. ხელმარცხნივ გადაჭიმული იყო ფართო საძოვრები, ტალღისებურად მობიბინე ბალახში ჯოგები გაფანტულიყვნენ. შორს, ცის დასალიერთან ძლივს ილანდებოდა მთები. მარჯვნივ მთა-გორები ნაკლებად იყო. ცალკეულ ქედებს მოვლილ-დამუშავებული ველების ზოლი ემიჯნებოდა. ველებს შორის ჯგუფ-ჯგუფად მოჩანდა გუმბათისებური ქოხები. მთელი ეს სურათი რუკასავით იყო გადაშლილი ჩვენ თვალწინ. მდინარეები ვერცხლის გველებივით მიიკლაკნებოდნენ; მედიდურად აზიდულიყო თოვლის გვირგვინებით თავშემკობილი მთის მწვერვალები. ცად კი მხიარულად ციმციმებდა მზე. ყველგან სიცოცხლის სუნთქვა იგრძნობოდა.

ძალიან გაგვაოცა იმან, რომ ჩვენ წინ გართხმული მიწა სამი ათასი ფუტით უფრო მაღლა იმყოფებოდა უდაბნოზე, ახლახან რომ გადმოვლახეთ, და იმანაც, უკლებლივ ყველა მდინარე სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ რომ მიედინებოდა.

ჩვენს მძიმე განსაცდელის ჟამს დავრწმუნდით, რომ ქედის სამხრეთ ფერდობზე, რომელზედაც ამჟამად ვიდექით, არსად იყო წყალი, მაშინ, როცა ჩრდილოეთ ფერდობზე ზოლებად მიიკლაკნებოდა ნაკადულები. მათი უმეტესობა ერთვოდა უცნაურად დახლაკნილ დიდ მდინარეს, რომელიც ქვეყნის შუაგულისაკენ მიედინებოდა. ვისხედით და მოჯადოებულებივით უხმოდ გავცქეროდით ბუნების ამ საოცარ სურათს. სიჩუმე სერ ჰენრიმ დაარღვია.

– მითხარით, ქუოტერმენ, – მკითხა მან, – აღნიშნულია თუ არა და სილვესტრას რუკაზე სოლომონ მეფის დიდი გზა?

მე თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე, ისე რომ ჩემს წინ გადაშლილი სურათისათვის თვალი არ მომიცილებია.

– მაშ მიიხედეთ იქით, – მითხრა სერ ჰენრიმ და მარჯვნივ მიმითითა, – აი ის გზაც.

მე და გუდმა ნაჩვენები მიმართულებით გავიხედეთ და დავინახეთ ფართო გზა, რომელიც თავდაპირველად ვერ შევამჩნიეთ, რადგან იგი ბარში ჩასვლისთანავე მკვეთრად უხვევდა გვერდით და ბორცვებს შორის იკარგებოდა. საკვირველია, მაგრამ ამ აღმოჩენას ჩვენზე მაინცდამაინც დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. ამდენი რამის გადამტანებს აღარაფერი გვაკვირვებდა, თითქოს ისიც კი ჩვეულებრივ ამბად მივიჩნიეთ, რომ ამ მიკარგულ ქვეყანაში ვხედავდით გზატკეცილს, რომელიც, ერთი თვალის გადავლებით, ძველი რომის მოვლილ-შენახულ გზებს მოგვაგონებდა.

– ჩემი აზრით, გზა აქ სადღაც, მარჯვნივ, სულ ახლოს უნდა გადიოდეს, – თქვა გუდმა. – წავიდეთ, ვეძიოთ.

ეს კეთილგონივრული რჩევა იყო. ნაკადულში ხელ-პირი დავიბანეთ და გუდს მივყევით. ერთხანს კაჭარზე და უთოვლო, მოტიტვლებულ ადგილებში მივაბიჯებდით. ამგვარად გავიარეთ დაახლოებით ერთი მილი და პატარა ბორცვის თხემზე აღმოვჩნდით. უეცრად ზედ ჩვენ წინ გზატკეცილი დავინახეთ... დიახ, ეს კლდეში გაჭრილი საუცხოო გზატკეცილი გახლდათ. სიგანით დაახლოებით ორმოცდაათი ფუტი იქნებოდა. საუცხოოდ იყო შენახული, ეტყობოდა, კარგად უვლიდნენ. თავდაპირველად ვიფიქრეთ, გზა აქ იწყებაო, მაგრამ, როდესაც დაბლა დავეშვით და უკან, დედოფალ საბიას მთებს მივხედეთ, დავინახეთ, რომ იგი მთებისკენ მიემართებოდა, მაგრამ ჩვენგან ასიოდე ნაბიჯზე

მოულოდნელად სადღაც იკარგებოდა. იქიდან მთელი მთის ფერდობი კაჭარით იყო დაფარული. მოტიტვლებული ადგილებიც ბლომად ჩანდა.

– როგორ ფიქრობთ, რა მოხდა, სად დაიკარგა გზა? – შემეკითხა სერ ჰენრი.

გაოგნებულმა თავი გავიქნიე.

– ყველაფერი ცხადია, – თქვა გუდმა, – დარწმუნებული ვარ, რომ ოდესღაც ეს გზა ქედზე გადადიოდა და უდაბნოს ჭრიდა. მაგრამ დროთა განმავლობაში, ვულკანების ამოხეთქვის შემდეგ, იგი მთებში ლავამ გადარეცხა, უდაბნომ კი ქვიშით დაფარა.

ეს მოსაზრება სიმართლესთან ახლოს იყო. ყოველ შემთხვევაში, ყველანი დავეთანხმეთ გუდს და მთიდან ნელ-ნელა დავეშვით. ახლა მაძღრები ვიყავით, გზატკეცილზე ადვილად მივაბიჯებდით, მაშინ, როცა ამოსვლისას ფეხებს ძლივს ვადგამდით და შიმშილით დაოსებულები, არაქათგამოლეულები და გაყინულები, წამდაუწუმ თოვლში ვეფლობოდით. ახლა თავს საუცხოოდ ვგრძნობდით, მაგრამ გვაგონდებოდა საბრალო ვენტფოგელი, მისი შემზარავი სიკვდილი, ბნელი მღვიმე, სადაც იგი და სილვესტრასთან ერთად დავტოვეთ, და გული გვეთუთქებოდა. საკუთრ თავზე აღარ ვფიქრობდით, მიუხედავად იმისა, რომ მივდიოდით უცხო მხარეში, რომელზედაც არაფერი ვიცოდით. ვინ იცის, რა მოგველოდა იქ!

რაც უფრო დაბლა მივიწევდით, ჰაერი მით უფრო რბილი და სურნელოვანი ხდებოდა. ჩვენ წინ გადაშლილი მიწა სულ უფრო და უფრო გვატყვევებდა თავისი სილამაზით. რაც შეეხება გზას, უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემს სიცოცხლეში მსგავსი არაფერი მენახა, თუმცა სერ ჰენრი ამტკიცებდა, სენ-გოტარდის გზა შვეიცარიაში ამ გზატკეცილს ძალიან წააგავსო. ეტყობოდა, მშენებლებს, რომელთაც ეს გზა გაჰყავდათ, არ აშინებდათ არავითარი დაბრკოლება და სიძნელე. ერთ ადგილას წავადექით ხეობას, რომლის სიგანე სამასი ფუტი მაინც იქნებოდა, სიღრმე კი არანაკლებ ასი ფუტისა და დავინახეთ, რომ იგი მთლიანად თლილი ლოდებით იყო ამოვსებული. ამ ლოდებში დატანებული იყო ღარი, რომ წყალს დაბლა თავისუფლად ედინა. მეორე ადგილას გზა უფსკრულის პირას მიიკლაკნებოდა. უფსკრულის სიღრმე ხუთასი ფუტი იქნებოდა. მესამეგან ოცდაათი ფუტის სიგრძის გვირაბს წავაწყდით. იგი გათხრილი იყო კლდეში, რომელიც გზას წინ ეღობებოდა. გვირაბის კედლები ბარელიეფებით იყო შემკული. ბარელიეფებზე უმთავრესად ჯავშანში ჩასმული მეომრები იყო გამოხატული, ისინი ეტლს მართავდნენ. განსაკუთრებით მომეწონა ერთი ბარელიეფი. წინა პლანზე ასახული იყო ბრძოლა, შორს, უკან კი დამარცხებული ტყვეები მიდიოდნენ.

სერ ჰენრი დიდი ინტერესით ათვალიერებდა შორეული წარსულის ამ შესანიშნავ ნიმუშებს.

– რასაკვირველია, – თქვა მან ბოლოს, – შესაძლოა, ამ გზას სოლომონ მეფის გზა ერქვას, მაგრამ გავბედავ ვთქვა, რომ ეგვიპტელები აქ სოლომონ მეფის ქვეშევრდომების მოსვლამდე ყოფილან. ეს ბარელიეფები ძველი ეგვიპტური სტილის ნიმუშებს წააგავს.

შუადღისათვის უკვე კარგა გვარიანი მანძილი გავიარეთ და ტყის ზონაში შევედით. თავდაპირველად მხოლოდ აქა-იქ გვხვდებოდა წვრილი ბუჩქნარი, მაგრამ რაც უფრო დაბლა ჩავდიოდით, ბუჩქები მით უფრო ხშირდებოდა. ბოლოს მივაღწიეთ ერთ ფართო კორომს და დავინახეთ, რომ აქ ხარობდა მოვერცხლისფროფოთლიანი ხეები. ასეთი ხეები კეიპტაუნთან, მაგიდის მთის ფერდობებზე შემხვედრია და ამიტომ, ცოტა არ იყოს, გაკვირვებული დავრჩი.

– ოჰ, – აღტაცებით წამოიძახა გუდმა, აბზინვარებული ფოთლების დანახვაზე, – აქ ხომ აუარებელი შეშაა. მოდით, ცოტა შევისვენოთ და სადილიც მოვამზადოთ. ჩემმა კუჭმა ის უმი ხორცი უკვე მოინელა.

ეს წინადადება ყველას მოეწონა. გზიდან ოდნავ გადავუხვიეთ და იქვე მოლიკლიკე ნაკადულისკენ წავედით. ხმელი ფიჩხი შევაგროვეთ და ორიოდე წუთის შემდეგ ცეცხლი ავაგუზგუზეთ. ხორცს რამდენიმე სქელი ნაჭერი ჩამოვაჭერით, წვეტიან ჯოხებზე წამოვაგეთ და ნაკვერცხლებზე ავაშიშხინეთ. სხვათა შორის, ხორცს კაფრებიც ამგვარად წვავენ. სადილს უდიდესი სიამოვნებით შევექეცით. როდესაც კარგად დავნაყრდით, ჩიბუხები გავაჩაღეთ და თავი განცხრომას მივეცით. ამგვარი ყოფა განვლილი ტანჯვა-წამებისა და ათასი უბედურების შემდეგ თითქმის ღვთაებრივი გვეჩვენა. ნაკადულის ნაპირებს სქლად მოსდებოდა უზარმაზარი გვიმრები, მათ შორის მაქმანებივით გამჭვირვალე ველური სატაცური იჭყიტებოდა, ნაკადული მხიარულად მორაკრაკებდა, ნაზი ნიავი ხეების ვერცხლისფერ ფოთლებში დაქროდა. ირგვლივ ქედნები ღუღუნებდნენ. პატარა ჩიტები ტოტიდან ტოტზე ხტოდნენ, მათი ჭრელი, მოხატული ბუმბული ძვირფასი ქვებივით ელვარებდა. დიახ, ეს ჭეშმარიტი სამოთხე იყო.

შეგნებამ იმისა, რომ დაუსრულებელი ტანჯვა-წამება, ფათერაკებით აღსავსე დღეები წარსულს ჩაბარდა და, როგორც იქნა, აღთქმულ ქვეყანას მივაღწიეთ, ისე გაგვაოგნა, რომ უნებლიეთ ყველანი დავდუმდით. სერ ჰენრი და ამბოპა გვერდიგვერდ ისხდნენ და დამტვრეულ ინგლისურ და არანაკლებ დამტვრეულ ზულუსურ ენაზე ხმადაბლა ლაპარაკობდნენ. მე გვიმრის სურნელოვან საწოლზე ვიწექი და თვალმილულული მათკენ ვიცქირებოდი. უეცრად შევამჩნიე, რომ გუდი სადღაც გაქრა და თვალებით ძებნა დავუწყე. მალე მივაგენი კიდეც. იგი ფლანელის პერანგის ანაბარა იჯდა ნაკადულის პირას, ტანის დაბანა უკვე მოესწრო. ამ კაცს იმდენად ჰქონდა ტანში გამჯდარი სისუფთავის გრძნობა, რომ ძვირფას დროს დასვენების ნაცვლად თავის წესრიგში მოყვანას ანდომებდა.

მას უკვე გაერეცხა გუტაფისის თეთრი საყელო, გაებერტყა და გულდაგულ გაეწმინდა პიჯაკი, ჟილეტი, შარვალი, რომლებიც გზაში დახეოდა, დაჰყურებდა დახეულ-გამოგლეჯილ ადგილებს და თავს ნაღვლიანად იქნევდა. შემდეგ ტანსაცმელი კოხტად დაკეცა, ნაპირზე დააწყო, ფეხსაცმელი აიღო და ტალახი გვიმრით მოაცილა, გაუსვა ქონი, რომელიც ინკოს ხორცს საგანგებოდ ააჭრა და დიდხანს აპრიალებდა. როცა ფეხსაცმელმა ლაპლაპი დაიწყო, მონოკლით კარგად დაათვალიერა და ჩაიცვა. პატარა სამგზავრო ტოპრაკიდან, რომელსაც არასოდეს არ იშორებდა, ამოიღო სავარცხელი შიგ ჩადგმული სარკით და ყურადღებით დააკვირდა თავის სახეს. ეტყობოდა, უკმაყოფილო დარჩა, რადგან ხელი მიჰყო თმის ვარცხნას და სწორებას. მერე ისევ სარკეში ჩაიხედა. ჩაიხედა და თავი კვლავ არ მოეწონა. თითებით მოისინჯა ნიკაპი, რომელზედაც კარგა მოზრდილი წვერი ამოსვლოდა. რა გასაკვირია, უკვე ათი დღე იყო, მის სახეს სამართებელი არ მიჰკარებოდა.

– „არა, ეს შეუძლებელია, – გავიფიქრე მე, – ნუთუ პირის გაპარსვას აპირებს?"

დიახ, არ შევმცდარვარ, გუდმა აიღო ქონის ნაჭერი, რომლითაც წელან ფეხსაცმელი გააპრიალა, გულდაგულ გააღანღალა წყალში, შემდეგ ისევ გახსნა ტოპრაკი, ბრინჯაოს პატარა სამართებელი ამოიღო, ლოყებზე და ნიკაპზე ქონი წაისვა და პარსვას შეუდგა. ეტყობოდა, ეს საკმაოდ მტკივნეული იყო, იმიტომ, რომ დროდადრო ოხრავდა და კვნესოდა. მე კი სიცილით ვიგუდებოდი, როცა

ვუყურებდი, როგორ ცდილობდა ჩვენი კაპიტანი გაეპარსა აქეთ-იქით გაჩაჩხული, სქელი, ჯაგრისებური წვერი.

როგორც იქნა, დიდი ჯახირის შემდეგ, გაიპარსა მარჯვენა ლოყა და სწორედ ამ დროს რაღაც სხივმა ელვასავით გადაუქროლა თავზე.

გუდი საშინელი წყევლა-კრულვით წამოხტა (დარწმუნებული ვარ, ჩვეულებრივი სამართებელი რომ ჰქონოდა, უეჭველად ყელს გამოიჭრიდა). მეც ფეხზე წამოვიჭერი – ოღონდ მასავით წყევლა-კრულვას არ მოვყოლივარ, – და, აი, რა დავინახე: ჩემგან ოციოდე, გუდისაგან კი, ალბათ, ასე, ათიოდე ნაბიჯზე იდგა ხალხი. ძალზე მაღლები იყვნენ, კანი მოწითალო-მოსპილენძისფრო ჰქონდათ, ზოგ მათგანს თავზე შავი ბუმბულის ჯიღა ედგა, მხრებზე კი ჯიქის ტყავის მოსასხამი მოესხა. ერთი თვალის შევლებით სხვა ვერაფერი დავინახე.

ყველაზე წინ ჩვიდმეტიოდე წლის ჭაბუკი იდგა, ხელი მაღლა აღემართა და დისკოსმტყორცნელის ანტიკურ ქანდაკებას წააგავდა. როგორც ეტყობოდა, მან ისროლა ის დანა, კაპიტანს თავზე ელვასავით რომ გადაუშხივლა.

ვიდრე მათ ვათვალიერებდი, წინ წამოდგა მოხუცი, ჭაბუკს ხელი წაავლო და რაღაც უთხრა. შემდეგ ყველანი ჩვენკენ გამოემართნენ. სერ ჰენრიმ, გუდმა და ამბოპამ თოფებს ხელი დაავლეს და მუქარით აღმართეს, მაგრამ მოსულებს ამისათვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ, არც ფეხი შეუჩერებიათ. ცხადი იყო, არ იცოდნენ, რა იყო თოფი, წინააღმდეგ შემთხვევაში ასე გულგრილად არ მოიქცეოდნენ.

– დაყარეთ თოფები! – დავუყვირე თანამგზავრებს, რადგან მივხვდი, თუ სიცოცხლე გვსურდა, უნდა დაგვერწმუნებინა ეს ხალხი, რომ ცუდი განზრახვით არ ვიყავით მოსულნი და ვცდილიყავით, როგორმე მათი გული მოგვენადირებინა. გუდი, სერ ჰენრი და ამბოპა ჩემს ბრძანებას დაემორჩილნენ. მე კი წინ წავდექი და თავი დავუკარი მოხუც მეომარს, წედან ის ჭაბუკი რომ შეაჩერა.

– სალამი თქვენდა! – მივესალმე ზულუსურად, თუმცა არ ვიცოდი, ამ ხალხთან რა ენაზე მელაპარაკა. ძალიან გამიკვირდა, როცა მოხუცი ნათქვამს მიმიხვდა.

– სალამი! – მომიგო მან არც თუ ისე წმინდა ზულუსურით, მაგრამ მე და ამბოპა მაშინვე მივხვდით, რაც გვითხრა.

შემდეგ შევიტყვეთ, ეს ხალხი ძველი ზულუსურით ლაპარაკობდა. ძველსა და ახალ ზულუსურს შორის დაახლოებით ისეთივე განსხვავებაა, როგორიც ჩოსერის ენასა და მეცხრამეტე საუკუნის ინგლისურ ენებს შორის.

– საიდან მოხვედით? – გვკითხა მოხუცმა. – ვინ ხართ? რატომ არის, რომ თქვენს შორის სამს თეთრი კანი აქვს, მეოთხე კი სახით ისე წაგვაგავს, თითქოს ჩვენთა დედათა ეშობნეს? – თქვა და ამბოპაზე მიგვითითა.

ამბოპას შევხედე და დავრწმუნდი, მოხუცი მართალს ამბობდა. ჩვენი მსახური სახით და თვალ-ტანადობით საოცრად წააგავდა ამ ხალხს, მაგრამ მაშინ ამაზე ფიქრის დრო არ მქონდა.

– ჩვენ უცხოელები ვართ და აქ მშვიდობიანი განზრახვით მოვედით, – ვუთხარი მე. თან ვცდილობდი, რაც შეიძლებოდა, ნელა მელაპარაკა, რომ მოხუცი ჩემი სიტყვების აზრს მიმხვდარიყო. – ეს კაცი კი, – დავუმატე შემდეგ, – ჩვენი მსახურია.

– ცრუობ, – მომახალა მოხუცმა, – არც ერთ ადამიანს არ შეუძლია გადმოლახოს ეს მთები, იქ ხომ ყველა სულიერი კვდება და იღუპება. თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, ცრუობ თუ არა, უცხოელებს ეკრძალებათ კუკუანელთა

მიწაზე ფეხის დადგმა. თქვენ უნდა დაიხოცოთ, ასეთია მეფის უზენაესი ბრძანება. მოემზადეთ, ჰოი, უცხოელებო!

ამ სიტყვებმა, ცოტა არ იყოს, შემაცბუნა. მეტადრე მაშინ შევკრთი, როცა მეომრებმა ქამარზე იტაცეს ხელი. ქამრებზე დიდი მძიმე დანის მსგავსი რაღაც იარაღი ეკიდათ.

– რას რატრატებს ეგ ბებერი მაიმუნი? – მკითხა გუდმა.

– ამბობს, უნდა დაგხოცოთო, – კუშტად მივუგე მე.

– ოჰ, ღმერთო ჩემო! – აღმოხდა კვნესა გუდს და, როგორც ყოველთვის, აღელვების ჟამს, ახლაც ხელი პირისკენ წაიღო, ზემო ყბის ხელოვნური კბილები გამოიღო, შემდეგ ისევ ჩაიდგა და ენა გაატკაცუნა, რომ კბილები მჭიდროდ ჩაჯდომოდა.

გუდი უკეთესს ვერაფერს მოიფიქრებდა. ამის დანახვაზე ამაყ კუკუანელებს შემზარავი ყვირილი აღმოხდათ და ყველამ უკლებლივ რამდენიმე იარდით უკან დაიხია.

– რა ამბავია, რა მოხდა? – გაოცებით შევეკითხე სერ ჰენრის.

– გუდმა კბილები ჩამოიხსნა, – აღელვებით ჩამჩურჩულა სერ ჰენრიმ, – ჰოდა, ამის დანახვაზე თავზარი დაეცათ. გუდ, გამოიღეთ კბილები, სულ გამოიღეთ!

კაპიტანი იმწამსვე დათანხმდა, კბილები გამოიღო და მარჯვედ ჩამალა ფლანელის პერანგის სახელოში.

ცნობისმოყვარეობამ თანდათანობით სძლია შიშს და კუკუანელები ნელ-ნელა ისევ მოგვიახლოვდნენ. როგორც ეტყობოდათ, სულ დაავიწყდათ, ყელის გამოღადვრას რომ გვიპირებდნენ.

– გვითხარით, ჰოი, უცხოელებო! – მოგვმართა მოხუცმა და ხელი გუდისკენ გაიწვდინა. გუდი ფლანელის – პერანგისამარა იყო, სახე სანახევროდ გაპარსული ჰქონდა, – როგორ შეუძლია ამ მსხვილ კაცს, რომელსაც სხეულს ტანსაცმელი უფარავს, ფეხები კი შიშველი აქვს, თმა მხოლოდ სახის ერთ მხარეს ეზრდება, მეორეზე კი ბეწვიც არ ამჩნევია, ერთ თვალში მეორე თვალი უდგას, – გამჭვირვალე მბრწყინავი თვალი – როგორ შეუძლია-მეთქი ამ კაცს, თავის ნებაზე გამოიღოს კბილები პირიდან და მერე ისევ ჩაიდგას?

– გააღეთ პირი! – ვუჩურჩულე გუდს.

კაპიტანმა იმწამსვე გააღო პირი და გამოაჩინა ორი წითელი ნუნა, რომელთაც ახლად შობილი სპილოსავით კბილების ნიშანწყალიც არსად ეტყობოდათ.

– სად გააქრო კბილები? – შიშით შეჰყვირეს კუკუანელებმა, – აკი წეღან პირში ჰქონდა!

გუდმა ველურებს ამაყად შეაქცია ზურგი, ხელი პირთან მიიტანა, შემდეგ შემობრუნდა, პირი გააღო და, – ჰოი, საკვირველებავ! – ველურებმა პირში ჩაწიკწიკებული კბილები დაუნახეს.

მაშინ ის ჭაბუკი, გუდს დანა რომ ესროლა, მიწაზე დაეცა და თავზარდაცემულმა გულშემზარავი ყვირილი მორთო. მოხუცს კი შიშისაგან მუხლები აუკანკალდა.

– ახლა კი ვხედავ, რომ სულები ხართ, – ენის ბორძიკით წაიბუტბუტა მან, – რადგან არც ერთ მოკვდავს, ქალის მიერ შობილს, არ ეზრდება წვერი ცალ მხარეს, არა აქვს მრგვალი, გამჭვირვალე თვალი და თავის ნებაზე მოსეირნე კბილები. მოგვიტევეთ, ჰოი, მბრძანებელო!

ალბათ მიხვდებით, როგორ გამეხარდებოდა ამ სიტყვების გაგონება. რაღა თქმა უნდა, მაშინვე ვისარგებლე ამ მოულოდნელი ბედნიერი შემთხვევით. მოწყალედ გავიღიმე და განვაცხადე:

– კარგი, ამჯერად გვიპატიებია, რაც შესცოდეთ, ახლა კი დროა სიმართლე შეიტყოთ. ჩვენ სხვა სამყაროდან ვართ მოსულნი, დავეშვით უდიდესი ვასრკვლავიდან, რომელიც ღამით თქვენს ქვეყანას თავზე დანათის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვეულებრივი ადამიანები ვართ.

– ო! ო! – ერთბაშად აღმოხდა ყველას გაოცების ამოძახილი.

– დიახ, ჩვენ ვარსკვლავეთიდან ჩამოვედით, – განვაგრძე შემწყნარებლური ღიმილით, თან თვითონვე მიკვირდა, რაებს ვროშავ-მეთქი. – დავეშვით მიწაზე, რომ თქვენი ხალხი ჩვენი აქ ყოფნით გავაბედნიეროთ. ხომ ხედავთ, მეგობრებო, თქვენთან წამოსვლას ვეპირებოდით და ამისათვის თქვენი ენაც კი შევისწავლე.

– დიახ, დიახ, სწორია, ეს ასეა! – ერთხმად დამიმოწმეს ველურებმა.

– ჰოი, მბრძანებელო ჩემო, მაპატიე, მაგრამ ძალიან ცუდად შეგისწავლია ჩვენი ენა, – სიტყვა გამაწყვეტინა მოხუცმა.

მაგრამ ისე მწყრალად გადავხედე, რომ საბრალო შეკრთა და ენა მუცელში ჩაიგდო.

– ახლა კი, მეგობრებო, – განვაგრძე, – იქნებ იფიქროთ, სამაგიეროს გიზღავთ მტრული შეხვედრისათვის და სიცოცხლეს გამოვასალმებთ იმას, ვინც მოძრავ კბილებიან კაცზე ხელი შემართა...

– შეგვიბრალეთ, ჩემო მბრძანებელო, ის ჩვენი უფლისწულია, ჩემი ძმის შვილი, რამე რომ შეემთხვას, სისხლი მე უნდა ვზღო, რადგან მაგის სიცოცხლე მე მაბარია.

– მაგაში ეჭვი არ შეგეპაროს, – ბოროტად ჩაისისინა ჭაბუკმა.

– ეგება ფიქრობთ, ძალა არ შეგვწევდეს სამაგიერო გადაგიხადოთ? – განვაგრძე მე ისე, რომ მისი სიტყვებისთვის ყურადღებაც არ მიმიქცევია, – მოითმინეთ და ახლავე დარწმუნდებით; შენ, ჰეი, მონა ძაღლო, – რამდენადაც კი შემეძლო მრისხანედ ვუთხარი ამბოპას, – მომაწოდე ის ჯადოქმნილი მოლაპარაკე ლულა! – თან შეუმჩნევლად თვალით ჩემს „ექსპრესზე" ვანიშნე.

ამბოპამ იმწამსვე მომაგება ხელში თოფი, მის ამაყ სახეზე იმ დღეს პირველად დავინახე რაღაც ღიმილის მსგავსი.

– ინებეთ, მბრძანებელთა მბრძანებელო! – მითხრა და თავი მდაბლად დამიკრა.

რამდენიმე წუთის წინ თვალი მოვკარი ანტილოპას. ჩვენგან სამოცდაათიოდე იარდის დაშორებით კლდეზე იდგა. სწორედ მისი მოკვლა მქონდა განზრახული, როცა ამბოპას თოფის მოტანა ვუბრძანე.

– ხედავთ იმ ცხოველს? – ვკითხე ველურებს და ანტილოპასკენ ხელი გავიშვირე, – განა დედაკაცისაგან შობილ ჩვეულებრივ ადამიანს ძალუძს მხოლოდ და მხოლოდ ხმით მოკლას იგი?

– ეგ შეუძლებელია, ჩემო მბრძანებელო, – მიპასუხა მოხუცმა.

– მიუხედავად ამისა, მე მაინც მოვკლავ იმ ანტილოპას, – მშვიდად მივუგე.

მოხუცმა მეომარმა გაიღიმა.

– არა, ჩემო მბრძანებელო, შენ ამას ვერ შეძლებ.

მე თოფი შევმართე და ანტილოპა მიზანში ამოვიღე. ანტილოპა ძალზე პატარა იყო და ასე შორი მანძილიდან სულ ადვილად შეიძლებოდა ტყვია ამეცდინა, მაგრამ ვიცოდი, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, უნდა მომეკლა. ანტილოპა უძრავად იდგა. მე ღრმად ამოვიოხრე და ჩახმახს თითი გამოვკარი.

ბუჰ, ბუჰ! იგრიალა თოფმა. ანტილოპამ შეიკუნტრუშა და უსულოდ დაეცა მიწაზე. ველურებმა საზარლად დაიღრიალეს.

– თუ გინდათ ხორცი, წადით და ის ანტილოპა აქ მოათრიეთ, – მოჩვენებითი გულგრილობით ვთქვი მე.

მოხუცმა ერთ-ერთ ველურს რაღაც ანიშნა. ველური კლდისკენ გაქანდა. მალე დაბრუნდა, ზურგზე მოკლული ანტილოპა მოეგდო. რომ იცოდეთ, როგორ გამეხარდა, როცა ვნახე, ტყვია ზედ ბეჭს ზემოთ მოხვედროდა. მე ხომ სწორედ ბეჭი ამოვიღე მიზანში. ველურები შემოეხვივნენ საბრალო ცხოველს და ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ ნატყვიარს. სახეზე შიში ეწერათ.

– ხომ ხედავთ, – მივუბრუნდი მათ, – მე სიტყვებს ფუჭად როდი ვხარჯავ!

ხმა არავის გაუღია.

– თუ ჩვენს ძლევამოსილებაში კიდევ ეჭვი გეპარებათ, – განვაგრძე მე, – რომელიმე თქვენგანი იმ კლდეზე დადგეს, დიახ, დიახ, დადგეს და მასაც იმ ანტილოპასავით გავაგორებ.

მსურველი არავინ აღმოჩნდა. ჩამოვარდა სიჩუმე, რომელიც მეფისწულმა დაარღვია.

– მისმინე, ძია, – მიმართა მან მოხუცს, – გემუდარები, წადი და იმ კლდეზე დადექ. ჯადო კაცს ვერ მოკლავს, მას მხოლოდ ცხოველზე აქვს ძალა.

მაგრამ მოხუცს ძმისწულის წინადადება სულაც არ მოეწონა, პირიქით, ეწყინა კიდეც.

– არა, არა! – სწრაფად წამოიძახა მან, – კმარა, რაც ჩემმა თვალებმა ნახეს, – მერე თავის ამალას მიუბრუნდა და ბრძანა: – ეს ადამიანები მისნები არიან და მეფეს უნდა მივგვაროთ, ხოლო თუ ვინმეს სურს, ჯადო საკუთარ თავზე გამოცადოს, შეუძლია წავიდეს და კლდეზე დადგეს, ჯადოსნური ჯოხი მასაც დაელაპარაკება.

მაგრამ კუკუანელთა შორის ამის მსურველი არავინ იყო.

– ტყუილუბრალოდ რად უნდა დახარჯო ჯადოსნური ძალა ჩვენს ბილწ სხეულებზე, – თქვა ერთმა ველურმა. – საკმარისია, რაც ვნახეთ. არც ერთ ჩვენს მისანს მსგავსი არაფერი შეუძლია.

– მართალს ამბობ, – შვებით მიუგო მოხუცმა მეომარმა, – დიახ, დიახ, ეს ჭეშმარიტებაა. მისმინეთ, ჰოი, ვარსკვლავის შვილნო, ბრჭყვიალა თვალისა და მოძრავი კბილების შვილნო, თქვენ, რომელნიც მართავთ ელვა-ქუხილს და შორი მანძილიდან კლავთ ცხოველს თუ კაცს. მე ინფადუსი ვარ, კუკუანელთა ყოფილი მეფის კაფას შვილი. ეს ჭაბუკი კი სკრაგაა.

– მაგ სკრაგამ ცოტას გაწყდა, საიქიოს არ გამისტუმრა, – დაიჩურჩულა გუდმა.

– სკრაგა უფლისწულია, – ერთი ყოფით განაგრძო ინფადუსმა, – თუალას შვილია. თუალა კი დიდი მეფე გახლავთ, – ათასი ცოლის მეუღლე, კუკუანელთა წინამძღოლი და მბრძანებელი, დიდი გზის ბატონ-პატრონი, მტრის რისხვა და ძრწოლა, ბრძენი, რომელიც მისნობის ყველა საიდუმლოს განაგებს, ასი ათასი მეომრის სარდალი, თუალა ცალთვალაა, თუალა შავია, თუალა მრისხანეა.

– რაკი ასეა, წაგვიყვანე იმ შენს თუალასთან, – ქედმაღლურად ვუთხარი მე, – ჩვენ არ გვსურს ქვეშევრდომებთან და მსახურებთან ლაპარაკი თუ საქმის დაჭერა.

– თქვენს სურვილს შევასრულებთ, ჩემო მბრძანებლებო! წაგიყვანთ მეფესთან. მაგრამ წინ გრძელი გზა გვიდევს! ამ ადგილებში სანადიროდ

მოვედით და სასახლეს სამი დღის სავალითა ვართ დაცილებული. მოთმინება იქონიეთ, მბრძანებელო, დიად თუალას სამი დღის შემდეგ იხილავთ.

– კარგი, – აგდებულად ვუთხარი მე, – ჩვენ დროს არ ვზოგავთ და არც არსად მიგვეჩქარება, რადგან უკვდავნი ვართ. მზადა ვართ, წაგვიყვანე, მაგრამ მისმინე, ო, ინფადუს, და შენც, ჭაბუკო სკრაგა! ერიდეთ ჩვენს მოტყუებას! ნუ ეცდებით მახე დაგვიგოთ. ვიდრე თქვენი საბრალო ტვინი რამეს გაიფიქრებდეს, ჩვენ უკვე გვეცოდინება ყოველივე, რადგან მონიჭებული გვაქვს სასწაულებრივი ძალა, ჩავწვდეთ ადამიანთა ფიქრსა და ზრახვებს. შუქი, გამომდინარე იმ კაცის გამჭვირვალე თვალიდან, ვისაც ფეხები შიშველი აქვს, სახეზე კი მხოლოდ ცალ მხარეს ეზრდება წვერი, ადგილზევე გაგაქვავებთ, თქვენს ქვეყანაში უბედურებას უბედურებაზე დააგრიალებს. მისი მოძრავი კბილები პირიდან გამოხტებიან და ტანში ჩაგესობათ, რომ შეგჭამონ არა მარტო თქვენ, არამედ თქვენი ცოლებიცა და შვილებიც. ჯადოსნური მილები კი საცერივით დაცხრილავენ თქვენს სხეულს.

ამ ბრწყინვალე სიტყვამ საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა. თუმცა არც კი ვიცი, საჭირო იყო თუ არა ამის თქმა, რადგან ჩვენი ახალი მეგობრები უამისოდაც საკმაოდ შეშინებულები იყვნენ.

მოხუცმა მეომარმა მონურად მოიხარა ქედი ჩვენს წინაშე. „კუუმ!" „კუუმ!" – რამდენჯერმე წამოიძახა. შემდგომ შევიტყვე, რომ „კუუმ" კუკუანელთა მისასალმებელი სიტყვა იყო და ზულუსურ „ბააიეტს" უდრიდა. ამ სიტყვით კუკუანელები მხოლოდ მეფესა და სამეფო სახლის შვილთ ესალმებიან. შემდეგ ინფადუსმა რაღაც გადაულაპარაკა თავისიანებს. მათაც მყისვე სტაცეს ხელი მთელ ჩვენს ავლა-დიდებას, გარდა თოფებისა, რადგან მათთან მიკარებაც კი ეშინოდათ, აიღეს გუდის ტანსაცმელი, რომელიც, თუ გახსოვთ, ნაკადულის პირად იდო. კაპიტანმა მოინდომა მათთვის თავისი შარვალი და პიჯაკი წაერთმია, რის შედეგადაც მასსა და ველურებს შორის კაი ხმამაღალი დავა ატყდა.

– ჩემი მბრძანებელი და მფლობელი გამჭირვალე თვალისა, ხელს ნუ ახლებს თავის ნივთებს. ყველაფერს მონები წამოიღებენ.

– კი მაგრამ, მე მინდა შარვალი ჩავიცვა, – ღრიალებდა გუდი.

ამბოპამ მისი სიტყვები ველურებს გადაუთარგმნა.

– ჰოი, ჩემო მბრძანებელო, – შეჰყვირა ინფადუსმა, – ნუთუ გსურს ეგ მშვენიერი თეთრი ფეხები შენი მორჩილი მონების თვალთაგან დაჰფარო? რით დავიმსახურეთ შენი რისხვა, რატომ ინებე ასე ჩვენი დასჯა?

მე გუდს ვუცქეროდი და სიცილით ვიგუდებოდი. ამასობაში ერთ-ერთმა ველურმა გუდის ტანსაცმელს ხელი დაავლო და მოკურცხლა.

– წყეულიმც იყავ! – ბრდღვინავდა გუდი, – იმ შავკანიანმა მაიმუნმა ჩემი შარვალი გაიტაცა.

– მისმინეთ გუდ, – უთხრა სერ ჰენრიმ, – თქვენ ამ მხარეში გარკვეული როლით გამოცხადდით და ეს როლი ბოლომდე უნდა შეასრულოთ. ვიდრე აქ ვიმყოფებით, შარვალს ვეღარ ჩაიცვამთ, დღეიდან მხოლოდ ეგ პერანგი და ფეხსაცმელი უნდა ატაროთ; ჰო, მონოკლიც გრჩებათ. ერთი სიტყვით, დროებით ბედს უნდა დაემორჩილოთ.

– დიახ, დიახ, – დავუდასტურე მეც, – წვერიც მხოლოდ ცალ მხარეს უნდა ატაროთ. კუკუანელთა წინაშე ახლა სხვა სახით რომ წარსდგეთ, ყველას თაღლითებად მიგვიჩნევენ. ძალიან ვნანობ, ამის გადატანა რომ გიხდებათ, მაგრამ სრული სერიოზულობით გეუბნებით: სხვა გამოსავალი არა გაქვთ, გუდ.

ველურებმა მცირეოდენი ეჭვიც რომ შეიტანონ, სიცოცხლეს საფრთხეში ჩავიგდებთ.

– მართლა ასე ფიქრობთ? – კუშტად შემეკითხა გუდი.

– რა თქმა უნდა. ეგ „მშვენიერი თეთრი ფეხები" და ეგ მონოკლი ჩვენი მხსნელია. თქვენი როლი ბოლომდე უნდა შეასრულოთ. ღმერთს მადლობა შესწირეთ, ფეხსაცმლის ჩაცმა მაინც რომ მოასწარით და რომ აქ შედარებით თბილი ჰავაა.

გუდმა მწარედ ამოიოხრა, მაგრამ აღარაფერი უთქვამს. საბრალო მხოლოდ ორიოდე კვირის შემდეგ შეეგუა თავის მწარე ხვედრს.

თ ა ვ ი V I I I

კ უ კ უ ა ნ ე ლ თ ა ქ ვ ე ყ ა ნ ა

მთელი დღის განმავლობაში მივდიოდით საუცხოო გზაზე. იგი პირდაპირ ჩრდილო-დასავლეთისაკენ მიემართებოდა. ინფადუსი და სკრაგა გვერდით მოგვყვებოდნენ, მათი ამალა კი ასიოდე ნაბიჯით წინ მიაბიჯებდა.

– მითხარი, ინფადუს, – ვკითხე მოხუც მეომარს ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ, – ხომ არ იცი, ვინ გაიყვანა ეს გზა?

– ეს გზა დიდი ხნის წინათ გაიყვანეს, ჩემო მბრძანებელო, არავის ახსოვს, როდის და როგორ მოხდა ეს. არც გრძნეულმა ქალმა გაგულამ იცის რამე ამაზე. გაგულა კი მრავალ თაობათა მომსწრეა. ჩვენ არც ისე ხნიერნი ვართ, რომ ეს ამბავი გვახსოვდეს. ახლა ამგვარი გზის გაყვანა არავის შეუძლია. ამიტომ არის, რომ მეფე თვალის ჩინივით უფრთხილდება მას და ზედ ბალახსაც არ გააჭაჭანებს.

– ვინ გამოაქანდაკა ადამიანები იმ გვირაბის კედელზე, ჩვენ რომ გამოვიარეთ? – ისევ შევეკითხე.

– ვინც გზა გაიყვანა, მანვე გამოკვეთა ქვაზე ის უცნაური გამოსახულებები, ჩემო მბრძანებელო. ჩვენ არ ვიცით, ვინ იყვნენ ისინი.

– როდის მოვიდნენ კუკუანელები ამ მხარეში?

– ჩემო მბრძანებელო, ჩვენი ხალხი ქარიშხლის სუნთქვასავით მოედო ამ მხარეს ათი ათასი მთვარის წინ. ისინი მოვიდნენ დიდი მიწიდან, იმ მხარეს რომ მდებარეობს, – მითხრა და ხელი ჩრდილოეთით გაიწვდინა. – როგორც გადმოგვცემენ ჩვენი მამა-პაპანი და როგორც ამბობს გრძნეული ქალი, მისნებზე მონადირე გაგულა, კუკუანელებმა ვეღარ შეძლეს გადაელახათ ეს მთები, რკალად რომ ერტყმიან ჩვენს ქვეყანას და გზას უღობავენ მას, – მითხრა და თოვლით დაფარულ მწვერვალებზე მიმითითა. – ეს საუცხოო მხარე იყო და კუკუანელებიც აქ დასახლდნენ. დასახლდნენ და დროთა განმავლობაში ძლიერნი და შემართებულნი გახდნენ. ახლა ჩვენ იმდენივე ვართ, რამდენიც ზღვაში ქვიშაა. როცა მეფე თუალა ჯარებს თავს უყრის, ფრთები, რომლითაც მეომრები თავს იმკობენ, ფარავენ მთელ დაბლობს, სანამდეც კაცს თვალი მიუწვდება.

– ახლა არ მითხარი, ჩვენი მხარე მთებით არის გარშემორტყმულიო? მაშ თუალას ჯარები ვიღას ეომებიან?

– არა, მბრძანებელო, იქით მხარეს გზა ღიაა, – მითხრა და ისევ ჩრდილოეთით მიმითითა. – დროდადრო ჩვენთვის უცნობი ქვეყნიდან მეომრები ღრუბელივით მოედებიან ქვეყანას და ჩვენც ვხოცავთ მათ. უკანასკნელი

ბრძოლა რომ იყო, იმ დღიდან მოყოლებული ადამიანის სიცოცხლის მესამედმა ხანმა განვლო. ბრძოლაში ათასობით კაცი დაიღუპა, მაგრამ მაინც მოვსპეთ მტერი. მას შემდეგ ომი აღარ ყოფილა.

– თქვენს მეომრებს ალბათ მობეზრდათ შუბზე დაყრდნობით თვლემა.

– არა, ჩემო მბრძანებელო, სწორედ მას შემდეგ, თავდამსხმელები რომ უკუვაგდეთ, აქ კიდევ იყო ერთი ბრძოლა, მაგრამ ეს იყო ბრძოლა ძმათა შორის, ხალხი ძაღლებივით ჭამდა ერთმანეთს.

– რა იყო ბრძოლის მიზეზი?

– ახლავე მოგახსენებთ, ჩემო მბრძანებელო. ჩვენი ახლანდელი მეფე ჩემი ნახევარძმაა. მას ჰყავდა ტყუპის ცალი. ორივენი ერთი დედისაგან, ერთ დღეს და ერთ საათს იყვნენ შობილნი. ჩვენი ჩვეულების თანახმად, შეუძლებელია ორივე ტყუპმა იცოცხლოს, მათ შორის უფრო სუსტი უნდა მოკვდეს. მაგრამ მეფის დედამ გადამალა ტყუპის ცალი, რომელიც უფრო სუსტი ჩანდა, რადგან გულმა მისკენ გაუწია. სწორედ ეს ბავშვი გახლავთ თუალა, ჩვენი მეფე, მე კი მისი უმცროსი ძმა ვარ, სხვა ქალისაგან შობილი.

– მერე, მერე?

– როცა დავვაუკაცდით, მამაჩვენი კაფა გარდაიცვალა და ჩემი ძმა იმოტუ მის ნაცვლად მეფედ აკურთხეს. იგი ერთ ხანს მართავდა ქვეყანას, საყვარელი ცოლისაგან ვაჟიც შეეძინა. ის ბავშვი სამი წლის რომ შეიქნა, – ეს დაემთხვა სწორედ დიდ ბრძოლებს, როცა არავის შეეძლო არც ხვნა-თესვა და არც მოსავლის აღება, – ქვეყანა დაიმშა, ხალხი დრტვინავდა და აქეთ-იქით აწყდებოდა, როგორც ლომი, რომელსაც შიმშილისაგან სული ხდება და სიკვდილის წინ დასაფლეთად ეძებს საკბილოს. მაშინ გაგულამ, ბრძენმა ქალმა, რომელიც ყველას შიშის ზარსა სცემს, ხალხი შეკრიბა და გამოუცხადა, მეფე იმოტუ ნამდვილი მეფე არ არისო. იმოტუ კი ამ დროს ომში მიღებული ჭრილობით განაწამები გაუნძრევლად იწვა თავის ქოხში. გაგულა ერთ-ერთ ქოხში შევიდა და გამოიყვანა თუალა, ჩემი ნახევარძმა, ხოლო მეფე იმოტუს მკვიდრი ძმა და ტყუპის ცალი. გაგულა გაჩენის დღიდან მალავდა მას კლდეებსა და მღვიმეში. ახლა წელზე შემოსაკრავი შემოხსნა და ხალხს დაანახა გველის წმინდა ნიშანი, უფლისწულს ტანზე რომ შემორკალოდა.

ჩვენს ქვეყანაში ამ ნიშანს შობისთანავე ადებენ ხოლმე მეფის უფროს ვაჟს. „აქეთ მოიხედეთ, აი თქვენი მეფე. მე მას დღემდე სიცოცხლე შევუნარჩუნე", – ხმამაღლა დაიყვირა გაგულამ. შიმშილით გონდაკარგული ხალხი სულ გადაირია. დაივიწყა ადამიანობა, სიკეთე, სამართლიანობა და დაიწყო ყვირილი: „მეფე, მეფე!" მაგრამ მე ვიცოდი, თუალა მეფე არ ყოფილა. ტყუპებს შორის უფროსი იმოტუ იყო და, მაშასადამე, კანონის მიხედვით, ტახტიც მას ეკუთვნოდა. როცა ხმაური და ღრიანცელი საზღვარს გადასცილდა, მეფე იმოტუმ ცოლს ხელი ჩასჭიდა და ქოხიდან გამოვიდა, თუმცა მძიმედ იყო დაჭრილი და სიარული უჭირდა. უკან მათი მცირეწლოვანი ვაჟი იგნოზი მოჰყვებოდათ (იგნოზი ელვას ნიშნავს). „ეს რა ამბავია? – იკითხა იმოტუმ, – რატომ გაჰყვირით „მეფე-მეფეო?"

მაშინ თუალა, მისი მკვიდრი ძმა და მისივე დედისაგან შობილი, მეფესთან მიიჭრა, თმაში ხელი სტაცა და დანა სასიკვდილოდ ჩასცა გულში. მოგეხსენებათ, ხალხი საერთოდ ორჭოფია, ადამიანები მუდამ მზად არიან ქედი მოიდრიკონ ამომავალი მზის წინაშე, ამიტომ ყველამ ტაში დასცხო და დაიწყო ყვირილი: „თუალა ჩვენი მეფეა! გაუმარჯოს თუალას, ჩვენს მეფეს!"

– რა ბედი ეწიათ იმოტუს ცოლს და მის პატარა ვაჟს იგნოზის? ნუთუ თუალამ ისინიც დახოცა?

– არა, ჩემო მბრძანებელო. როცა ცოლმა დაინახა, ჩემი ბატონი მკვდარი დაეცაო, შეჰკივლა, შვილი ხელში აიტაცა და გაიქცა. ორი დღის შემდეგ შიმშილმა ერთ-ერთ კრაალში მიიყვანა, მაგრამ არავინ გაუწოდა დახმარების ხელი, არავინ ისურვა მიეცა მისთვის რძე ან სხვა რამ საჭმელი. იმიტომ, რომ ადამიანს სძაგს უბედურ დღეში მყოფნი. როცა დაღამდა, ვიღაც გოგონა ჩუმად მიიპარა მასთან და საჭმელი მიუტანა. ქალმა დალოცა ბავშვი და დილით, ვიდრე მზე ამოვიდოდა, შვილთან ერთად მთებისაკენ გაუყვა გზას. ეჭვსგარეშეა, ორივე დაიღუპა, რადგან მას შემდეგ არც ისა და არც პატარა იგნოზი თვალით არავის უნახავს.

– ესე იგი, ის ბავშვი, იგნოზი, ცოცხალი რომ ყოფილიყო, კუკუანელების კანონიერი მეფე იქნებოდა?

– დიახ, მბრძანებელო, წმინდა გველის გამოსახულება ნიშნად ერტყმის მის სხეულს. ის არის ჩვენი მეფე, მაგრამ ვაი რომ უკვე მკვდარია. იქით გაიხედე, მბრძანებელო, – მითხრა შემდეგ და დაბლა, ველისაკენ მიმითითა. ამ ველზე ღობით გარშემორტყმული ქოხები იდგა. ღობეს კი თავის მხრივ ღრმა თხრილი ერტყა ირგვლივ, – კრაალში უკანასკნელად ვნახე იმოტუს ცოლ-შვილი. ღამეს იქ გავათევთ, თუკი ჩემს მბრძანებლებს, საერთოდ, ძილი სჩვევიათ, – მითხრა და იჭვნეულად გადმომხედა.

– როცა ჩვენ კუკუანელთა შორის ვიმყოფებით, მეგობარო ჩემო ინფადუს, ჩვენც კუკუანელებივით ვიქცევით, – სიტყვა გავაბრტყელე და შევბრუნდი, რომ რაღაც მეთქვა გუდისათვის, ჩემს უკან რომ მოლასლასებდა და ამაოდ ცდილობდა შეეჩერებინა პერანგის კალთები, ქარი აქეთ-იქით რომ აფრიალებდა. შევბრუნდი თუ არა, კინაღამ შუბლით შევეხეთქე ამბოპას; იგი თურმე ფეხდაფეხ მომდევდა და ჩემი და ინფადუსის საუბარს აშკარა ინტერესით ისმენდა. სახეზე ცნობისწადილი აღბეჭდვოდა და წააგავდა ადამიანს, რომელიც თავს საოცრად ატანს ძალას, გაიხსენოს რაღაც დიდი ხნის წინათ მივიწყებული და მხოლოდ ნაწილობრივ თუ ახერხებს ამას.

ამ ხნის განმავლობაში სწრაფი ნაბიჯით მივიწევდით წინ და თანდათანობით ვეშვებოდით ბექობიანი დაბლობისაკენ, ჩვენ ქვემოთ რომ გადაშლილიყო. ცადაბჯენილი მთები, ჩვენ რომ გადმოვლახეთ, ახლა ბუნდადღა ილანდებოდა სადღაც, ზემოთ. ნისლის მჭვირი ღრუბელი კდემამოსილად შემოხვეოდა დედოფალ საბიას მკერდს. ბუნების სურათები სულ უფრო და უფრო თვალწარმტაცი ხდებოდა. მცენარეული ლაღი და თამამი იყო, მაგრამ არა ტროპიკული, მზის სხივები თბილად გვეალერსებოდა, მაგრამ არ გვაწუხებდა, არ გვწვავდა, მთების სურნელოვან ფერდობებს მსუბუქი ნიავი თავს ევლებოდა. ეს მხარე ჭეშმარიტად ამქვეყნიური სამოთხე იყო. ჩვენ შორის მსგავსი რამ არავის ენახა. ტრანსვაალი საუცხოო კუთხეა, მაგრამ კუკუანელთა ქვეყანას ისიც კი ვერ შეედრება.

ინფადუსმა კრაალში მალემსრბოლი აფრინა, რომ თავისიანებისთვის ჩვენი მისვლა შეეტყობინებინა. სხვათა შორის, ამ კრაალის მცხოვრებნი ინფადუსის სამხედრო ქვეშევრდომები იყვნენ. მალემსრბოლი წარმოუდგენელი სისწრაფით გაიქცა. ინფადუსმა მითხრა, მთელი გზა ნაბიჯს არ შეანელებსო. თურმე კუკუანელები სირბილში ძალიან გაწაფულნი არიან.

მალე დავრწმუნდით, რომ მალემსრბოლმა დავალება შესანიშნავად შეასრულა: კრაალამდე ორიოდე მილიღა დაგვრჩა გასავლელი, რომ ალაყაფის კარიდან რაზმებად დაწყობილი მეომრები გამოვიდნენ და ჩვენ შესახვედრად გამოემართნენ.

სერ ჰენრიმ მხარზე ხელი დამადო და მითხრა, ყველაფერზე ეტყობა, კრაალის მცხოვრებლები „თბილად" გვიპირებენ შეხვედრასო.

ეს სიტყვები ისეთნაირად მითხრა, რომ მის კილოს ინფადუსმაც კი მიაქცია ყურადღება.

– ხომ არაფრის შეგეშინდათ, ჩემო მბრძანებელო? – აჩქარებით იკითხა მან. – ჩემს გულში ღალატს ადგილი არა აქვს. ეს მეომრები მე მექვემდებარებიან და ჩემი ბრძანების თანახმად, ჩვენ შესახვედრად მოდიან.

მე წყნარად დავუქნიე თავი, მაგრამ გული მთლად ვერ დავიმშვიდე.

კრაალიდან ნახევარი მილის მანძილზე იწყებოდა გრძელი ბექობი, რომელიც გზას ზემოდან გადასცქეროდა. სწორედ ამ ბექობზე დაეწყვნენ მეომრები. ეს მართლაც რომ დიდებული სანახაობა იყო. რაზმები, სამას-სამასი კაცის შემადგენლობით, სწრაფად ადიოდნენ ფერდობზე და მათთვის განკუთვნილ ადგილას უძრავად დგებოდნენ. მეომრებს თავი ფრთებით ჰქონდათ შემკული. მათი შუბები კი მზეზე თვალისმომჭრელად ლაპლაპებდა. ვიდრე მივუახლოვდებოდით, ბექობზე თორმეტი ასეთი რაზმი, ესე იგი, სამი ათას ექვსასი მეომარი ავიდა და გზის გასწვრივ თავისი ადგილი დაიკავა.

როცა რაზმებს მივუახლოვდით, დავინახეთ, რომ უკლებლივ ყველა მეომარი მაღალი და მოხდენილი ტანადობისა იყო. ყველანი მომწიფებული ვაჟკაცები ჩანდნენ, უმეტესად ასე, ორმოციოდე წლისა. მათ შორის არც ერთი არ ყოფილა ექვს ფუტზე დაბალი, ზოგიერთი კი სამი-ოთხი დუიმით მეტიც იქნებოდა. თავს უმშვენებდათ საკობულას ფრთების შავი, მძიმე ჯიღები, ისეთივე, როგორიც ჩვენს თანამგზავრებს ჰქონდათ. წელზე კამეჩის თეთრი კუდები ერტყათ, ასეთივე კუდები ერტყათ ფეხზე, მარჯვენა მუხლთან. ყოველ მათგანს მარცხენა ხელში ეჭირა მრგვალი ფარი.

ეს ფარები გაკეთებული იყო თხელი ფურცლოვანი რკინისაგან და ზედ გადაკრული ჰქონდა კამეჩის რძესავით თეთრი ტყავი. მეომრები უბრალოდ, მაგრამ კარგად იყვნენ შეიარაღებულები, ჰქონდათ მოკლე, მაგრამ ძალიან მძიმე ორმხრივწაწვეტილი ხისტარიანი შუბი; შუბის ბუნიკის სიგანე დაახლოებით ექვსი დუიმი იქნებოდა. ეს არ იყო სატყორცნი შუბები; მათ ისევე, როგორც ზულუსურ ბანგვანებს, ესე იგი ხანჯალ-ხელშუბებს, ხელჩართულ ბრძოლაში ხმარობდნენ. გარდა შუბებისა, ყველა მეომარს ჰქონდა სამ-სამი დიდი მძიმე დანა. ყოველი დანა სიმძიმით ორი გირვანქა მაინც იქნებოდა. მეომრებს თითო დანა კამეჩის კუდის ქამარში ჰქონდათ გარჭობილი, დანარჩენი ორი კი ფარის შიგნით იყო დამაგრებული. ეს დანები ზულუსების ასეგაის წააგავს. კუკუანელები მათ ტოლლებს უწოდებენ. კუკუანელ მეომარს შეუძლია ორმოცდაათ იარდზე ისროლოს ეს დანა და არ ააცილოს. ჩვეულებრივ, ვიდრე ხელჩართულ ბრძოლაზე გადავიდოდნენ, კუკუანელები სეტყვასავით აყრიან მოწინააღმდეგეს დანებს.

რაზმები ბრინჯაოს ქანდაკებებივით უძრავად იდგნენ, მაგრამ როცა მივუახლოვდით, მეთაურის მიერ მიცემულ ნიშანზე (მეთაური იმით გამოირჩეოდა, რომ ჯიქის ტყავის მოსასხამი ეცვა) ყოველი რაზმი რამდენიმე ნაბიჯით წამოიწევდა წინ, შუბებს ჰაერში შემართავდა და გვესალმებოდა გამაყრუებელი შეძახილებით: „კუუმ!" „კუუმ!". როგორც კი გავცდებოდით, რაზმი უკან მოგვექცეოდა და კრაალისკენ მოგვყვებოდა, ვიდრე ბოლოს და ბოლოს რუხების მთელი პოლკი (ეს სახელწოდება პოლკმა მიიღო რუხი ფარების გამო), ესე იგი კუკუანელების საუკეთესო სამხედრო ნაწილი, მტკიცე ნაბიჯით არ გამოგვყვა უკან. მეომართა ფეხის ხმა მიწას აზანზარებდა.

ბოლოს სოლომონ მეფის დიდი გზიდან განზე გადავუხვიეთ და მივუახლოვდით ფართო თხრილს, რომელიც კრაალს ირგვლივ ერტყა. კრაალი დაახლოებით ერთ მილზე იყო გადაჭიმული და ირგვლივ მსხვილი მორების მაგარი მესერი ევლო. თხრილზე, ზედ ალაყაფის კართან, გადებული იყო ასაწევი ხიდი. ჩვენ მისვლაზე კრაალის მცველებმა ხიდი დაბლა დაუშვეს, რომ ზედ გადავსულიყავით. კრაალი საუცხოოდ იყო დაგეგმილი. მის ცენტრალურ ნაწილში გადიოდა ფართო გზა, რომელსაც სხვა, უფრო ვიწრო გზები კვეთდა. ეს გზები ქოხებს კვარტლებად ჰყოფდა. უნდა ითქვას ისიც, რომ ყოველ კვარტალში თითო რაზმი ცხოვრობდა.

ქოხებს გუმბათისებური სახურავები ამშვენებდა და, ზულუსური ქოხების მსგავსად, წნელის კარკასები ჰქონდა. კარკასებში ლამაზად იყო ჩაწნული ბალახი. ზულუსების ქოხებისაგან განსხვავებით, ამ ქოხებს დატანებული ჰქონდა საკმაოდ ფართო კარი, რომელშიაც გამართული შევიდოდა კაცი. ქოხებს გარს ერტყმოდა ექვსიოდე ფუტის ვერანდა, კარგად დატკეპნილი კირქვის იატაკით.

კრაალში მიმავალ გზაზე ორივე მხარეს ქალები ჩამწკრივებულიყვნენ, ისინი აქ ჩვენ სანახავად გამოსულიყვნენ. მაღლები და ტანადები იყვნენ, ველურობის კვალობაზე ვერც სილამაზით დაიწუნებდით. უმეტესობა სახის სწორი ნაკვთებით გამოირჩეოდა.

მოკლედშეჭრილი თმა ხვეული ჰქონდათ და არა მატყლივით აბურდულ-დაბურდული, როგორც ეს, საერთოდ, ველურებს სჩვევიათ. მაგრამ ყველაზე მეტად მათმა მშვიდმა და ამაყმა სახის გამომეტყველებამ გაგვაოცა. თავისებურად კარგად აღზრდილნი და ზრდილობიანებიც ჩანდნენ და ამით ხელად გამოარჩევდით ზულუსი, ან მათი მონათესავე მაზაის ტომის, ქალებისაგან (მაზაის ტომები ზანზიბარის სამხრეთით ცხოვრობენ).

მიუხედავად იმისა, რომ ისინი აქ ცნობისწადილმა მოიყვანა, არც ერთი უხეში სიტყვა, ან წამოძახილი, არც ერთი შენიშვნა არ აღმოხდენიათ, ჩქარი ნაბიჯით გვერდით რომ ჩავუარეთ. მაშინაც კი, როცა მოხუცი ინფადუსი ხელის ოდნავი მოძრაობით ანიშნებდა, შეეხედათ საბრალო გუდის „მშვენიერი თეთრი ფეხებისათვის" (ეს ფეხები მოხუც მეომარს ამქვეყნად საოცრებათა საოცრებად მიაჩნდა), დიახ, მაშინაც კი თავს უფლება არ მისცეს, ხმამაღლა გამოეთქვათ აღტაცება. ისინი თვალს არ აცილებდნენ კაპიტნის „თოვლივით ქათქათა წვივებს", ეს იყო და ეს, მაგრამ გუდისთვის, რომელიც ბუნებით ძალზე მოკრძალებული კაცი იყო, ესეც კმაროდა.

როდესაც კრაალის შუაგულს მივუახლოვდით, ინფადუსი ყველაზე დიდი ქოხის წინ შეჩერდა. ამ ქოხს მოშორებით უფრო მომცრო ქოხები ერტყმოდა გარს.

– შემობრძანდით, ვარსკვლავეთის შვილნო, – ერთი ყოფით გვითხრა მან, – შემობრძანდით და ინებეთ დასვენება ჩვენს უბრალო სავანეში, რომ ცოტათი დანაყრდეთ და მშიერ კუჭზე ქამრების შემოჭერა არ დაგჭირდეთ. ცოტაოდენ თაფლსა და რძეს გაახლებთ, ერთ-ორ ხარს და რამდენიმე ცხვარსაც მოგგვრით. რასაკვირველია, ეს ბევრი არ არის, ჩემო ბრძანებლებო, მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, მაინც საჭმელია.

– ძალიან კარგი, ინფადუს, – ვუთხარი, – ჩვენ ცოტა არ იყოს, დაგვქანცა ჰაერში მოგზაურობამ და ახლა სიამოვნებით წავიძინებდით.

ქოხში შევედით. აქ ყველაფერი ისე მოეწყოთ, რომ კაცი მართლაც საუცხოოდ დაისვენებდა.

ლოგინის მაგიერ მოთელილი ტყავები დაეგოთ და წყალიც შემოეტანათ, რომ ხელ-პირი დაგვებანა.

უეცრად გარედან ხმაური შემოგვესმა. კართან მივედით და დავინახეთ ქალები, რომელთაც ჩვენთვის რძე, სიმინდის კოკრები და თაფლი მოჰქონდათ. მათ უკან რამდენიმე კაცი მოდენიდა მსუქან ხარს. ჩვენ ჩამოვართვით ქალებს სასმელ-საჭმელი. ამის შემდეგ ერთ-ერთმა ჭაბუკმა ქამრიდან დანა ამოიღო და ხარს მარჯვედ გამოსჭრა ყელი. სულ რაღაც ათიოდე წუთში ხარი გაატყავეს, ხორცი ასო-ასო აქნეს. საუკეთესო ნაჭრები ჩვენ დაგვიტოვეს, დანარჩენი კი ჩვენი სახელით გაუგზავნეს მეომრებს, ქოხთან რომ იდგნენ.

ამბოპა და ერთი საკმაოდ მიმზიდველი ახალგაზრდა ქალი საქმეს შეუდნენ: ხორცი თიხის დიდ ქოთანში ჩააწყვეს, ქოხის წინ ცეცხლი გააჩაღეს და სადილის თადარიგს შეუდგნენ. როცა ხორცი თითქმის მზად იყო, ინფადუსს კაცი გავუგზავნეთ, რომ ისა და მეფისწული სკრაგა ღარიბულ სუფრაზე დაგვწვეოდნენ. ისინი მაშინვე მოვიდნენ და დაბალ სკამებზე ჩამოსხდნენ. ქოხში რამდენიმე ასეთი სკამი იდგა.

საერთოდ, კუკუანელებს არ უყვართ დაყუნტული ჯდომა, როგორც ეს ზულუსებს სჩვევიათ. მოხუცი მეომარი ძალზე ზრდილობიანად იქცეოდა, ყურადღებიანი და თავაზიანი იყო, ახალგაზრდა კი დაუფარავი ეჭვით გვათვალიერებდა. ამან ცოტა არ იყოს, გაგვაკვირვა. იმასაც სხვებივით აკრთობდა და აშინებდა ჩვენი თეთრი კანი და მისნური ნიჭი, მაგრამ როცა დაინახა, ჩვენც ჩვეულებრივი მოკვდავებივით ვჭამდით და გვეძინა, შიში და მოკრძალება ეჭვით შეეცვალა. ეს კუშტი მზერა კარგს არას მოასწავებდა, ამიერიდან მის გვერდით უფრო ფხიზლად უნდა ვყოფილიყავით.

სადილობისას სერ ჰენრიმ გვითხრა, ურიგო არ იქნებოდა, ჩვენი მასპინძლებისთვის გვეკითხა, ხომ არაფერი იციან ჩემს ძმაზე, იქნებ სადმე უნახავთ, ან რამე გაუგიათო, მაგრამ მე უარვყავი მისი წინადადება, რადგან, ჩემის აზრით, აჯობებდა ამ საკითხს ჯერჯერობით არ შევხებოდით.

ნასადილევს ჩიბუხი თამბაქოთი დავტენეთ და გავაბოლეთ, რამაც ინფადუსი და სკრაგა ძალზე გააოცა. როგორც ეტყობოდა, კუკუანელები არ იცნობდნენ თამბაქოს ღვთაებრივ თვისებებს. თამბაქო აქ უხვად იყო, მაგრამ აქაური მკვიდრნი ზულუსებივით მხოლოდ ყნოსავდნენ მას. ეს იყო და ეს.

ინფადუსს შევეკითხე, გზას როდისღა განვაგრძობთ-მეთქი და სიხარულით შევიტყვე, რომ მეორე დღეს, დილით უნდა გავმგზავრებულიყავით. ინფადუსს მაცნეებიც ეფრინა, რათა მეფე თუალასათვის ჩვენი მოსვლა შეეტყობინებინა. გამოირკვა, რომ ამჟამად თუალა ქვეყნის დედაქალაქში, ლუუში იმყოფებოდა და ემზადებოდა დიდი დღესასწაულისათვის, რომელსაც კუკუანელები ყოველწლიურად ივნისის პირველ კვირაში მართავდნენ. ამ დღესასწაულს ჩვეულებრივ ესწრება და მეფის წინაშე საზეიმოდ ჩაივლის ხოლმე ყველა სამხედრო ნაწილი, გარდა ზოგიერთი პოლკისა, რომელთაც საყარაულო სამსახურში ტოვებენ.

აქვე იმართება დიდი ნადირობა მისნებზე. მაგრამ ამაზე დაწვრილებით შემდეგ მოგითხრობთ.

გზას გამთენიისას უნდა დავდგომოდით. ინფადუსიც თან მოგვყვებოდა. მისი ვარაუდით, თუ ადიდებული მდინარეები გზას არ შეგვიკრავდა, ლუუში მეორე დღეს, საღამოს ვიქნებოდით.

ამ საუბრის შემდეგ ჩვენმა სტუმრებმა ღამე ნებისა გვისურვეს და წავიდნენ. ჩვენ გადავწყვიტეთ, მორიგეობით გვეყარაულა. სამი ჩვენგანი იმწამსვე იატაკზე გაფენილ ტყავებზე მიწვა და განცხრომით ძილს მიეცა,

მეოთხე კი ფხიზლად გუშაგობდა, რადგან ჩვენი მასპინძლების გულწრფელობაში, ცოტა არ იყოს, ეჭვი გვეპარებოდა.

თ ა ვ ი I X

მ ე ფ ე თ უ ა ლ ა

მე მგონია, არ ღირს დაწვრილებით აგიწეროთ ჩვენი ლუუში მგზავრობის ამბავი. გეტყვით მხოლოდ, რომ მთელი ორი დღე მივყვებოდით სოლომონ მეფის ფართო გზას, რომელიც კუკუანელთა ქვეყნის შუაგულისაკენ მიიმართებოდა. რაც უფრო წინ მივიწევდით, მით უფრო ნაყოფიერი ხდებოდა მიწა. სულ უფრო ხშირად გვხვდებოდა დამუშავებულ მინდვრებში ჩადგმული კრაალები, ყველა კრაალი ძლიერ წააგავდა იმ კრაალს, სადაც ჩვენ წინა ღამე გავათიეთ. მათაც მეომრები იცავდნენ. კუკუანელების ქვეყანაში, ისე როგორც ზულუსებსა და მაზაის ტომებს შორის, სამხედრო სამსახურისათვის გამოსადეგი ყოველი მამაკაცი მეომარია. ამიტომაც, როგორც თავდაცვით, ისე თავდასხმით ომებში ფაქტიურად მთელი მოსახლეობა ღებულობს მონაწილეობას. გზაზე ათასობით მეომარმა გაგვისწრო. ისინიც ლუუსკენ მიისწრაფოდნენ, რომ დასწრებოდნენ აღლუმს. აღლუმის შემდეგ დაიწყებოდა დიდი ზეიმი.

მეორე დღეს, საღამო ხანს, გზამ გორაკის თხემზე გაგვიყვანა. აქ ცოტა ხანს შევისვენეთ. დაბლა ნაყოფიერი ლამაზი ველი მოჩანდა. სწორედ იქ იყო გაშენებული ქალაქი ლუუ. ველურების ქალაქის კვალობაზე მას უზარმაზარი ფართობი ეჭირა და გარეუბნის კრაალებთან ერთად ხუთ მილზე მაინც იქნებოდა გადაჭიმული. გარეუბნის კრაალებში დიდი დღესასწაულის დროს ასახლებდნენ მეომრებს, რომლებიც ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მოდიოდნენ. ლუუდან ჩრდილოეთით, ორიოდე მილის მანძილზე მოჩანდა ნალისებური მთა, რომელზედაც დაწვრილებით ქვემოთ მექნება ლაპარაკი. ქალაქი თვალწარმტაც ადგილას იყო გაშენებული. ფართო მდინარეს რამდენიმე ადგილას კვეთდა ხიდები; ეს სწორედ ის მდინარე იყო, დედოფალ საბიას მკერდიდან რომ დავინახეთ. იგი ქალაქის ცენტრში გადიოდა და ქალაქს ორ ნაწილად ჰყოფდა. შორს, ასე, სამოცი-სამოცდაათი მილის დაშორებით, მოჩანდა სამი მთა, მთებს სამკუთხედის მოყვანილობა ჰქონდათ, მათ მიუვალ, ციცაბო, ჩამოფხავებული კლდეების მწვერვალებზე თოვლი იდო. ეს მთები თავისი აღნაგობით ძალიან გამოირჩეოდა დედოფალ საბიას მთებიდან, რომელთა ფერდობები მომრგვალებული და უფრო დამრეცი იყო.

ინფადუსმა დაინახა, ცნობისმოყვარეობით რომ გავყურებდით ამ მთებს, და გვითხრა:

– მაგ მთებს ხალხი „სამ ჯადოქარს" უწოდებს, დიდი გზაც სწორედ მანდ მთავრდება, ჩემო მბრძანებლებო.

– რატომ მაინცდამაინც მანდ? – შევეკითხე.

– ეგ არავინ იცის, – მიპასუხა მოხუცმა მეომარმა და მხრები შეიშმუშნა, – ამ მთებში მრავალი მღვიმეა, მათ შორის არის ღრმა ჭა, სადაც ეშვებოდნენ ძველი დროის ადამიანები, რომ ეპოვათ ის, რისთვისაც ამ ქვეყანაში მოვიდნენ. იქვე, სიკვდილის სავანეში, ვმარხავთ ჩვენს მეფეებსაც.

– რისთვის მოდიოდნენ აქ ის ბრძენი ადამიანები? – მოუთმენლად გავაწყვეტინე სიტყვა ინფადუსს.

– ამას კი ვეღარ მოგახსენებთ. ჩემი მბრძანებლები შორეული ვარსკვლავეთიდან არიან მოსულნი და ყველაფერი ეს ჩემზე უკეთ მოეხსენებათ, – მიპასუხა ინფადუსმა და სწრაფად აგვავლ-ჩაგვავლო თვალი.

ცხადი იყო, არ უნდოდა ეთქვა ყველაფერი, რაც იცოდა.

– მართალი ხარ, ინფადუს, – ვუთხარი, – ვარსკვლავეთის მკვიდრებმა ვიცით ბევრი რამ ისეთი, რაზედაც თქვენ წარმოდგენაც არა გაქვთ. აი, მაგალითად, მე გამიგონია, რომ შორეულ წარსულში ადამიანები ამ მთებში ბრჭყვიალა ქვებისა და ყვითელი რკინისათვის მოვიდნენ.

– ჩემი მბრძანებელი ბრძენია, – ცივად მომიგო ინფადუსმა, – მასთან შედარებით მე უგუნური ბალდი ვარ, ამიტომაც არ შემფერის ამ საკითხზე საუბარი. ჩემი მბრძანებელი ასეთ რამეზე მოხუც გაგულას უნდა ელაპარაკოს, როცა ლუუში მივალთ, რადგან გაგულა მასავით ბრძენია.

მითხრა ეს და განმშორდა. როგორც კი მარტონი დავრჩით, ჩემს მეგობრებს იმ შორეული მთებისკენ მივუთითე და შევყვირე:

– აი, თურმე სად ყოფილა სოლომონ მეფის საბადო!

ამბოპამ, რომელიც სერ ჰენრისა და გუდის გვერდით იდგა, გაიგონა ჩემი სიტყვები და შემომხედა. ამ ბოლო ხანებში იგი მეტად ჩაფიქრებული ჩანდა, ძალზე უგულისყუროდ იქცეოდა და იშვიათად გველაპარაკებოდა.

– დიახ, მაკუმაზან, – ზულუსურ ენაზე მითხრა მან, – ალმასები სწორედ იქ არის და ისინი თქვენი იქნება, რადგან თქვენ, თეთრ ადამიანებს, ფული და ბრჭყვიალა ქვები ძალიან გიზიდავთ.

– საიდან იცი, ალმასები რომ იმ მთებშია, ამბოპა? – მკაცრად ვკითხე.

არ მომწონდა მისი გულჩახვეულობა, არც ის, რომ არასოდეს სათქმელს ბოლომდე არ ამბობდა.

– ეს მე წუხელ სიზმარში ვნახე, თეთრო ადამიანებო, – თქვა ამბოპამ, შებრუნდა და გაგვეცალა.

– რა უნდოდა ამით ეთქვა ჩვენ შავკანიან მეგობარს, – რა განუზრახავს, ან გულში რა უდევს? – იკითხა სერ ჰენრიმ. – ცხადზე უცხადესია, რაღაც იცის, მაგრამ არჩევს, ჩუმად იყოს. სხვათა შორის, ქუოტერმენ... იქნებ მან ჩვენი გამყოლებისაგან გაიგო რამე ჩემს... ჩემს ძმაზე?

– სამწუხაროდ, არაფერი. თუმცა ეკითხებოდა ყველას, ვისაც კი ამ ხნის განმავლობაში ოდნავ მაინც დაუმეგობრდა, მაგრამ ყველა პასუხობდა, ამ ქვეყანაში თეთრკანიანი არასოდეს არავის უნახავსო.

– ნუთუ ფიქრობთ, რომ თქვენი ძმა აქამდე მოაღწევდა? – ჰკითხა გუდმა, – განა ჩვენ თვითონ რაღაც სასწაულით არ მოვხვდით ამ ქვეყანაში? გარდა ამისა, როგორ გაიკვლევდა გზას, როცა რუკა არ ჰქონდა?

– არ ვიცი, – მიუგო სერ ჰენრიმ და სახე მოეღრუბლა, – მაგრამ დარწმუნებული ვარ, ადრე თუ გვიან ჩემს ძმას მაინც ვიპოვი.

ვიდრე ჩვენ ვლაპარაკობდით, მზე თანდათანობით მიეფარა მთებს და ხელადვე ჩამობნელდა. ამ განედებში ბინდბუნდი არ იცის და დღის სინათლე საოცრად სწრაფად ქრება. მზე ჩაესვენა თუ არა, არემარე ბნელმა მოიცვა, მაგრამ მალე დასავლეთით სუსტად აციმციმდა შუქი, შემდეგ მას ვერცხლისფერი გადაეკრა, ბოლოს კი გამოჩნდა უზარმაზარი სავსე მთვარე, რომლის მოკაშკაშე სხივებმა გაანათა ველი და დედამიწას ნაზი შუქის შარავანდედი მოჰფინა.

ჩვენ მოჯადოებულივით შევყურებდით ამ საოცარ სურათს. ძალა არ შემწევს აღვწერო ის მომხიბვლელი სილამაზე, რომლის წინაშეც

ვარსკვლავებმა ფერი დაკარგეს, ჩვენი გულები კი თითქოს ცად ამაღლდა და მოკრძალებული სიხარულით აღივსო.

მთელი სიცოცხლე ზრუნვასა და სიღარიბეში გავატარე, მაგრამ ზოგი რამ რომ მომაგონდება, გული მადლობის გრძნობით მევსება, იმისათვის, რომ ამქვეყნად მეც ვცხოვრობდი. ერთი ასეთი მოგონებათაგანია ის დაუვიწყარი საღამო და სავსე მთვარე, კუკუანელთა მიწა-წყალს ნაზ სხივებს რომ აფრქვევდა.

ფიქრი ჩვენმა ზრდილობიანმა მეგობარმა ინფადუსმა შემაწყვეტინა.

– უკეთუ ჩემმა მბრძანებლებმა დაისვენეს, ჩვენ შეგვიძლია განვაგრძოთ გზა, ლუუში თქვენთვის ყველაფერი გამზადებულია. მთვარე კი გზას გაგვინათებს და სიარული არ გაგვიჭირდება, – გვითხრა მან.

ჩვენ თანხმობა განვუცხადეთ. ყველანი გზას გავუდექით და ერთი საათის შემდეგ უკვე ლუუს მისადგომებთან ვიყავით. ერთი თვალის გადავლებით ლუუ უსაზღვროდ დიდი გვეჩვენა. ირგვლივ მეომართა ათასობით კოცონი ენთო, ასე გეგონებოდათ, ქალაქისათვის ცეცხლოვანი რკალი შემოუვლიათო. მალე მივუახლოვდით თხრილს, რომელზედაც ასაწევი ხიდი იყო გადებული. შემოგვესმა იარაღის ჟღარუნი და დარაჯის შეძახილი. ინფადუსმა მათ პაროლი შეაგება, მაგრამ სიტყვა კარგად ვერ გავარჩიე. მცველებმა თავისი მეთაური იცნეს, მიესალმნენ და ჩვენ ქალაქში შევედით.

მთელი ნახევარი საათი მივაბიჯებდით მთავარ ქუჩაზე ბალახისაგან დაწნულ ურიცხვ ქოხს შორის. ბოლოს ინფადუსი ქოხებთან შეჩერდა. მათ შუაგულში დანაყილი კირქვით მოკირწყლული პატარა ეზო მოჩანდა.

ინფადუსი ეზოში შევიდა და გამოგვიცხადა, ეს უბადრუკი სადგომები დღეიდან თქვენს განკარგულებაშიაო. ყოველი ჩვენგანისათვის გაემზადებინათ თითო პატარა ქოხი. ეს ქოხები ბევრად სჯობდა იმ ქოხს, რომელშიც ამას წინათ ღამე გავათიეთ. ყოველ ქოხში იყო სურნელოვანი ბალახისა და მოთელილი ტყავების საწოლი. იქვე იდგა წყლით სავსე თიხის დიდი ჭურჭელი. ვახშამი უკვე გაემზადებინათ. ხელ-პირის დაბანა ვერც კი მოვასწარით, რომ შემოვიდა რამდენიმე ახალგაზრდა ლამაზი ქალი. ისინი მდაბლად მოგვესალმნენ და ხის თეფშებზე კოხტად დაწყობილი შემწვარი ხორცი და სიმინდის კოკრები მოგვართვეს.

ჩვენ მადიანად ვივახშმეთ და შემდეგ ვთხოვე, ჩვენი ლოგინები ერთ ქოხში გადაეტანათ. ამ სიფრთხილემ ლამაზ ქალებს ღიმილი მოჰგვარა. მგზავრობით დაღლილ-დაქანცულნი საწოლებზე მივეყარეთ და თავი ღრმა ძილს მივეცით.

როცა გაგვეღვიძა, მზე კარგა მაღლა იყო წამოწეული. ფარეში ქალები უკვე ჩვენს ქოხში იყვნენ. მათ არ გააჩნდათ ყალბი სირცხვილის გრძნობა და უნდოდათ ტანსაცმლის ჩაცმაში დაგვხმარებოდნენ, როგორც ეს უფროსებისაგან ჰქონდათ ნაბრძანები. დღეს ხომ მეფეს უნდა ვხლებოდით.

– ჰმ, – ბურტყუნებდა გუდი, – ფეხსაცმლისა და ფლანელის პერანგის ჩაცმას ნეტავი რა უნდა. მისმინეთ, ქუოტერმენ, სთხოვეთ ამ ხალხს მომიტანონ შარვალი.

მე შევასრულე მისი თხოვნა, მაგრამ მიპასუხეს, ეს წმინდა ნივთები წაიღეს მეფესთან, რომელიც ახლა თქვენს მოსვლასდა ელისო.

ახალგაზრდა ქალებს ვთხოვეთ გასულიყვნენ ქოხიდან, რამაც ისინი ალბათ ძალზე გააკვირვა და გაანაწყენა. მერე კი დიდის გულმოდგინებით შევუდექით ჩაცმას.

გუდმა, რასაკვირველია, ვერ მოითმინა, მარჯვენა ლოყა კვლავ გაიპარსა და დააპირა სამართებელი მარცხენაზეც დაესვა, რომ ჯაგარივით სქელი წვერი

ჩამოეცილებინა, მაგრამ ჩვენ დავარწმუნეთ, არავითარ შემთხვევაში ეს არ ჩაედინა. რაც შეგვეხება მე და სერ ჰენრის, ჩვენ კარგად დავიბან-დავისუფთავეთ და თმა დავივარცხნეთ. სერ ჰენრის ოქროსფერი კულულები ძალზე წამოზრდოდა და მხრებზე ეყარა, ახლა იგი უფრო მეტად წააგავდა ძველ დანიელს. მეც ჯაგარი თმა ზომაზე მეტად დამგრძელებოდა, მაგრამ ამას ჯერჯერობით არაფერი უშველიდა. როცა კარგად დავნაყრდით და ჩიბუხებიც გავაბოლეთ, ინფადუსი თავად გვეახლა და მოგვახსენა, თუ თუალას ნახვას ინებებთ, დროა წავიდეთ, მეფე გველისო.

ჩვენ ვუპასუხეთ, გრძელმა გზამ ძალიან დაგვქანცა, ამიტომ ვამჯობინებთ, მეფესთან უფრო მოგვიანებით წავიდეთო. დაღლილობის გარდა სხვა ბევრი მიზეზიც მოვიგონეთ. როცა საქმე ველურებთან გაქვთ, ყოველთვის ასე უნდა მოიქცეთ, არ შეიძლება დაუყოვნებლივ აასრულო მათი ნება-სურვილი, რადგან თქვენს ზრდილობას ისინი აუცილებლად სიმხდალეს და მონურ ქედმოხრას მიაწერენ. ამიტომაც წასვლა კიდევ მთელი საათით დავაყოვნეთ, თუმცა მეფე თუალას ნახვა ძალიან გვაინტერესებდა. დრო რომ უფრო სწრაფად გასულიყო, მეფისა და მისი ახლობლებისათვის საჩუქრების გადარჩევას შევუდექით. ჩვენი ისედაც მცირე ნივთებიდან შევარჩიეთ საბრალო ვენტფოგელის ვინჩესტერი და ცოტაოდენი მძივები. გადავწყვიტეთ, თოფი და ტყვიები მისი უდიდებულესობისათვის მიგვერთმია, მძივებს კი მის ცოლ-შვილსა და კარისკაცებს გავუნაწილებდით. საჩუქარმა ისინი აღტაცებაში მოიყვანა, მსგავსი რამ ხომ თავის სიცოცხლეში არ ენახათ.

ბოლოს და ბოლოს გამოვაცხადეთ, მზად ვართ მეფეს ვეახლოთო, და ქოხიდან ინფადუსის და ამბოპას თანხლებით გამოვედით, ამბოპას ჩვენი საჩუქრები მოჰქონდა.

რამდენიმე ასეული იარდი გავიარეთ და აღმოვჩნდით ისეთსავე ღობეწნულთან, როგორიც ჩვენს ქოხებს ერტყა გარს. მაგრამ იგი ორმოცდაათჯერ უფრო გრძელი იქნებოდა, რადგან, სულ ცოტა, ექვს-შვიდ აკრ მიწას ღობავდა. ღობის შიგნით ჩამწკრივებულიყო ქოხები, აქ მეფის ცოლები ცხოვრობდნენ. ალაყაფის კარის პირდაპირ, უზარმაზარ მოედანზე განცალკევებით იდგა კარგა მოზრდილი ქოხი, ეს მისი უდიდებულესობის სამფლობელო გახლდათ. მოედანი ცარიელი იყო, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ცარიელი იქნებოდა, ამჟამად ზედ მეომართა მრავალრიცხოვანი რაზმები რომ არ მდგარიყო. სულ ცოტა, შვიდი-რვა ათასი კაცი მაინც იქნებოდა თავშეყრილი. გვერდით რომ ჩავუარეთ, ყველანი ქანდაკებებივით უძრავად იდგნენ. ვერ ავწერ, რა დიდებულ სანახაობას წარმოადგენდა ეს ჯარი, მათი აქეთ-იქით მოფრიალე ჯიღები, მზეზე მოლაპლაპე შუბები და კამეჩის ტყავგადაკრული რკინის ფარები. მოედნის ერთ მხარეს, მეფის ქოხის წინ იდგა რამდენიმე სკამი. ინფადუსის მითითებით, სამი სკამი დავიკავეთ, ამბოპა ჩვენ უკან დადგა, თვით ინფადუსი კი მეფის ქოხის კართან დარჩა. მოედანზე სამარისებური სიჩუმე იდგა. ათ წუთზე მეტი ველოდებოდით მისი უდიდებულესობის გამოსვლას და მთელი ამ ხნის განმავლობაში რვა ათასი წყვილი თვალი უდიდესი ინტერესით გვათვალიერებდა. რა თქმა უნდა, თავს მეტად უხერხულად ვგრძნობდით, მაგრამ ისე ვიქცეოდით, თითქოს ჩვენ არაფერი გვეხებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, დიდი ქოხის კარი გაიღო და იქიდან ერთი ოქლაქი მამაკაცი გამოვიდა. მხრებზე ვეფხვის ტყავის საუცხოო მოსასხამი ესხა. მას ფეხდაფეხ მოჰყვებოდა უფლისწული სკრაგა და, როგორც ერთი შეხედვით გვეჩვენა, გამხმარ-გალეული, სახედაღარული მაიმუნი, რომელიც ბეწვის მოსასხამში გახვეულიყო. ოქლაქი

სკამზე დაჯდა. სკრაგა ზურგს უკან ამოუდგა, მაიმუნი კი ოთხზე დადგა, გაფოფხდა და ქოხის ჩრდილს თავი შეაფარა.

მთელი ეს მილეთის ხალხი ისევ დუმდა.

უეცრად ოქლაქმა მოსასხამი გადაიძრო, წამოდგა და მთელი ტანით გაიმართა. ჩვენ წინაშე საზარელი გარეგნობის მამაკაცი იდგა. უგვანოდ მსხვილი ტუჩები, ფართო, მიტყეპნილი ცხვირი და ერთადერთი შავი თვალი ჰქონდა. მეორე თვალის ადგილას შავი ღრმული მოჩანდა. ჩემს სიცოცხლეში არსად შემხვედრია ამაზე საზიზღარი და ბოროტი სახის მქონე კაცი. ოქლაქს თავზე სირაქლემას ფრთების საუცხოო ჯიღა ედგა, მკერდს მბრწყინავი ჯაჭვის პერანგი უფარავდა. წელსა და მარჯვენა მუხლს ჩვეულებრივი სამკაული – კამეჩის თეთრი კუდები უმშვენებდა. ამ საზარელ კაცს ყელზე ოქროს ყელსაბამი ეკიდა. მის შუბლზე კი მკრთალად ციმციმებდა უზარმაზარი გაურანდავი ალმასი. ხელთ მძიმე გრძელი შუბი ეპყრა. მაშინვე მივხვდი, ეს საზარელი კაცი მეფე თუალა იყო.

სიჩუმე დიდხანს აღარ გაგრძელებულა, მეფემ თავისი შუბი მაღლა ასწია. პასუხად ჰაერში რვა ათასი შუბიანი ხელი აღიმართა და გაისმა მისალმება „კუუმ! კუუმ! კუუმ!" – რვა ათასი კაცის შეძახილმა მიწა შეაზანზარა. ამ ღრიალს მხოლოდ გამაყრუებელ ჭექა-ქუხილს თუ მიამსგავსებდა კაცი.

– მორჩილნი იყავით, ჰოი, ხალხნო, ეს თქვენი მეფეა! – გაისმა უცებ გამყივანი წვრილი ხმა ლაფაროდან, სადაც სახედაღარული მაიმუნი იჯდა.

– მეფეა! – ეხოსავით იგრგვინა რვა ათასმა კაცმა, – მორჩილნი იყავით, ხალხნო, ეს მეფა!

მოედანზე კვლავ სამარისებური სიჩუმე გამეფდა.

უეცრად ერთ-ერთ მეომარს, რომელიც მარცხენა ფრთაზე იდგა, ფარი დაუვარდა. ფარი წკრიალით დაენარცხა კირქვით მოკირწყლულ მიწას.

თუალამ თავი აიღო და ცივად გაიხედა იქით, სადაც ის მეომარი იდგა.

– შენ, ჰეი, აქეთ მოდექ! – მქუხარე ხმით დაუღრიალა სიჩუმის უნებლიე დამრღვევს.

მეომართა რიგებს ლამაზი ჭაბუკი გამოეყო. იგი მეფეს ეახლა და მის წინ აისვეტა.

– მაშ, ეს შენ დაგივარდა ფარი, შე ქოფაკო, შენა? შენ შემარცხვინე ვარსკვლავეთიდან ჩამოსულ უცხოელებთან? როგორ გაბედე ეს?

საბრალო ჭაბუკს სახეზე მკვდრის ფერი დაედო.

– ჰოი, ხბოო შავი ძროხისავ, – დაიჩურჩულა მან, – გეფიცები, არ მინდოდა, უნებლიეთ მომიხდა.

– ჰოდა, ეგ უნებლიე საქციელი საკუთარი სიცოცხლით უნდა ზღო, მოემზადე სასიკვდილოდ!

– მე მხოლოდ და მხოლოდ ხარი ვარ მეფისა, – ხმადაბლა თქვა საბრალო მეომარმა.

– სკრაგა! – დაიღრიალა მეფემ, – მაჩვენე შენი მკლავის ძალა, მოჰკალ ეს ძაღლი.

სკრაგა ავისმომასწავებელი ღიმილით წამოდგა წინ და შუბი აღმართა. მის საბრალო მსხვერპლს სახეზე ხელები აეფარებინა და გაუნძრევლად იდგა. ჩვენ თავზარი დაგვეცა. გაქვავებულებივით ვისხედით.

სკრაგამ ორჯერ მოიქნია შუბი და ჭაბუკს მკერდში აძგერა. დარტყმა იმდენად მძლავრი იყო, რომ შუბის წვერმა ზურგში გაატანა. საბრალო მეომარმა ხელები აიქნია და უსულოდ დაასკდა მიწას.

გამკიცხავი ბუტბუტი შორეული ქუხილივით გაჰყვა მეომართა მჭიდრო რიგებს და სადღაც, შორს, ჩაკვდა. ჩვენ ვერც კი მოვასწარით გაგვეგო, რა ხდებოდა, რომ სისხლში მოთხვრილი გვამი უკვე ჩვენს ფეხებთან ეგდო. სერ ჰენრი საშინელი წყევლა-კრულვით წამოიჭრა, მაგრამ საერთო სიჩუმით სულშეხუთული მძიმედ დაეშვა თავის ადგილზე.

– მარჯვე დარტყმა იყო, – თქვა თუალამ, – გაათრიეთ ეს გვამი აქედან!

მეომართა რიგებს გამოეყო ოთხი კაცი. მოკლული მეომრის გვამი გაიტანეს.

– დააყარეთ სისხლს მიწა, მიწა დააყარეთ! – დაიწრიპინა მაიმუნის მსგავსმა არსებამ. – მეფემ თავისი სიტყვა თქვა და განაჩენი აღსრულდა!

ქოხის გვერდით გამოჩნდა ქალწული. ხელში დაფხვნილი კირქვით სავსე ჭურჭელი ეჭირა. მოგვიახლოვდა და სისხლიან გუბეს სქლად მოაყარა კირი. სერ ჰენრი სიბრაზისაგან სულ ცოფებს ყრიდა და ძლივს იოკებდა გულისწყრომას. ჩვენ რის ვაი-ვაგლახით შევძელით მისი დაშოშმინება.

– ღვთის გულისთვის, დაწყნარდით, – წავჩურჩულე მე, – გახსოვდეთ, ჩვენი სიცოცხლე ჩვენს საქციელზეა დამოკიდებული.

სერ ჰენრი მიხვდა ამას და, როგორც იქნა, თავს სძლია.

ვიდრე ქალწული სისხლიან მიწას კირქვას აყრიდა და ამ საზარელი ტრაგედიის კვალს შლიდა, თუალა უხმოდ იჯდა, მაგრამ როგორც კი ქალწული იქაურობას გაეცალა, მისი უდიდებულესობა ჩვენკენ შემობრუნდა:

– გამარჯობათ, თეთრო ადამიანებო! – მოგვესალმა იგი.

– შენც გამარჯვებით გევლოს, კუკუანელთა მეფეო! – მივაგებეთ.

– თეთრო ადამიანებო, საიდან მოსულხართ, რას ეძებთ ჩვენს ქვეყანაში?

– ჩვენ ვარსკვლავეთიდან დავეშვით, რომ გვენახა კუკუანელთა მიწა. ნუ გვკითხავ, როგორ და რა საშუალებით მოვახერხეთ ეს.

– განა ღირდა ამოდენა გზის გამოვლა მხოლოდ იმისთვის, რომ ეს ერთი ციცქნა მიწა გენახათ? ანდა აი, ის კაციც ვარსკვლავეთიდან ჩამოვიდა? – თქვა და ამბოპაზე მიგვითითა.

– ჰო, ისიც ჩვენ ჩამოგვყვა, – მივუგე, – ცაში შავკანიანებიც არიან, მაგრამ ჰოი, თუალავ, ნუ გვკითხავ იმას, რაც შენს გაგებას აღემატება და რასაც შენი აზრი და გონება ვერ ჩასწვდება.

– თქვენ, ვარსკვლავეთის შვილები, რატომღაც ძალიან გაბედულად მელაპარაკებით, – შემოგვიღრინა თუალამ და თვალი ბოროტად აუბრწყინდა. – ნუ გავიწყდებათ, ვარსკვლავები შორსაა, თქვენ კი აქ, ჩემს ქვეყანაში იმყოფებით. იქნებ გნებავთ, თქვენ იმ მეომრის დღე გაყაროთ, ეს-ესაა აქედან რომ გაიტანეს?

მე ხმამაღლა გადავიხარხარე, თუმცა სიცილის გუნებაზე სულაც არ გახლდით.

– ჰოი, მეფეო, – ვუთხარი, – ფრთხილად იყავი, ფეხები არ დაიწვა, როცა ცხელ ქვიშაზე დადიხარ, შუბი ტარით დაიჭირე, ხელები არ დაგესეროს. გამიფრთხილებიხარ, მე და ჩემს მეგობრებს ბეწვიც კი რომ შეგვერხეს თავზე, სიკვდილისაგან ვეღარაფერი გიხსნის. განა შენმა ხალხმა – განვაგრძე და ინფადუსზე და საზიზღარ სკრაგაზე მივუთითე (სკრაგა ამ დროს შუბს სისხლისაგან წმენდდა), – არ გითხრა, ვინცა ვართ? ესეც არ იყოს, გინახავს სადმე ასეთი კაცი? – ხელი გუდისკენ გავიწვდინე, სრულიად დარწმუნებულმა, რომ მსგავსს ვერსად ვერავის ნახავდა.

– მართალი ხარ, არასოდეს მინახავს, – მიპასუხა თუალამ.

– არც ის უთქვამთ შენთვის, რომ ჩვენ შეგვიძლია შორი მანძილიდან მოვკლათ ცოცხალი არსება?

– მითხრეს, მაგრამ მათი არა მჯერა. მაჩვენე, როგორ აღწევ ამას, მოკალი ერთ-ერთი მეომარი აგერ, აი, იქ, – მითხრა და ხელი კრაალის მოპირდაპირე მიმართულებით გაიწვდინა, – მოკალი და მაშინ ეჭვი აღარ შემეპარება.

– არა, უდანაშაულო სისხლს ვერ დავღვრით, – ვუთხარი მე, – ჩვენ შეგვიძლია კაცი მხოლოდ მაშინ მოვკლათ, როცა რამეს დააშავებს და სასტიკ სასჯელს დაიმსახურებს. შენ კი, თუ გსურს ჩვენს ძლიერებაში დარწმუნდე, უბრძანე მსახურებს კრაალში ხარი მოდენონ, და ნახავ როგორ გავაგორებთ, ვიდრე ფეხის გადადგმას მოასწრებდეს.

– არა, არა, – გაიცინა მეფემ, – თუ გსურს დავიჯერო, კაცი უნდა მოკლა.

– კარგი, მეფეო, იყოს ნება შენი, – მშვიდად წარმოვთქვი მე, – გაჰყევი ამ მოედანს ალაყაფის კარისკენ და ვიდრე იქამდე მიაღწევდე, უსულოდ დაეცემი ძირს. თუ შენ არ გინდა წასვლა, სკრაგა გაგზავნე (უნდა მოგახსენოთ, იმ გარეწარ სკრაგას დიდი სიამოვნებით დავახლიდი ტყვიას).

ამ სიტყვების გაგონებაზე სკრაგამ საზარლად შეჰყვირა და ქოხში შევარდა.

თუალამ ამაყად გადმომხედა და შუბლი შეიკრა, აშკარა იყო, ჩემი წინადადება არ მოეწონა.

– მოდენეთ მოზვერი! – უბრძანა მსახურებს და ისინიც სწრაფად გაქანდნენ ბრძანების შესასრულებლად.

– ამჯერად თქვენ ისროლეთ, – ვუთხარი სერ ჰენრის, – უნდა დავუმტკიცოთ ამ გარეწარს, რომ ჩვენს შორის მარტო მე არა ვარ ჯადოქარი და მისანი.

– იმედი მაქვს, არ ავაცდენ, – თქვა და მძიმედ ამოიოხრა.

– თუ ერთხელ ვერ მოარტყით, მეორედ ესროლეთ. ას ორმოცდაათ იარდზე რომ მოგვიახლოვდება, მაშინ ამოიღეთ მიზანში და დაიცადეთ, ვიდრე ჩვენკენ გვერდით არ შებრუნდება.

მოედანზე სიჩუმემ დაისადგურა.

უეცრად ალაყაფის კარი გაიღო და გამოჩნდა ხარი. ეს ზღვა ხალხი რომ დაინახა, შეჩერდა, დაფეთებული თვალები უაზროდ მოავლო იქაურობას, შემდეგ შებრუნდა და დაიბღავლა.

– ესროლეთ! – ვუჩურჩულე სერ ჰენრის.

– ბუმ! ბუმ! – გაისმა გამაყრუებელი გრიალი.

ხარი ზურგზე დაეცა და ფეხები ააფხარკალა. სასკდომი ტყვია შიგ ფერდში მოხვდა. ხალხი გაოცებული და თავზარდაცემული იდგა.

– ჰოი, მეფეო, ხომ ხედავ, ტყუილი არ მითქვამს შენთვის.

– არა, თეთრო ადამიანო, შენ მართალი იყავი, – კრძალვით და შიშით მომიგო თუალამ.

– მისმინე, თუალა, – განვაგრძე მე, – შენთვის სრულიად საკმარისია, რაც ნახე, მაგრამ იცოდე, ჩვენ მშვიდობა გვიყვარს და აქ საომრად არ მოვსულვართ. შეხედე, – ვუთხარი და თოფი მაღლა ავწიე, – აი ამ გულგამოცლილი ჯოხით შენც შეგეძლება სროლა, მაგრამ იცოდე, ჯოხი შელოცვილია და თუ ადამიანს უმიზნებ, მის ნაცვლად შენ მოკვდები. მოიცა! მოიცა! მინდა კიდევ რაღაც გაჩვენო. ერთ-ერთმა შენმა მეომარმა აქედან ორმოც ნაბიჯზე ტარით ჩაასოს შუბი მიწაში, ისე რომ ბუნიკი ბრტყელი მხრით ჩვენკენ იყოს მოქცეული.

ეს ბრძანება დაუყოვნებლივ იქნა შესრულებული.

– ახლა კი უცქირე, ჰოი, მეფეო, როგორ ვაქცევ ნამსხვრევებად იმ შუბს.

თოფი გულდაგულ დავუმიზნე და ვისროლე. ტყვია ბუნიკს მოხვდა და ნამსხვრევებად აქცია.

მოედანზე მძიმე ოხვრა გაისმა.

– აჰა, თუალა, მიიღე ჩვენგან საჩუქრად ეს მოჯადოებული მილი, შემდეგ მის ხმარებასაც გასწავლით, მაგრამ გაფრთხილებ, ადამიანის წინააღმდეგ არ გამოიყენო! – ვუთხარი და თოფი გავუწოდე.

მეფემ სიფრთხილით გამომართვა საჩუქარი და ფეხებთან დაიდო. სწორედ ამ დროს შევამჩნიე, რომ ის მაიმუნისმსგავსი არსება თავისი ადგილიდან წამოდგა და ფორთხვით წამოვიდა ჩვენკენ. როცა მოგვიახლოვდა, ფეხზე წამოდგა და ბეწვის მოსასხამი მოიხსნა, ჩვენს წინ არაჩვეულებრივი არსება იდგა. ეს იყო ძალზე მოხუცი ქალი, წელთა სიმრავლისაგან სახე საოცრად დაჭკნობოდა და დაპატარავებოდა, თანაც ღრმა ყვითელი ნაოჭებით ჰქონდა დაფარული. ნაოჭებს შორის პატარა ხვრელივით მოუჩანდა პირი. ამ არსებას ცხვირი სულაც არ ემჩნეოდა და, საერთოდ, ადამიანი კი არა, გამომშრალი მუმია გეგონებოდათ, რომ ნაღვერდალივით ანთებული დიდი შავი თვალები არ ჰქონოდა. ეს თვალები ცოცხლად იმზირებოდნენ სრულიად გათეთრებულ წარბებს ქვემოდან, პერგამენტივით ყვითელი შუბლი და წვეტიანი წინ წამოწვდილი ნიკაპი ჰქონდა, თავზე კი თმის ღერიც არ მოეძებნებოდა. დანაოჭებული კანი კაპიშონივით მოძრაობდა თავის ქალაზე.

ამ საშინელი არსების დანახვაზე უნებლიეთ შევკრთი. შიშმა ამიტანა. შემზარდა ქალი. იგი წუთით უძრავად იდგა, შემდეგ გაიწვდინა გაძვალტყავებული ხელი, რომელიც ფრინველის კლანჭს წააგავდა, და წვრილი, მკივანა ხმით დაიწყო:

– ჰოი, მეფეო, ყური მომაპყარ! მისმინეთ თქვენც, მეომრებო, მთებო, ველებო, მდინარეებო, კუკუანელთა ქვეყანავ! მისმინეთ ქალებო და კაცებო, ჭაბუკნო და ქალწულნო, მისმინეთ ყრმანო, რომელნიც ჯერ არ შობილხართ! მისმინოს ყველამ და ყოველმა, რაც კი ცოცხლობს და რაც უნდა მოკვდეს. მისმინოს მანაც, რაც მოკვდა და აწ უნდა გაცოცხლდეს. გაცოცხლდეს და მერე ისევ მოკვდეს. ჩემში გაცხოველდა სიცოცხლის სული, ისმინეთ-მეთქი, ისმინეთ ჩემი წინასწარმეტყველება!

დედაბერმა ერთი შეჰკივლა და დადუმდა, ყველანი თავზარდაცემულებივით ვიდექით. ეს ქალი მართლაც საზარელი რამ იყო.

– სისხლი! სისხლი! სისხლი! სისხლის ზღვა დგას, ყველგან სისხლია, – კვლავ განაგრძო ამ ჯადომ. – ვხედავ მას, ვგრძნობ მის მლაშე გემოს, მცემს მისი სუნი.

– ჩუ! ნაბიჯი ნაბიჯს მიჰყვება! ეს თეთრი ადამიანის ფეხის ხმაა. იგი შორიდან მოდის, ნაბიჯები მიწას აზანზარებს. მიწა თრთის, ცახცახებს თავისი მბრძანებლის წინაშე.

რა საუცხოოა ეს სისხლი, ეს წითელი სისხლი, ნეტავ თუ რამე შეედრება თბილი სისხლის სუნს. ლომები ბრდღვინვით ხარბად ალოკავენ მას, მტაცებელი ფრინველები ფრთებს განიბანენ შიგ და სიხარულით ყაშყაშ-ყრანტალს მოჰყვებიან.

მე მოხუცი ვარ, მოხუცი! ჩემს სიცოცხლეში სისხლის მდინარეები მინახავს, ჰა, ჰა, ჰა! მაგრამ სიკვდილამდე კიდევ უფრო მეტს ვნახავ და ჩემს სულს სიხარული დაეუფლება. როგორ ფიქრობთ, რა ხნის ვიქნები? თქვენი მამების, პაპებისა და პაპის პაპების მომსწრე ვარ. მე მინახავს თეთრი ადამიანი და ვიცი, რა სურს მას. მე დიდი ხნისა ვარ, მაგრამ ეს მთები ჩემზე უფრო დიდი ხნის წინათ გაჩნდნენ. მითხარით, ვინ გაიყვანა დიდი გზა? ვინ გამოკვეთა ის

სურათები კლდეებზე? ვინ გამოაქანდაკა სამი დაყურსებული, მაღაროსთან მთებში რომ სხედან და ჩვენს ქვეყანას გადმოსცქერიან? – თქვა და ხელი გაიწვდინა ჩამოფხავებული ციცაბო მთისკენ, რომელიც ჩვენ ჯერ კიდევ წინა დღით შევნიშნეთ. – თქვენ ვინ გეტყოდათ, მე კი ვიცი. დიდი, ძალიან დიდი ხნის წინათ, აქ იყვნენ თეთრკანიანები, ისინი კვლავაც მოვლენ ჩვენს მიწაზე, თქვენ კი აღარ იქნებით, არ იქნებით იმიტომ, რომ თეთრი ადამიანები ამოგვჟლეტენ. დიახ! დიახ! დიახ! ამოგვჟლეტენ.

რისთვის მოდიოდნენ აქ თეთრკანიანები – ეს გონიერი, ძლიერი, ჯიუტი და მისნობაში გაწაფული ადამიანები?

ჰოი, მეფეო! ვინ მოგცა ეგ ბრჭყვიალა ქვა, შუბლს რომ გიმშვენებს? ვისმა ხელმა გაჭედა რკინის პერანგი, მკერდს რომ გიცავს? შენ არ იცი, არა, მე კი ვიცი. მე მოხუცი ვარ, ბრძენი ვარ, მე იზანუზი, დიადი მისანი ვარ!

შემდეგ მოტვლეპილი თავი ჩემკენ მოაბრუნა და დაიწივლა:

– რას ეძებთ ჩვენთან, ვარსკვლავეთის შვილნო, რას ეძებთ, თეთრკანიანებო?.. თუ დაკარგულ ადამიანს დაეძებთ, მას აქ ვერ იპოვით. უკვე დიდი ხანია არც ერთ თეთრკანიანს არ დაუდგამს ფეხი ჩვენს მიწა-წყალზე. დიახ, დიახ, გარდა ერთისა, მაგრამ იმანაც მალე დატოვა აქაურობა და სულთა ქვეყანაში გაემგზავრა. თქვენ ბრჭყვიალა ქვებისთვის მოხვედით. ვიცი, ნამდვილად ვიცი ეს. როცა სისხლის გუბეები დაშრება, თქვენ იპოვით ამ ქვებს. მაგრამ გაბრუნდებით თუ არა თქვენს ქვეყანაში? თუ ჩვენთან დარჩებით? ჰა! ჰა! ჰა!

– შენ კი, შენ, ამაყო შავკანიანო, – წაჰკივლა დედაბერმა და გაძვალტყავებული ხელი ამბოპასაკენ გაიწვდინა. – ვინა ხარ, ან რას ეძებ აქ? ბრჭყვიალა ქვები და ყვითლად მოციმციმე რკინა შენ არ გაინტერესებს – შენ მათ ვარსკვლავეთის თეთრკანიან შვილებს დაუთმობ. მე მგონია, გიცნობ, ვინცა ხარ, მე მგონია, ვცნობ სისხლის სუნს შენს ძარღვებში. აბა ეგ წელსაკრავი შემოიხსენი...

მოულოდნელად ამ საზიზღარ არსებას სახე უფრო დაემანჭა, პირიდან დუჟმა დაუწყო დენა და ბნედამორეული მიწაზე დაეცა. იგი იმწამსვე ქოხში შეიყვანეს.

მეფე წამოდგა. ეს ამოდენა კაცი თავით ფეხებამდე ცახცახებდა. ხელი აიქნია და მეომართა რაზმები ერთმანეთის მიყოლებით მწყობრად გაემართნენ გასასვლელისაკენ.

ათიოდე წუთის შემდეგ უზარმაზარი მოედანი დაცარიელდა.

ჩვენ მარტონი დავრჩით მეფესთან. მისი მცირერიცხოვანი ამალაც აქვე იდგა.

– თეთრო ადამიანებო, – თქვა მეფემ, – გაგულა რაღაც უცნაურად ლაპარაკობდა, მე მგონია, აჯობებს, რომ ყველანი აქვე დაგხოცოთ. რას იტყვით ამაზე?

– ჰოი, მეფეო, გაფრთხილდი, – გავიცინე მე, – ხომ დაინახე, რა დაემართა ხარს? ნუთუ გინდა შენც ის დღე დაგადგეს?

თუალამ შუბლი შეიჭმუხნა.

– მეფეს არ ემუქრებიან, – კუშტად გამოსცრა მან.

– ეს მუქარა არ არის, სიმართლეს გეუბნებით. ჰოი, მეფეო, აბა აღმართე ჩვენზე ხელი და ნახავ, რა დღე დაგადგეს!

ოქლაქმა ხელი შუბლზე მიიდო და წუთით დაფიქრდა.

– კარგი, წადით, – თქვა ბოლოს. – დღეს საღამოს მეჯლისს ვაწყობთ. ეს იქნება დიდი მეჯლისი, თქვენც უნდა დაესწროთ. ნუ გეშინიათ, არაფერს დაგიშავებთ, ხვალ კი გადავწყვეტთ, რა გიყოთ და როგორ მოგექცეთ.

– კარგი, მეფეო! – გულგრილად ვუთხარი.

ყველანი წამოვდექით და ინფადუსის თანხლებით ჩვენი კარვებისაკენ გავემართეთ.

თ ა ვ ი X I V

ნ ა დ ი რ ო ბ ა მ ი ს ნ ე ბ ზ ე

ქოხს რომ მივუახლოვდით, ინფადუსს ვანიშნე, ჩემთან შემოდი-მეთქი.

– მისმინე, ინფადუს, – ვუთხარი, – ჩვენ გვინდა მოგელაპარაკოთ.

– გისმენთ, მბრძანებელო!

– ჩვენი აზრით, ინფადუს, მეფე თუალა სასტიკი და ულმობელია.

– მართალი გახლავთ, ჩემო მბრძანებელო. ვაი, რომ ხალხი მძიმე უღელქვეშ გმინავს. თუმცა დღეს ყველაფერს საკუთარი თვალით ნახავთ. ღამით მისნებზე ნადირობა მოეწყობა. მრავალი ადამიანი გამოესალმება სიცოცხლეს. გულდამშვიდებით ვერავინ იქნება. თუ მეფემ მოისურვა წაართვას თავის ქვეშევრდომს ჯოგი ან სიცოცხლე, მას ვეღარაფერი იხსნის. შემთხვევით ვინმეზე ეჭვი რომ მიიტანოს და არაკეთილსაიმედო კაცად შერაცხოს, მაშინ გაგულა ან მისი გაწვრთნილი რომელიმე ქალი მისნად გამოაცხადებს და მოაკვლევინებს მას. ამაღამ, ვიდრე მთვარე ფერს დაკარგავდეს, მრავალ ადამიანს მოესწრაფება სიცოცხლე. ასე ხდება მუდამ. რა ვიცი, ეგება მეც მემუქრება სიკვდილი. დღემდე ხელი არ უხლიათ, იმიტომ რომ სამხედრო საქმეში დიდი გამოცდილება მაქვს, თანაც, მეომრებს ვუყვარვარ, მაგრამ არ ვიცი, დიდხანს შევინახავ ამგვარად თავს თუ არა. თუალას ხელში ქვეყანა იტანჯება და თანდათანობით სისხლისგან იწრიტება.

– მაშ, ხალხი რატომ ითმენს მას, ინფადუს?

– ო, არა, მბრძანებელო, რაც უნდა იყოს, თუალა მეფეა, რომ მოვკლათ, მის ადგილს სკრაგა დაიჭერს. ის კი უფრო მძიმე უღელს დაგვადგამს ზურგზე, იმოტუ რომ ცოცხალი ყოფილიყო, ან მისი შვილი იგნოზი არ დაღუპულიყო, ყველაფერი სხვაგვარად წარიმართებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი ამქვეყნად აღარ არიან.

– ვინ გითხრა, რომ იგნოზი მკვდარია? – გაისმა ხმა ჩვენს ზურგს უკან. ეს ამბოპა იყო.

– რა გსურს ამით თქვა, ჭაბუკო! – შეეკითხა ინფადუსი, – და რატომ გაკადინიერდი ისე, რომ ხმის ამოღება გაბედე?

– მისმინე, ინფადუს, – უთხრა ამბოპამ, – მოისმინე რასაც გეტყვი. დიდი ხნის წინათ კუკუანელთა ქვეყანაში მოკლეს მეფე. მისი ცოლი პატარა ვაჟთან ერთად, რომელსაც იგნოზი ერქვა, აქედან გაიქცა და თავს უშველა. მართალია ეს თუ არა?

– მართალია.

– ამბობენ, ქალი და ბავშვი შიმშილით დაიღუპნენო, ხომ ასეა?

– დიახ, ასეა.

– ძალიან კარგი, მაგრამ ყველაფერი სხვაგვარად შეტრიალდა, დედა-შვილი არ დაღუპულა. ისინი მთებზე გადავიდნენ, რომელიღაც მოხეტიალე ტომთან

ერთად გადალახეს უდაბნო, მთების გადაღმა რომ დახვდათ, და მიაღწიეს ადგილს, სადაც იყო წყალი და ხე და ბალახი ხარობდა.

– შენ ეს საიდან იცი?

– მისმინე. მისმინე. მათ შეუსვენებლივ იარეს მრავალი დღის განმავლობაში, ვიდრე ბოლოს და ბოლოს არ მიადგნენ ქვეყანას, სადაც კუკუანელთა მონათესავე ტომი ამაზულუ ცხოვრობს. დიდხანს ცხოვრობდნენ იქ. ბოლოს დედა მოკვდა. მაშინ მისმა შვილმა იგნოზიმ კვლავ მოხეტიალე ცხოვრებას მიჰყო ხელი, იგი გაემგზავრა საოცრებათა ქვეყანაში, სადაც თეთრკანიანები ცხოვრობენ და წლების განმავლობაში ეწაფებოდა მათ სიბრძნეს.

– საოცარ ამბავს ყვები, – უნდობლად თქვა ინფადუსმა.

– იგნოზიმ მრავალი წელი დაჰყო იქ. იყო მსახური, მეომარი, გულში კი სათუთად ინახავდა დედის ნაამბობს სამშობლოზე, ოცნებობდა დაბრუნებულიყო იქ, ენახა თავისი ხალხი, ენახა მამის კერა, ვიდრე სიკვდილი თვალს დაუხუჭავდა. მრავალი წელი ელოდა მარჯვე შემთხვევას. და აი, დადგა დრო და ბედმა იგი თეთრკანიანებს შეახვედრა. თეთრკანიანები მის სამშობლოში აპირებდნენ წამოსვლას და იგნოზიც მათ შეუერთდა. შეუჩერებლივ მოდიოდნენ. გადაიარეს ცხელი უდაბნო, თოვლით დაფარული მთები, კუკუანელთა ქვეყანაში მოვიდნენ და პირველ დღესვე შეგხვდნენ შენ, ჰოი, ინფადუს!

– შენ უთუოდ შეშლილი ხარ, თორემ ასე არ ილაპარაკებდი, – წამოიყვირა მოხუცმა მეომარმა, რომელიც გაოცებით შესცქეროდა ამბოპას.

– ტყუილად ფიქრობ ასე, აბა კარგად შემომხედე, ჰოი, ბიძაჩემო, მამაჩემის ძმაო, მე ვარ იგნოზი, კუკუანელთა კანონიერი მეფე!

ამ სიტყვებით მან თეძოებიდან ერთი ხელის მოსმით მოიძრო შემოსაკრავი და ჩვენ წინ დედიშობილა დადგა.

– აბა, კარგად დააკვირდი, იცი თუ არა, რა არის ეს? – თქვა და მიუთითა ლურჯი საღებავით ამოსვირინგებულ გველზე, ტანზე რომ შემოკლაკნოდა. გველს პირით მისივე კუდი ეჭირა.

ინფადუსს გაოცებისაგან ლამის თვალები წამოსცვივდა. იგი ერთხანს გაშეშებული იდგა, შემდეგ კი მუხლებზე დაეცა.

– კუუმ! კუუმ! – წამოიძახა მან, – ეს ჩემი ძმისწულია, კუკუანელთა მეფეა!

– მეც სწორედ ეგ გითხარი, ჰოი, ბიძაჩემო. მხოლოდ ერთი კია, ჯერჯერობით მეფე არა ვარ, მაგრამ იმედი მაქვს, შენი ხელშეწყობითა და ჩემი მამაცი თეთრკანიანი მეგობრების დახმარებით უსათუოდ დავიბრუნებ ტახტს. გაგულამ მართალი თქვა, მიწა სისხლით მოირწყვებაო, იმ სისხლს გაგულას სისხლიც შეუერთდება, თუკი, რასაკვირველია, იმ კუდიანს კიდევ უდგას ძარღვებში სისხლი, იმიტომ რომ მან თავისი ბილწი სიტყვით მოაკვლევინა მამაჩემი, დედა კი სამშობლოდან გააძევა. ინფადუს, ისურვებ თუ არა ხელი მომცე, გაიზიარო ყველა საფრთხე და საშიშროება, რომელიც მე მემუქრება, დამეხმარები თუ არა ტახტიდან ჩამოვაგდო მტარვალი და კაცისმკვლელი? აირჩიე-მეთქი, პასუხს ველი!

მოხუცმა შუბლზე ხელი მიიდო და დაფიქრდა. შემდეგ წამოდგა, მიუახლოვდა იმ ადგილს, სადაც ამბოპა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, იგნოზი იდგა, მუხლი მოიყარა და იგნოზის ხელს შეეხო.

– იგნოზი, კუკუანელთა კანონიერო მეფევ, თანახმა ვარ ხელი მოგცე და სიკვდილამდე გემსახურო. როცა პატარა იყავი, ჩემს მუხლებზე გარწევდი და

გათამაშებდი, ახლა კი ამ დამჭკნარ-დანაოჭებულ ხელში ავიღებ იარაღს, რომ ვიბრძოლო შენთვის და თავისუფლებისათვის!

– ეს საუცხოოდ თქვი, ინფადუს! თუ გავიმარჯვე, კუკუანელთა ქვეყანაში მეფის შემდეგ პირველი კაცი შეიქნები, მაგრამ თუ დავმარცხდი, მაშინ უეჭველი სიკვდილი გელის. სიკვდილი კი ყველა ჩვენგანის ხვედრია, ამასთან შენ არც ისე ახალგაზრდა ხარ. ადექ, მამაჩემის ძმაო. თეორკანიანებო, თქვენ რაღას მეტყვით? დამეხმარებით? რა შემიძლია სანაცვლოდ შემოგთავაზოთ? თუ გავიმარჯვე და იმ ბრჭყივალა ქვების პოვნა შევძელი, თან გაგატანთ იმდენს, რამდენსაც ზიდავთ. საკმარისია ეს თქვენთვის?

მისი სიტყვები ჩემს თანამგზავრებს ვუთარგმნე.

– გადაეცით ამბოპას, – მითხრა სერ ჰენრიმ, – რომ ინგლისელებზე მცდარი წარმოდგენა ჰქონია. სიმდიდრე კარგი რამ არის და თუ იგი ცხოვრების გზაზე შეგვხვდა, ზურგს არ შევაქცევთ. მაგრამ ჯენტლმენი სიმდიდრისთვის სულს არ გაყიდის. ჩემი სახელით კი აი, რა უთხარით: მე ყოველთვის მომწონდა ამბოპა და ამ ბრძოლაში მუდამ მის გვერდით ვიქნები. ესეც რომ არ იყოს, უდიდესი სიამოვნებით გავუსწორებ ანგარიშს იმ ქაჯსა და ეშმაკს – თუალას. თქვენ რაღას იტყვით, გუდ, რას იტყვით, ქუოტერმენ?!

– რა მეთქმის, – მიუგო კაპიტანმა, – ჰიპერბოლურად რომ ვთქვა, შეგიძლიათ გადასცეთ, რომ ბრძოლა ჭეშმარიტი ადამიანის გულს ახარებს. ამიტომ, რამდენადაც საქმე მე შემეხება, შეუძლია ჩემი იმედი იქონიოს, მხოლოდ ერთი პირობით, შარვალი უნდა დამიბრუნოს.

მე მისი პასუხიც გადავთარგმნე.

– გმადლობთ, მეგობრებო, – თქვა იგნოზიმ, – შენ რაღას იტყვი, მაკუმაზან? დარჩები ჩემთან, უბადლო მონადირევ, დაჭრილ კამეჩზე უბრძნესო?

მე კეფა მოვიქექე და დავფიქრდი.

– ამბოპა, ანუ იგნოზი, – ვუთხარი ბოლოს, – არ მიყვარს რევოლუცია, მე მშვიდობისმოყვარე და, ცოტა არ იყოს, მშიშარა კაცი ვარ (აქ იგნოზიმ გაიღიმა); მაგრამ მიუხედავადა ამისა, მუდამ ჩემი მეგობრების ერთგული ვიქნები. შენ ერთგულად გვემსახურებოდი და ნამდვილი ვაჟკაცობა გამოიჩინე, ამიტომ ამ ბრძოლაში არც მე მიგატოვებ, მაგრამ ნუ დაგავიწყდება, რომ ვაჭარი კაცი ვარ და ცხოვრება მაიძულებს ლუკმა-პური შრომით მოვიპოვო. ამიტომ უარს არ ვამბობ იმ ალმასებზე, რასაკვირველია, თუ მათ ადგილსამყოფელს მივაგნებთ. ამასთან, როგორც იცი, ჩვენ აქ ინკუბუს დაკარგული ძმის საძებრად წამოვედით, ჰოდა, უნდა დაგვეხმარო და გვაპოვნინო იგი.

– შენს თხოვნას ავასრულებ, – მომიგო იგნოზიმ, – მისმინე, ინფადუს, – განაგრძო მან და მოხუც მეომარს მიუბრუნდა, – გაფიცებ გველის წმინდა გამოსახულებას, მართალი მითხარი, გსმენია ოდესმე, რომ თეორკანიანს კუკუანელთა მიწაზე ფეხი დაედგას?

– არა, იგნოზი.

– აქ რომ სადმე თეორკანიანი ენახათ, ან გაეგოთ რამე მასზე, შენ ხომ უსათუოდ შეიტყობდი?

– რა თქმა უნდა, შევიტყობდი.

– ხომ გესმის, ინკუბუ? – მიმართა იგნოზიმ სერ ჰენრის, – ცხადზე უცხადესია, შენი ძმა აქ არ ყოფილა.

– ვაი, რომ მესმის! – ოხვრით აღმოხდა სერ ჰენრის, – უეჭველია, აქამდე ველარ მოაღწია... საბრალო ჯორჯი, მაშ, ამდენმა ტანჯვა-წვალებამ ფუჭად ჩაგვიარა? იყავნ ნება ღვთისა.

– აბა, ახლა კი საქმეზე გადავიდეთ, – სიტყვა ჩავურთე მე, რადგან მინდოდა შემეწყვიტა ეს სევდიანი საუბარი, – რასაკვირველია, თუ ღმერთი შეეწია, მეფობაზე უარს არავინ იტყვის, იგნოზი, მაგრამ როგორ და რა გზით აპირებ გამეფებას?

– ეგ უკვე აღარ ვიცი, იქნებ ინფადუსმა რამე გეგმა შემოგვთავაზოს?

– იგნოზი, ძეო ელვისა, – დაიწყო ინფადუსმა, – ამაღამ გაიმართება დიდი ცეკვები, მერე კი მისნებზე ნადირობა დაიწყება, მრავალ ადამიანს დაუბნელდება მზე, უფრო მეტი კი დამწუხრებული და გულდათუთქული დარჩება. ხალხი გულში თუალას წინააღმდეგ ამხედრდება. ცეკვა რომ დამთავრდება, ბელადებს მოველაპარაკები, ისინი კი თავის მხრივ მეომრებს მოეთათბირებიან. ბელადებთან, რასაკვირველია, საიდუმლო ბჭობას გავმართავ და თუ მათი გადმობირება შევძელი, ყველანი აქ მოვალთ. თუ საქმე ისე წარიმართა, როგორც მე მინდა, ხვალ, ალიონზე შენს განკარგულებაში ოცი ათასი კაცი მაინც იქნება. ერთი სიტყვით, თუ ცოცხლები გადავრჩით, აქ შევგროვდებით და ყველაფერზე ვიმსჯელებთ. მხოლოდ იცოდე, რაც არ უნდა მოხდეს, ბრძოლა მაინც არ აგვცდება.

საუბარი ხმამაღლა ლაპარაკმა და ხმაურმა შეგვაწყვეტინა. მეფის მსახურნი იყვნენ. ჩვენ ქოხის კარს მივადექით და მცველებს მათი შემოშვება ვუბრძანეთ.

მაშინვე შემოვიდა სამი კაცი. ყოველ მათგანს ხელში ჯაჭვის პერანგი და საუცხოო საბრძოლო ნაჯახი ეჭირა.

– ეს ჩემმა მბრძანებელმა, მეფე თუალამ აახლა ვარსკვლავეთიდან ჩამოსულ ადამიანებს, – გამოგვიცხადა ჰეროლდმა, მათ რომ ახლდა.

– გაბრუნდით და ჩვენგან მადლობა გადაეცით მეფეს, – ვუთხარი. მსახურნი წავიდნენ და ჩვენ დიდი ინტერესით შევუდექით საჩუქრების დათვალიერებას. ასეთი საუცხოო ჯაჭვები არასოდეს გვენახა. ისეთი ფაქიზი ნახელავი და ისე თხელი იყო, რომ ხელისგულზე ადვილად თავსდებოდა.

– რა უცხო ნაკეთობაა, ინფადუს, ნუთუ თქვენს ქვეყანაში მსგავს რამეს ამზადებენ?

– არა, ჩემო მბრძანებელო, – გვიპასუხა ინფადუსმა, – ეგ წინაპართაგან შემოგვრჩა, არ ვიცი, ვინ და როდის გაჭედა. ახლა ცოტაღა დაგვრჩა და მხოლოდ მეფის ოჯახის წევრებს შეუძლიათ მათი ტარება. ეს მოჯადოებული რკინაა, შიგ შუბი ვერ ატანს და ბრძოლაში მათ პატრონს არავითარი საფრთხე არ ელის. მეფე ან ძალიან კმაყოფილია თქვენით, ან რაღაცას შეუშინებია, თორემ ამას აქ არ გაახლებდათ. კარგი იქნება, თუ საღამოს ამ ჯაჭვებს ჩაიცვამთ, ჩემო მბრძანებლებო!

ის დღე მშვიდად გავატარეთ, ვისვენებდით და ჩვენს ახლანდელ ყოფაზე ვმსჯელობდით. მდგომარეობა ძალზე დამაფიქრებელი იყო.

ბოლოს მზეც ჩავიდა. აბრიალდა ათასობით კოცონი. ბნელში მძიმე ნაბიჯების ხმა დაირხა, შუბების ჩხარუნიც შემოგვესმა. მეომრების უსასრულო რაზმები მოედნისაკენ მიემართებოდნენ, რომ ადგილები დაეჭირათ და დიდი ცეკვებისთვის მომზადებულიყვნენ.

ცაზე სხივნათელი ბადრი მთვარე ამოგორდა.

ინფადუსი რომ მოვიდა, ჩვენ ეზოში ვიდექით და მთვარიანი ღამით ვტკბებოდით. ინფადუსს სამხედრო ტანსაცმელი ეცვა, თან ოცი კაცისაგან შემდგარი რაზმი ახლდა. რაზმს მოედნამდე უნდა მივეცილებინეთ. ინფადუსის რჩევით, ჯაჭვის პერანგი ჩავიცვით, ზემოდან კი ჩვენი ტანსაცმელი გადავიცვით. საკვირველი ის იყო, რომ ამ ჯავშანში თავს საოცრად მსუბუქად და თავისუფ-

ლად ვგრძნობდით. ეს ჯაჭვები, რომლებიც ოდესღაც, ალბათ, გოლიათური აღნაგობის ადამიანებს ეკუთვნოდა, გუდსა და მე სრულად გვადგა, მაგრამ სერ ჰენრის მკერდზე ჰქონდა შემოსალტული.

ქამრებზე რევოლვერები დავიკიდეთ, მეფის ნაბოძვარი საბრძოლო ნაჯახები ავიღეთ და ჩვენს მასპინძლებს მოედნისაკენ გავყევით.

დიდი კრაალი, სადაც ამ დილით მეფემ შეხვედრა მოგვიწყო, ერთიანად ხალხით იყო გაჭედილი. წრეში ოცი ათასამდე მეომარი იდგა, ყოველ პოლკს მისთვის განკუთვნილი ადგილი ეჭირა. პოლკები, თავის მხრივ, რაზმებად იყო დაყოფილი, რაზმებს შორის ვიწრო გასასვლელები დაეტოვებინათ, რომ მისნებზე მონადირე ქალებს თავისუფლად ემოძრავათ აქეთ-იქით.

მართლაც რომ დიდებულ სანახაობას წარმოადგენდა ერთად თავშეყრილი იარაღასხმული ეს ამოდენა ხალხი. მეომრები სრულ სიჩუმეში მწყობრად იდგნენ. მთვარე დაჰნათოდა მაღლა შემართულ შუბების ტყეს, მოფრიალე ფრთებსა და სხვადასხვა ფერის ფარებს. საითაც არ უნდა მიგვეპყრო მზერა, ყველგან გაქვავებულ სახეებს და შუბების უსასრულო მწკრივებს ვხედავდით.

– დღეს ალბათ მთელი თქვენი ჯარი აქ არის თავმოყრილი, – ვუთხარი ინფადუსს.

– არა, მაკუმაზან, – მიპასუხა მან, – ამ მოედანზე ჩვენი ჯარის მხოლოდ ერთი მესამედი, ესე იგი ოცი ათასი კაცი დგას. მეორე მესამედი გარეთ, თხრილის ირგვლივ გვიყენია, მათ უნდა დაიცვან კრაალი, თუ ხოცვა-ჟლეტის დროს აყალ-მაყალი ატყდა. ათი ათასი კაცი ლუუს დასაცავად საგუშაგოზე დგას, დანარჩენები კრაალებში არიან გაფანტულნი.

– რა საოცარი სიჩუმეა, – თქვა გუდმა.

მართლაცდა, გულშემზარავი იყო ეს დაძაბული სიჩუმე იმ დროს, როცა ამდენი ხალხი ერთად იყო თავშეყრილი.

– რას ამბობს ბუგვანი? – მკითხა ინფადუსმა.

მე გადავუთარგმნე.

– კაცი უსიტყველი ხდება, როცა თავს სიკვდილის აჩრდილი დასტრიალებს.

– ამაღამ ბევრს დახოცავენ?

– ძალიან ბევრს.

– მე მგონია, ჩვენ დღეს გლადიატორების ბრძოლას დავესწრებით, – ვუთხარი ჩემს თანამგზავრებს, – და როგორც ვატყობ, მასპინძლებს მის მოსაწყობად არაფერი დაუშურებიათ.

სერ ჰენრის ტანში ჟრუანტელმა დაუარა. გუდმა კი განაცხადა, კარგი იქნებოდა, ახლა აქედან წასვლა რომ შეგვეძლოსო.

– მითხარი, საფრთხე ხომ არაფერი გველის? – ვკითხე ინფადუსს.

– დანამდვილებით ვერაფერს გეტყვი, ჩემო მბრძანებელო; მაგრამ ვფიქრობ, დღეს ცუდი არაფერი გელით. ყოველ შემთხვევაში, შიში არ შეიმჩნიოთ, შეიძლება ყველაფერი კეთილად წარიმართოს: მეომრები მეფის უკმაყოფილონი არიან.

იმ ლაპარაკში ნელ-ნელა მივიწევდით წინ და თანდათან მოედნის შუაგულს ვუახლოვდებოდით. იქ რამდენიმე სკამი დაედგათ. ის იყო, მივედით კიდეც, რომ მეფის კრაალიდან რამდენიმე კაცი გამოვიდა და ჩვენკენ გამოემართა.

– ეს მეფე თუალა, უფლისწული სკრაგა და მოხუცი გაგულაა, მათ ჯალათები მოჰყვებიან, – გვითხრა ინფადუსმა და ხელი მეფის მხლებლებისაკენ გაიშვირა.

მხლებლების ჯგუფში ასე, თორმეტიოდე კაცი იქნებოდა, ყველანი ძლიერ მაღლები იყვნენ და საზარელი სახეები ჰქონდათ. ყოველ მათგანს ცალ ხელში შუბი ეჭირა, მეორეში კი „კესი", ანუ მძიმე ხელკეტი.

მეფე სკამზე დაეშვა, გაგულა მის ფერხთით მოიკრუნჩხა, სკრაგა და ჯალათები კი მათ უკან მოთავსდნენ.

– სალამი მითქვამს, თეთრო მბრძანებელო! – შეჰყვირა თუალამ, როგორც კი მივუახლოვდით. – დასხედით, დასხედით, ძვირფას დროს ტყუილუბრალოდ ნუ დაკარგავთ, ღამე ისედაც მოკლეა იმ საქმისათვის, რომელიც უნდა აღსრულდეს. თქვენ კარგ ფეხზე მოხვედით და ბრწყინვალე სანახაობა გელით. მიმოიხედეთ ირგვლივ, თეთრო მბრძანებელებო, მიმოიხედეთ! – აქ თუალამ თავისი ბოროტი თვალი ააავლ-ჩაავლო რაზმებს. – განა შეიძლება ვარსკვლავებზე მსგავსი რამ ნახოთ? დააკვირდით, რარიგ ძრწიან და კანკალებენ სულმდაბალნი, რომელთაც გული ბოროტებით აქვთ სავსე და ზეციური მართლმსაჯულებისა ეშინიათ!

– დაიწყეთ! დაიწყეთ! – წვრილი, მწივანა ხმით წამოიკნავლა გაგულამ, – აფთრები დამშეულია, ისინი ყმუიან და საჭმელს ითხოვენ. დაიწყეთ, დროა!

წამით სიჩუმე ჩამოვარდა, დაძაბული, შემზარავი სიჩუმე. ყველა რაღაც საშინელების მოლოდინში იყო.

მეფემ შუბი აღმართა და უეცრად ოცი ათასმა მეომარმა, თითქოს ერთი კაციაო, ფეხი ასწია და შემდეგ მთელი ძალით მაგრად დაჰკრა მიწას. ეს სამჯერ განმეორდა.

შემდეგ წრეში სადღაც, შორს გაისმა ხმა. ვიღაც მღეროდა, მაგრამ ეს მოთქმა უფრო იყო, ვიდრე სიმღერა. მას დაახლოებით ასეთი მისამღერი ჰქონდა:

– რა ელის ყოველ კაცს, დედაკაცისაგან შობილს?

– სიკვდილი! – ერთხმად იგრიალა პასუხმა.

რაზმებმა ერთიმეორის მიყოლებით თანდათან ააყოლეს ხმები იმ ეულ ხმას, ვიდრე ბოლოს მთელი ეს მილეთის ხალხი არ ამღერდა და აგუგუნდა. მე გაჭირვებით ვიგებდი სიტყვებს, მაგრამ ვხვდებოდი, რომ აქ ლაპარაკი იყო ადამიანის ტანჯვა-წამებაზე, სევდასა და სიხარულზე, ეს ხან სატრფიალო სიმღერა გეგონებოდათ, ხან ძლევამოსილად მოგუგუნე საბრძოლო ჰიმნი, ხან კი გლოვა-გოდება. სიმღერა გულშემზარავი კივილით დამთავრდა. ხმა კიდით კიდემდე ზრიალით დაირხა და მისმა ეხომ ძარღვებში ლამის სისხლი გაგვიყინა. შემდეგ კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა, მაგრამ აი, მეფემ ხელი აღმართა და დუმილი კვლავ დაირღვა. გაისმა ფეხის ტყაპა-ტყუპი, მეომართა რიგებიდან უცნაური, საზიზღარი არსებები გამოცვივდნენ და პირდაპირ ჩვენკენ გამოემართნენ.

მოხუცი ქალები იყვნენ. თევზის ბუშტებით შემკული ჭაღარა ბულულები სწრაფი სირბილისაგან გასწეწოდათ, სახე წითელ-ყვითელი ზოლებით შეეთითხნათ, მხრებზე გველის ტყავები მოეგდოთ, მათ ქამრებზე აცმულ ადამიანის ძვლებს კი რაკარუკი გაუდიოდათ. დამჭნკარ-დანაოჭებულ ხელში პატარა ორთავიანი კვერთხი ეჭირათ. სულ ათნი იყვნენ.

აი, მოგვიახლოვდნენ, შეჩერდნენ, ერთმა მათგანმა გაგულასაკენ კვერთხი გაიწვდინა და დაიყვირა:

– ჰოი, დედაო, მოხუცო დედილო, მოვედით!

– კეთილი, კეთილი, კეთილი! – უპასუხა თუალას ფეხებთან მოკრუნჩხულმა ბიწიერმა არსებამ. – თვალგამჭრიახნი ხართ თუ არა, იზანუზნო, ბნელის გამჭვრეტნო?

– თვალი სწრაფი გვაქვს, დედილო!

– კეთილი! კეთილი! კეთილი! ყურმახვილნი ხართ თუ არა, იზანუზნო, სიტყვის უთქმელად გამგებნო!..

– სმენა კარგი გვაქვს, დედილო!

– კეთილი! კეთილი! კეთილი! ფხიზლობს თუ არა თქვენი გრძნობები, იზანუზნო, გცემთ თუ არა სისხლის სუნი, შეგიძლიათ თუ არა განწმინდოთ ქვეყანა დამნაშავეთაგან, რომელთაც მეფისა და თავის კეთილთა მიმართ ბოროტი უდევთ გულში? შეგწევთ თუ არა ძალა, აღასრულოთ სამართალი ზეცათა, ჩემ მიერ გაწვრთნილ-გაწაფულნო? აკი დიდი ხანია ეზიარეთ ჩემს სიბრძნეს და დაეწაფეთ ჯადოქრობის წყაროს!

– ჩვენ მზად ვართ, დედილო!

– მაშინ წადით, წადით, ნუღარ აყოვნებთ, სულის მტარვალნო! აი, ჯალათებიც, დე, გალესონ თავიანთი შუბები, შორიდან მოსული თეთრი ადამიანები სანახაობას ელიან, წადით!

მისი ნების მორჩილი საზარელი არსებები დამსხვრეული ნიჟარის ნატეხებივით მიმოიფანტნენ აქეთ-იქით, ქამარზე დაკიდული ძვლების რაკარუკით მეომართა მჭიდრო რიგებში შეიჭრნენ და თვალს მიეფარნენ. მხოლოდ ერთი მათგანი იქვე, ჩვენ გვერდით დარჩა, იგი მეომრების წინ რამდენიმე ნაბიჯზე შეჩერდა და ცეკვა დაიწყო. წარმოუდგენელი სისწრაფით ტრიალებდა და თან გაჰკიოდა:

„მე ვგრძნობ, ვგრძნობ, რომ ის ბოროტგამზრახველი სადღაც აქ არის, აქ არის-მეთქი, მშობელი დედის მკვლელი!" დედაბერი სულ უფრო და უფრო სწრაფად ტრიალებდა, ბოლოს თავი გიჟურ აღგზნებამდე მიიყვანა – კბილებს აღრჭიალებდა, დუჟი ნაფლეთ-ნაფლეთ სცვიოდა დაბრეცილი პირიდან, თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა და მთელი ტანით კანკალებდა. უეცრად ადგილზე გაქვავდა, მეძებარი ძაღლივით დაიძაგრა. შემდეგ კვერთხი გაიწვდინა და ქურდულად წატუსტუსდა მეომრებისაკენ.

მოგვეჩვენა, რომ ამ კუდიანის მიახლოვებაზე მეომრების სიმტკიცე და თავდაჭერილობა გატყდა და მათ ოდნავ, სულ ოდნავ უკან დაიხიეს. თავზარდაცემულები და გაქვავებულები თვალს არ ვაშორებდით ამ სურათს. იზანუზი ოთხზე დაეცა და მათკენ წახოხდა. აქ ნაბულზე დამდგარი ძაღლივით გაშეშდა, მაგრამ ცოტა ხნის მერე ორიოდე ნაბიჯით წაჩოჩდა წინ.

შემდეგ მოხდა მოულოდნელი რამ: იზანუზი ყვირილით წამოიჭრა და იქვე მდგომ მაღალ მეომარს ორკაპი კვერთხით შეეხო. იმავე წამს მარცხნივ და მარჯვნივ მდგომმა ორმა მეომარმა მკლავში ხელი წაავლო საბრალოს და მეფეს მიჰგვარეს.

მას წინააღმდეგობა არ გაუწევია, მაგრამ ვხედავდით, დამბლადაცემულივით მიათრევდა ფეხებს. მერე შუბი დაუვარდა და ხელები უსიცოცხლოდ დაეკიდა ტანზე.

ჯალათებს ორი კაცი გამოეყო. ისინი ჩქარი ნაბიჯით წამოვიდნენ მსხვერპლისაკენ, გასწორდნენ და მეფისკენ შებრუნდნენ, თითქოს მის ბრძანებას ელიანო.

– მოჰკალით! – ბრძანა მეფემ.

– მოჰკალით! – დაიწრიპინა გაგულამ.

– მოჰკალით! – ექოსავით გაისმა სკრაგას ხმა და ავისმომასწავებელი სიცილი.

ხმები ჯერაც არ ჩამკვდარიყო, რომ საზარელი საქმე უკვე აღსრულდა, – ერთმა ჯალათმა შიგ გულში აძგერა შუბი, მეორემ კი უზარმაზარი ხელკეტით კეფა ჩაუმსხვრია.

– ერთი! – თითი მოხარა თუალამ.

გვამი ჩვენ უკან რამდენიმე ნაბიჯზე გაათრიეს და იქ დააგდეს.

წამის შემდეგ, თითქოს დასაკლავი ხარიაო, მეფესთან მეორე უბედური მოათრიეს. ლეოპარდის წამოსასხამზე ეტყობოდა, წარჩინებული პირი უნდა ყოფილიყო. კვლავ გაისმა საზარელი სიტყვები და მსხვერპლი უსულოდ დაეცა ძირს.

– ორი! –ითვლიდა მეფე.

ეს სისხლიანი გართობა მანამ არ შეწყვეტილა, სანამ ჩვენ უკან დახოცილთა ათობით გვამი არ ჩაამწკრივეს.

ბევრი რამ მსმენია კეისრების დროის გლადიატორებზე, ან ესპანეთში ხარების ბრძოლაზე. მაგრამ კადნიერებად ნუ ჩამომართმევთ, თუ ვიტყვი, რომ ყველაფერი ეს სანახევროდაც არ იქნებოდა ისე შემზარავი, როგორც მისნებზე ნადირობა იყო. ყოველ შემთხვევაში, გლადიატორთა ბრძოლა და ხარების შერკინება ოდნავ მაინც ართობდა მაყურებელს, აქ კი გართობაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. მწვავე განცდების თავდავიწყებული მოტრფიალეც კი შეეცდებოდა, თავი აერიდებინა სენსაციისათვის, თუ ეცოდინებოდა, რომ განგებამ სწორედ მას განუმზადა შემდგომ „ამბებში" უშუალო მონაწილეობა.

ერთხელ ვეღარ მოვითმინეთ, წამოვდექით და შევეცადეთ წინააღმდეგობა გაგვეწია, მაგრამ თუალამ უკმეხად შეგვაჩერა:

– მართლმსაჯულება უნდა აღსრულდეს, თეთრო ადამიანებო, ეს ძაღლები გულშავი, დამნაშავე მისნებია და მათი დახოცვა უსამართლობად არ მიმაჩნია, – იყო მისი პასუხი.

თერთმეტის ნახევრისთვის შესვენება გამოცხადდა. მისნებზე მონადირე ქალები ერთად დადგნენ, ეტყობოდათ, დაიღალნენ. გვეგონა, ეს სისხლიანი წარმოდგენა დასრულდაო, მაგრამ შევცდით. მოულოდნელად გაგულა წამოდგა თავისი ადგილიდან, სადაც აქამდე მოკრუნჩხული იჯდა, ჯოხს დაეყრდნო და ჩვენკენ წამოხანხალდა.

უთვალავი წლების ტვირთქვეშ ორად მოხრილ-მოკაკული ფასკუნჯისთავიანი ეს ბებერი კუდიანი საზიზღარი სანახავი იყო. ნელ-ნელა მოიკრიბა ძალ-ღონე და აქეთ-იქით მიაწყდა, წინ და უკან მირბოდ-მორბოდა, თან ცხვირში რაღაც ერთფეროვან სიმღერას დუდუნებდა. ბოლოს მოულოდნელად გაუსწორდა ერთ მადალ მეომარს, პოლკის თავში რომ იდგა, და ხელი შეახო მას. ეს ალბათ პოლკის მეთაური იყო, რადგან მის მეომრებს გმინვისმაგვარი ხმა აღმოხდათ მკერდიდან. მაგრამ მიუხედავად ამისა, ორმა მეომარმა მაინც წაავლო კაცს ხელი და ჩვენკენ წამოიყვანა. შემდეგ შევიტყვეთ, რომ ის კაცი ძალზე მდიდარი იყო, თანაც თურმე დიდი გავლენით სარგებლობდა, როგორც მეფის მკვიდრი ბიძაშვილი. ის, რასაკვირველია, მოკლეს. მეფემ ჯამი დაიანგარიშა, სულ ას სამი კაცი მოეკლათ. გაგულამ კვლავ დაიწყო აქეთ-იქით სირბილი და თანდათანობით მოგვიახლოვდა.

– გეფიცებით, ამ კუდიანს ჩვენზე უჭირავს თვალი! – შემკრთალი ხმით წამოიძახა გუდმა.

– სისულელეა, -– უპასუხა სერ ჰენრიმ.

მე კი, როცა დავინახე, ის წყეული კუდიანი თავის ეშმაკისეულ ცეკვას არ წყვეტდა და სულ უფრო და უფრო გვიახლოვდებოდა, შიშით სული კინაღამ გამძვრა და კანკალმა ამიტანა.

გაგულა კიდევ უფრო მოგვიახლოვდა, თვალებში ჯოჯოხეთური ალი ენთო.

აჰა, სულ ახლოს მოვიდა, კიდევ, კიდევ, სულგანაბული ხალხი დაძაბული მისჩერებოდა მას. ბოლოს კუდიანი გაჩერდა და გაინაბა.

– ვიცოდე მაინც, ვინ აირჩია ჩვენ შორის, – თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა სერ ჰენრიმ.

წამის შემდეგ ყველაფერი გაირკვა. კუდიანი სწრაფი მოძრაობით შეეხო ამბოპას, ანუ იგნოზის მხარზე.

– გული მიგრძნობს, ეს კაცი უნდა მოკვდეს, – იწივლა მან, – მოკალით ბოროტებით სავსე უცხოელი, მოკალით, ვიდრე მოასწრებდეს სისხლით მორწყოს ჩვენი ქვეყანა! ჰოი, მეფეო, მოჰკალ ეს ჭაბუკი!

ჩამოვარდა სიჩუმე, რითაც იმწამსვე ვისარგებლე.

– ოჰ, მეფეო! – წამოვიძახე და ფეხზე წამოვიჭერი, – ეს კაცი შენი სტუმრების მსახურია, მათი ძაღლია. ვინც ჩვენი ძაღლის სისხლს დაღვრის, ჩვენი მოსისხლე შეიქნება. ნუ შებღალავ სტუმართმოყვარეობის წესებს, მასპინძელი ხარ და გთხოვ, დაიცვა ეს ადამიანი.

– გაგულას რაღაც ეჭვი აქვს, ეგ კაცი უნდა მოკვდეს, თეთრო ადამიანებო, – გაისმა მკვახე პასუხი.

– არა და არა, არ მოკვდება! – შევყვირე მე, – მოკვდება ის, ვინც მასზე ხელს შემართავს.

– წაიყვანეთ ეგ ძაღლი! – დასჭექა თუალამ სისხლში მოსვრილ ჯალათებს, ჩვენს ირგვლივ რომ იდგნენ.

მათ ნაბიჯი გადმოდგეს, მაგრამ ბოლო წუთს შეყოყმანდნენ. იგნოზიმ შუბი აღმართა, ეტყობოდა, აპირებდა ძვირად დაესვა ამ ხალხისათვის თავისი სიცოცხლე.

– იქით, ძაღლებო, – დავიყვირე მე, – უკან-მეთქი, თუ თავი არ მოგძულებიათ! იცოდეთ, ამ კაცს თითი რომ დააკაროთ, თქვენს მეფეს უსულოდ გავაგორებ ძირს, – ვთქვი და თუალას რევოლვერი დავუმიზნე.

სერ ჰენრიმ და გუდმაც ხელი წაატანეს რევოლვერებს. სერ ჰენრიმ დაინახა, რომ უფროსმა ჯალათმა განაჩენის სისრულეში მოსაყვანად ჩვენკენ გადმოდგა ნაბიჯი და რევოლვერი დაუმიზნა მას. გუდი კი გაგულას არ აშორებდა თვალს.

თუალა შეკრთა, მისკენ მიმართული ლულა რომ დაინახა.

– აბა, რას იტყვი, თუალა? – ვკითხე.

– მოაშორეთ ეგ მოჯადოებული ჯოხები, თქვენ სტუმარ-მასპინძლობის წესი ახსენეთ და სწორედ ამიტომაც დავინდობ ამ კაცს და არა იმის გამო, რომ თქვენი მეშინია.

– კარგი, – მშვიდად მივუგე მე, – ჩვენ დავიქანცეთ ამდენი სისხლის ცქერით და გვინდა დავისვენოთ. ცეკვები დამთავრდა?

– დამთავრდა, – კუშტად მომახალა თუალამ, – ეს ძაღლის ლეშები აფთრებსა და მტაცებელ ფრინველებს გადაუყარეთ! – დასძინა მერე და გვამებისაკენ გაიწვდინა ხელი.

პოლკებმა სამარისებურ სიჩუმეში ერთიმეორის მიყოლებით დატოვეს კრაალი, დარჩნენ მხოლოდ ის მეომრები, რომელთაც დავალებული ჰქონდათ, გაეწმინდათ მოედანი გვამებისაგან.

ბოლოს ჩვენც წამოვდექით და მის უდიდებულესობას დავემშვიდობეთ. მან ძლივს ინება ჩვენი მოსმენა.

ამ ცერემონიალის შემდეგ ჩვენ-ჩვენი კრაალისკენ გავეშურეთ.

ქოხში რომ შევედით, პირველ ყოვლისა, ჭრაქი ავანთეთ. ამ ჭრაქის ფთილა პალმის მსგავსი ხის ბოჭკოსაგან იყო გაკეთებული, საწვავად კი ჰიპოპოტამის გაწმენდილი ქონი ჰქონდა.

– იცით, – თქვა სერ ჰენრიმ, როცა დავსხედით, – ძალიან მერევა გული.

– თუ ამდენ ხანს კიდევ ვეჭვობდი, დავხმარებოდი თუ არა ამბოპას იმ გაიძვერა თუალას წინააღმდეგ ბრძოლაში, ახლა ეს ეჭვი სავსებით გამეფანტა, – თქვა გუდმა. – იმ ხოცვა-ჟლეტის შემყურე, ძლივს ვიმაგრებდი თავს, ვცდილობდი თვალი დამეხუჭა, მაგრამ, თითქოს განგებ, ყველაზე საზარელ მომენტში ვახელდი. ნეტავ სად არის ახლა ინფადუსი? ამბოპა, ჩემო კარგო, ჩვენ უნდა გვიმადლოდე, თორემ კიდევ ცოტაც და, ტყავს გაგაძრობდნენ.

– მადლობელი ვარ, ბუგვან, – მიუგო ამბოპამ, როცა გუდის სიტყვები ვუთარგმნე, – მადლობელი ვარ და ამაგს არასოდეს დაგივიწყებთ, ინფადუსი კი მალე მოვა, წუთი წუთზე უნდა ველოდოთ.

ამის მეტი აღარაფერი გვითქვამს, მხოლოდ ვისხედით და ინფადუსის მოლოდინში ჩიბუხებს ვაბოლებდით.

თ ა ვ ი X I

ჩ ვ ე ნ ს ა ს წ ა უ ლ ი მ ო ვ ა ხ დ ი ნ ე თ

თითქმის მთელი ორი საათი სრულ მდუმარებაში გავატარეთ; არც ერთი ჩვენგანი ხმას არ იღებდა, იმ საზარელი ამბის გახსენება სულს გვიხუთავდა. ბოლოს, გამთენიისას, როცა უკვე დაძინებას ვაპირებდით, გაისმა ფეხის ხმა და გუშაგის შეძახილი. ნაბიჯები სულ უფრო ახლოვდებოდა, ალბათ გუშაგს პასუხი გასცეს, მაგრამ ისე ხმადაბლა, რომ ჩვენ ვერ გავიგონეთ. შემდეგ კარი გაიღო და ინფადუსი შემოვიდა, უკან ექვსი ბელადი მოჰყვებოდა.

– ჩემო მბრძანებელო და იგნოზი, კუკუანელთა კანონიერო მეფევ, ჩემი სიტყვა ავასრულე, მოვედი და ეს ხალხი მოვიყვანე! – თქვა ინფადუსმა და ხელი ბელადებისკენ გაიწვდინა. ესენი ჩვენი ქვეყნის უბრწყინვალესი ადამიანებია, ყოველ მათგანს ემორჩილება სამ-სამი ათასი მეომარი, რომლებიც, მეფის ბრძანების თანახმად, უსიტყვოდ ასრულებენ მათ ბრძანებას. მე გავანდე ბელადებს ჩვენი საიდუმლო. გადავეცი, რაც აქ ვნახე და გავიგონე. ჰოდა, მათ მოისურვეს ენახათ წმიდა გველის გამოსახულება შენს ტანზე, სურთ აგრეთვე მოისმინონ შენი თავგადასავალი, რათა საბოლოოდ გადაწყვიტონ, გადაუდგნენ თუალას თუ არა.

პასუხის ნაცვლად იგნოზიმ წელზე მუჩა მოიძრო და ყველამ დაინახა სამეფო ნიშანი – გველი, თეძოებზე რომ ჰქონდა ამოსვირინგებული. ბელადები რიგ-რიგობით მიდიოდნენ იგნოზისთან და ჭრაქის მკრთალ შუქზე დაკვირვებით ათვალიერებდნენ ამ ნიშანს.

შემდეგ იგნოზიმ კვლავ აიფარა მუჩა, მიუბრუნდა ბელადებს და თავისი თავგადასავალი მოუთხრო. ეს ამბავი ჩვენ უკვე დილით მოვისმინეთ.

– რას იტყვით, ბელადებო? – იკითხა ინფადუსმა, როცა იგნოზიმ თხრობა დაასრულა, – მიეხმარებით და დაუჭერთ მხარს, რომ მამის ტახტი დაიბრუნოს? ჩვენი ქვეყანა კიდით-კიდემდე მძიმე უღელქვეშ გმინავს, მიწა სისხლით ირწყვება. დღეს ეს ყველამ საკუთარი თვალით ნახეთ. იყო კიდევ ორი ბელადი, ვისთანაც ამ საკითხზე მოლაპარაკება მსურდა, მაგრამ სადღა არიან ისინი? მათ

გვამებს აფთრები დაჰყმუიან. თუ თუალას არ შეებრძოლებით, თქვენც მალე გაიზიარებთ მათ ბედს. მაშ აირჩიეთ, ძმებო!

ამ სიტყვებზე წინ წამოდგა ჭადარა, ჩასკვნილი მამაკაცი. იგი მოსულთა შორის ყველაზე უხნესი ჩანდა.

– შენ მართალი ხარ, ინფადუს, – თქვა მან, – თუალას ავკაცობით ქვეყანა შეწუხებულია. ხალხი კვნესის და დრტვინავს. ამ საღამოს სხვებთან ერთად ჩემი ძმაც დაიღუპა. შენ დიდი საქმე განგიზრახავს, მაგრამ, რაც ახლა გვითხარი, ძნელი დასაჯერებელია. ვინ არის თავდები, რომ ვიღაც თაღლითის გულისთვის არ აღვმართავთ იარაღს? დიდი საქმე-მეთქი, გეუბნებით, მაგრამ არავინ იცის, რით დამთავრდება ყოველივე ეს. ვიდრე საწადელს ვეწეოდეთ, სისხლის ზღვა დადგება. ბოლოს და ბოლოს არც თუალას დატოვებენ მარტო ამ ბრძოლაში, მასაც მრავლად ეყოლება ერთგული ხალხი, რადგან ადამიანები თაყვანს სცემენ მზეს, ცაზე რომ ანათებს და არა იმას, რომელიც ჯერ არ ამოსულა. ვარსკვლავეთის თეთრი ადამიანები დიდი მისნები და ჯადოქრები არიან. ისინი მფარველობენ იგნოზის. თუ იგი მართლა ჩვენი ქვეყნის კანონიერი მეფეა, თეთრკანიანებმა მოახდინონ რაღაც სასწაული, ისეთი სასწაული, რომ ყველა ჩვენგანს შეეძლოს მისი დანახვა და ხალხი გულდაჯერებული გამოგვყვება უკან, დარწმუნებული, რომ თეთრების ჯადოქრობის წყალობით გავიმარჯვებთ.

– კი მაგრამ, თქვენ აკი ნახეთ წმინდა გველის ნიშანი! – ჩავურთე სიტყვა.

– ეს საკმარისი არ არის, ჩემო მბრძანებელო, შეიძლება წმინდა გველის გამოსახულება დაბადებიდან კარგა ხნის შემდეგ დაუხატეს ტანზე. მოახდინეთ სასწაული, წინააღმდეგ შემთხვევაში თითს თითზე არ დავაკარებთ.

დანარჩენმა ბელადებმა იგივე, ან თითქმის იგივე გაიმეორეს. მე საგონებელში ჩავვარდი. ბოლოს სერ ჰენრისა და გუდს მივუბრუნდი და საქმის ვითარება ავუხსენი.

– ვიცი, ვიცი, როგორც უნდა მოვიქცეთ! – წამოიძახა გუდმა და სახე სიხარულით გაუბრწყინდა, – მხოლოდ უთხარით, რამდენიმე წუთი მოგვცენ მოსაფიქრებლად.

მე გუდის სიტყვები მხედართმთავრებს გადავუთარგმნე და ისინი ქოხიდან გავიდნენ. გუდი კი მივარდა წამლების პატარა ყუთს, გახსნა და თავისი უბის წიგნაკი ამოიღო. წიგნაკის თავფურცლებზე კალენდარი იყო.

– მისმინეთ, მეგობრებო, – გვითხრა გუდმა, – ხვალ ოთხი ივნისია, არა? – ჩვენ, საერთოდ, ზუსტად ვანგარიშობდით დღეებს, – გრინვიჩის დროით, საღამოს რვა საათსა და თხუთმეტ წუთზე დაიწყება მთვარის სრული დაბნელება. იგი კარგად გამოჩნდება ტენერიფედან, სამხრეთ აფრიკაში... მერე სხვა ქვეყნებშიც, მაგრამ ეს ჩვენ არ გვაინტერესებს, ესეც თქვენი სასწაული! ქუოტერმენ, უთხარით ბელადებს, რომ ხვალ საღამოს მთვარეს ჩავაქრობთ.

ეს ბრწყინვალე აზრი იყო, მაგრამ ჩვენ მაინც ცოტათი ვყოყმანობდით. ხომ შეიძლებოდა, გუდის კალენდარი მთლად ზუსტი არ გამომდგარიყო. წინასწარ-მეტყველება რომ არ ამხდარიყო, ჩვენი პრესტიჟი სამუდამოდ დაეცემოდა და იგნოზი მამის ტახტს უნდა გამოთხოვებოდა.

– იქნებ თქვენი კალენდარი სწორი არ არის? – ჰკითხა სერ ჰენრიმ გუდს, რომელსაც ამ დროს დიდი გულმოდგინებით გამოჰყავდა რაღაც ციფრები თავისი უბის წიგნაკის ფურცლებზე.

– არავითარი საფუძველი არა გვაქვს, ასე ვიფიქროთ, – მიუგო გუდმა, – დაბნელება მუდამ ზუსტად ემთხვევა გამოთვლილ დროს. ამაში საკუთარმა გამოცდილებამ დამარწმუნა. იმ ცნობაში კი, წელან რომ წაგიკითხეთ, ხაზგასმითაა აღნიშნული, დაბნელება სამხრეთ აფრიკიდან გამოჩნდებაო. ახლა

მე მხოლოდ მიახლოებით გამოვიანგარიშე, რადგან ჩვენი ადგილსამყოფელი ზუსტად არ ვიცით, მაგრამ ჩემი გამოთვლით, დაბნელება ხვალ დაახლოებით საღამოს ათი საათისთვის დაიწყება და პირველის ნახევრამდე გასტანს. ასე რომ, თითქმის საათნახევრის განმავლობაში აქ სრული სიბნელე იქნება.

– მეტი რა გზა გვაქვს, – თქვა სერ ჰენრიმ, – უნდა გავბედოთ და ეგ არის.

მე თავი დავუქნიე, თუმცა გულში ძალზე ვეჭვობდი, აქედან რამე გამოსულიყო. დაბნელებაზე იმედის დამყარება საკმაოდ სახიფათოდ მიმაჩნდა. ერთიც ვთქვათ, ცა ღრუბლებით იყოს დაფარული და მთვარე, საერთოდ, ცაზე არც კი გამოჩნდეს, მაშინ რაღას ვაპირებთ-მეთქი, ვფიქრობდი.

ამ ფიქრით გულდამძიმებულმა ამბოპა ბელადების დასაძახებლად გავგზავნე. ისინი იმწამსვე შემოვიდნენ ქოხში.

– კუკუანელთა ქვეყნის ბელადნო და შენც, ინფადუს, მისმინეთ! – მივმართე მათ. – ჩვენ არ გვიყვარს ტრაბახი ჩვენს ძლიერებაზე, რადგან ეს ნიშნავს, დავარღვიოთ ბუნების კანონები და ქვეყანა განსაცდელისა და შიშის წინაშე დავაყენოთ. მაგრამ რაკი დიდ საქმეს მოვკიდეთ ხელი, და რაკი გაგულამ ჩვენი მეგობრის, იგნოზის მოკვლა დააპირა და თუალამაც საზარელი ხოცვა-ჟლეტით ჩვენი რისხვა დაიმსახურა, გადავწყვიტეთ, მოვახდინოთ სასწაული და მოგცეთ ხალხისთვის უტყუარი, თვალმოსახვედრი ნიშანი. აბა აქეთ მოდექით, – ვუთხარი ბელადებს, ქოხის კარი გამოვაღე და ჩამავალი მთვარისკენ გავიწვდინე ხელი. – რას ხედავთ იქ?

– მომაკვდავ მთვარეს, – მიპასუხა ერთმა მათგანმა, რომელსაც, როგორც ეტყობოდა, დავალებული ჰქონდა ჩვენთან მოლაპარაკება გაემართა.

– მართალი ხარ. ახლა მითხარი, შეუძლია თუ არა ადამიანს ჩააქროს მთვარე, სანამ იგი თავისი ნებით ჩავიდოდეს, ჩააქროს და დედამიწას ღამის შავი საბურველი გადააფაროს?

ბელადებმა ხმადაბლა გაიცინეს:

– არა, მბრძანებელო, ამას ძეხორციელი ვერ შეძლებს. მთვარე ადამიანზე ძლიერია. ადამიანს შეუძლია მხოლოდ უცქიროს მას, არავის ძალუძს დაარღვიოს დიდებული მნათობის ზეციური გზა და გეზი.

– შენ ასე ფიქრობ, მე კი გეუბნები, რომ ხვალ შუადამემდე ჩვენი ჯადოქრობის წყალობით, მთვარე ცის ტატნობიდან გაქრება და მიწას წყვდიადი მოიცავს. ამით მიგანიშნებთ, რომ იგნოზი კუკუანელთა ქვეყნის ნამდვილ მეფედ მიგვაჩნია. ერწმუნებით ჩვენს ნიშანს?

– დიახ, ჩემო მბრძანებელო, – ღიმილით მითხრა მოხუცმა ბელადმა, დანარჩენებმაც გაიღიმეს და დაგვიდასტურეს, ვერწმუნებითო.

– თუკი ასეა, ჩვენ სამნი: ინკუბუ, ბუგვანი და მაკუმაზანი გიცხადებთ, რომ ხვალ საღამოს შუაღამემდე ორი საათით ადრე მთვარეს ჩავაქრობთ, ხომ გესმის, ინფადუს?

– მესმის, ჩემო მბრძანებელო, შენ აპირებ ჩააქრო მთვარე, დედა ჩვენი ქვეყნისა და ისიც მაშინ, როცა გავსებულია და მის სხივებს კაშკაში გაუდის. მაგრამ რასაც ამბობ, საოცარზე საოცარია.

– მიუხედავად ამისა, ჩვენ მას ჩავაქრობთ, ინფადუს.

– კარგი, მბრძანებელო, დღეს მზის ჩასვლის შემდეგ თუალა გაახლებთ ხალხს და ქალწულების ცეკვაზე მოგიწვევთ. ის ასული, რომელსაც თუალა ლამაზთა შორის ულამაზესად მიიჩნევს, ცეკვის დაწყებიდან ერთი საათის შემდეგ უფლისწულმა სკრაგამ უნდა მოკლას. იგი მსხვერპლად უნდა შეეწიროს დაყურსებულებს, აგერ აი იმ მთებს რომ დარაჯობენ, – თქვა და ხელი სამი ჩამოფხავებული მთისაკენ გაიწვდინა. იქ, როგორც უკვე გვითხრეს, სოლომონ

მეფის დიდი გზა მთავრდებოდა. – დიახ, ჩემმა მბრძანებლებმა ჩააქრონ მთვარე და გადაარჩინონ ის საბრალო ქალწული, მაშინ ჩვენი ხალხი იწამებს თქვენს ძალას.

– დიახ, – კვერი დაუკრა მოხუცმა ბელადმა, რომელიც ჯერ კიდევ იღიმებოდა, – მაშინ ხალხი თქვენს ძლიერებაში დარწმუნდება.

– ლუუდან ორიოდე მილის დაშორებით არის პატარა გორაკი, რომელიც მოყვანილობით ახალ მთვარეს წააგავს, – განაგრძო ინფადუსმა. – იქ გამაგრებულია ჩემი პოლკი და კიდევ სამი სხვა, რომელთაც ეს ბელადები მეთაურობენ. თუ მბრძანებლები მართლა ჩააქრობენ მთვარეს, მე ბნელში ხელს ჩავკიდებ მათ, ლუუდან გავიყვან და იმ გორაკამდე მივაცილებ. იქ გულმშვიდად ვიქნებით და თუალასაც იქიდან შემოვუტევთ.

– ძალიან კარგი, – ვუპასუხე, – ახლა კი წადით, გვინდა ცოტა დავისვენოთ და მისნობისთვის ყველაფერი მოვამზადოთ.

ინფადუსი წამოდგა, დაგვემშვიდობა და ბელადების თანხლებით ქოხიდან გავიდა.

– ჩემო მეგობრებო, – გვითხრა იგნოზიმ, როგორც კი ისინი კარს გასცდნენ. – ნუთუ მართლა შეგიძლიათ ჩააქროთ მთვარე, თუ ამ ხალხს ტყუილი უთხარით?

– ჩვენ ვფიქრობთ, შეგვიძლია, ამბოპა, უკაცრავად, იგნოზი-მეთქი, უნდა მეთქვა.

– საკვირველია, – თქვა ამბოპამ, – თქვენ რომ ინგლისელები არ იყოთ, ამას არ დავიჯერებდი, მაგრამ ინგლისელები ჯენტლმენები არიან და ზედმეტი ლაპარაკი არ უყვართ. თუ ამ ბრძოლებს გადავურჩით, თქვენს ამაგს არ დავივიწყებ.

– იგნოზი, – უთხრა სერ ჰენრიმ, – ერთი რამ უნდა ამისრულო.

– მითხარი, რა გნებავს, ჩემო მეგობარო ინკუბუ, – შეაგება ჩვენმა ყოფილმა მსახურმა და გაიღიმა. – რა გინდოდა გეთხოვა?

– აი, რა, თუ მართლა კუკუანელთა მეფე გახდი, აკრძალე მისნების დევნა, ტყუილუბრალოდ ხალხს ნუ დასჯი.

მე ვუთარგმნე ეს სიტყვები იგნოზის. იგი წუთით დაფიქრდა და შემდეგ თქვა:

– შავკანიანების კანონ-სამართალი თეთრი ადამიანების კანონებისაგან განსხვავდება, ინკუბუ! ჩვენ მაინცდამაინც ძვირად არ გვიღირს სიცოცხლე. მაგრამ მიუხედავად ამისა, პირობას გაძლევ, თუ ძალა მეყო და მისნებზე მონადირე ქალები დავიმორჩილე, მისნების დევნას მოვსპობ და გაუსამართლებლად არც ერთ ადამიანს არ მოვკლავ.

– მჯერა შენი სიტყვა, იგნოზი, ახლა კი, რაკი ეს საკითხი მოვაგვარეთ, მოდით, ცოტა დავისვენოთ, – თქვა სერ ჰენრიმ.

ჩვენ საშინლად დაქანცულები ვიყავით, მაშინვე მაგრად ჩაგვეძინა და დილის თორმეტ საათამდე ფეხი არ გაგვინძრევია. თორმეტ საათზე იგნოზიმ გაგვაღვიძა. წამოვდექით, ხელ-პირი დავიბანეთ, კარგად ვისაუზმეთ და სასეირნოდ წავედით. სეირნობისას ცნობისწადილით ვათვალიერებდით კუკუანელთა ნაგებობებს და დიდი ინტერესით ვაკვირდებოდით, როგორ ცხოვრობდნენ, ან რას აკეთებდნენ ქალები.

– იმედი მაქვს, მთვარის დაბნელება მაინც მოხდება, – თქვა სერ ჰენრიმ, როცა შინ ვბრუნდებოდით.

– ეგ რომ არ მოხდეს, განწირულები ვართ, – კუშტად მივუგე მე, – თავი მომჭერით, თუ ამ ბელადებში ვინმემ მაინც არ მიუტანოს მეფეს ამბავი. თუალა ისეთ „დაბნელებას" გვიჩვენებს, ჯერ რომ არ მოგვლანდებია.

შინ რომ დავბრუნდით, ვისადილეთ და საღამომდე დარჩენილი დრო სტუმრების მიღება-გასტუმრებას მოვანდომეთ. ზოგი ოფიციალურად მოდიოდა ჩვენ სანახავად, ზოგი კი ისე, უბრალოდ, ცნობისწადილის დასაკმაყოფილებლად.

ბოლოს მზე ჩავიდა. მარტონი დავრჩით და ორი საათი დასვენებას მოვანდომეთ, რამდენადაც ჩვენი შავი ფიქრები და ამღვრეული გუნება-განწყობილება ამის საშუალებას გვაძლევდა. ცხრის ნახევარზე თუალამ მაცნე გვაახლა და ყოველწლიურ ტრადიციულ დღესასწაულზე – ქალწულთა ცეკვაზე მიგვიწვია. ცეკვები მალე უნდა დაწყებულიყო.

ჩვენ აჩქარებით გადავიცვით მეფის ბოძებული ჯაჭვის პერანგები, წავიღეთ იარაღი და ტყვიები იმ შემთხვევისათვის, თუ მართლა გაქცევა მოგვიხდებოდა და საკმაოდ მხნე ნაბიჯებით გავემართეთ მეფის კრაალისაკენ, თუმცა გულში შიშით ვცახცახებდით. მეფის ქოხის წინ მოედანი გადასხვაფერებული გვეჩვენა, მჭიდრო რაზმებად ჩამწკრივებული მეომრების ნაცვლად აქ ახლა ნორჩი ქალწულები დაგვხვდნენ. უნდა მოგახსენოთ, რომ ყველანი შიშველ-ტიტველნი იყვნენ, თავზე ყოველ მათგანს ყვავილების გვირგვინი ედგა, ცალ ხელში პალმის ტოტი ეჭირათ, მეორეში კი – თეთრი შროშანი.

მოედნის შუაგულში მთვარით გაკაშკაშებულ გაშლილ ადგილას თვით მეფე თუალა წამოჭიმულიყო. ფერხთით გაგულა ეჯდა, მის უკან სკრაგა, ინფადუსი და თორმეტი მცველი. აქვე იყო ოციოდე ბელადი, რომელთა შორის ვიცანი ჩვენი მეგობრებიც, ღამით ინფადუსმა ჩვენს ქოხში რომ მოიყვანა.

თუალა გულთბილად მოგვესალმა, კაცს ეგონებოდა, ჩვენი მოსვლა ძალიან გაეხარდაო, მაგრამ შევამჩნიე, რომ ერთადერთი თვალი ავად მიაშტერა ამბოპას.

– სალამი, ვარსკვლავეთის შვილნო! – გვითხრა მან, – დღეს თქვენ სულ სხვა სანახაობა გელით. მეტად განსხვავებული იმისგან, რაც თქვენმა თვალებმა გუშინდელი მთვარის შუქზე იხილა. ქალწულების ჭვრეტა თვალს ატკბობს და რომ ესენი არა, – აქ თუალამ ირგვლივ მოატარა გაწვდილი ხელი, – დღეს არც ჩვენ ვიქნებოდით აქ. მაგრამ მამაკაცების ცქერა უფრო სასიამოვნოა. ტკბილია ქალის ხვევნა-ალერსი, მაგრამ შუბის წკრიალი და ადამიანის სისხლის სუნი უფრო დამატკბობელია. ხომ არ გნებავთ, ჩვენი ქალები ცოლად შეირთოთ, თეთრო ადამიანებო? თუ ასეა, აირჩიეთ ყველაზე ლამაზები, აირჩიეთ, რამდენიც გნებავთ, უარს არავინ გეტყვით.

თქვა და პასუხის მოლოდინში დადუმდა.

ეს წინადადება, რასაკვირველია, სახარბიელო იქნებოდა გუდისათვის, რადგან მას, როგორც საერთოდ მეზღვაურთა უმრავლესობას, ძალიან უყვარს ქალები. მე კი, როგორც ხანდაზმული და გამოცდილი კაცი, წინასწარ ვგრძნობდი, რომ ყველაფერი ეს უამრავ გართულებას და უსიამოვნებას გამოიწვევდა, რაც, სამწუხაროდ, მუდამ დაკავშირებულია ქალებთან.

– მადლობელი ვართ, ჰოი, მეფეო, – სასწრაფოდ შევაგებე მე, – მაგრამ თეთრკანიანები მხოლოდ მათივე მსგავს თეთრკანიან ქალებს თხოულობენ. თქვენი ქალწულნი თუმცა თვალწარმტაცნი არიან, მაგრამ ჩვენთვის არ არიან გაჩენილნი.

მეფემ გაიცინა.

– ძალიან კარგი, – თქვა მან, – იყოს ნება თქვენი, თუმცა ჩვენს ქვეყანაში ამბობენ: რა ფერის კანიც არ უნდა ჰქონდეს ქალს, თვალები მუდამ ეშხით

უელავსო. იმასაც იტყვიან ხოლმე, გიყვარდეს ის, ვინც გვერდით გყავს, რადგან ის, ვინც შორს არის, უეჭველად შენი ორგული და მოღალატე იქნებაო. მაგრამ შეიძლება თქვენთან, ვარსკვლავებზე, ეს ასე არ ხდება. იქ, სადაც ადამიანებს თეთრი კანი აქვთ, ყველაფერი მოსალოდნელია. იყოს-მეთქი ნება თქვენი, თეთრკანიანებო. ჩვენი ქალწულები ხვეწნა-მუდარას არ დაგიწყებენ, ცოლად გვითხოვეთო. ერთხელ კიდევ მოგესალმებით ყველას და მათთან ერთად შენც, შავკანიანო. გაგულას გუშინ თავისი რომ გაეტანა, ახლა უკვე მკვდარი და გაშეშებული ეგდებოდი სადმე. ბედი შენი, რომ ვარსკვლავეთიდან ჩამოხვედი, ჰა, ჰა, ჰა!

– ჰოი, მეფეო, შენ ჩემზე ადრე გაგაშეშებს სიკვდილი, მზეს დაგიბნელებ, თუ იფიქრე, ჩემზე ხელი აღმართო.

თუალა შეკრთა.

– გაბედულად ლაპარაკობ, ჭაბუკო, – გაბრაზებით თქვა მან, – მიფრთხილდი-მეთქი, შორს ნუ შესტოპავ!

– მართლის მთქმელს შეუძლია გაბედული იყოს, სიმართლე და ჭეშმარიტება მჭრელი დაშნაა და იგი მიზანს არასოდეს ასცდება; ყურად იღე ვარსკვლავეთის შვილთა გაფრთხილება, ჰოი, მეფეო!

თუალამ მრისხანედ შეჰყარა წარბები და ამბოპას გააფთრებით გადახედა, მაგრამ თქმით არაფერი უთქვამს.

– დაიწყეთ ცეკვები! – ბრძანა მან.

მოედნის შუაგულში იმწამსვე გამოცვივდნენ ყვავილწნულებით მორთული მოცეკვავე ქალები. ისინი მელოდიურად მღეროდნენ და მთვარის სევდიან, ნაზ შუქზე სხვა სამყაროდან ჩამოსულ უსისხლხორცო, ჰაეროვან არსებებს წააგავდნენ. ნარნარად არხევდნენ ტანს, ხან ნელა, ხან კი თავბრუდამხვევი სისწრაფით ტრიალებდნენ, წუთით გვიახლოვდებოდნენ, მერე გვშორდებოდნენ და სხვა მხარეს მიქროდნენ. ყოველი მათი მოძრაობა მაყურებელთა აღტაცებას იწვევდა. უეცრად ცეკვა შეწყდა, მოცეკვავეთა ჯგუფს გამოეყო ძალზე ლამაზი ახალგაზრდა ქალი. იგი ჩვენ წინ დადგა და მომხიბვლელად, ნარნარად დაიწყო ცეკვა. კარგა ხნის შემდეგ დაღლილ-დაქანცული უკან გაბრუნდა, იგი მეორე მოცეკვავემ შეცვალა. ქალწულები რიგ-რიგობით გამოდიოდნენ საცეკვაოდ, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ შეედრებოდა პირველ მოცეკვავეს ვერც სიტურფე-სინარნარით და ვერც ცეკვით.

როცა ლამაზმანებმა ცეკვა დაასრულეს, თუალამ ხელი ასწია და გვითხრა:

– რომელია ამ ქალწულთა შორის ულამაზესი, თეთრო ადამიანებო?

– რასაკვირველია, პირველი, – უნებლიეთ აღმომხდა მე, მაგრამ მაშინვე ენაზე ვიკბინე, – გამახსენდა ინფადუსის ნათქვამი: ყველაზე ლამაზ ქალწულს დაყურსებულებს მსხვერპლად შესწირავენო.

– მართალი ხარ, შენი აზრი – ჩემი აზრია, ჩემი თვალები, შენი თვალებია, გეთანხმები, ის ყველაზე ლამაზია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უნდა მოკვდეს.

– დიახ, უნდა მოკვდეს, – ეხოსავით ამოიკნავლა გაგულამ და ქორივით გადახედა საბრალო მსხვერპლს. ქალმა არ იცოდა, რა საშინელება ელოდა, ჩვენგან ათიოდე იარდის დაშორებით ტოლ-მეგობრებში ჩამდგარიყო და გვირგვინს ნერვულად აწყვეტდა ყვავილებს.

– რატომ, რატომ უნდა მოკვდეს, ჰოი, მეფეო? – წამოვიძახე მე, თან გულისწყრომას ძლივს ვიოკებდი, – მაგ გოგონამ ისე მშვენივრად იცეკვა და იმდენი სიამოვნება მოგვანიჭა! შეხედე რა ლამაზია, რა დაგიშავა, რისთვის უნდა მოუსწრაფო სიცოცხლე ასე შეუბრალებლად?

თუალამ გაიცინა.

– ასეთია ჩვენი წესი. ქვის ქანდაკებებმა, იქ რომ სხედან, – თქვა და ხელი სამი მწვერვალისაკენ გაიწვდინა, – უნდა მიიღონ კუთვნილი. დღეს ყველაზე ლამაზი ქალწული რომ არ მოვკლა, მეც და მთელ ჩემს საგვარეულოს უბედურება დაგვატყდება თავს. აი, რას ამბობს ხალხი: „თუ ცეკვებისთვის დათქმულ დღეს მეფე მსხვერპლად არ შესწირავს ულამაზეს ქალწულს სამ დაყურსებულს, მთებში გუშაგად რომ დგას, მაშინ ისიც მოკვდება და სამეფო სახლიც დაიშლება. მისმინეთ, რას გეტყვით, თეთრო ადამიანებო: ჩემი ძმა, რომელიც ჩემზე ადრე მართავდა ქვეყანას, უარს ამბობდა მსხვერპლის შეწირვაზე, რადგან ქალის ცრემლს ვერ იტანდა. ჰოდა, თვითონ მოკვდა, მისი სამეფო სახლი დაეცა და, როგორც ხედავთ, ახლა ქვეყანას მის ნაცვლად მე განვაგებ. მაგრამ კმარა, – უცებ შეჰყვირა მან, – ეს ქალი უნდა მოკვდეს, მოიყვანეთ აქ! – უბრძანა მან მცველებს, – შენ კი, სკრაგა, შუბი მოამზადე!

ორი მამაკაცი წინ წამოდგა და ქალწულისკენ გაემართა. საბრალო მაშინღა მიხვდა, რაც ელოდა. ხმამაღლა შეჰყვირა, გაქცევა დააპირა, მაგრამ მცველებმა მაგრად ჩასჭიდეს ხელი და ჩვენთან მოიყვანეს, თუმცა იგი ტიროდა და უძალიანდებოდა.

– რა გქვია, ასულო? – დაიწრიპინა გაგულამ, – პასუხსაც არ იძლევი? თუ გნებავს, უფლისწულმა ახლავე მოგკლას?

ამ სიტყვების გაგონებაზე სკრაგამ ბოროტად ჩაიცინა, ერთი ნაბიჯით წინ წაიწია და შუბი აღმართა. გუდმა უნებლიეთ რევოლვერზე გაივლო ხელი. თუმცა ქალწულს თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე, მაინც არ გამოჰპარვია ფოლადის მკრთალი ციმციმი. ახლა იგი უკვე აღარ უძალიანდებოდა მცველებს, ერთ ადგილას გაშეშებულიყო და ციებიანივით ცახცახებდა.

– შეხედეთ, ამ პატარა სათამაშოს დანახვაზე როგორ აცახცახდა! – აღტაცებით შეჰყვირა სკრაგამ და შუბი ხელში შეათამაშა.

ამ დროს მომესმა გუდის ბუტბუტი:

– როგორც კი შემთხვევა მომეცემა, ასკეცად გაზღვევინებ ყველაფერს, შე არამზადავ, გარეწარო!

– ჰოდა, ახლა რაკი დამშვიდდი, შენი სახელიც გვითხარი, ჩემო კარგო, – მზაკვრული ღიმილით ეუბნებოდა გაგულა ქალწულს, – ჰო, თქვი, ნუ გეშინია.

– ოჰ, დედილო, – მოგუდული ხმით თქვა საბრალომ, – მე სუკოს სახლიდან ვარ. ფულატა მქვია. მითხარი, რისთვის უნდა მოვკვდე, მე ხომ არაფერი დამიშავებია!

– დამშვიდდი, – ღვარძლიანი ღიმილით განაგრძო დედაბერმა, – შენ უნდა მსხვერპლად შეეწირო დაყურსებულებს, იქ, მთებში რომ სხედან. დიახ, უნდა მოკვდე! დღედაღამ შრომასა და ოფლის ღვრას განა არ გიჯობს საუკუნო ძილით განისვენო? დამიჯერე, სიკვდილი სიცოცხლეზე სანატრელია. გარდა ამისა, შენ თვით მეფისწულის ხელით მოკვდები.

ფულატა ტიროდა და სასოწარკვეთილი ხელებს იმტვრევდა.

– ოჰ, შეუბრალებლებო, მე ხომ ასე ახალგაზრდა ვარ, რატომ უნდა მოვკვდე? ნუთუ ვეღარასოდეს ვიხილავ, როგორ ფანტავს მზის სხივები წყვდიადს, ან როგორ ინთება ვარსკვლავები ცის ტატნობზე? ვეღარ მოვისმენ ნაკადულის ლიკლიკს. ვაი მე უბედურს, ვეღარ ვნახავ ჩვენს ქოხს, ვეღარ ვიგრძნობ დედის ალერსს, ვეღარ მოვუვლი ჩემს დავარდნილ ბეკეკას, ვაიმე და ვაგლახ მე! სატრფო ვეღარ შემომხვევს წელზე ხელს, ვერ ჩამხედავს თვალებში. ვერასოდეს გავხდები დედა მეომრისა. ოჰ, ულმობელნო! შეუბრალებელნო!

ფულატა კვლავ მოჰყვა ხელების მტვრევას და ცრემლით დალტობილი სახე ცისკენ აღაპყრო.

ოჰ, რა საოცრად ლამაზი მეჩვენა ეს საბრალო განწირული გოგონა. დარწმუნებული ვარ, ამ სამ დემონზე ოდნავ უფრო გულმოწყალე ადამიანი უსათუოდ შეიბრალებდა მას.

მე ვფიქრობ, პრინცი არტური ისევე გულმხურვალედ შესთხოვდა პატიებას არამზადებს, რომელთაც მისი დაბრმავება ეწადათ, როგორც ეს ველური გოგონა ავედრებდა თავის სიცოცხლეს ამ ჯალათებს.

მაგრამ საბრალო ქალის ხვეწნა-მუდარას არავითარი გავლენა არ მოუხდენია არც გაგულაზე და არც მის გულშავ ბატონზე, თუმცა სარდლებისა და მცველთა სახეებზე სიბრალულის მსგავსი რაღაც ამოვიკითხე. გუდი კბილებს აკრაჭუნებდა, ძლივს იოკებდა გულისწყრომას, ბოლოს ვეღარ მოითმინა და წამოხტა. ფულატა ქალებისათვის ჩვეული გამჭრიახობით მიხვდა, რაც ხდებოდა ამ კაცის გულში, გუდის წინ მუხლებზე დაეცა და „მშვენიერ თეთრ ფეხებზე" მოეხვია.

– ოჰ, შორეული ვარსკვლავეთიდან მოსულო თეთრო ადამიანო, გადამაფარე შენი მფარველი კალთა, მიხსენი ამ მტარვალთაგან.

– კარგი, ჩემო ძვირფასო, შენს თავს არავის დავაჩაგვრინებ, ადექი, ადექი და დამშვიდდი, – აღელვებით უთხრა გუდმა ინგლისურად, თან დაიხარა და ხელში ხელი ჩაავლო.

თუალამ უკან მიიხედა, ამ ნიშანზე სკრაგა შუბშემართული წამოდგა წინ.

– რაღას უცდით, დროა დავიწყოთ, – ჩამჩურჩულა სერ ჰენრიმ.

– დაბნელებას ველოდები, – ვუპასუხე მე, – ნახევარი საათია თვალს არ ვაცილებ მთვარეს, ჩემს ცხოვრებაში არ მახსოვს, ასე ეკაშკაშოს.

– სულ ერთია, უნდა გავბედოთ, ახლავე, დაუყოვნებლივ, თორემ ამ გოგოს მოკლავენ, თუალას მოთმინება ეკარგება.

არ შემეძლო არ დავთანხმებოდი სერ ჰენრის, მაგრამ ვიდრე მოქმედებას დავიწყებდი, ერთხელ კიდევ ავხედე კაშკაშა მთვარეს, მერე წინ წავიწიე და მიწაზე განრთხმულ ქალსა და სკრაგას შემართულ შუბს შორის გამარჯვებული იერით ჩავდექი.

– მეფეო, – წარმოვთქვი, – ეს არ მოხდება, უფლებას არ მოგცემთ, ეს ქალწული მოკლა! გაათავისუფლე, დაე, წავიდეს თავისი გზით.

თუალა გააფთრებული წამოხტა. სარდლებს შორის გაოცების ჩურჩული გაისმა. ჩურჩული გაჰყვა ქალწულთა მჭიდრო რიგებს, გაუბედავი მოკრძალებით რომ გვერტყმოდნენ გარს და ძრწოლვით ელოდნენ ამ საზარელი ტრაგედიის დასასრულს.

– ეს არ მოხდებაო! თეთრკანიანო ძაღლო, როგორ ბედავ შეჰყეფო ლომს მის საკუთარ ბუნაგში? მაშ, არ მოხდება, ჰა? იქნებ შეიშალე? უფრთხილდი, შენც ამ ქალის ბედი არ გეწიოს, შენც და იმათაც, შენთან ერთად რომ მოეხეტნენ აქ. გგონია, ძალა შეგწევს გადაარჩინო ეგ ქალიცა და შენი ტყავიც? ვინა ბრძანდები, წინააღმდეგობას რომ მიბედავ? ჩამომეცალე გზიდან, ჩამომეცალე-მეთქი, გეუბნები. სკრაგა, მოჰკალ შენი მსხვერპლი! ჰეი, მცველებო, შებოჭეთ ეს ხალხი!

ქოხის უკან მიმალული რამდენიმე მეომარი სწრაფად გამოქანდა ჩვენკენ, ეტყობოდა, ისინი წინასწარ მოეყვანათ აქ.

სერ ჰენრი, გუდი და ამბოპა გვერდში ამომიდგნენ და თოფები მოამზადეს.

– შეჩერდით, – მრისხანედ შევყვირე მე, თუმცა სიმართლე რომ ვთქვა, შიშით სული აღარ მედგა. – შეჩერდით-მეთქი! ჩვენ, ვარსკვლავეთიდან მოსული ადამიანები, კიდევ ვიმეორებთ, რომ ეს არ მოხდება! ამიერიდან ამ ქალწულს ჩვენ ვუწევთ მფარველობას. იცოდეთ, ერთი ნაბიჯიც რომ წამოდგათ წინ,

მთვარეს ჩავაქრობთ და დედამიწას ბნელით შევმოსავთ. აბა, გაბედეთ ურჩობა, ნახავთ, თუ სანანებლად არ გაგიხდით საქმეს.

ჩემმა მუქარამ გასჭრა. მცველებმა უკან დაიხიეს, სკრაგა კი შუბშემართული გაშეშდა.

– ერთი უსმინეთ ამ ცრუპენტელას, სანთელივით უპირებს მთვარეს ჩაქრობას! – წამოიკნავლა გაგულამ, – აბა ჩააქროს, ჩააქროს და მაშინ შეიძლება შევიწყალოთ ეგ ქალწული, დიახ, დიახ, ან ჩააქროს ან მოკვდეს, მოკვდეს მის მეგობრებთან ერთად.

სასოწარკვეთილმა მაღლა ავიხედე. ჰოი, ბედნიერებავ! უზარმაზარი კაშკაშა დისკოს კიდეზე მსუბუქი რამ ჩრდილი დავინახე, მთვარის ზედაპირიც ოდნავ მქრქალი მეჩვენა. მაშ გუდის კალენდარმა არ გვიმტყუნა. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

მე ერთი ყოფით აღვაპყარი ხელები ცისკენ და ინგოლძბის ლეგენდებიდან რამდენიმე სტროფი წარმოვთქვი. სერ ჰენრიმ და გუდმაც მომბაძეს. სერ ჰენრიმ ხმამაღლა და დამაჯერებლად თქვა რამდენიმე სტროფი ძველი აღთქმიდან, გუდი კი ღამის მეუფეს უსასრულო ლანძღვა-გინებით გაუმასპინძლდა.

მთვარის კაშკაშა ზედაპირს ნელ-ნელა გადაეფარა ჩრდილი. ხალხში გაოცებისა და შიშის შეძახილები გაისმა.

– შეხედე, ჰოი, მეფეო, – დავიყვირე მე, – უცქირე, გაგულა, უცქირეთ თქვენც, ბელადებო, მეომრებო, ქალწულებო, მითხარით, შევასრულეთ თუ არა ჩვენი სიტყვა? მთვარე თვალდათვალ ქრება. მალე წყვდიადი ჩამოწვება, დიახ, წყვდიადი ჩამოწვება და მერე როდის? როცა ცაზე სავსე მთვარე კაშკაშებს. თქვენ სასწაულს მოითხოვდით, აჰა, სასწაულიც! დაივსე და დანელდი, მთვარევ! ჩააქრე შენი შუქი ზეციერო მნათობო, ქედი მოახრევინე ამაყ კუკუანელებს, უკუნი მოჰფინე ქვეყანას!

ხალხმა გულშემზარავად შეჰღრიალა. ზოგი ზარდაცემული იქვე გაშეშდა, ზოგი ხმამაღალი მოთქმა-გოდებით დაეცა მიწაზე, თუალა შიშისაგან გაქვავდა, ენა ვეღარ დაძრა, მიუხედავად მისი შავი კანისა, შევამჩნიე, რომ სახეზე მკვდრის ფერი დაედო. მხოლოდ გაგულა იყო მშვიდად.

– ჩრდილი გადაივლის! – გაჰკიოდა იგი, – ნუ გეშინიათ, ჩემს ცხოვრებაში ასეთი რამ ბევრჯერ მინახავს. ადამიანს არ ძალუძს მთვარის ჩაქრობა. არ შეშინდეთ, სულით ნუ დაეცემით, ეს გაივლის, გაივლის-მეთქი, გეუბნებით!

– ჯერ სადა ბრძანდებით, მოიცათ, კიდევ ბევრს ნახავთ, – გავყვიროდი პასუხად და აღელვებული ერთ ადგილზე ვხტოდი, – „ოჰ, მთვარევ, მთვარევ, რამ გშობა ეგზომ ცივი და მერყევი", – განვაგრძე ისევ, ეს შესანიშნავი, სწორედ შესაფერისი სიტყვები ვისესხე ერთი ძალზე პოპულარული რომანიდან, შემთხვევით სადღაც რომ ჩამივარდა ხელში. ახლა, როცა იმ დროს ვიგონებ, ვფიქრობ, ჩემი მხრივ ძალიან დიდი უმადურობა იყო, ცის მეუფეს ისე რომ ვამცირებდი. იმ საღამოს მთვარემ დაგვიმტკიცა, რომ ჩვენი ერთგული მეგობარი იყო და, ბოლოს და ბოლოს, რაში მეკითხებოდა, როგორ მოიქცა რომანში ვიღაც შეყვარებულის მიმართ! ერთ- ხანს კიდევ გავყვიროდი ასე, მერე კაპიტანს მივუბრუნდი:

– აბა ახლა კი თქვენ უნდა განაგრძოთ, გუდ, მე აღარც ერთი ლექსი აღარ მახსოვს, ისევ ლანძღვა-გინება უნდა მოიშველიოთ, მეგობარო!

გუდი დიდი სიამოვნებით დამეთანხმა. არასოდეს არ მეგონა, რომ საზღვაო ოფიცერს ასე ოსტატურად შეეძლო გინება, არც ის ვიცოდი აქამდე, რა უსაზღვრო იყო გუდის ნიჭი და უნარი ამ დარგში. მთელი ათი წუთის

განმავლობაში სულმოუთქმელად იგინებოდა, ამასთან, ნათქვამი ერთხელაც არ გაუმეორებია.

ამასობაში შავი ლაქა თანდათანობით გადაეფარა მთვარეს. ეს ამოდენა ხალხი სრულ მდუმარებაში მოჯადოებულივით გასცქეროდა ცას. ვერც ერთს ვერ მოეცილებინა თვალი ამ უცნაური სანახაობისათვის. საზარელი ჩრდილები კი ნთქავდნენ მთვარის შუქს. ავისმომასწავებელი დუმილი გამეფდა, თითქოს ირგვლივ ყველაფერს სიკვდილის სუნთქვა შეხებოდეს. ამ სიჩუმეში, ამ საოცარ დუმილში დრო ნელა მიიზლაზნებოდა. ბნელი მედიდურად და შეუბრალებლად ავსებდა მთვარის კრატერებს. გეგონებოდათ, ეს უზარმაზარი მკრთალი ბურთი მიწას მიუახლოვდა და კიდევ უფრო გადიდდაო. მთვარეს სპილენძისფერი გადაეკრა. მერე მისი განათებული ნაწილიც განაცრისფრდა და ბოლოს, სრული დაბნელების წინ, დისკოს მეწამული ნისლი აცრიატდა. ნელ-ნელა მიცოცავდა წინ და წყვდიადი მატულობდა. ძლივსღა ვარჩევდით ჩვენ გვერდით გამძვინვარებულ სახეებს. ხალხი ხმას არ იღებდა. გუდმაც შეწყვიტა ლანძღვა-გინება.

– მთვარე კვდება, თეთრმა ჯადოქრებმა მოკლეს მთვარე, – უეცრად ხმამაღლა შეჰყვირა სკრაგამ, – ყველანი დავიღუპებით ამ უკუნეთში!

ვერ გეტყვით, ბრაზი მოერია თუ შიშმა აიძულა; ან იქნებ, ერთიც იყო და მეორეც, სკრაგამ შუბი მოიქნია და სერ ჰენრის მთელი ძალით გვერდში აძგერა. საბედნიეროდ, სამივეს გვეცვა ჯაჭვის პერანგები, მეფემ რომ გვიბოძა, მაგრამ სკრაგას ეს საიდან უნდა სცოდნოდა!

შუბი ასხლტა ისე, რომ სერ ჰენრისთვის კანიც არ გაუკაწრავს. ვიდრე სკრაგა მეორედ აღმართავდა ხელს, კურტისმა შუბი წაგლიჯა და მკერდი შუაზე გაუპო. უფლისწული უსულოდ დაეცა ძირს.

ამის დანახვაზე ქალწულები, რომლებიც ისედაც გულგახეთქილები იყვნენ მით, რომ საზარელმა ჩრდილმა შთანთქა მთვარე და წყვდიადი გამეფდა, წივილ-კივილით გაცვივდნენ კრაალის კარისკენ. მაგრამ მარტო ისინი როდი აიტანა შიშმა. მეფე თუალაც მცველებისა და რამდენიმე სარდლის თანხლებით ქოხებისკენ გაიქცა. გაგულაც არაჩვეულებრივი სისწრაფით გახანხალდა მათ უკან.

წუთიც და, მოედანი დაცარიელდა. დავრჩით მხოლოდ ჩვენ სამნი, ინფადუსი, ფულატა და ბელადები, წუხელ ქოხში რომ გვესტუმრნენ. იქვე ეგდო თუალას მემკვიდრის, სკრაგას უსულო გვამიც.

– სარდლებო, – ხმამაღლა ვთქვი მე, – ჩვენ მოვახდინეთ სასწაული. თუ კმაყოფილები ხართ, დაუყოვნებლივ უნდა დავტოვოთ ლუუ და გავიქცეთ იმ გორაკისკენ, თქვენ რომ გვეუბნებოდით. ჩვენი ჯადო კიდევ საათსა და ნახევარს იმოქმედებს, მისი შეწყვეტა ახლა არაფრით შეგვიძლია, ვისარგებლოთ წყვდიადითა და გავიქცეთ.

– წავიდეთ, – შესძახა ინფადუსმა და კრაალის კარისკენ გაემართა. მას მოკრძალებით მიჰყვნენ ბელადები და ფულატა, რომელიც გუდს ხელჩაკიდებული მოჰყავდა.

კართან მისვლაც ვერ მოვასწარით, რომ მთვარე სავსებით გაქრა. კუპრივით ბნელ ცაზე ერთიმეორის მიყოლებით აინთო ვარსკვლავები. ჩვენ ერთმანეთს ხელი ჩავკიდეთ და ნელა, ბორძიკით მივყევით წყვდიადს.

თ ა ვ ი XII

ბ რ ძ ო ლ ი ს წ ი ნ

ჩვენდა საბედნიეროდ, ინფადუსი და სარდლები კარგად იცნობდნენ ყოველ ბილიკს. ამიტომ იყო, რომ მიუხედავად ლუსკუმი ღამისა, შედარებით სწრაფად მივიწევდით წინ.

საათზე მეტი ვიარეთ ასე. ბოლოს მთვარის ის კიდე, რომელიც ყველაზე ადრე შთანთქა ბნელმა, ნელ-ნელა განათდა. უცებ ვერცხლისფერმა სხივმა გაკვეთა წყვდიადი და მასთან ერთად გამოჩნდა ალივით წითელი საოცარი ათინათი, რომელმაც უშუქარ ცაზე კაშკაშა ლამპარივით გაიციაგა. ეს რაღაც უჩვეულო და, ამასთან ერთად, ჭეშმარიტად დიდებული სურათი იყო. ხუთიოდე წუთის შემდეგ ვარსკვლავები გაფერმკრთალდა და იმდენად განათდა, რომ თვალი უკვე კარგად ხედავდა ყველაფერს. აღმოჩნდა, რომ ქალაქ ლუუს გავცდენოდით და ვუახლოვდებოდით ბრტყელმწვერვალიან დიდ გორაკს. ეს გორაკი სამხრეთ აფრიკის ჩვეულებრივ წარმონაქმნს წარმოადგენდა. მისი სიმაღლე ასე, ორასიოდე ფუტი, იქნებოდა, მაგრამ ქვა-ღორღით მოფენილი ფერდობები საკმაოდ დაქანებული ჰქონდა. გორაკი ნალისებური მოყვანილობისა იყო. ინფადუსმა ბალახით დაფარულ პლატოზე მიგვითითა და გვითხრა, აქ სამხედრო ბანაკებია განლაგებულიო. ჩვეულებრივ, თურმე იქ სამი ათასი კაცი ეყენა, მაგრამ როცა ციცაბო ფერდობზე დიდი გაჭირვებით ავცოცდით, ახლად გამოჩენილ მთვარის შუქზე დავინახეთ, რომ პლატოზე რამდენიმე პოლკს მოეყარა თავი, ხალხისაგან ტევა აღარსად იყო. მეომრები შიშით ცახცახებდნენ. ბუნების უცნაურ მოვლენას ძილი გაეფრთხო მათთვის, ახლა გროვა-გროვად იდგნენ და გულგახეთქილები მთვარეს შეჰყურებდნენ.

უხმოდ გავიარეთ მათ შორის და მივუახლოვდით ქოხს, პლატოს ცენტრში რომ იდგა. როგორ გაგვიკვირდა, როცა დავინახეთ, რომ იქ გველოდა ორი კაცი, დატვირთული ჩვენი ბარგიბარხანით, რომელიც, რასაკვირველია, ბედის ანაბარა მივატოვეთ, როცა აქეთ გამოვრბოდით.

– თქვენი ნივთები მოვატანინე. ესეც თან წამოიღეს, – გვითხრა ინფადუსმა და გუდს დიდი ხნის წინათ დაკარგული შარვალი დაანახვა.

გუდი აღტაცებული გაქანდა მოხუცი მეომრისაკენ, შარვალი ჩამოართვა და ჩაცმას შეუდგა.

– ნუთუ ჩემს მბრძანებელს ნებავს, დაფაროს ჩვენს თვალთაგან თავისი მშვენიერი თეთრი ფეხები? – სინანულით წამოიძახა ინფადუსმა.

მაგრამ გუდი ჯიუტად განაგრძობდა ჩაცმას და „მისმა მშვენიერმა თეთრმა ფეხებმა" უკანასკნელად გაიელვა კუკუანელების თვალთა წინაშე.

გუდი ძალზე თავმდაბალი ადამიანია. ამის შემდეგ კუკუანელები მხოლოდ მისი ცალი ბაკენბარდის, გამჭვირვალე თვალისა და მოძრავი კბილების ცქერით უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ.

ინფადუსი ერთხანს უსიტყვოდ შესცქეროდა გუდს, მისი მზერა ადასტურებდა, რომ ეს კაცი წარსულის ნეტარ მოგონებებში ჩაძირულიყო. მერე შარვალს თვალი მოსწყვიტა და გვითხრა, ბრძანება გავეცი, ინათებს თუ არა, პოლკები ერთად შეჰყარონ, რათა მეგობრებს შევატყობინოთ, რა მიზნით აწყობენ აჯანყებას ბელადები და ტახტის კანონიერი მემკვიდრე – იგნოზი წარვუდგინოთო.

როგორც კი მზე ამოვიდა, ოცი ათასამდე მეომარი – კუკუანელთა ჯარის საუკეთესო ნაწილი – ფართო პლატოზე შეიკრიბა და მჭიდრო რაზმებად

დაეწყო. დიდებული სანახაობა იყო. ჩვენ მათ წინ დავდექით, ირგვლივ მეთაურები და ბელადები გვერტყმოდნენ.

როცა სრული სიჩუმე ჩამოვარდა, ინფადუსმა სიტყვით მიმართა მეომრებს. როგორც ყველა წარჩინებული კუკუანელი, ბუნებით ისიც შესანიშნავი ორატორი იყო; მოქარგული ენით გააცნო შეკრებილთ იგნოზის მამის ამბავი, მოუყვა და გაახსენა ხალხს, რა მუხანათურად მოკლა იგი თუალამ, როგორ გააძევა და სასიკვდილოდ გასწირა მისი ცოლი და ვაჟიშვილი, მერე აწმყოს დაუბრუნდა; კუკუანელთა ქვეყანა თუალას უღელქვეშ გმინავს და იტანჯებაო. მაგალითად დაასახელა წინა ღამის შემთხვევა, როცა ხალხის საუკეთესო შვილებს ღალატი დასწამეს და საზარელი სიკვდილით დახოცეს. თეთრმა ადამიანებმა ვარსკვლავეთიდან დაინახეს, რა ყოფაში იყო ხალხი, გაწირეს თავი და გადაწყვიტეს, ჩვენი ხვედრი შეემსუბუქებინათ. მონახეს სამშობლოდან გადახვეწილი ტახტის კანონიერი მემკვიდრე – იგნოზი, ხელი ჩაჰკიდეს და მთები გადმოატარეს. აქ საკუთარი თვალით იხილეს, რას ჩადიოდა თუალა და, რომ დაერწმუნებინათ ორჭოფი და მერყევი ხალხი და გადაერჩინათ საბრალო ფულატა, თავისი ჯადოსნობით ჩააქრეს მთვარე და მეფისწული სკრაგა მოკლეს. თეთრები კუკუანელების მეგობრები არიან და სურვილი აქვთ, დაეხმარონ ხალხს, ჩამოაგდონ თუალა და ტახტზე აიყვანონ კანონიერი მემკვიდრე იგნოზი, რომელიც სამშობლოდან მუხანათურად გააძევესო.

ინფადუსმა სიტყვა დაასრულა, ირგვლივ ჩურჩული გაისმა. სწორედ ამ დროს წინ წამოდგა იგნოზი. მანაც გაიმეორა ინფადუსის ნათქვამი და თავისი მჭექარე სიტყვა შემდეგნაირად დაასრულა:

– ჰოი, მეთაურებო, ბელადნო, ჰოი, ხალხნო! თქვენ მოისმინეთ ჩემი სიტყვები, ახლა არჩევანი თქვენზეა – ან მე, ან ის კაცი, ჩემს ტახტზე რომ ზის. თუალამ მოკლა ღვიძლი ძმა და გააძევა ძმისწული, რომ იგი შიმშილით სადმე ჩამკვდარიყო. თქვენი მეთაურები და ბელადები გეტყვიან, მართლა მეფე ვარ თუ არა, მათ ვაჩვენე სამეფო ნიშანი – წმიდა გველის გამოსახულება. მეფე რომ არ ვიყო, განა ეს თეთრი ადამიანები, რომლებიც ჯადოსნობის ყველა საიდუმლოს ფლობენ, მე მომეხმარებოდნენ? ძრწოდეთ მეთაურნო, ძრწოდეთ ბელადნო და მეომრებო, ძრწოდეთ ხალხო! განა დაგავიწყდათ, როგორ მოჰფინეს წყვდიადი დედამიწას თეთრმა ადამიანებმა? განა ის ბნელი ჯერაც თვალწინ არ გიდგათ?

– შენ მართალი ხარ! – იგრგვინეს მეომრებმა.

– მე თქვენი მეფე ვარ, გეუბნებით, მეფე ვარ-მეთქი თქვენი! – განაგრძო იგნოზიმ, წელში გაიმართა და ფართოპირიანი საბრძოლო ნაჯახი თავს ზემოთ ჰაერში დაატრიალა. – თუ არის თქვენს შორის ადამიანი, რომელსაც არ სჯერა ეს, დამენახოს, წინ წამოდგეს, რომ მზე დავუბნელო. მის მიერ დანთხეული მეწამული სისხლი იყოს სამხილი იმისა, რომ სიმართლეს გეუბნებით; წინ წამოდგეს-მეთქი, გიმეორებთ! – იგნოზიმ ერთხელ კიდევ შეათამაშა თავისი უზარმაზარი ნაჯახი, რომელიც მზის სხივებზე ვერცხლისფრად ლაპლაპებდა.

რადგან ხალხში არ აღმოჩნდა მსურველი, გამოხმაურებოდა გმირულ ვარიანტს ცნობილი სიმღერისა „აბა გამო ღილი, თუ გინდა სიკვდილი", ჩვენმა ყოფილმა მსახურმა ისევ დიდის ამბით განაგრძო თავისი სეფე სიტყვა!

– მე თქვენი ჭეშმარიტი მეფე ვარ, ჭეშმარიტი და ერთადერთი. თუ ჩემთან ერთად იბრძოლებთ, გამარჯვება და დიდება გელით; მე მოგცემთ ხარებს, მოგცემთ ცოლებს, თქვენ დაიკავებთ საპატიო ადგილს ჩემს ჯარში. თუ თქვენ ამ ბრძოლაში დაღუპვა გიწერიათ, მეც თქვენთან ერთად დავიღუპები. ფიცს ვდებ, რომ ჩემი ტახტზე ასვლის შემდეგ შეწყდება უსამართლო სისხლისღვრა და მკვლელობა, მისნებზე მონადირე ქალები აღარ დაუწყებენ ძებნას უდანაშაულო

ადამიანებს, რათა ისინი სრულიად უმიზეზოდ გამოასალმონ წუთისოფელს, არც ერთი კაცი არ მოკვდება გაუსამართლებლად, მოძალადური სიკვდილით, თუნდაც დამნაშავე იყოს. აღარავინ გამოგყრით თქვენი კრაალებიდან, ყველა თქვენგანი მშვიდად იცხოვრებს საკუთარ ქოხში, მშვიდად იძინებს, შიში აღარაფრისა ექნება. ჩვენს მიწაზე მართლმსაჯულება გამეფდება. როგორია თქვენი არჩევანი, ბელადებო, მეომრებო და ხალხო?

– დიახ, მეფეო!

– ძალიან კარგი, ახლა მიბრძანდით და დაინახეთ, როგორ მიიჩქარიან თუალას გზირები ქალაქიდან აღმოსავლეთით, ჩრდილოეთითა და სამხრეთით, რომ ჯარები შეჰყარონ და ცოცხლად დაგვფლითონ მეც, თქვენც და, ჩვენთან ერთად, ჩემი თეთრი მეგობრებიცა და დამცველებიც. ხვალ ან ზეგ თუალა მოვა აქ თავის ერთგულ ხალხთან ერთად, მაშინ შევძლებ გავარკვიო, ვინ არის თქვენს შორის ჩემი ერთგული, ვის არ ეშინია, მოკვდეს სიმართლისათვის ბრძოლაში. სიტყვას გაძლევთ, არ დაგივიწყებთ ამაგს, ნადავლის გაყოფის დრო რომ დაგვიდგება. მე ვთქვი სათქმელი, ჰოი, მეთაურებო, ბელადებო, მეომრებო და ხალხნო, ახლა კი წადით და ბრძოლისათვის მოემზადეთ.

ჩამოვარდა სიჩუმე, მერე ერთ-ერთმა მეთაურმა ხელი ასწია და გაისმა სამეფო მისალმება „კუუმ! კუუმ! კუუმ!" ეს იყო ნიშანი იმისა, რომ მეომრებმა იგნოზი თავის მეფედ სცნეს.

ნახევარი საათის შემდეგ ჩვენ სამხედრო საბჭო მოვიწვიეთ, საბჭოს პოლკების ყველა მეთაური ესწრებოდა. ცხადზე უცხადესი იყო, რომ სულ მალე თუალას მრავალრიცხოვანი ჯარი შემოგვიტევდა. მართლაც, აქედან ვხედავდით, როგორ უყრიდნენ თავს ჯარებს და როგორ გარბოდნენ მალემსრბოლები ლუუდან ყველა მიმართულებით, ალბათ იმიტომ, რომ მეფის დასახმარებლად რაც შეიძლება დიდი ჯარი შეეგროვებინათ. ჩვენ გვყავდა ოცი ათასი კაცი, რომელიც შვიდ პოლკს შეადგენდა. ინფადუსისა და მეთაურების გამოთვლით, თუალას ლუუში ეყოლებოდა ოცდაათი-ოცდათოთხმეტი ათასი მეომარი. გარდა ამისა, მათი ვარაუდით, თუალას მეორე დღეს შუადღემდე შეეძლო დამატებით შეეკრიბა არა ნაკლებ ხუთი ათასი კაცისა. შესაძლებელი იყო, ჯარის ნაწილს ეღალატა მისთვის და ჩვენს მხარეზე გადმოსულიყო, მაგრამ, რასაკვირველია, ამაზე იმედს ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავამყარებდით. ჯერჯერობით გაურკვეველი იყო ერთი რამ: თუალა გულდაგულ ემზადებოდა შეტევისათვის. გორაკის ძირში უკვე გამოჩნდა მეომრების შეიარაღებული რაზმები. ცხადი იყო, მეფის ჯარი ბრძოლის დაწყებას ეპირებოდა.

მაგრამ ინფადუსი და სხვა მეთაურები ფიქრობდნენ, ღამე მტერი შეტევაზე არ გადმოვიდოდა. გარდა ამისა, საჭირო იყო მეომრებს შორის გაექრაწყლებინათ მთვარის დაბნელებით გამოწვეული მძიმე შთაბეჭდილება, რასაც კუკუანელები ჩვენს ჯადოქრობას მიაწერდნენ. ბელადები და მეთაურები გვარწმუნებდნენ, შეტევა დილამდე არ დაიწყებაო. მართლაც, მათი ვარაუდი სავსებით გამართლდა.

ამასობაში ჩვენც საქმეს მოვკიდეთ ხელი, ვცდილობდით, რაც კი შეგვეძლო, გაგვემაგრებინა ჩვენი მისადგომები.

ყველა უკლებლივ გვეხმარებოდა. გვეგონა, დრო არ გვეყოფოდა, რომ ყველაფერი მოგვესწრო. მაგრამ მეომრებმა იმ დღეს სასწაული მოახდინეს. გორაკი, რომელზეც ჩვენ ვიმყოფებოდით, უფრო სანატორიუმი იყო, ვიდრე სიმაგრე, რადგან აქ, ჩვეულებრივ, აყენებდნენ ჯარის იმ ნაწილებს, რომელთაც ადრე მძიმე კლიმატურ პირობებში უხდებოდათ ყოფნა. ამიტომ ახლა საჭირო იყო ქვებით ამოგვეხერგა ყველა გზა, რომელიც გორაკის მწვერვალისაკენ

მიემართებოდა და ყველა მისასვლელი შეძლებისამებრ მიუდგომელი გაგვეხადა. მეომრებმა სხვადასხვა ადგილას დააგროვეს ქვები, რომ მაღლიდან მტრისთვის დაეშინათ. ყოველ პოლკს გარკვეული ადგილი უნდა სჭეროდა. ერთი სიტყვით, თავდაცვისათვის ყოველი ღონე ვიხმარეთ.

მზის ჩასვლის წინ დავინახეთ მეომართა მცირერიცხოვანი რაზმი, რომელიც ლუუდან ჩვენკენ მოემართებოდა. ერთ-ერთ მეომარს ხელში პალმის ტოტი ეჭირა, ნიშნად იმისა, რომ მოსალაპარაკებლად მოდიოდა.

იგნოზი, ინფადუსი, რამდენიმე სარდალი და ჩვენც მათ შესახვედრად გორაკიდან დავეშვით.

პალმისტოტიანი დაწინაურდა. ომახიანი ვაჟკაცი იყო. მხრებზე ლეოპარდის მოსასხამი მოეგდო.

– სალამი მითქვამს! – დაიყვირა მან მოახლოებისთანავე. – მეფე სალამს უძღვნის მათ, ვინც მის წინააღმდეგ ეს მკრეხელური ომი წამოიწყო. ლომი სალამს უძღვნის ტურებს, მის ფერხთით ბოროტად რომ ღრენენ.

– თქვი, რა გინდა! – ვუთხარი მე.

– აი მეფის სიტყვა: დანებდით, ან არადა, ცუდი დღე გელით. შავ ხარს უკვე მხარი ამოსჭრეს, იგი სისხლისაგან იცლება და მეფე მთელ კრაალში დასდევს.

– მითხარი, რა სურს თუალას? – ცნობისწადილით შევეკითხე.

– მისი პირობა და სურვილი მადლმოსილი და კეთილმოწყალეა, როგორც ეს დიად მეფეს შეეფერის. აი, კუკუანელთა მბრძანებლის, ასი ცოლის ბრწყინვალე მეუღლის, ცალთვალა გოლიათის, დიდი გზის მცველის, დაყურსებულთა რჩეულის, შავი ძროხის ხბოის – თუალას სიტყვა. სიტყვა სპილოსი, რომლის ნაბიჯი მიწას აზანზარებს, ავაზაკთა ზარდამცემის, ფეხმარდი სირაქლემას, ბუმბერაზის, შავისა და ბრძენთაბრძენის მეფური სიტყვა:

„მე გულმოწყალე ვიქნები და არც თუ ბევრ სისხლს დავღვრი. ყოველ ათ კაცზე ერთ კაცს დავუბნელებ მზეს, დანარჩენებს თავისუფლებას მივანიჭებ, მაგრამ თეთრი ადამიანი, სახელად ინკუბუ, უფლისწულ სკრაგაზე ხელი რომ აღმართა, მისი შავკანიანი მსახური, ტახტს რომ მეცილება, და ინფადუსი, ჩემი ძმა, რომელიც ჩემს წინააღმდეგ ხალხს აჯანყებს, მოწამებრივი სიკვდილით უნდა დაიხოცონ. ისინი მსხვერპლად უნდა შეეწირონ დაყურსებულებს" – ასეთია თუალას მოწყალე პირობა.

მე მოვეთათბირე ჩვენებს და ხმამაღლა, ისე, რომ ჩემი სიტყვები ყველას გაეგონა, ვუპასუხე:

– ძაღლო, დაბრუნდი თუალასთან, დაბრუნდი მასთან, ვინც გამოგგზავნა და გადაეცი, რომ ჩვენ, ესე იგი, იგნოზი, კუკუანელების კანონიერი მეფე, ვარსკვლავეთიდან ჩამოსული თეთრი ბრძენი ჯადოქრები – ინკუბუ, ბუგვანი და მაკუმაზანი, რომელთაც შეუძლიათ მთვარის ჩაქრობა, აგრეთვე სამეფო სახლის შვილი ინფადუსი, ბელადები, მეთაურები და ყველა აქ შეკრებილნი, პასუხად ვუთვლით, რომ არაფრად ვაგდებთ მის სიტყვას და ვიდრე მზე ორჯერ ჩასვლა-ამოსვლას მოასწრებდეს, თქვენი მეფის გვამი გაშეშებული ეგდება მისივე კრაალის კართან, ტახტზე კი იგნოზი ავა. ახლა კი წადი, წადი, ვიდრე როზგით გვერდებს შეგიხურებდეთ და გვიფრთხილდი, კვლავ არსად გადაგვეყარო!

მოგზავნილმა გულიანად გადაიხარხარა.

– ვაჟკაცს მუქარითა და ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით ვერ შეაშინებთ, – თქვა მან, – ვნახოთ, ხვალაც ამ გულზე იქნებით თუ არა, მთვარის ჩამქრობნო და დამბნელებელნო. იბრძოლეთ, გამოიჩინეთ მხნეობა და გულოვნება,

იმხიარულეთ და იხარეთ, ვიდრე ყვავ-ყორანი ისე არ დაკორტნის თქვენს ძვლებს, რომ ისინი თქვენს სახეზე მეტად გათეთრდნენ. მშვიდობით, ეგებ ბრძოლაში კვლავ შევხვდეთ ერთმანეთს. გთხოვთ, ჯერჯერობით ვარსკვლავებზე ნუ გაფრინდებით, დამელოდეთ, თეთრო ადამიანებო!

ამ დამცინავი სიტყვებით მოციქული გაგვშორდა. მისი წასვლისთანავე მზეც ჩაესვენა და მიწას ბნელი მოეფინა.

იმ ღამით ბევრი სამუშაო გვქონდა. მიუხედავად იმისა, რომ ყველანი სასტიკად დაღლილ-დაქანცულები ვიყავით, მაინც განვაგრძობდით მზადებას ხვალინდელი ბრძოლისთვის, რამდენადაც კი მთვარის მკრთალი შუქი ამის საშუალებას გვაძლევდა. შიკრიკები გარბოდ-გამორბოდნენ, რომ მეომართათვის გადაეცათ ჩვენი ბრძანება და კვლავ ბრუნდებოდნენ კარავთან, სადაც ჩვენ ვბჭობდით. ბოლოს, დაახლოებით ღამის პირველი საათისთვის მოვაგვარეთ ყველაფერი, რისი მოგვარებაც ჩვენს ხელთ იყო და მთელი ბანაკი ძილმა მოიცვა. საერთო სიჩუმეს დროდადრო მხოლოდ ყარაულების შეძახილი არღვევდა. მე და სერ ჰენრი, იგნოზისა და ერთი მეთაურის თანხლებით, გორაკის ძირში ჩავედით და საგუშაგოები დავათვალიერეთ. სრულიად მოულოდნელად ჩვენს თვალწინ აღიმართებოდა ხოლმე შუბი, რომელიც მთვარის სხივებზე ლაპლაპს იწყებდა, მაგრამ როგორც კი ვიტყოდით პაროლს, მაშინვე ქრებოდა. ცხადი იყო, გუშაგებს არ ეძინათ. საგუშაგოებს დავუარეთ და ისევ უკან გამოვბრუნდით, ფეხაკრეფით გავიარეთ ათასობით მძინარე მეომართა შორის, მრავალ მათგანს ხომ ამქვეყნად უკანასკნელად ეწერა ძილი.

მთვარის სხივი ლიცლიცებდა შუბებზე, სხლტოდა მეომართა სახეებზე და მათ მიცვალებულებს ამსგავსებდა. ღამის ცივი ქარი ჯიღის ფრთებს აფრიალებდა. მეომრები უწესრიგოდ მიყრილიყვნენ აქეთ-იქით. მთვარის შუქზე მათი ვეება, ბრგე სხეულები როგორღაც უცნაური და აჩრდილისებრი ჩანდა.

– როგორ ფიქრობთ, ბევრი გადაურჩება ხვალინდელ დღეს? – იკითხა სერ ჰენრიმ.

პასუხად მხოლოდ თავი გავიქნიე და ისევ მძინარეთ დავაცქერდი. მიუხედავად დაღლილობისა, ძალზე აღგზნებული ვიყავი და მეჩვენებოდა, რომ სიკვდილის ყინულოვან ხელს უკვე გაეშეშებინა ეს ადამიანები. გულში ვიმახსოვრებდი მათ სახეებს, ზედ რომ სიკვდილის აჩრდილი დასთამაშებდათ. მეჩვენებოდა, თითქოს მხოლოდ ახლა ჩავწვდი სიკვდილ-სიცოცხლის დიდ საიდუმლოს. გული ღრმა სევდით მევსებოდა, როცა ვფიქრობდი, რა ტრაგიკულად განწირული იყო ჩვენი სიცოცხლე. აი, ამ ღამით ათასობით კაცს ღრმა, ჯანსაღი ძილით სძინავს, ხვალ კი, შესაძლოა, ისინიც, ჩვენც და მრავალი სხვაც, ამქვეყნად აღარც კი ვიყოთ. სიკვდილის ცივი სუნთქვა შებოჭავს და გააშეშებს ყველას. ცოლები დაქვრივდებიან, შვილები დაობლდებიან, ქოხებს აღარასოდეს დაუბრუნდებათ პატრონი. მხოლოდ მთვარე განაგრძობს ცაზე უშფოთველად ციალს, ღამის ნიავი კვლავინდებურად შეარხევს ბალახს და უკიდეგანო მიწა ნებივრად მიეცემა განცხრომას. ყველაფერი იარსებებს ისე, როგორც არსებობდა მანამდე, სანამ ეს ხალხი გაჩნდებოდა და იარსებებს შემდეგაც, როცა მათი სახელები დავიწყებას მიეცემა. იარსებებს მარად, უკუნითი უკუნისამდე.

მაგრამ, ვიდრე სამყარო არსებობს, ადამიანი არ კვდება. მართალია, მისი სახელი დავიწყებას ეძლევა, მაგრამ ქარი, რითაც ის სუნთქავდა, ისევ არხევს ფიჭვთა კენწეროებს მთებში. მისი სიტყვების ექო კვლავ და კვლავ განაგრძობს ჟღერას სივრცეში, მისი ნააზრევ-ნაფიქრალი დღეს ჩვენს საკუთრებად ითვლება; მისმა ვნებებმა სიცოცხლე მოგვანიჭა, მისი სიხარული, მისი სევდა ჩვენი სევდა

და სიხარულია; ხოლო საბედისწერო წუთს, ასეთი თრთოლვითა და შიშით რომ გაურბოდა, ვერც ჩვენ გავექცევით სადმე.

სამყარო სავსეა აჩრდილებით, არა სასაფლაოს შესუდრული მოჩვენებებით, არამედ სიცოცხლის მარად უჭკნობი, უკვდავი ნაწილაკებით, რომლებიც თუ ერთხელ წარმოიშვა, აღარასოდეს კვდებიან, თუმცა შეუმჩნევლად ერწყმიან ერთიმეორეს და იცვლებიან, იცვლებიან მარადიულად.

მსგავსი ფიქრები მიტრიალებდა თავში, ვიდრე ვიდექი და დავყურებდი ამ მუქ, ფანტასტიკურ სხეულებს. მეომრებს, მათივე თქმისა არ იყოს, „შუბებზე ეძინათ".

სამწუხაროდ, ვამჩნევ, რომ რაც უფრო მეპარება სიბერე, მით უფრო მეტსა და მეტს ვმსჯელობ. რა საძაგელი ჩვეულებაა!

– კურტის, – ვუთხარი სერ ჰენრის, – ჩემდა სამარცხვინოდ, უნდა გამოგიტყდეთ, ძალიან მეშინია.

სერ ჰენრიმ გაიღიმა და ქერა წვერზე ხელი ჩამოისვა.

– მე არა ერთხელ მსმენია თქვენგან მსგავსი სიტყვები, ქუოტერმენ, – მითხრა მან.

– დიახ, მაგრამ ახლა სერიოზულად გეუბნებით ამას. იცით, ვეჭვობ, ამ ბრძოლაში რომელიმე ჩვენგანი გადარჩეს. ჩვენ ძლიერ და მრავალრიცხოვან ჯართან გვექნება საქმე და იმედი არა მაქვს, რომ პოზიციების გამაგრებას შევძლებთ.

– ყოველ შემთხვევაში, ამ პოზიციებს ადვილად როდი დავთმობთ! ძმათა შორის სისხლის ღვრა კაი საქმე არ არის და, მართალი გითხრათ, არც უნდა გავრეულიყავით ამაში, მაგრამ რაკიღა ასე მოხდა, უნდა ყოველი ღონე ვიხმაროთ და გავიმარჯვოთ. ჩემდათავად მოგახსენებთ: თუ სიკვდილი მიწერია, მიჯობს ბრძოლაში მოვკვდე. მით უმეტეს ახლა, როცა იმედი გადამიწყდა, რომ ვიპოვი ჩემს საბრალო ძმას. დიახ, დიახ, ჩემთვის ახლა უფრო ადვილია სიკვდილზე ფიქრი, მაგრამ იქნებ გავიმარჯვოთ? ნათქვამია, მამაცს ბედი არ უმტყუნებსო. რა თქმა უნდა, საშინელი ხოცვა-ჟლეტა იქნება, ჩვენ კი იქ უნდა ვიყოთ, სადაც ყველაზე ცხარე ბრძოლა იქნება, თუ გვინდა, სახელი და ღირსება შევინარჩუნოთ.

სერ ჰენრი ნაღვლიანად ლაპარაკობდა, მაგრამ მის თვალებში მოკიაფე ნაპერწკლები სულ სხვას ამბობდა. ჩემი აზრით, უხაროდა კიდეც, ეს ბრძოლა რომ მოგველოდა.

ამ საუბრის შემდეგ დავწექით და ერთ-ორ საათს ძილს მივეცით თავი.

მზის ამოსვლისას ინფადუსმა გაგვაღვიძა და გვითხრა, ლუუში დიდი გამოცოცხლება იგრძნობა, მეფის ჯარის მცირერიცხოვანი რაზმები ჩვენი მოწინავე ხაზისკენ მოემართებიანო.

ჩვენ საბრძოლველად მოვემზადეთ, ჩავიცვით ჯაჭვის პერანგები, თან თუალას ამ საუცხოო საჩუქრისათვის გულში მადლობას ვუძღვნიდით. სერ ჰენრი გატაცებით შეუდგა საქმეს და მალე კუკუანელ მეომარს დაემსგავსა.

– როცა კუკუანელთა ქვეყანაში ხარ, კუკუანელივით უნდა მოიქცე, – თქვა და ფართო ბეჭებზე ჯაჭვის პერანგი ჩამოიცვა. მაგრამ ამაზე რადი შეჩერდა, ინფადუსმა მეომრის აღჭურვილობა მოუტანა, სერ ჰენრიმ ლეოპარდის მოსასხამი მოიცვა, თავზე კი სირაქლემას შავი ფრთების ჯიღა დაიდგა. ასეთ ჯიღას მხოლოდ ბელადები ატარებდნენ. წელზე კამეჩის თეთრი ტყავის საუცხოო მუჩა შემოიკრა, ჩაიცვა სანდლები, ხელში დაიჭირა მძიმე საბრძოლო ნაჯახი, კამეჩის ტყავგადაკრული რკინის მრგვალი ფარი და რამდენიმე ტოლი, ესე იგი, ლითონის დანა. ყველაფერ ამას, ყოველი შემთხვევისათვის, თავისი

რევოლვერიც დაუმატა. ეს მორთულობა, რა თქმა უნდა, სერ ჰენრის ველურს ამსგავსებდა, მაგრამ უნდა გითხრათ, ამაზე უფრო მოსული და ძლიერი კაცი ჯერ არსად შემხვედრია. ჩაცმულობა კიდევ უფრო უსვამდა ხაზს მის აღნაგობას. როდესაც იგნოზი და სერ ჰენრი ერთად დავინახე, გავიფიქრე, ჩემს სიცოცხლეში პირველად ვხედავ ამგვარ გოლიათებს-მეთქი. ვერ გეტყვით, რომ გუდს ჯაჭვის პერანგი ისე მორგებოდა ტანზე, როგორც სერ ჰენრის. საქმე ის არის, რომ კაპიტანს არ უნდოდა თავის შარვალს განშორებოდა. უნდა ვაღიარო, რომ ტანდაბალი, ჩაფსკვნილი ჯენტლმენი, რომელსაც ცალ მხარეს პირწმინდად გაეპარსა სახე, მეორე მხარეს კარგა მოზრდილი წვერი მოეშვა, ჯაჭვის პერანგი კი გულდაგულ ჩაეტნია საკმაოდ შელანძულ ველვეტის შარვალში, მაინცდამაინც სასიამოვნო შთაბეჭდილებას ვერ ახდენდა. საკუთარ თავზე შემიძლია გითხრათ, რომ ჯაჭვის პერანგი ხალვათად მადგა ტანზე, ამიტომ იგი ტანსაცმლის ზემოთ გადავიცვი, თუმცა მაინც ვერ ამოვავსე. გარდა ამისა, გადავწყვიტე, ფეხსაცმელი გამეხადა, რომ თუ უკანდახევა მოგვიწევდა, უფრო ადვილად შემძლებოდა გაქცევა. ამავე მიზეზით, შარვალიც გავიხადე და ველდსკუნის ამარა დავრჩი. შუბი და ფარი, რომლის ხმარებაც არ ვიცოდი, წყვილი დანა და, ბოლოს, მონადირის ქუდზე დამაგრებული უზარმაზარი ჯიღა შეადგენდა ჩემს სამხედრო მორთულობას. მინდოდა, რაც შეიძლება მეტად დავმსგავსებოდი სისხლისმსმელს. გარდა ამისა, თან წავიღეთ თოფები, მაგრამ რადგან ტყვიები შემოგველია, ისინი ჩვენთვის ზედმეტი ტვირთი იყო. ამიტომ განკარგულება გავეცით, თოფები წამოეღოთ მეომრებს, ჩვენ უკან რომ მოდიოდნენ.

საბრძოლოდ გამოვეწყვეთ, ნაჩქარევად ვისაუზმეთ და ქოხიდან გამოვედით, რომ საქმის ვითარება გაგვერკვია.

პლატოს ერთ კუთხეში პატარა ყავისფერი კონცხი მოჩანდა, ეს იყო ჩვენი შტაბი და ამავე დროს სათვალთვალო პუნქტიც. აქ დაგვხვდა ინფადუსი, რუხების პოლკით გარშემორტყმული. ეს პოლკი კუკუანელთა არმიის საუკეთესო მეომრებისაგან შედგებოდა. ამჟამად პოლკში სამი ათას ხუთასი კაცი იყო. ეს პოლკი სათადარიგოდ უნდა დაგვეტოვებინა. მეომრები ჯგუფ-ჯგუფად იწვნენ მიწაზე და უცქეროდნენ, როგორ გამოდიოდნენ ლუუდან მწყობრი რაზმები, რომელთაც ბოლო არ უჩანდათ. სულ სამი პოლკი იყო, თითოეულში თერთმეტიდან თორმეტი ათასი კაცი იქნებოდა.

ქალაქს რომ გამოსცდნენ, პოლკები საბრძოლოდ დაეწყვნენ. მერე ერთმა პოლკმა მარჯვნივ გაუხვია, მეორემ – მარცხნივ, მესამე კი ნელი ნაბიჯით პირდაპირ ჩვენკენ გამოემართა.

– აჰა, – თქვა ინფადუსმა, – ემზადებიან, რომ ერთდროულად სამი მხრიდან შემოგვიტიონ!

ეს ახალი ამბავი ძალზე საყურადღებო იყო, რადგან ჩვენი ჯარის ნაწილები გორაკზე გაფანტულნი იდგნენ, საჭირო ხდებოდა მათი თავმოყრა. ხომ ვერ მივუთითებდით მოწინააღმდეგეს, როგორ მოეტანა ჩვენზე იერიში ისე, რომ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩენოდა? ყველაფერი უნდა გაგვეკეთებინა, რაც შეგვეძლო. ვაფრინეთ ბრძანება, რაზმები მზად ყოფილიყვნენ მტერზე იერიშის მისატანად.

თ ა ვ ი XIII

თ ა ვ დ ა ს ხ მ ა

სამივე პოლკი ნება-ნება მოიწევდა წინ, მეომრებს სიჩქარე არ ეტყობოდათ. ხუთას იარდზე რომ მოგვიახლოვდნენ, შუა პოლკი შეჩერდა; იქ იწყებოდა მიწის წვრილი ზოლი, ჩვენს გორაკში რომ იჭრებოდა. გორაკს თითქმის ნალისებრი მოყვანილობა ჰქონდა და მისი ორივე დაქანებული კიდე ლუუსკენ იყო მიმართული.

შუა პოლკს განზრახული ჰქონდა, ბრძოლაში ჩავეთრიეთ, ამასობაში ორი დანარჩენი გორაკს შემოუვლიდა და მერე ყველანი ერთდროულად დაგვესხმოდნენ თავს.

– ეჰ, ახლა ერთი გეტლინგი მოგვცა, – სინანულით თქვა გუდმა და ოხვრით გადახედა გორაკის ძირში თავმოყრილ მჭიდრო რაზმებს. – ოციოდე წუთში მთელ დაბლობს მოვასუფთავებდით.

– მაგრამ რაკი გეტლინგი არა გვაქვს, არც ღირს ამაზე ოხვრა-კვნესა, – მიუგო სერ ჰენრიმ. – რა მოხდება, აქედან რომ ესროლოთ, ქუოტერმენ? მოხვდება თუ არა თქვენი ტყვია აგერ იმ აყლაყუდას, განზე რომ დგას და, ჩემი აზრით, რაზმს ხელმძღვანელობს? სანაძლეოდ ვდებ სევერინს, რომელსაც უეჭველად გადავიხდი, თუკი, რასაკვირველია, ამ ბრძოლას გადავურჩით, რომ თქვენი ტყვია ხუთი იარდით მაინც ასცდება მიზანს.

მისი სიტყვები შიგ გულში მომხვდა, „ექსპრესი" სასკდომი ტყვიით დავტენე და დაველოდე, სანამ ის მეთაური თავის თანაშემწეებთან ერთად ათიოდე იარდით მაინც არ გასცდა რაზმს, რათა უკეთ დაეთვალიერებინა ჩვენი პოზიციები. მერე მიწაზე გავწექი, თოფი კლდეზე გავდე და ჩემს მსხვერპლს ყელში ვუმიზნე იმ ვარაუდით, რომ ტყვია შიგ გულში უნდა მოხვედროდა, თუ მხედველობაში მივიღებდით მანძილს და იმ გარემოებასაც, რომ ჩემი თოფი მხოლოდ სამას ორმოცდაათ იარდზე ისროდა. მეთაური მშვიდად იდგა, მაგრამ არ ვიცი, ვღელავდი, ქარმა წამოუბერა, თუ საერთოდ, მიზანი კარგა დიდ მანძილზე იყო ჩემგან დაცილებული, ასე იყო თუ ისე, ვარაუდი არ გამიმართლდა.

მსხვერპლი მიზანში ამოვიღე და ჩახმახს თითი გამოვკარი. როცა ბოლი გაიფანტა, დავინახე, რომ ის კაცი უვნებლად იდგა, მისი თანაშემწე კი უსულოდ ეგდო ძირს. მეთაური სწრაფად შეტრიალდა და საშინლად შეშფოთებული თავისი რაზმისაკენ გაქანდა.

– ვაშა, ქუოტერმენ, – შეჰყვირა გუდმა, – რჯულზე კი შეაშინეთ, აი!

ამან ძალზე გამაბრაზა, საშინლად არ მიყვარს, როცა ვინმეს თანდასწრებით მიზანს ავაცდენ ხოლმე. ამიტომ შეძლებისდაგვარად ვცდილობ ასეთ შემთხვევებს თავი ავარიდო. გაცოფებული გულს ვეღარ მოვერიე და წინდაუხედავად მოვიქეცი: გაქცეულს სწრაფად დავუმიზნე თოფი და ტყვია ზურგში მივაყოლე. ამჯერად აღარ ამიცდენია, საბრალომ ხელები აიქნია და მოცელილივით დაეცა გულდაღმა. ამას ვწერ მხოლოდ იმისათვის, რომ დაგანახოთ, რა ცოტას ვფიქრობთ სხვებზე, როცა საქმე ჩვენს თავმოყვარეობას, ან რეპუტაციას ეხება.

ამის დანახვაზე ჩვენმა მეომრებმა აღტაცების ყიჟინა დასცეს, ფიქრობდნენ, ყველაფერი ეს ჩვენი გამარჯვების საწინდარი იყო. გარდა ამისა, ერთხელ კიდევ დარწმუნდნენ, რომ ჩვენ უძლეველი ჯადოქრები ვიყავით. რაზმმა კი, რომელსაც მოკლული მეთაურობდა (მერე შევიტყვეთ, რომ ის საბრალო მართლაც რაზმის მეთაური იყო), უწესრიგოდ იწყო უკანდახევა. ამის დანახვაზე სერ ჰენრიმ და გუდმა თოფებს ხელი დაავლეს და სროლა ატეხეს. გუდი თავს

არ იზოგავდა და თავისი ვინჩესტერიდან ტყვიას ტყვიაზე აყრიდა მეომართა მჭიდრო რიგებს. ჩვენ შევძელით შვიდი-რვა კაცის მოკვლა და დაჭრა, სანამ რაზმი სასროლ მანძილს გასცდებოდა.

როგორც კი სროლა შევწყვიტეთ, მარჯვნივ საშინელი ღრიალი გაისმა, მტერი მუქარით მოიწევდა ჩვენკენ. ეს ხმა და შეძახილები იმწამსვე აიტაცა მოწინააღმდეგემ მარცხენა ფრთაზე და ორივე პოლკი ერთდროულად გამოქანდა ჩვენკენ. მათ ღრიალზე ჩვენს პირდაპირ მდგარი პოლკის მჭიდრო რიგები შეირხა, მეომრებმა რაღაც ველური სიმღერა დასძახეს და აუჩქარებლად წამოვიდნენ გორაკისაკენ, შემდეგ კი გამოჰყვნენ ვიწრო მწვანე ზოლს, მათ განშტოებას შორის რომ იყო ჩაჭედილი. ჩვენ სამმა კი (იგნოზი მხოლოდ ხანდახან გვეხმარებოდა) სეტყვასავით დავაყარეთ ტყვიები მტერს, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე კაცი მოვკალით.

ჩვენკენ მოიწევდა თავით-ფეხებამდე შეიარაღებული ათასობით ადამიანი და აბა მათთან ჩვენი თოფებით რას გავხდებოდით? ეს იგივე იყო, წვრილი კენჭები დაგვეშინა აბობოქრებული ტალღისათვის, ჩვენ ჩასანთქმელად რომ მოიწევდა.

მეომრები შუბებს ჰაერში იქნევდნენ, ყვირილ-ღრიალით მოიწევდნენ წინ და უკვე უახლოვდებოდნენ ჩვენს საგუშაგოებს გორაკის ძირში. ცოტა ხნის შემდეგ მტერმა ოდნავ შეანელა თავდასხმა. დიდი წინააღმდეგობა არ გაგვიწევია მათთვის, მაგრამ თავდამსხმელები აღმართზე ამოდიოდნენ და სიარული უჭირდათ. ჩვენი თავდაცვის პირველი ხაზი დაახლოებით შუა გორაკზე იყო, მეორე – მისგან ორმოცდაათიოდე იარდის დაშორებით, მესამე კი – პლატოს კიდეზე.

მტერი სულ უფრო და უფრო გვიახლოვდებოდა, ისმოდა ხმამაღალი შეძახილები:

– თწალა, თწალა! ჩჰიელე! ჩჰიელე! (თუალა, თუალა, მიდი, დასცხე!)

– Iგნოზი, Iგნოზი! ჩჰიელე! ჩჰიელე! (იგნოზი, მისცხე, არავინ დაინდო!) – გაჰყვიროდნენ საპასუხოდ ჩვენი მეომრები.

ახლა მტერი სულ ახლოს იყო. ჰაერში წამისწამ ელავდა დანები. ბოლოს მოწინააღმდეგენი ველური ღრიალით ეკვეთნენ ერთმანეთს.

გაჩაღდა ხელჩართული ბრძოლა. მეომრები მოცელილივით ეცემოდნენ ძირს. მალე რიცხობრივად ჭარბმა მოწინააღმდეგემ უკუაგდო ჩვენი რაზმები. ჩვენი თავდაცვის პირველმა ხაზმა ნელ-ნელა დაიხია უკან და სულ მალე მეორე ხაზს შეუერთდა. ერთ ხანს აქ იბრძოდნენ, მაგრამ ჩვენი ჯარები მალე იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ, სულ რაღაც ოციოდე წუთში ბრძოლაში ჩვენი თავდაცვის მესამე ხაზის მეომრებიც ჩაებნენ, მაგრამ ამ დროისთვის მოიერიშეებს ძალ-ღონე გამოელიათ და მესამე ხაზის გარღვევა ვეღარ შეძლეს. გარდა ამისა, ძალიან ბევრი დაჭრილ-დახოცილი ჰყავდათ. რამდენიმე წუთის განმავლობაში ბრძოლა ხან მძაფრდებოდა, ხან ისევ ნელდებოდა. გაშმაგებული ველურები წინ მოიწევდნენ, მეორე წუთს კი უკან იხევდნენ, ამიტომაც ძნელი იყო თქმა, ვინ გაიმარჯვებდა. სერ ჰენრი თვალნათლივ შეჰყურებდა მებრძოლებს. უეცრად უსიტყვოდ შეიჭრა მათ შორის, გუდიც ფეხდაფეხ მიჰყვა. მე კი ვირჩიე, დავრჩენილიყავი იქ, სადაც ვიდექი.

ჩვენმა მეომრებმა დაინახეს, სერ ჰენრი ბრძოლაში ჩაებაო, და გაორკეცებული ძალით ეკვეთნენ მტერს, თან ყვიროდნენ:

– ანზია Iნკუბი ანზია ნკუნგუკლოვო (აბა დასცხეთ! სპილო ჩვენთან არის, ჩვენთან იბრძვის!) ჩჰიელე! ჩჰიელე!

ამ წუთიდან საეჭვო აღარაფერი იყო, რომ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩებოდა.

თუალას მეომრები სასტიკ წინააღმდეგობას გვიწევდნენ, მაგრამ ნაბიჯ-ნაბიჯ უკან იხევდნენ და გორაკს თანდათან ქვემოთ მიუყვებოდნენ. შემდეგ საბოლოოდ აირ-დაირივნენ და თავის პოლკს შეუერთდნენ. იმავ წუთს მოვიდა მაცნე და შეგვატყობინა: მარცხენა ფრთიდან მტერი უკუგდებულიაო. მე უკვე ჩემს თავს ვულოცავდი, ბრძოლა რამდენიმე ხნით მაინც შეწყდება-მეთქი, მაგრამ უეცრად დავინახე, რომ ჩვენი მეომრები, რომელთაც მარჯვენა ფრთის დაცვა ევალებოდათ, პლატოზე გამორბოდნენ, უკან მტერი მოსდევდათ. ეტყობოდა, თუალას ჯარებმა იქ ჩვენი თავდაცვა გაარღვიეს.

იგნოზიმ, რომელიც ჩვენს გვერდით იდგა, წამსვე აუღო ალღო შექმნილ ვითარებას. მისი ბრძანებით, რუხების სათადარიგო პოლკი თვალისდახამხამებაში დაეწყო და საბრძოლველად მოემზადა.

იგნოზიმ კვლავ გასცა განკარგულება. ისიც წამსვე აიტაცეს და ბელადებს გადასცეს. ამოსუნთქვაც ვერ მოვასწარი, რომ შეტევაზე გადასული მეომრების ძლიერმა ტალღამ გამიტაცა და ჩემდა უნებურად ჯარის შუაგულში მოვხვდი, რაც, რასაკვირველია, დიდად არ გამხარებია. ჩვენები გააფთრებით მიიწევდნენ მტრისკენ. მეტი რა ჯანი მქონდა, მეც მათთან ერთად უნდა გავქცეულიყავი. მაგრამ ვცდილობდი, რაც შეიძლება ახლოს ვყოფილიყავი იგნოზისთან. ორიოდე წუთის შემდეგ – მე კი მეგონა დრო საოცრად ნელა მიიზლაზნება-მეთქი – შევუერთდით მარჯვენა ფრთაზე მტრისაგან უკუქცეულ ჩვენი რაზმების ნაწილებს და ისინიც აქვე, ჩვენს უკან დაეწყვნენ. მერე კი, მერე არ ვიცი, რა მოხდა, მახსოვს მხოლოდ, რომ ფარები გამაყრუებლად ეხეთქებოდა ერთმანეთს და საზარელი ჯახაჯუხი გაჰქონდა.

მაგონდება ისიც, რომ გამოჩნდა ვიღაც ახმახი, რომელსაც თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა და სისხლში მოსვრილი შუბით ჩემკენ გამოქანდა. ეჭვი არ მეპარება, რომ მარტო ამ სურათის დანახვაზე ბევრი უგონოდ დაეცემოდა ძირს, მაგრამ სიამაყით უნდა მოგახსენოთ, არ დავბნეულვარ, წამსვე მოვისაზრე, ასე ერთ ადგილზე თუ გავშეშდი, კარგი დღე არ დამადგება-მეთქი და როგორც კი ის საზარელი მოჩვენება ჩემკენ გამოქანდა, მაშინვე ფეხქვეშ შევუვარდი, თანაც, ისე მარჯვედ, რომ მან შეჩერებაც ვერ მოასწრო, წაქცეულს ფეხი წამომკრა და მიწას დაასკდა. ვიდრე განძრევას მოასწრებდა, წამოვხტი, რევოლვერი დავახალე და ანგარიში გავუსწორე.

ამის შემდეგ დიდ ხანს არ გაუვლია, რომ ვიღაცამ ხელი მკრა და უგონოდ დავეცი.

როცა გამოვფხიზლდი, დავინახე, გუდი ჩემკენ გადმოხრილიყო, ხელში წყლით სავსე გოგრის ბოთლი ეჭირა, ისიც შევამჩნიე, რომ პლატოზე ვიყავით, ჩვენი სათვალთვალო პუნქტის გვერდით.

– როგორა ხართ, მეგობარო, – შეწუხებული ხმით მკითხა გუდმა.

მე წამოვდექი, ტანსაცმელი ჩამოვიბერტყე და მხოლოდ ამის შემდეგ გავეცი პასუხი:

– არა მიშავს, გმადლობთ.

– მადლობა ღმერთს. რომ დავინახე, ხალხს აქეთ მოჰყავდით, მუხლთ მომეკვეთა, მეგონა, ცოცხალი აღარ იყავით.

– არა, მეგობარო, ამჯერად გადავრჩი, ვფიქრობ, დარტყმამ ტვინი შემინჯღრია. მაგრამ მითხარით, რით დამთავრდა ბრძოლა?

– ჯერჯერობით მტერი ყველგან უკუგდებულია, დანაკლისი დიდი გვაქვს, ორი ათასი კაცი გვეყოლება დაჭრილი და მოკლული, თუალას კი ალბათ სამი ათასამდე მეომარი გამოაკლდებოდა; მაგრამ ერთი ამ სურათს შეხედეთ, – მითხრა და ჩვენკენ მომავალი ხალხის გრძელ მწკრივზე მიმითითა. მეომრები

ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდნენ და ტყავის საკაცეები მოჰქონდათ. საკაცეებს კუთხეებში გაკეთებული ჰქონდა მარყუჟები, რომ უფრო იოლი საზიდი ყოფილიყო (სხვათა შორის, ასეთი საკაცეები ბლომად არის კუკუანელთა ჯარის ყოველ რაზმში). ამ ტყავებზე, ანუ საკაცეებზე, იწვნენ დაჭრილები, რომელთაც მოყვანისთანავე სინჯავდნენ მკურნალები. თითოეულ პოლკს ათ-ათი მკურნალი ჰყავდა. თუ ჭრილობა მძიმე არ იყო, დაჭრილი მიჰყავდათ და რამდენადაც შეეძლოთ, გულდაგულ წამლობდნენ, მაგრამ თუ დაჭრილის მდგომარეობა უიმედო იყო, ერთ-ერთი ექიმი მჭრელი დანით გადაუჭრიდა არტერიას და საბრალო სწრაფად და უდრტვინველად კვდებოდა. რასაკვირველია, ერთი შეხედვით გეგონებოდათ, თითქოს მკურნალები საშინელ ბოროტებას ჩადიოდნენ, მაგრამ განა ეს გულმოწყალება და ლმობიერება არ იყო?

საერთოდ, დაჭრილებს მაშინ კლავდნენ, როცა მათ ჭრილობა ტანზე ჰქონდათ მიყენებული, რადგან კუკუანელთა შუბის უზარმაზარი წვეტით დაჭრილი ადამიანის განკურნება შეუძლებელი ხდებოდა ხოლმე. უმეტეს შემთხვევაში ასეთი დაჭრილები უგრძნობლად იმყოფებოდნენ, იმათ კი, ვისაც გრძნობა არ ჰქონდა დაკარგული, ისე სწრაფად და უმტკივნეულოდ გადაუჭრიდნენ ძარღვებს, რომ საბრალონი ამას ვერც კი გრძნობდნენ. მაგრამ ეს სურათი თავისთავად იმდენად შემზარავია, რომ მე და გუდი სწრაფად განვერიდეთ იქაურობას. ჩემს სიცოცხლეში ამაზე ამაზრზენი არაფერი მინახავს. მკურნალი გასისხლიანებული ხელებით ჭრიდა ძარღვს, რომ ამ საბრალო ადამიანისათვის უკანასკნელ წუთებში მაინც შეემსუბუქებინა ტანჯვა. დიახ, შეემსუბუქებინა, მაგრამ რა გზით?

ასეთივე თავზარდამცემი სურათი ვიხილე მხოლოდ ერთხელ, როცა სვაზის ტომის მეომრებმა ბრძოლის შემდეგ თავისი დაჭრილები ცოცხლად ჩაფლეს მიწაში.

ამ საშინელებისათვის რომ აღარ გვეცქირა, მოპირდაპირე მხარეს წავედით; აქ დავინახეთ სერ ჰენრი, რომელსაც საბრძოლო ნაჯახი ჯერაც ხელში ეჭირა. აქვე იყვნენ იგნოზი, ინფადუსი და ერთი-ორი მეთაურთაგანი. ისინი ძალიან სერიოზულად ბჭობდნენ.

– მადლობა ღმერთს, რომ მოხვედით, ქუოტერმენ, მე კარგად ვერ გავიგე, რას აპირებს იგნოზი. თუმცა მტერი უკუვაგდეთ, მაგრამ მგონი თუალას დიდძალი მაშველი ჯარი მოუვიდა, ახლა ისინი ალბათ ალყას შემოგვარტყამენ, რომ შიმშილით სული ამოგვხადონ და დაგვაუძლურონ.

– მაშ ჩვენი საქმე ცუდად ყოფილა.

– ეგ საკითხავიც არაა, მით უფრო, რომ, ინფადუსი ამბობს, მალე სასმელი წყალი აღარ გვექნებაო.

– დიახ, დიახ, ჩემო მბრძანებელო, – კვერი დაუკრა მოხუცმა მეომარმა, – პატარა ნაკადული სად გაწვდება ამოდენა ხალხს. წყალი სწრაფად კლებულობს. ჯერ კიდევ დაღამებამდე წყურვილით დავიხოცებით. მისმინე, მაკუმაზან, შენ ბრძენი ხარ და, რასაკვირველია, მრავალ ომში მიიღებდი მონაწილეობას იმ ქვეყანაში, საიდანაც მოხვედი, თუკი თეთრი ადამიანები საერთოდ იბრძვიან ვარსკვლავეთში. გვირჩიე, როგორ მოვიქცეთ! თუალამ ხელახლა შეჰყარა ჯარი, ისინი დაღუპულთა ადგილს დაიჭერენ, მაგრამ ასე თუ ისე, იმ მტარვალს ჭკუა ვასწავლეთ. მიმინოს როდი ეგონა, ყანჩა წინააღმდეგობას გაუწევდა. ჩვენ ნისკარტით დავუფლითეთ გული და ახლა, ცოტა არ იყოს, შიში აქვს. ამიტომ ვეღარ ბედავს ხელმეორედ დაგვესხას თავს, თუმცა უნდა ითქვას, ჩვენც საკმაოდ გავწამდით. ახლა ალბათ ალყის

შემორტყმას გვიპირებენ, რომ შიმშილით ამოგვხოცონ, ან ცოცხლად ჩაგვიგდონ ხელში.

– მესმის, – ვუთხარი მე.

– ასე რომ, მაკუმაზან, როგორც გითხარით, წყალი არ გვაქვს, საჭმელიც ძალიან ცოტა დაგვრჩა. ამიტომ სამში ერთი უნდა ავირჩიოთ: უნდა დავიტანჯოთ და დავსუსტდეთ, როგორც მშიერი ლომი თავის ბუნაგში, ან ვცადოთ გავარღვიოთ მტრის ალყა სამხრეთით, ან არადა, – აქ იგი წამოდგა და მტრის მჭიდროდ შეკრული რიგებისკენ გაიწვდინა თითი, – ჯიქურ მივეჭრათ მათ და თუალას ყელში ვტაცოთ ხელი. ინკუბუ დიდი მეომარია, დღეს იგი ბადეში მომწყვდეული კამეჩივით იბრძოდა და მისი ნაჯახი ისე ცელავდა თუალას მეომრებს, როგორც სეტყვა პურის თავთავს. ინკუბუ გვეუბნება, მტერს თავს დავესხათო, მაგრამ სპილოს მუდამ თავდასხმაზე უჭირავს თვალი. რას იტყვის მაკუმაზანი – ბებერი, ეშმაკი მელა, რომელსაც ცხოვრებაში ბევრი რამ უნახავს და ფარულად ზურგიდან უყვარს მტრის დაგესვლა? გადამწყვეტი სიტყვა, რასაკვირველია, იგნოზის ეკუთვნის, რადგან ის მეფეა, მაგრამ მანამდე გვინდა მოვისმინოთ შენი ხმა, ჰოი მაკუმაზან, და აგრეთვე ხმა ადამიანისა, რომელსაც გამჭვირვალე თვალი აქვს.

– შენ რას იტყოდი, იგნოზი? – ვკითხე მე.

– არა, ჩემო მამავ, – მითხრა ჩვენმა ყოფილმა მსახურმა, რომელიც ველურების საუცხოო იარაღით იყო შეჭურვილი და ჭეშმარიტად მეომარი მეფის შთაბეჭდილებას ახდენდა, – ილაპარაკე, მინდა შენი სიტყვები მოვისმინო, შენთან შედარებით მე უგუნური ბალღი ვარ.

ამ დაჟინებული თხოვნის შემდეგ სასწრაფოდ მოვეთათბირე სერ ჰენრისა და გუდს და ორიოდე სიტყვით გადავეცი, რასაც ვფიქრობდი: რაკიღა ალყაშემორტყმულები ვართ და წყალიც მალე შემოგვაკლდება, თავს უნდა დავესხათ თუალას და ეს რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოხდეს-მეთქი, ვუთხარი. უნდა მოხდეს მანამ, სანამ ჭრილობები მოგვიშუშდება და ვიდრე მოწინააღმდეგის ჭარბი ძალების ცქერით ჩვენს მეომრებს გული ცვილივით არ გაულხვებათ. ასე რომ არ მოვიქცეთ, ზოგი სარდალი თუალას შეურიგდება, მის მხარეს გადავა და ჩვენზე გამოილაშქრებს-მეთქი.

როგორც ეტყობოდა, ჩემი აზრი მოეწონათ. უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემს სიტყვას არც მანამდე, არც შემდეგ არსად ჰქონია ისეთი ფასი და წონა, როგორც კუკუანელთა ქვეყანაში. მაგრამ საბოლოო სიტყვა მაინც იგნოზის ეკუთვნოდა. იგნოზი, მას შემდეგ, რაც მეფედ იქნა აღიარებული, გადამწყვეტი ხმითა და უსაზღვრო უფლებებით სარგებლობდა. ამიტომაც ყველანი მას მივაჩერდით.

იგნოზი ერთ ხანს დუმდა, ეტყობოდა, საზღვრავდა შექმნილ მდგომარეობას, შემდეგ კი დაიწყო:

– ინკუბუ, მაკუმაზან და ბუგვან, გულადო თეთრო ადმიანებო და ჩემო მეგობრებო! შენც, ინფადუს, ჩემო მამის ძმავ, და თქვენც მეთაურებო. მე გადავწყვიტე: დღეს თავს დავესხმი თუალას და ამაზე იქნება დამოკიდებული ჩემი ბედი და ჩემი სიცოცხლე. დიახ, დიახ, ჩემი და ყველა თქვენგანის სიცოცხლე. მისმინეთ, რას გეტყვით, ხომ ხედავთ, ეს გორაკი ნახევარმთვარესავით არის მოხრილი, დაბლობი კი ენასავით იჭრება ზემოთკენ.

– ჰო, რასაკვირველია, – კვერი დავუკარი მე.

– ახლა შუადღეა, – განაგრძო იგნოზიმ, – თქვენმა მეომრებმა მოიკლან წყურვილი და დაისვენონ მომქანცველი ბრძოლის შემდეგ. როცა მზე მცირე მანძილს გაივლის ცაზე და დასალიერს მიუახლოვდება, შენი და კიდევ ერთი

სხვა პოლკი, ინფადუს, ჩავიდეს დაბლა, იმ მწვანეზე. თუალა რომ ამას დაინახავს, თავის ჯარებს იქით მოაყრის, მაგრამ ეს ადგილი ვიწროა, მტრის პოლკები მხოლოდ თითო-თითოდ თუ გამოილაშქრებენ ჩვენს წინააღმდეგ და შენი მეომრები ერთი-მეორის მიყოლებით გაანადგურებენ მათ. თუალას მთელი არმია თქვენსკენ იქნება თვალმოპყრობილი. ამ ბრძოლაში, ინფადუს, შენთან ჩემი მეგობარი ინკუბუ იბრძოლებს. თუალა რომ მას რუხებს შორის დაინახავს, აღელდება და სულიერად დაეცემა. მე კი წამოვუძღვები მეორე პოლკს, რომელიც თქვენს უკან განლაგდება. იმ შემთხვევაში, თუ რუხები დამარცხდნენ, რაც სულ ადვილად შეიძლება მოხდეს, გვერდით ეყოლებათ მეფე, რომლის გულისათვისაც მეომრები ბრძოლაში თავს არ დაზოგავენ. ჩემთან ერთად მაკუმაზანი წამოვა.

– მესმის, ჰოი, მეფეო, – მიუგო ინფადუსმა, იგი საოცრად გულგრილად შეხვდა იმ ამბავს, რომ მოკლე ხანში მისი პოლკი უნდა განადგურებულიყო.

მართალი მოგახსენოთ, ეს კუკუანელები საოცარი ხალხია. მათ არ აშინებთ სიკვდილი, როცა ამას მოვალეობა მოითხოვს.

– და ვიდრე თუალას მთელ არმიას ამ ბრძოლისკენ ექნება მიპყრობილი თვალი და ყური, – განაგრძო იგნოზიმ, – ჩვენი დარჩენილი ჯარის ერთი მესამედი, ესე იგი, ექვსი ათასამდე კაცი, ფოფხვით დაეშვება გორაკის მარჯვენა შტოდან და თავს დაესხმის მათ მარცხენა ფრთას. მეორე მესამედიც ასევე შეუმჩნევლად დაჰყვება მარცხენა შტოს და იერიშს მიიტანს მარჯვენა ფრთაზე. მაშინ მეც ჩემი მეომრებით პირდაპირ შევუტევ. თუ ბედი შეგვეწია, უსათუოდ გავიმარჯვებთ და ვიდრე ღამე თავისი შავი ხარებით მთებზე გადარბენას მოასწრებდეს, ჩვენ მშვიდად ვისხდებით ლუუში. ახლა კი, პატარა დავნაყრდეთ და ბრძოლისათვის მოვემზადოთ. შენ, ინფადუს, განკარგულება გაეცი, ჩემი ბრძანება ზუსტად იქნას შესრულებული. ჰო! ჩემი თეთრი მამა ბუგვანი მარჯვენა ფრთას გაჰყვება, რომ მისმა ბრწყინვალე თვალმა ჩვენს მეომრებს გული გაუმხნეოს.

ეს მოკლე განკარგულებები საოცარი სისწრაფით შესრულდა.

საათზე ცოტა მეტი დასჭირდათ, რომ ჩამოერიგებინათ მეომრებისათვის საჭმელი (რაც მათ თვალისდახამხამებაში გააქრეს), ჩამოეყალიბებინათ სამი რაზმი და განემარტათ ბელადებისათვის თავდასხმის მიზანი. ჩვენ ახლა თვრამეტი ათასამდე მეომარი გვყავდა. გარდა მცველებისა, რომელთაც დაჭრილებთან ვტოვებდით, ყველანი საბრძოლოდ მოემზადნენ.

აქ რომ ასეთი მზადება იყო, მე და სერ ჰენრის გუდი მოგვიახლოვდა, ხელი ჩამოგვართვა და გვითხრა:

– გემშვიდობებით, მეგობრებო, ბრძანების თანახმად, მარჯვენა ფრთის მეომრებს მივყვები და თქვენთან გამოსათხოვრად მოვედი, ეგებ ვეღარც კი ვნახოთ ერთმანეთი.

ჩვენ უხმოდ გავუწოდეთ ერთმანეთს ხელი და იმდენად ავღელდით, რამდენადაც ეს ტრადიციული ნორმების მიხედვით დასაშვებია ყოველი ინგლისელისათვის.

– ჩვენი საქმე ძალზე სახიფათოა, – თქვა სერ ჰენრიმ ოდნავ შემკრთალი ხმით, – მართალი გითხრათ, დარწმუნებული არა ვარ, რომ ხვალ კიდევ ვიხილავ მზეს. რამდენადაც გავიგე, რუხები, რომელთაც მე უნდა გავყვე, იბრძოლებენ მანამდე, ვიდრე ერთიანად არ გაწყდებიან, რომ გვერდიდან თავდამსხმელებს შესაძლებლობა მისცენ შეუმჩნევლად ჩამოვიდნენ დაბლა, თავი დაუარონ თუალას ჯარებს და ზურგიდან მოულოდნელად დაეცნენ. რა ვუყოთ, დაე, ასე იყოს. ყოველ შემთხვევაში, ვაჟკაცური სიკვდილით მოვკვდები.

მშვიდობით, მეგობრებო, – მომიბრუნდა იგი მე, – ღმერთი იყოს თქვენი შემწე. იმედი მაქვს, თავს დავაღწევთ ყველაფერ ამას და ხელში ჩავიგდებთ ალმასებს. მაგრამ ერთი რჩევა კი უნდა მოგცეთ, ქუოტერმენ, თუ ამ ბრძოლას საღსალამათად გადაურჩით, კვლავ ნუღარასოდეს დაიჭერთ საქმეს ტახტის მაძიებლებთან.

გუდმა ერთხელ კიდევ მაგრად ჩამოგვართვა ხელი და გაგვშორდა. მისი წასვლის შემდეგ ინფადუსი მოვიდა და სერ ჰენრი რუხების პოლკისკენ წაიყვანა. მე კი შავბნელი ფიქრებით შეპყრობილი იგნოზისკენ გავეშურე და ჩემი ადგილი დავიჭირე პოლკში, რომელიც რუხების განადგურების შემდეგ შეტევაზე უნდა გადასულიყო.

თ ა ვ ი X I V

რ უ ხ თ ა უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ი ბ რ ძ ო ლ ა

რამდენიმე წუთის შემდეგ პოლკებმა, რომელთაც მიიღეს განკარგულება, ფრთებიდან დასხმოდნენ თავს მოწინააღმდეგეს, სრულ სიჩუმეში დატოვეს იქაურობა. დიდი სიფრთხილით მიიწევდნენ დაბლა, ეფარებოდნენ ლოდებსა და ბუჩქებს, რომ მზვერავთა მახვილ თვალს დამალოდნენ.

ნახევარი საათის შემდეგ ფრთებზე განლაგდნენ. ამავე დროს რუხები უძრავად იდგნენ ადგილზე. მათ ზურგს უმაგრებდა ერთ-ერთი უძლიერესი პოლკი. იგი კამეჩების პოლკის სახელით იყო ცნობილი. ეს იყო ჩვენი არმიის ძირითადი ბირთვი და მოწინააღმდეგის თავიდათავი დარტყმა მას უნდა მიეღო.

ორივე პოლკი თითქმის უკლისად იყო, ამასთანავე, არც დაღლილები იყვნენ. დილით რუხები თადარიგში იდგნენ, ხოლო როცა მოწინააღმდეგემ ჩვენი თავდაცვის ხაზი გაარღვია (ეს მაშინ იყო, მე რომ თავში დარტყმით გამაბრუეს), მათ ძალიან ცოტა მებრძოლი დაკარგეს. რაც შეეხება კამეჩებს, ისინი დილით მარცხენა ფრთაზე, თავდაცვის მესამე ხაზთან იდგნენ და რაკი ამ მიმართულებით თავდამსხმელებმა ვერ შეძლეს ხაზის გარღვევა, ბრძოლაში სულაც არ მიუღიათ მონაწილეობა.

ინფადუსი გამოცდილი ბელადი იყო, ძალიან კარგად იცოდა, რომ ასეთი ბრძოლის წინ უნდა გაემხნევებინა თავისი მებრძოლები და აემაღლებინა მათი სულიერი განწყობილება, ამიტომ თავის პოლკს სიტყვით მიმართა; ენამჭევრულად განუმარტა მეომრებს, რა დიდი პატივი იყო მათთვის, მოწინავე ხაზზე საბრძოლველად რომ აგზავნიდნენ, თანაც ვარსკვლავეთიდან ჩამოსულ თეთრ მებრძოლებთან ერთად. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი ჯარი გაიმარჯვებსო, – დააბოლოვა მან თავისი სიტყვა, – მეფე იგნოზი ბრძოლაში გადარჩენილებს ჯოგებსა და სამხედრო სარბიელზე დაწინაურებას ჰპირდებაო.

მე თვალი გავაყოლე მეომრების გრძელ მწკრივებს, მკაცრ სახეებს, მოფრიალე შავ ჯიღებს და მწარედ გავიფიქრე, რომ სულ რაღაც ერთი საათის შემდეგ ამ შესანიშნავი ვაჟკაცების უმრავლესობა მკვდარი, ან მომაკვდავი ეყრება ბრძოლის ველზე-მეთქი. სხვაგვარად არც შეიძლებოდა. მათ საკუთარი ყურით მოისმინეს განაჩენი, რომელიც ბელადმა ასე გულგრილად აუწყა. ადამიანის სიცოცხლის ასეთი უგულებელყოფა ხშირად ხელს უწყობს მთავარსარდლებს, დაზოგონ თავისი ძალები და განახორციელონ დასახული

მიზანი, ერთი სიტყვით, ისინი ბრძოლის დროს სწირავენ ადამიანთა გარკვეულ რაოდენობას, რათა უზრუნველყონ მთელი არმიის გამარჯვება. რუხები წინასწარ იყვნენ სასიკვდილოდ განწირულნი და იცოდნენ კიდეც ეს. მათი მიზანი იყო ბრძოლა გაემართათ თუალას პოლკებისათვის, როცა ისინი ერთიმეორის მიყოლებით შემოვიდოდნენ ვიწრო, მწვანე ზოლზე, გორაკის შტოებს შორის რომ იყო მოქცეული. მათ უნდა ებრძოლათ მანამ, სანამ არ დაამარცხებდნენ მოწინააღმდეგეს, ან სანამ მარჯვენა და მარცხენა ფრთაზე განლაგებულ ჯარს შესაძლებლობა მიეცემოდა, გადასულიყო შეტევაზე. ყველაფერი ეს იცოდნენ რუხებმა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, წუთითაც კი არ დაუწყიათ ყოყმანი. მათ სახეებზე იოტისოდენა შიშიც კი არ შემინიშნავს. დიახ, ჩემ წინ იდგნენ სასიკვდილოდ განწირული მეომრები, რომლებიც აგერ-აგერ სამუდამოდ უნდა განშორებოდნენ დღის კურთხეულ ნათელს, მაგრამ წარბშეუხრელად და უშიშრად ელოდნენ სულ-ხორცის გაყრის ჟამს. მიუხედავად იმისა, რომ ძალზე დაძაბული წუთები იყო, არ შემეძლო უნებლიეთ არ შემედარებინა მათი სულიერი მდგომარეობა ჩემი მდგომარეობისათვის. არა, მე არ შემეძლო მათსავით მშვიდად ვყოფილიყავი, – გავიფიქრე ეს და ჩემდაუნებურად ამოვიოხრე. ეს ოხვრა შურით და აღტაცებით იყო გამოწვეული. დღემდე არსად შემხვედროდა ასე თავდადებული და თავისი მწარე ხვედრისადმი ეგზომ გულგრილად განწყობილი ადამიანები.

– აი, თქვენი მეფე, – დაასრულა სიტყვა ინფადუსმა და ხელი იგნოზისკენ გაიწვდინა, – წადით, იბრძოლეთ და დაიხოცენით მისთვის, ასეთია გმირთა ხვედრი. მარადჟამს კრული და შერცხვენილი იყოს მისი სახელი, ვინც შიშობს თავი გასწიროს მეფისათვის, ვინც ეცდება, თავი აარიდოს ბრძოლას და მტერს ზურგი უჩვენოს. აი, თქვენი მეფე, მეთაურებო, ბელადნო, მეომრებო. ახლა ფიცი დასდეთ გველის წმინდა გამოსახულების წინაშე და მერე უკან მოგვყევით. ინკუბუ და მე თუალას ჯარების შუაგულისკენ გავიკვლევთ გზას.

ჩამოვარდა ხანმოკლე სიჩუმე. შემდეგ მოულოდნელად მეომართა რიგებში გაისმა ხმაური, თითქოს სადღაც, შორიდან ზღვის ტალღების ყრუ ბუბუნი მოისმისო. ამ ხმას გამოსცემდა ექვსი ათასი ფარი, რომლებსაც მეომრები ნელ-ნელა ურტყამდნენ შუბის ტარებს. ხმაური თანდათანობით გაძლიერდა, გაფართოვდა, გაღრმავდა და ბოლოს გამაყრუებელ გუგუნ-გრიალში გადაიზარდა. მთებმა ჭექა-ქუხილივით აიტაცა ეს ხმა და მერე გრიალით უკუაქცია. ხმების მძლავრმა ტალღებმა ჰაერი დაამძიმა. შემდეგ გრიალი თანდათანობით მიწყდა და ბოლოს სულაც ჩაკვდა. ჩაკვდა და სიჩუმეში უეცრად იჭექა შეძახილმა... – კუუმ! კუუმ! კუუმ! – ხალხი მეფეს ესალმებოდა.

გულში გავიფიქრე, ალბათ რომის არც ერთ იმპერატორს არ მისალმებიან ასეთი აღტაცებით სასიკვდილოდ მიმავალი გლადიატორები და იგნოზის დღეს უფლება აქვს იამაყოს თავისი მდგომარეობით და თავისი ხალხით-მეთქი.

იგნოზიმ საბრძოლო ნაჯახი ჰაერში შეათამაშა და ამით გამოხატა თავისი მადლობა მეომრებისადმი. შემდეგ რუხები სამ რაზმად დაეწყვნენ. ყოველ რაზმში, მეთაურის ჩაუთვლელად, ათასამდე მეომარი იყო. პოლკები თავისი პოზიციებისაკენ გაეშურნენ. როცა ბოლო რაზმი ორმოცდაათიოდე იარდით დაგვშორდა, იგნოზი სათავეში ჩაუდგა კამეჩებს, რომლებიც ასევე სამ რაზმად იყვნენ დაყოფილნი. მეფის ბრძანების თანახმად, ჩვენც დაბლა ვიწყეთ ჩასვლა. გულში მხურვალედ ვლოცულობდი, ღმერთს შევთხოვდი, განსაცდელი ამაშორე და სიკვდილისგან მიხსენი-მეთქი. ჩემს ცხოვრებაში მრავლის უმრავლესი ჭირი გამომივლია, მაგრამ ასეთი შავი დღე ჯერ არ გამთენებია, არასოდეს არ მქონია გადარჩენის ასე მცირე შესაძლებლობა.

როცა პლატოს კიდეს მივაღწიეთ, რუხები უკვე ფერდობის შუაგულში იყვნენ და გორაკის ძირში სოლივით შემოჭრილი ამწვანებული ვაკისკენ მიიჩქაროდნენ.

თუალას ბანაკში დიდი მოძრაობა შეიმჩნეოდა. პოლკები სწრაფი ნაბიჯით, ან უკეთ რომ ვთქვათ, სირბილით მოდიოდნენ მაღლობისკენ, ცდილობდნენ, მანამდე მოსულიყვნენ გორაკის ძირში, ვიდრე ჩვენი მეომრები ლუუს ველზე გაიშლებოდნენ.

გორაკში სოლივით შეჭრილი მწვანე სამკუთხედის სიგანე სამასორმოცდაათი ნაბიჯი თუ იქნებოდა, იგი წვეროსკენ კიდევ უფრო ვიწროვდებოდა და ორმოცდაათიოდე ნაბიჯს აღწევდა. რუხები, სამკუთხედს რომ მიუახლოვდნენ, დანაწილდნენ და ვიწრო ადგილი ისე ჩაათავეს, მაგრამ როცა სამკუთხედი საკმაოდ გაფართოვდა, კვლავ სამ-სამ მწკრივად დადგნენ და ადგილზე გაშეშდნენ.

მაშინ ჩვენც, ესე იგი, კამეჩებიც, დავეშვით სამკუთხედის წვერზე და რუხების ბოლო მწკრივის უკან, დაახლოებით ასი იარდის დაშორებით, სათადარიგო ადგილი დავიკავეთ. ვიდექით და გადავყურებდით, როგორ მოეშურებოდა ჩვენკენ თუალას ჯარი. ეტყობოდა, დილანდელი შეტაკების შემდეგ მაშველი რაზმები მოსვლოდათ და ახლა მათ რიგებში, მიუხედავად დიდი დანაკარგისა, ორმოცი ათასამდე კაცი იქნებოდა. თავდამსხმელები თანდათანობით მოუახლოვდნენ სამკუთხედის ფუძეს, შედგნენ და აშკარად შეყოყმანდნენ. არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ, გორაკის შტოებისაგან წარმოქმნილ ხეობაში მხოლოდ და მხოლოდ ერთ პოლკს შეეძლო გავლა. გარდა ამისა, ხეობის შესასვლელიდან სამოცდაათი იარდის დაშორებით იდგა რუხების სახელგანთქმული პოლკი – კუკუანელთა არმიის მშვენება და სიამაყე, რომლის მეომრებიც ყოველ წამს მზად იყვნენ მოეჭრათ მათთვის გზა. ოდესღაც სამი რომაელი ასე იცავდა ხიდს ათასობით თავდამსხმელისაგან. რუხებზე თავდასხმა მხოლოდ წინა მხრიდან იყო შესაძლებელი, რადგან მათ ორივე ფრთიდან გორაკის კაჭრით მოფენილი ციცაბო ფერდობები იცავდა. როგორც მოგახსენეთ, თავდამსხმელები შეყოყმანდნენ და ერთ ხანს გაუნძრევლად იდგნენ ადგილზე. ეტყობოდა, არც თუ ისე ჩქარობდნენ შებმოდნენ რუხებს – ამ კუშტსა და მამაც მეომრებს, რომლებიც ბრძოლის დაწყებას ელოდნენ. უეცრად თავდამსხმელთა რიგებს გამოეყო ვიღაც მაღალ-მაღალი აცი. მას თავზე სირაქლემას ფრთების ჩვეულებრივი ჯიღა ედგა. უკან მეთაურებისა და შიკრიკების კარგა მოზრდილი ჯგუფი გამოჰყვა. ეს თვით თუალა უნდა ყოფილიყო. თუალამ გასცა ბრძანება და პირველი პოლკი ღრიალით გადავიდა შეტევაზე. რუხები სრულ მდუმარებაში იდგნენ. არც კი შერხეულან, ვიდრე თავდამსხმელები ორმოცდაათ იარდზე არ მიუახლოვდნენ და დანები სეტყვასავით არ დააყარეს.

მაშინ კი მეყსეულად მოსწყდნენ ადგილს, წინ გაქანდნენ და შუბები შემართეს. ორივე პოლკი ერთმანეთში აირ-დაირია, დაიწყო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. წამიც და ერთმანეთს შეჯახებული ფარების გრიალი ქუხილივით მოსწვდა ჩვენს სმენას. დაბლობი თითქოს აინთო მზის სხივების ათინათით, რომელთაც მოქნეული შუბები ირეკლავდნენ. ერთმანეთს შერკინებული ეს ზღვა ხალხი ტალღებივით ირწეოდა აქეთ-იქით. მაგრამ ასე დიდხანს არ გაგრძელებულა. მოკლე ხანში თავდამსხმელთა რიგები შესამჩნევად შეთხელდა. მოულოდნელად რუხები ზანტად, ზვირთივით თავზე გადაევლნენ მათ, ისე როგორც ზღვის ტალღა გადაურბენს ხოლმე თავზე კბოდოვან ბრაგებს. მიზანი მიღწეული იყო – თავდამსხმელთა პოლკი პირწმინდად განადგურდა,

მაგრამ რუხ მეომართაგან მხოლოდ ორი მწკრივი გადარჩა. მეომართა ერთი მესამედი დაჭრილ-დახოცილი ეყარა მიწაზე.

რუხებმა კვლავ შეამჭიდროვეს რიგები, სრულ მდუმარებაში მხარდამხარ დადგნენ და ახალ შემოტევას ელოდნენ. წარმოიდგინეთ, როგორ გამიხარდებოდა, როცა მათ შორის სერ ჰენრის ქერა წვერს მოვკარი თვალი. სერ ჰენრი აქეთ-იქით მიდი-მოდიოდა და წესრიგს ამყარებდა. მაშ ასე, იგი ჯერ ცოცხალი იყო.

ამასობაში ჩვენც მივუახლოვდით ბრძოლის ადგილს, რომელიც დაჭრილ-დახოცილებითა და მომაკვდავებით იყო მოფენილი. ჩემი ვარაუდით, აქ ოთხი ათასი კაცი მაინც იქნებოდა. მიწაზე სისხლის გუბეები იდგა. იგნოზიმ გასცა ბრძანება, რომელიც სწრაფად გადაეცა რაზმებს. ბრძანების თანახმად, რუხებს ეკრძალებოდათ დაჭრილი მტრის მოკვლა. მეომრები მეფის სიტყვას უყოყმანოდ ასრულებდნენ, ასე რომ არ მომხდარიყო, გულშემზარავი სანახაობა გველოდა. თუმცა ამაზე ფიქრის თავი მაშინ ვის ჰქონდა!

აი, თანდათანობით მოახლოვდა თუალას მეორე პოლკიც. მეომრებს სხვებისაგან განსხვავებით ჯიღები, მოკლე ქვედატანი და ფარები მთლად თეთრი ფერისა ჰქონდათ. მტერი მოიწევდა წინ, რომ თავს დასხმოდა რუხებს, რომელთაც ახლა ორი ათას მეომარზე მეტი არ ჰყავდათ. რუხები ახლაც ავბედითად დუმდნენ. დუმდნენ და ელოდნენ, როდის მოუახლოვდებოდათ მოწინააღმდეგე. როცა თუალას ჯარი ასე, ორმოც იარდზე მოახლოვდა, რუხები თავგანწირვით ეკვეთნენ მათ. კვლავ გაისმა ერთმანეთს შეხეთქებული ფარების გამაყრუებელი გრიალი და წეღანდელი საზარელი ტრაგედია ზუსტად იმავე სახით განმეორდა. ვერ წარმომედგინა, რომ რუხები კვლავ შეძლებდნენ გამარჯვებას. თუალას პოლკი, რომელშიც სულ ახალგაზრდა მეომრები იყვნენ, გააფთრებით იბრძოდა. თავდაპირველად მეგონა, რუხებმა უკან დაიხიეს-მეთქი. საზარელი ხოცვა-ჟლეტა იყო. ასობით მებრძოლი ყოველ წუთს მკვდარი ან დაჭრილი ეცემოდა ძირს. მებრძოლთა ყვირილში, მომაკვდავთა კვნესასა და გადაჯვარედინებული შუბების ჟღრიალში ისმოდა შეძახილები: შ'გეე ს'გეე! ამ სიტყვებს წამოიძახებდა ხოლმე გამარჯვებული, როცა მტერს შუბს სასიკვდილოდ აძგერებდა და ძირს დასცემდა.

საუკეთესო წესრიგს, სიმტკიცესა და სიმამაცეს სასწაულების მოხდენა შეუძლია. გარდა ამისა, ერთი გამობრძმედილი მებრძოლი ორ ახალბედას უდრის. დიახ, ეს სულ მალე დადასტურდა. ის იყო, გავიფიქრე, რუხების აღსასრული მოვიდა-მეთქი და ბრძოლის ველზე გასასვლელად მოვემზადეთ, რომ ამ აურზაურში გარკვევით შემოგვესმა სერ ჰენრის ხმა. წამით თვალი მოვკარი საბრძოლო ნაჯახსაც, რომელსაც იგი ჰაერში ატრიალებდა. შემდეგ რაღაც ცვლილება მოხდა. რუხები უკან-უკან აღარ იხევდნენ. კლდესავით იდგნენ და ამ კლდეს, ადამიანთა ამ გაუვალ ზღუდეს ელეწებოდნენ შუბოსანთა გააფთრებული ტალღები. ელეწებოდნენ მხოლოდ იმისათვის, რომ ისევ უკან დაქანებულიყვნენ. უეცრად რუხები კვლავ შეინძრნენ, ამჯერად წინ წაიწიეს. კიდევ წუთი და თავდასხმა შესუსტდა.

– დიახ, ესენი ნამდვილი გმირები არიან, დახეთ, ერთხელ კიდევ გაიმარჯვეს! – წამოიყვირა იგნოზიმ, რომელიც ჩემ გვერდით იდგა და მღელვარებისაგან კბილებს აკრაჭუნებდა. – აჰა, შეხედეთ, გამარჯვებაც სწორედ ამას ჰქვია!

უეცრად თავდამსხმელთა პოლკი ზარბაზნის ლულიდან გამოჭრილი ბოლივით დაიფანტ-დაიქსაქსა. მეომრები ჯგუფ-ჯგუფად გარბოდნენ უკან. ქარი კვალდაკვალ მიაფრიალებდა მათ თეთრ ჯიღებს. დიახ, რუხებმა გაიმარჯვეს,

მაგრამ ვაი, ამ გამარჯვებას! მათი პოლკი განადგურებული იყო. იგი აღარ არსებობდა. სამი ათასი მეომრის ნაცვლად, ამ ორმოციოდე წუთის წინათ სამ მწკრივად რომ იდგა, ახლა დიდი-დიდი ექვსასი კაცი ყოფილიყო ცოცხალი. ისინიც თავით ფეხებამდე სისხლში მოთხვრილნი იდგნენ, სხვები კი უსულოდ ეყარნენ ბრძოლის ველზე. გადარჩენილმა მეომრებმა შუბები ჰაერში შეათამაშეს და გამარჯვების ყიჟინა დასცეს. ვფიქრობდით, ჩვენკენ წამოვიდოდნენ, მაგრამ არა, წინ გაიჭრნენ და მტერს ფეხდაფეხ მიჰყვნენ. ასიოდე იარდის შემდეგ ხელთ იგდეს ერთი მომცრო გორაკი, კვლავ სამ მწკრივად დადგნენ და გორაკს სამმაგი ალყა შემოარტყეს. შემდეგ კი, ჰოი ბედნიერებავ! თვალი მოვკარი სერ ჰენრის, ინფადუსთან ერთად საღსალამათი რომ იდგა გორაკზე. მაგრამ აი, თუალას პოლკებმა კვლავ შემოუტიეს ამ სასიკვდილოდ განწირულ, გმირ ადამიანებს და ბრძოლა განახლდა.

ამ წიგნის მკითხველი ალბათ დიდი ხანია მიხვდა, რომ ცოტა არ იყოს, მშიშარა კაცი ვარ და ბრძოლისკენ სულაც არ მიმიწევს გული. მართალია, ხშირად ჩავვარდნილვარ ხოლმე გაუსაძლის მდგომარეობაში, როცა იძულებული გავმხდარვარ, ადამიანის სისხლი დამეღვარა, მაგრამ ამას მუდამ ძალდატანებით და ზიზღით ჩავდიოდი. ის კი არადა, ზოგჯერ გაქცევასაც არ ვთაკილობდი, თუ გული მიკარნახებდა, რომ ეს აუცილებელი იყო. მაგრამ ახლა, ამ წუთებში ჩემს სიცოცხლეში პირველად აღვენთე ბრძოლის ჟინით. ინგოლძბის ლეგენდის საბრძოლო სტრიქონები და ძველი აღთქმის მრისხანე სიტყვები ერთიმეორის მიყოლებით აღდგა ჩემს მეხსიერებაში. ამ საზარელი სანახაობით ნახევრად გაყინულმა სისხლმა მძაფრად იწყო ჩქეფა ძარღვებში და დამეუფლა ველური სურვილი, ველური ჟინი, არავინ დამენდო, ამომეჟლიტა და მომესრნა ირგვლივ ყველა და ყოველი. თავი მივაბრუნე და ჩემ უკან მეომართა მჭიდროდ შეკრულ რიგებს გავხედე. წამით დავინტერესდი, მეც ისეთი სახის გამომეტყველება მაქვს, როგორც მათ, თუ არა-მეთქი. მეომრები მდუმარედ იდგნენ, ისრები დაძაბულად წაეწვდინათ, ბაგე ნახევრად გაპობოდათ, ხელის კუნთები უთრთოდათ, გააფთრებული სახეები ბრძოლის დაუოკებელი ჟინით ანთებოდათ. თვალჩაციებით იცქირებოდნენ რუხებისაკენ. ასე უცქერის ხოლმე მეძებარი თავის მსხვერპლს.

მხოლოდ იგნოზი იდგა უშფოთველად. მას ხომ თავშეკავების საოცარი უნარი აქვს და ახლაც ალბათ გული მშვიდად უცემდა მკერდქვეშ, თუმცა კბილებს განუწყვეტლივ აკრაჭუნებდა.

– ნუთუ, ვიდრე ფესვებს არ გავიდგამთ, ამ ადგილზე უნდა ვიდგეთ, ამბოპა, ანუ იგნოზი, და ველოდოთ, როდის გაჟლეტს თუალა ჩვენს ძმებს იქ, გორაკთან! – ვეღარ მოვითმინე მე.

– ოჰ, არა, მაკუმაზან, – მითხრა მან, – აი, ნახავ, როგორც კი ხელსაყრელი წუთი მოგვეცემა, მაშინვე ჩავერთვებით ბრძოლაში.

ამ დროს თუალას ახალმა პოლკმა ელვის უსწრაფესად დაუარა თავი რუხებს, მერე შემობრუნდა და ზურგიდან დააცხრა.

ახლა კი შემართა იგნოზიმ თავისი საბრძოლო ნაჯახი და კამეჩებს ნიშანი მისცა, შეტევაზე გადავიდეთო, მეომრებმა საომარი ყიჟინა დასცეს და ზღვის შმაგი ტალღებივით გაქანდნენ მტრისაკენ.

არ ძალმიძს გადმოგცეთ, რა მოჰყვა ამას შემდეგ. მახსოვს მხოლოდ, რომ ჩვენები გააფთრებით ეკვეთნენ მტერს. მეომართა ფეხქვეშ მიწა ზანზარებდა, მტერმა უმალ შეცვალა ფრონტის ხაზი და ხელახლა გადააწყო პოლკი, რომელსაც ჩვენ ვუტევდით. ამას მოჰყვა საშინელი დარტყმა, ხმების ყრუ გუგუნი

და შუბების განუწყვეტელი ლაცლაცი, სისხლივით წითელ ნისლში რომ ილანდებოდა.

როცა გონება გამინათდა, დავინახე, რომ რუხების პოლკის გადარჩენილ ნაწილთან ერთად ბორცვის მწვერვალთან ვიდექი. მოპირდაპირე მხარეს სერ ჰენრის მოვკარი თვალი. ცხელ გულზე ვერც კი მოვისაზრე, როგორ მოვხვდი იქ. შემდეგ სერ ჰენრიმ მითხრა, კამეჩების გააფთრებულმა შემოტევამ ზედ ჩემს ფეხებთან მოგაგდოო. როცა კამეჩებმა უკან დაიხიეს, მე იქ დავრჩენილვარ. სერ ჰენრი რუხების რკალიდან გამოჭრილა და შიგ შევუთრევივარ.

ვის ძალუძს აღწეროს, რა მოხდა შემდეგ? თუალას მეომრები კვლავ და კვლავ ესხმოდნენ თავს რუხებს. მათი რკალი თანდათანობით მცირდებოდა, მაგრამ ჩვენ გმირულად ვიგერიებდით იერიშებს. მსგავსი ბრძოლა შესანიშნავად არის აღწერილი ერთ ლექსში:

ვხედავ შუბოსანთა გაუვალ ტყეს,
და იმათ გმირობას ვუმღერი დღეს,
რამდენი ვაჟკაციც ბრძოლაში დაეცა,
იმდენი ვაჟკაცი მათ ნაცვლად დგას...

დიდებული სურათი იყო. თუალას რაზმები დროდადრო გადმოდიოდნენ შეტევაზე, რისთვისაც უხდებოდათ მათივე მეომრების ახორხილ-დახორხილი გვამები გადმოეთელათ. ეს კი არც ისე ადვილი იყო. ზოგჯერ, იერიშის დროს, მეომრები წინ იფარებდნენ მოკლულთა გვამებს, რათა ჩვენი შუბებისაგან თავი დაეცვათ, მაგრამ ეს ვერაფერს შველოდათ. მე აღტაცებით შევყურებდი ინფადუსს. ეს გამობრძმედილი, უდრეკი მებრძოლი ისე მშვიდად იძლეოდა ბრძანებებს, თითქოს აღლუმზე არისო. ზოგჯერ ხუმრობდა კიდეც, რომ გაემხიარულებინა თავისი მცირერიცხოვანი ჯარი. ხოლო როცა მტერი მორიგ შეტევაზე გადმოდიოდა, იგი მუდამ იქ გაჩნდებოდა, სადაც ყველაზე ცხარე ბრძოლა იყო, რათა შემმუსვრელი ძალით დაემარცხებინა და უკუეგდო მტრის ჯარი; მაგრამ ინფადუსს სერ ჰენრი სჯობდა. სირაქლემის ფრთების ჯიღა ვიღაცას შუბის დარტყმით გადაეჭრა მისთვის, გრძელ ქერა თმას ქარი უფრიალებდა და ახლა უფრო მეტად წააგავდა ძველ დანიელს. ამ მებრძოლ გოლიათს ხელები, ნაჯახი და ჯაჭვის პერანგი ერთიანად სისხლში ჰქონდა მოსვრილი. მის დარტყმას ვერავინ უძლებდა. შუბის ან ნაჯახის ერთი დაკვრით ძირს დასცემდა მტერს და ახლა სხვას დაერეოდა. „ო-ჰოი", „ო-ჰოი", იძახდა ხოლმე ასეთ წუთებში სწორედ ისე, როგორც ეს მის ბერკშირელ წინაპრებს სჩვეოდათ. ლეწდა ფარებს, ნაფოტებად აქცევდა შუბებს, მოწინააღმდეგეს თავის ქალებს უმსხვრევდა. ბოლოს და ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ვერავინ ბედავდა, მიახლოვებოდა ამ თეთრ „უმტაგატილ-ს," ესე იგი, თეთრ მისანს, ყველას მუსრს რომ ავლებდა, თვითონ კი უვნებელი რჩებოდა.

მაგრამ უეცრად მტრის მხარეზე ჩოჩქოლი ატყდა. „თუალა!" „თუალა!" გაისმა ხმა. მოწინააღმდეგეთა რიგებს გამოეყო ცალთვალა ბუმბერაზი და აუჩქარებლად წამოვიდა ჩვენკენ. ხელში საბრძოლო ნაჯახი ეჭირა, ტანზე ჯაჭვის პერანგი ეცვა.

ეს თვით მეფე თუალა გახლდათ.

– სადა ბრძანდები, ინკუბუ, თეთრო ჯადოქარო, სკრაგას მკვლელო? აბა, გამობრძანდი! ვნახოთ, ვინ ვის დაამიწებს! – ამ სიტყვებით სერ ჰენრის დანა ესროლა. საბედნიეროდ, სერ ჰენრიმ თვალი შეასწრო მის მოძრაობას და დანას ელვისუმალ ფარი შეაგება. დანამ ფარი გახვრიტა და ზედვე დაერჭო.

თუალამ დაიღრიალა, გადმოხტა და სერ ჰენრის ფარს მძლავრად დაარტყა ნაჯახი.

სერ ჰენრი დიდი ღონის პატრონი იყო, მაგრამ დარტყმის ძალამ მაინც მუხლებზე დასცა. ორთაბრძოლა ამით არ დამთავრებულა. სწორედ ამ დროს იმ მხრიდან, საიდანაც მტერი გვაწვებოდა, ზარდამცემი ყვირილი გაისმა. იქით გავიხედე და უმალ ყველაფერს მივხვდი.

მარჯვენა და მარცხენა ფრთიდან ჩვენი მეომრები გამორბოდნენ. უმჯობესი წუთის შერჩევა საამისოდ შეუძლებელი იყო. როგორც იგნოზი ვარაუდობდა, თუალას მთელი არმიის სული და გული რუხებისა და კამეჩებისკენ იყო მიპყრობილი. ამ ორმა პოლკმა, ჩვენი არმიის ძირითად ბირთვს რომ წარმოადგენდა, იმდენად მიიზიდა მტრის ყურადღება, რომ იგი აღარც კი ფიქრობდა, შეიძლება მოწინააღმდეგე ფრთებიდან დაგვესხას თავსო. თუმცაღა ფრთებზე განლაგებული პოლკები თითქმის შეუერთდა კიდეც ერთმანეთს და ახლა, ვიდრე თუალას ჯარი გონს მოეგებოდა, ისინი ორივე მხრიდან გრიგალივით დააცხრნენ თავს.

სულ რაღაც ხუთიოდე წუთში ბრძოლის ბედი გადაწყვეტილი იყო. რუხებთან და კამეჩებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ისედაც გასავათებულმა პოლკებმა ვეღარ გაუძლეს ჩვენი ჯარების ორმხრივ შეტევას და თავზარდაცემულებმა პირი იბრუნეს. სულ მალე დაბლობი უკუქცეული მეომრებით აივსო.

ის რაზმები კი, ჩვენ და კამეჩების პოლკი ალყაში რომ მოგვიმწყვდიეს, ისე შემოგვეცალნენ და გაიპარნენ, თითქოს რაღაც ჯადოსნურ ძალას გაექროს.

იქაურობას მარტო ჩვენღა შემოვრჩით. შემოვრჩით ისე, როგორც სალი კლდე ზღვის უკუქცევის შემდეგ. რა ამაზრზენი სურათი გადაგვეშალა თვალწინ! ჩვენ ირგვლივ გროვა-გროვად ეყარა მკვდრები და დაჭრილები. რუხებიდან მხოლოდ ორმოცდათხუთმეტი კაცი იყო ცოცხალი. მარტო ინფადუსის პოლკმა ორი ათას ცხრაასზე მეტი კაცი დაკარგა.

ინფადუსი ხელზე ჭრილობას იხვევდა და დროდადრო აავლ-ჩაავლებდა ხოლმე თვალს თავისი პოლკის გადარჩენილ მეომრებს.

– მეომრებო, – მშვიდად წარმოთქვა მან ბოლოს, – თქვენ დაიცავით თქვენი პოლკის ღირსება. დღევანდელი ბრძოლის ამბავი ზღაპრად მიუვა თქვენს შვილებსა და შვილიშვილებს. – შემდეგ შებრუნდა, სერ ჰენრის ხელი ჩამოართვა და უბრალოდ უთხრა: – შენ დიდი ადამიანი ხარ, ინკუბუ, მთელი ჩემი ცხოვრება ომსა და ბრძოლებში გავატარე, ბევრი გმირი მინახავს, შენებრი კი დღემდე არსად შემხვედრია.

სწორედ ამ დროს გვერდით ჩაგვიარეს კამეჩებმა, ლუუსკენ მიემართებოდნენ. მათ გადმოგვცეს იგნოზის თხოვნა, სერ ჰენრი, ინფადუსი და მაკუმაზანი მე შემომიერთდნენო. ჩვენ ვუბრძანეთ რუხებს, დაჭრილებისათვის მიეხედათ და კამეჩების პოლკისაკენ წავედით. იგნოზიმ გვაუწყა, ლუუში მივდივარ, რომ სრული გამარჯვება მოვიპოვო და, თუ შესაძლებელი იქნება, თუალა ტყვედ ვიგდოო. ჩვენც მას გავყევით.

ცოტა მანძილი რომ გავიარეთ, თვალი მოვკარით გუდს. იგი ასიოდე ნაბიჯზე ჭიანჭველების ბუდეზე დამჯდარიყო. მის გვერდით მკვდარი მებრძოლი ეგდო.

– ვაი თუ ჩვენი კაპიტანი დაჭრილია, – აღელვებით თქვა სერ ჰენრიმ. იმავე წამს უცნაური რამ მოხდა. ის „მკვდარი" კუკუანელი, გუდის გვერდით რომ ეგდო, უეცრად ზე წამოიჭრა, გუდი ჭიანჭველების ბუდიდან გადმოაგდო და ზედიზედ აძგერა შუბი. კაპიტანი ყოველ დარტყმაზე შესაბრალისად

იკრუნჩხებოდა. ჩვენ თავზარდაცემულები გავექანეთ მისკენ. კუკუანელმა თვალი გვკიდა, ერთხელ კიდევ გააფთრებით აძგერა შუბი, ესეც შენ, კუდიანოო, მიაძახა და გაიქცა. გუდი არ ინძრეოდა. ვიფიქრეთ, უკვე მოკვდაო, დამწუხრებულები მივუახლოვდით ჭიანჭველების ბუდეს და ძალზე გავვოცდით, როცა დავინახეთ, რომ გუდი უშფოთველად იღიმებოდა, თუმცა ძალზე ფერმკრთალი და ღონემიხდილი ჩანდა. წარმოიდგინეთ, მონოკლიც კი არ მოვარდნოდა თვალიდან.

– ეს ჯაჭვის პერანგი პირდაპირ საოცრებაა, – დაიჩურჩულა, როცა მისკენ დავიხარეთ. – რას იტყვით, ხომ მარჯვედ გავაცურე ეგ კუკუანელი? – თქვა და გრძნობა დაკარგა.

ჩვენ დიდი სიფრთხილით გავუსინჯეთ მთელი სხეული. აღმოჩნდა, რომ უკანდახევისას სერიოზულად დაეჭრათ დანით, მაგრამ შუბს მისთვის არავითარი ვნება არ მიეყენებინა. ამჯერად რაღაც სასწაულით გადაურჩა სიკვდილს, მხოლოდ ეგ იყო, მთელი ტანი ჩალურჯებულ-ჩაშავებული ჰქონდა.

რაკიღა აქ ვერაფრით დავეხმარებოდით, წნელის საკაცეზე დავაწვინეთ, რომ ლუუმდე მიგვეყვანა. საკაცე მეომრებს ჩვენ უკან მოჰქონდათ.

ლუუს ალაყაფის კარს რომ მივადექით, ერთი ჩვენი პოლკი უკვე იქ დაგვხვდა. იგნოზის ბრძანებით ამ კარის დაცვა მას ევალებოდა. დანარჩენი პოლკები ქალაქის სხვა შესასვლელებს იცავდნენ. პოლკის უფროსი ეახლა იგნოზის და თაყვანი სცა, როგორც მეფესა და მბრძანებელს, შემდეგ მოახსენა, მოწინააღმდეგე ჯარებმა ქალაქს შეაფარეს თავი და თუალაც იქით გაიქცა, მაგრამ არმია დემორალიზებულია და მზად არის, იარაღი დაჰყაროსო. იგნოზიმ ყურადღებით მოუსმინა, მერე ჩვენ მოგვეთათბირა და შიკრიკები აფრინა ქალაქის ყველა კარისაკენ, სადაც მტრის ჯარი იყო განლაგებული. შიკრიკებს დავალებული ჰქონდათ, გადაეცათ ალყაშემორტყმულთათვის ბრძანება, გაეხსნათ ქალაქის კარიბჭეები, აგრეთვე გამოეცხადებინათ, მეფე შეწყალებასა და დანაშაულის მიტევებას ჰპირდება ყველას, ვინც იარაღს ნებაყოფლობით დაყრისო. ამან სასურველი შედეგი გამოიღო. იმავე წამს თხრილზე დაეშვა ასაწევი ხიდი, ქალაქის კარი გაიღო. კამეჩებმა ყიჟინა დასცეს და ჩვენ ქალაქში შევედით. თუმცა ვფრთხილობდით კია, რომ მტერი საიდანმე მუხანათურად თავს არ დაგვსხმოდა. გზების გასწვრივ სახემოქურუხებული მეომრები იდგნენ, თავი ჩაქინდრათ, ფარები და შუბები კი ფერხთით დაწყოთ. ისინი მდაბლად ესალმებოდნენ იგნოზის, როგორც მეფეს შეჰფერის. ჩვენ პირდაპირ თუალას კრაალისაკენ გავემართეთ. მოედანი, სადაც ამ ცოტა ხნის წინათ მეფემ ჯარების დათვალიერება, შემდეგ კი მისნებზე ნადირობა მოაწყო, ცარიელი იყო. თუმცა არა, მოშორებით, თავისი ქოხის წინ, იჯდა თუალა, მის გვერდით გაგულას გარდა არავინ ჩანდა.

ძალზე დამაღონებელი სურათი იყო. თუალას თავი მკერდზე ჩამოეგდო, საბრძოლო ნაჯახი და ფარი გვერდით ეწყო, თავის ერთგულ ქვეშევრდომთაგან ეს ბებერი კუდიანიღა შემორჩენოდა. ხომ დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემ წინ ბოროტი და სისხლისმსმელი არსება იჯდა, მაგრამ წამით შემებრალა ეს დამარცხებული კერპი, რომელსაც თავისი მაღალი კვარცხლბეკიდან ძირს გადმოუძახეს. არც ერთი მეომარი, არც ერთი ჯარისკაცი არ დარჩენილა მასთან, რომ თანაეგრძნო და ნუგეში ეცა, არ იყო არავინ იმათგან, ვინც ადრე ეპირფერებოდა და ფეხქვეშ ეგებოდა, არ ჩანდა არც ერთი ცოლი, რათა მისი მწუხარება გაეზიარებინა. საბრალო, საბრალო ველური! ეს გახლდათ ერთი იმათგანი, ვისაც ბედი მკაცრად აფრთხილებს: ადამიანები ყრუ და ბრმანი არიან მათ მიმართ, ვისაც ცხოვრება სამარცხვინო დაღს დაამჩნევს, ყრუნი და ბრმანი

არიან დამცირებულთა და შეურაცხყოფილთა, ცხოვრებისაგან გარიყულთა მიმართ. თუმცა, მართალი მოგახსენოთ, თუალა არ იყო შეწყნარების ღირსი.

პირდაპირ მისკენ გავემართეთ. ოცდაათიოდე იარდზე რომ მივუახლოვდით, პოლკი შევაჩერეთ და ყოფილი მეფის ქოხისაკენ მხოლოდ რამდენიმე მცველის თანხლებით წავედით. გაგულამ წყევლა-კრულვა მოგვაყარა. თუალამ ჯიღით შემკული თავი ასწია და თვალჩაციებით დააცქერდა თავის ბედნიერ მეტოქეს – იგნოზის. მისი მზერა შეუოკებელ ბოღმასა და გულისწყრომას გამოხატავდა.

– სალამი შენდა, ჰოი მეფეო! – მწარე დაცინვით წამოიძახა მან. – შენ ჩემი სტუმარი იყავი. ჩემს პურს ჭამდი, მერე კი ჯადოქრობის წყალობით ჯარი ამირ-დამირიე და ამ გზით გაიმარჯვე. რას მიპირებ ახლა, რა გაქვს განზრახული?

– უნდა მოგკლა ისე, როგორც მოკალი მამაჩემი. დაგავიწყდა, მთელი ეს წლები ვისი ტახტი გეჭირა?

– ძალიან კარგი, მე დაგანახვებ, როგორ უნდა მოკვდეს ვაჟკაცი. გაიხსენე ეს, როცა ჟამი მოგივა. შეხე დასალიერს! ცა სისხლითაა მოსვრილი, – თქვა და თავისი ნაჯახი მეწამული ცისკენ გაიწვდინა, – კმაყოფილი ვარ, რომ ჩემი მზეც იმ მზესთან ერთად ჩაესვენება. მზადა ვარ მოვკვდე, ჰოი, მეფეო: მაგრამ დამრთე ნება, მოვკვდე ბრძოლაში. ეს უფლება ბოძებული აქვთ სამეფო გვარიშვილთ. ამაზე უარს ვერ მეტყვი, რადგან მაშინ ყბადასაღები შეიქნები თვით იმ ლაჩრებისთვისაც კი, რომლებიც დღეს ბრძოლის ველიდან თავლაფდასხმულები გარბოდნენ.

– მომიცია ეგ უფლება, აირჩიე ვისთან გსურს შერკინება. თვით მე ვერ შეგებრძოლები, რადგან მეფეს ბრძოლა მხოლოდ ომში მართებს.

თუალამ თავისი ბოროტი მზერა აავლ-ჩაავლო ჩვენს მწკრივს. მომეჩვენა, რომ თვალი ჩემზე შეაჩერა და შიშით ავცახცახდი, ჩემთან შებმას ხომ არ აპირებს-მეთქი. როგორ უნდა შევბმოდი ამ გააფთრებულ ველურს, ამ უზარმაზარ გოლიათს? მიჯობდა აქვე, ახლავე მომეკლა თავი. შედეგი ერთი და იგივე იქნებოდა. გავიფიქრე ეს და გულში გადავწყვიტე, უარი მეთქვა ორთაბრძოლაზე, თუნდაც ამისთვის კუკუანელებს სამარცხვინოდ გავეძევებინე თავისი ქვეყნიდან. ჩემი აზრით, სჯობს დაგცინონ და გაგაძევონ, ვიდრე საბრძოლო ნაჯახით ნაჭერ-ნაჭერ აგკუწონ.

– რას იტყოდი შენ, ინკუბუ? – მოულოდნელად თქვა თუალამ, – ხომ არ დავამთავროთ დღევანდელი ჩვენი ბრძოლა? თანახმა ხარ, თუ უფლება მეძლევა საბრალო მხდალი გიწოდო?

– არა, არა, – სიტყვა გააწყვეტინა მას იგნოზიმ, – შენ არ შეებრძოლები ინკუბუს!

– თუ შიშობს, რასაკვირველია, არ შევებრძოლები, – მიუგო თუალამ.

სამწუხაროდ, სერ ჰენრი მიხვდა ამ სიტყვების მნიშვნელობას და სახეზე ალმურმა აჰკრა.

– ახლავე შევებრძოლები ამ ოქლაქს და მაშინ ნახავს, მშიშარა ვარ თუ არა! – წამოიძახა მან.

– ღვთის გულისათვის, – შევევედრე მე, – რატომ სწირავთ თავს, რა გესაქმებათ ამ თავზეხელაღებულ ველურთან, განა დღეს ყველას არ დაუმტკიცეთ, რომ მხდალი არა ხართ?

– მაინც უნდა ვიბრძოლო, – მითხრა სერ ჰენრიმ, – ვის რა უფლება აქვს, მხდალი მიწოდოს? მე მზად ვარ! – თქვა, ნაბიჯი წინ წადგა და ნაჯახი ჰაერში შეათამაშა.

სერ ჰენრის ასეთმა უაზრო, დონკიხოტურმა საქციელმა სასოწარკვეთილებაში ჩამაგდო, მაგრამ რაღას გავაწყობდი, ვიცოდი მისი ჯიუტი ხასიათის ამბავი, რაკი თქვა, აღარ გადათქვამდა!

– ნუ შეებრძოლები, ჩემო თეთრო ძმაო, – უთხრა იგნოზიმ და ხელი მხარზე მეგობრულად დაადო. – შენ დღეს ისედაც ბევრი რამ გადაიტანე, რამე რომ შეგემთხვეს, გული ორად უნდა გამეპოს.

– მე უნდა ვიბრძოლო, იგნოზი, – გაიმეორა სერ ჰენრიმ.

– რაღა მეთქმის, ინკუბუ, რაკი აგრეა, იბრძოლე, ეს ნამდვილი ბრძოლა იქნება. მზადა ხარ, თუალა? სპილო გელის!

ყოფილმა მეფემ შმაგივით გადაიხარხარა, წინ წამოდგა და სერ ჰენრის პირდაპირ დაუდგა. წამით ორივე უძრავად იდგა. ჩამავალმა მზემ გააშუქა მათი სახეები და ცეცხლის ჯავშნით შეუმოსა ტანი. დიახ, ეს ღირსეული წყვილი გახლდათ.

შემდეგ ორივემ ნაჯახები შემართა და წრე-წრე მიჰყვნენ ერთმანეთს.

უეცრად სერ ჰენრი გადახტა და მოწინააღმდეგეს საშინელი ძალით მოუქნია ნაჯახი, თუალამ განზე გახტომა მოასწრო. ჰაერში მძლავრად მოქნეულმა ხელმა სერ ჰენრი ცოტას გაწყდა, თავად არ დასცა ძირს. თუალამ წამსვე ისარგებლა შექმნილი ვითარებით, თავისი მძიმე საბრძოლო ნაჯახი ჰაერში დაატრიალა და ისეთი წარმოუდგენელი ძალით მოიქნია, რომ ში"შით კინაღამ სული გამძვრა. მეგონა, ყველაფერი დამთავრდა-მეთქი. მაგრამ არა, სერ ჰენრიმ მარცხენა ხელით ნაჯახს სწრაფად შეაგება ფარი და დარტყმა აიცდინა. ნაჯახმა ფარს კიდე ჩამოამტვრია და სერ ჰენრის მარცხენა მხარზე მოხვდა, მაგრამ ამით არა ევნო რა, რადგან ფარმა დარტყმის ძალა შეასუსტა. სერ ჰენრიმ უმალვე მოიქნია ნაჯახი, მაგრამ თუალამაც ფარი შეაგება. შემდეგ კი ჰაერში წამისწამ ელავდა ნაჯახები, მეტოქენი ან გვერდზე გახტებოდნენ, ან ფარს შეაგებებდნენ ხოლმე, მათ ირგვლივ ხალხი უფრო და უფრო ღელავდა. პოლკს, რომელიც ამ ორთაბრძოლას შეჰყურებდა, წესრიგის აღარაფერი ახსოვდა. მეომრები ახლოს მიიჭრნენ და ნაჯახის ყოველ მოქნევაზე სიხარულის შეძახილები ან სასოწარკვეთილი გმინვა ისმოდა. სწორედ ამ დროს გუდი, რომლის საკაცე მეომრებმა აქ მოსვლისას ჩემ გვერდით დადგეს, გონს მოვიდა, წამოჯდა და მებრძოლებს დააცქერდა. წუთის შემდეგ ფეხზე წამოიჭრა, ხელი წამავლო, ცალ ფეხზე აქეთ-იქით ხტოდა და მეც მიმათრევდა, თან სერ ჰენრის გამამხნევებლად უყვიროდა.

– მიდი, მისცხე-მეთქი! აი, ეს კი მესმის! ასე, ასე! ცენტრში უმიზნე გემს, ცენტრში!

სერ ჰენრიმ თუალას ნაჯახს ფარი შეაგება და თვითონაც საპასუხო დარტყმა აგემა. ნაჯახმა ფარი და ფოლადის ჯავშანი გაკვეთა და თუალას მხარზე ღრმა ჭრილობა მიაყენა. ველურმა გააფთრებით შეჰყვირა და მისმა ნაჯახმა სერ ჰენრის ნაჯახს ტარი გადაუმტვრია, მიუხედავად იმისა, რომ იგი მარტორქის ძვლისაგან იყო გაკეთებული და სიმაგრისათვის ფოლადის რგოლები ჰქონდა დატანებული. მაგრამ ტარს ვინ დაეძებდა, იმ ოხერმა ნაჯახმა სერ ჰენრის ყბა შუაზე გაუხლიჩა.

სერ ჰენრის ნაჯახი მიწაზე დავარდა. კამეჩებმა სასოწარკვეთით დაიღრიალეს. თუალამ კი ხელახლა შემართა თავისი საზარელი იარაღი და ყვირილით გაქანდა მოწინააღმდეგისაკენ. სიმწრით თვალი დავხუჭე. როცა ხელახლა გამოვიხედე, სერ ჰენრის ფარი მიწაზე ეგდო. ჩვენს ფალავანს კი მძლავრი ხელები თუალასთვის ჩაევლო და ხელდახელ უპირებდა შებმას. ისინი ირწეოდნენ და ერთმანეთს დათვურ მკლავებში ჟღვლემდნენ. ძალ-ღონეს

იკრებდნენ, თავგანწირვით იბრძოდნენ, რათა დაეცვათ სიცოცხლე, რომელიც ესოდენ ძვირფასია ყველასათვის, დაეცვათ სიცოცხლეზე უფრო მეტიც – ვაჟკაცის სახელი და პატიოსნება.

არაადამიანური ძალდატანებით თუალამ თავის მტერს წონასწორობა დააკარგვინა და ორივენი მიწაზე დაენარცხნენ. აქაც განაგრძობდნენ ბრძოლას. აქეთ-იქით გორავდნენ კირქვით მოკირწყლულ გზაზე. თუალა ცდილობდა, სერ ჰენრისათვის თავში ნაჯახი დაეკრა, სერ ჰენრი კი ლამობდა დანით გაეჭრა ბუმბერაზის ჯაჭვის პერანგი.

საზარელი სანახავი იყო ამ ორი გოლიათის ბრძოლა, მათი სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინება.

– ნაჯახი, ნაჯახი წაართვი! – ღრიალებდა გუდი. შესაძლოა, სერ ჰენრიმ ყური მოჰკრა მის სიტყვებს, იმიტომ, რომ დანა გადააგდო და ჩაებღაუჭა ნაჯახს, რომელიც თუალას კამეჩის ტყავის თასმით ჰქონდა ხელზე დამაგრებული. ისინი მიწაზე გორავდნენ, მძიმედ-მძიმედ სუნთქავდნენ და ველური კატებივით იბრძოდნენ ნაჯახისათვის. უეცრად ტყავის თასმა გაწყდა. არაადამიანური ძალდატანებით სერ ჰენრიმ თუალას მკლავების მარწუხს თავი დააღწია. ნაჯახი ხელში შერჩა. იმავე წამს ფეხზე წამოიჭრა, სახეზე მიყენებული ჭრილობიდან სისხლი მოთქრიალებდა, თუალაც ფეხზე წამოვარდა, ქამრიდან მძიმე დანა ამოიძრო და კურტისს მკერდში ძლიერად აძგერა, მაგრამ დანა ფოლადზე ასხლტა. თუალამ საზარლად დაიღრიალა, დანა მეორედ მოიქნია, მაგრამ იგი ამჯერადაც ასხლტა, თუმცა დარტყმის ძალამ სერ ჰენრი დაატორტმანა. თუალა კვლავ მიეტანა მოწინააღმდეგეს. ამასობაში ჩვენმა მამაცმა მებრძოლმა ძალ-ღონე მოიკრიბა და მძლავრად მოიქნია ნაჯახი.

ხალხმა აღელვებით შეჰყვირა. დიახ, მოხდა უცნაური, წარმოუდგენელი რამ. თუალას თავი მხრებიდან ჩამოხტა, ხტუნვა ხტუნვით გაგორდა მიწაზე და ზედ იგნოზის ფეხებთან შეჩერდა. თუალა ისევ ფეხზე იდგა, მაგრამ მხოლოდ ერთი წამით. გადაჭრილი ძარღვებიდან შადრევანივით ამოხეთქა სისხლმა. შემდეგ უთავო სხეული მიწაზე დაენარცხა, ოქროს გვერგვი კისრიდან მოძვრა და მიწაზე გაგორდა. სერ ჰენრიც თუალას გვამის გვერდით დაეცა.

წაქცეული თვალისდახამხამებაში წამოაყენეს. ვიღაცის მზრუნველმა ხელმა სისხლიანი სახე ჩამობანა და სერ ჰენრიმ დიდი, ნაცრისფერი თვალები ნელ-ნელა გაახილა.

დიახ, ის ცოცხალი იყო.

ზედ ამ დროს მზეც ჩაესვენა.

მიწაზე, მტვერში თუალას თავი ეგდო. მე იქითკენ წავედი. გაყინულ შუბლზე დიდი ალმასი ავართვი და იგნოზის მივუტანე.

– აიღე ეს ალმასი, კუკუანელთა მეფევ! – ვუთხარი.

იგნოზიმ ჯიღით შუბლი დაიმშვენა, შემდეგ თუალას გვამს მიუახლოვდა, ფართო მკერდზე ფეხი დაადგა და გამარჯვების სიმღერა შემოსძახა.

სიტყვები არ მყოფნის გადმოგცეთ, რა საუცხოოდ მღეროდა ეს ველური. ერთხელ ვიღაც ბერძნული ენის მცოდნე ხმამაღლა კითხულობდა ბერძენი პოეტის, ჰომეროსის ლექსს. იმ ნარნარ, რითმიულ სტრიქონებს რომ ვისმენდი, აღტაცებით ადგილზევე გავშეშდი. იგნოზის სიმღერამაც ზუსტად ისეთივე შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, მიუხედავად იმისა, რომ ძალზე დაღლილ-დაქანცული ვიყავი. განა ამ რამდენიმე დღეში ცოტა რამ გადაგვხდა თავს?!

„ბოლოს და ბოლოს ჩვენი ბრძოლა გამარჯვებით დაგვირგვინდა", – მღეროდა იგნოზი.

ამ დილით ჩვენი მტრები წამოდგნენ, ძილი განიშორეს, სირაქლემას ფრთებით მოირთვნენ და საბრძოლოდ მოემზადნენ.

ისინი წამოდგნენ, მეომრებმა მეთაურებს მოუწოდეს: მოდით, წაგვიყვანეთო, უთხრეს. მეთაურებმა კი მეფე იხმეს, ბრძოლაში გვითავკაცეო.

აღსდგა ოცი ათასი მეომარი და კიდევ ოცი ათასი.

ფრთებმა, რომლითაც მეომრებს თავები ჰქონდათ შემკული, ერთიანად დაფარა მიწა. ასე ფარავს ჩიტი თავისი ფრთებით ბუდეს. ისინი იქნევდნენ შუბებს და ყვიროდნენ, დიახ, დიახ, ისინი მაღლა ისროდნენ შუბებს, რომლებიც მზის სხივებზე ელავდნენ, სწყუროდათ ბრძოლა და გულს სიხარული უვსებდათ.

ისინი ჩემ წინააღმდეგ წამოვიდნენ, ძლიერნი წინ-წინ მორბოდნენ, ჩემი მოკვლა ეწადათ. ყვიროდნენ, ჰა, ჰა, ეგ ხომ უკვე ცოცხლებში აღარ წერიაო.

მაშინ მე მათ სული შევუბერე, ეს შებერვა ქარიშხალზე ძლიერი იყო და ისინი დაიხოცნენ.

ჩემმა ელვამ განგმირა მტერი. მე გავაცამტვერე მათი ძალა, დავხოცე ისინი ჩემი შუბების ელვით, მოვსრნე ჩემი მქუხარე ხმით.

მათი რიგები გაიპო, დაიფანტა, გაქრა დილის ნისლივით. ისინი ყვავებისა და მელიების ლუკმად იქცნენ, ბრძოლის ველი მათი სისხლით მოირწყო.

სად არიან ეს ჯან-ღონით სავსე ადამიანები, დილით რომ წამოდგნენ? სად არიან ის დიდგულა მეომრები, ჩემზე რომ ამბობდნენ, ეგ უკვე ცოცხლებში აღარ წერიაო? სად არის ის ხალხი, თავები ჰაერში მოფრიალე ფრთებით რომ ჰქონდათ შემკული?

შეხეთ, თავებს ხრიან, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ძილი მორევიათ. წვანან, თითქოს სძინავთო, მაგრამ არა, ეს ძილი არ არის.

მათი სახელები მალე ყველას დაავიწყდება, ისინი წყვდიადს შეუერთდნენ და კვლავ აღარასოდეს დაბრუნდებიან. მათ ცოლებს სხვები წაიყვანენ, შვილებსაც აღარ გაახსენდებათ.

გესმოდეს ყველას! მე შორს წავედი აქედან, როცა ღამე ბნელი იყო, მაგრამ დავუბრუნდი მშობლიურ კერას იმ დროს, განთიადმა ქვეყანა რომ გააბრწყინა.

თავი შეაფარეთ ჩემი ფრთების ჩრდილს, ჰოი, ადამიანებო, მე დაგამშვიდებთ და შიში და სევდაც გაქრება.

დადგა ბედნიერი დრო, ყველას ელის ჯილდო და წარჩინება.

ველებში დამიდის ურიცხვი ჯოგები, ქალიშვილებიც კრაალებში ჩემი ნება-სურვილის ამსრულებლები არიან.

ზამთარმა პირი იბრუნა. დადგა ზაფხული, ახლა ბოროტება სახეზე რიდეს ჩამოიფარებს და ჩვენს ქვეყანაში სიკეთე და სიყვარული შროშანასავით გაიფურჩქნება.

იზეიმე და იხარე, ჩემო ხალხო! დაე, იზეიმოს მთელმა ქვეყანამ, იმიტომ, რომ მოისპო მტარვალი, იმიტომ, რომ მე მეფე ვარ!"

იგნოზი დადუმდა და სადამოს ბინდბუნდში ექოსავით იგრგვინა პასუხმა:

– შენ მეფე ხარ ჩვენი!

ამგვარად, ის სიტყვები, თუალას რომ ვუთხარი, წინასწარმეტყველური გამოდგა. ჯერ ორმოცდარვა საათსაც კი არ გაევლო და მისი უთავო გვამი გაშეშებული ეგდო კრაალის კართან.

თ ა ვ ი X V

გ უ დ ი ა ვ ა დ მ ყ ო ფ ო ბ ს

ორთაბრძოლა დამთავრდა. სერ ჰენრი და გუდი თუალას ქოხში შეიყვანეს, მეც, რასაკვირველია, მათ მივყევი. ორივემ იმდენი სისხლი დაკარგა და ისე იყვნენ დაღლილ-დაქანცულები, რომ ძლივსღა ფეთქავდნენ. უკეთესად არც მე ვგრძნობდი თავს. თუმცა ბუნებით ჯანმრთელი კაცი გახლავართ, თანაც სხვაზე მეტად ამტანიც, რადგან გამხდარი და კარგად გაწრთობილ-გაკაჟებული ვარ. მაგრამ იმ საღამოს მეც ძლივს ვიდექი ფეხზე. როცა ძალიან ვიღლები, ლომის ნაკეჭნი საშინლად მაწუხებს ხოლმე ფეხზე. ამას ისიც დაუმატეთ, რომ თავი ტკივილისაგან გახეთქვაზე მქონდა. გახსოვთ ალბათ, დილით რომ რაღაც ჩამარტყეს და დამარეტიანეს, მერე გრძნობაც ხომ დავკარგე. ჰოდა, ყველაფერმა ახლა იჩინა თავი. ერთი სიტყვით, ძნელი წარმოსადგენია იმაზე უფრო საცოდავი და უბადრუკი ადამიანები, იმ დაუვიწყარ საღამოს ჩვენ სამნი რომ ვიყავით. თავს იმით ვინუგეშებდით, რომ ბედმა მთლად არ გაგვწირა და პირში სული ისევ გვედგა, მაშინ როცა ათასობით მამაცი მეომარი ბრძოლის ველზე ეყარა.

როგორც იქნა, მშვენიერი ფულატას დახმარებით გავიძვრეთ ჯაჭვის პერანგები, ორი ჩვენგანი უეჭველი სიკვდილისაგან რომ იხსნა. მას შემდეგ, რაც სიკვდილს გადავარჩინეთ, ფულატამ თავისი ნებით იკისრა მოახლეობა და გამორჩევით ზრუნავდა გუდზე. დიახ, გავიძვრეთ ჯაჭვის პერანგები და მხოლოდ მაშინ დავინახეთ, რაც გვჭირდა: თავით ფეხამდე ჩაბეჟილ-ჩალურჯებულები ვიყავით. ფოლადის ჯაჭვის პერანგში შუბის წვერი ვერ ატანდა, თორემ სხვაფრივ ჩვენი დაცვა არ შეეძლო. სერ ჰენრისა და გუდს მთელი ტანი სისხლნაჟღენთებით ჰქონდათ დაფარული, მეც საკმაოდ დალილავებული ვიყავი. ფულატამ დასრესილი ფოთლებისაგან რაღაც წამალი შეგვიმზადა და დაჟეჟილ ადგილებზე სალბუნივით დაგვადო. წამალს საამო სუნი ჰქონდა, ტკივილებიც საკმაოდ დაგვიამა. მაგრამ სისხლნაჟღენთებზე მეტად სერ ჰენრისა და გუდს იარები აწუხებდათ. კაპიტანი „მშვენიერ თეთრ" წვივში იყო დაჭრილი და ბლომად სისხლიც დაეკარგა. სერ ჰენრის კი, სხვა იარებზე რომ აღარაფერი ვთქვა, თუალას წყალობით ყბა ღრმად ჰქონდა გაპობილი.

საბედნიეროდ, გუდი საკმაოდ კარგი ქირურგი იყო და როგორც კი წამლების ყუთი მოუტანეს, მაშინვე საქმეს შეუდგა: გულდაგულ მობანა ორივე ჭრილობა და კუკუანელთა ჭრაქის მკრთალ შუქზე საკმაოდ გულმოდგინედ გაკერა, შემდეგ იარებს სქლად წასცხო რაღაც ანტისეპტიკური მალამო, რომელიც პატარა ქილით „აფთიაქში" ედგა და ცხვირსახოცის ნაფხრეწებით შეგვახვევინა. ამასობაში ფულატამ მაგარი ბულიონი მოგვიმზადა, რადგან ისე ვიყავით დასუსტებულები, რომ საჭმელს პირს ვერ დავაკარებდით. როგორც იყო, დავხვრიპეთ წვნიანი და მერე თუალას ფართო ქოხში კაროსებზე – ბეწვეულის საუცხოო ხალიჩებზე მივეყარეთ. ამ ხალიჩებით თითქმის მთელი იატაკი იყო მოფენილი. აი, ბედის მწარე დაცინვა: ყოფილი მეფის საწოლზე ეძინა მის მკვლელს – სერ ჰენრის. ვამბობ ეძინა-მეთქი, მაგრამ იმდღევანდელი ამბების შემდეგ ვის დაეძინებოდა! ყოველი მხრიდან მოისმოდა ჭირისუფალთა შეკივლება და შესაბრალისი მოთქმა-გოდება. ქალები დასტიროდნენ დახოცილ ძმებს, შვილებს, ქმრებს. არც საკვირველია, რომ ყველა ტიროდა და გლოვობდა, ამ საზარელ ბრძოლაში ხომ ოცი ათასზე მეტი მეომარი, ესე იგი, კუკუანელთა არმიის ერთი მესამედი დაიღუპა.

ტყავის საწოლზე წამოწოლილი ვისმენდი ამ კვნესა-გოდებას და გული მეფლითებოდა. მაშინ, მხოლოდ მაშინ შევიგრძენი ცხადად, რა საშინელი ტრაგედია დატრიალდა მხოლოდ იმისათვის, რომ ადამიანს თავისი პატივმოყვარეობა დაეკმაყოფილებინა.

ამასობაში შუაღამემაც მოატანა, მოთქმა-გოდება თანდათანობით მიწყდა. ჩამოვარდა სიჩუმე, რომელსაც დროდადრო გაბმული, გულისმომწყვლელი კივილი არღვევდა. მეზობელ ქოხში გაგულა თუალას უსულო გვამს დაჰყმუოდა.

ბოლოს ჩამეძინა, მაგრამ ძილში ვკრთოდი და წამისწამ მეღვიძებოდა. მეგონა, ისევ ბრძოლის ველზე ვიყავი, ხან ვითომც ის მეომარი, ჩემი საკუთარი ხელით რომ მოვკალი, მიტევდა და თავს მესხმოდა, ხან რუხების პოლკის გმირი მეომრებით გარშემორტყმული ვიდექი, ხან კი თუალას გასისხლიანებული, ჯიღით მორთული თავი კბილთა ღრჭიალით მიგორავდა ჩემს ფერხთით, მისი ერთადერთი თვალი კი ბოროტად შემომცქეროდა. მაგრამ ასე იყო თუ ისე, ის წამების ღამეც ბოლოს და ბოლოს მიილია. შეცისკრებულზე დავინახე, რომ ჩემს ამხანაგებს ღამით ჩემზე უკეთ არ სძინებოდათ. გუდი ძლიერ ციებ-ცხელებას შეეპყრო და მალე ბოდვაც დააწყებინა, თან სისხლს აღებინებდა, რამაც ძალზე შემაშინა. ალბათ ფილტვში სისხლი ჩაექცა, როცა ის კუკუანელი მეომარი ჯაჭვის პერანგზე შუბს უხათქუნებდა. სამაგიეროდ, სერ ჰენრი ბევრად უკეთ გრძნობდა თავს, მიუხედავად იმისა, რომ მთელი სხეული ისე დაბეჟვოდა და სტკიოდა, განძრევაც კი არ შეეძლო. სახეზე მიყენებული ჭრილობის გამო კი ვერც ჭამდა და ვეღარც იცინოდა.

დილის რვა საათისათვის ჩვენ სანახავად ინფადუსი მოვიდა. გვითხრა, მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს და არც დავწოლილვარო. გუშინდელ დღეს მასზე არცთუ ისე ემოქმედნა, გამოცდილი, ბრძოლებში გამოწრთობილი მეომარი იყო და თავი უფრო მხნედ ეჭირა. მას გაეხარდა ჩვენი ნახვა, გულთბილად ჩამოგვართვა ხელი, მაგრამ გუდის ასეთმა მძიმე მდგომარეობამ კი, ცოტა არ იყოს, დააფიქრა. მე შევამჩნიე, რომ ინფადუსი განსაკუთრებული მოკრძალებით ეპყრობოდა სერ ჰენრის, თითქოს იგი ჩვეულებრივი ადამიანი არ ყოფილიყოს. მართლაც, შემდეგ შევიტყვეთ, რომ კუკუანელები სერ ჰენრის რაღაც ზეკაცად რაცხდნენ. მეომრები ამბობდნენ, ინკუბუს ბრძოლაში ბადალი არ ჰყავსო და უკვირდათ იმ სისხლიანი, მომქანცველი დღის შემდეგ როგორღა შეეძლო შერკინებოდა თუალას, მეფესა და უძლიერეს მეომარს, და ერთი დაკვრით ხარივით წაეგდებინებინა თავი.

ინფადუსმა გვაუწყა, თუალას პოლკები დამორჩილდნენ იგნოზის, ხოლო ბელადები ქვეყნის ყველა კუთხიდან უთვლიან, შენი მონა-მორჩილნი ვართო.

თუალას სიკვდილმა ბოლო მოუღო მღელვარებას. ყოფილ მეფეს სკრაგას გარდა შვილი არ ჰყოლია, იგნოზის აღარ ჰყავდა მეტოქე, რომელსაც შეეძლო ტახტზე თავისი უფლებები წამოეყენებინა.

როცა ინფადუსს ვუთხარი, იგნოზიმ ძალაუფლება სისხლით მოიპოვა-მეთქი, მან მხრები აიჩეჩა.

– დიახ, ასეა, – მითხრა მოხუცმა მეომარმა, – კუკუანელები ვერ მოისვენებენ, თუ დროდადრო სისხლი არ დაიღვარა. მართალია, ხალხი დაიხოცა, მაგრამ ქალები ხომ დაგვრჩა? მალე ახალი მეომრები წამოიზრდებიან და მოკლულთა ადგილებს დაიკავებენ. ახლა ქვეყანა რამდენიმე ხნით მაინც დამშვიდდება.

ინფადუსის შემდეგ იგნოზიმაც გვინახულა. თავზე სამეფო ჯიღა ედგა. ვუყურებდი, როგორ გვიახლოვდებოდა ზვიადად, მეფური ნაბიჯით, პირმოთნე მლიქვნელებით გარშემორტყმული, და უნებლიეთ თვალწინ დამიდგა მაღალ-

მაღალი ზულუსი, რომელიც სულ რამდენიმე თვის წინათ მოვიდა ჩვენთან, დურბანში და გვთხოვა, მსახურად ამიყვანეთო. ეჰ, – ვფიქრობდი, – რა უკუღმართია ბედისწერა და რა მოულოდნელად იცვლის გზას მისი ეტლი-მეთქი.

– სალამი, მეფეო! – ვთქვი და წამოვდექი.

– დიახ, მაკუმაზან, როგორც იქნა, მეღირსა მეფობა და ამას თქვენ, ჩემს თეთრ მეგობრებს უნდა გიმადლოდეთ.

შემდეგ გვითხრა, საქმე კარგად მიდის, ორიოდე კვირის შემდეგ ვაპირებ დიდი ზეიმი გავმართო და ამ ზეიმზე ჩემს ხალხს ვეჩვენოო.

ვკითხე, გაგულას რაღას უპირებ-მეთქი.

– გაგულა ჩვენი ქვეყნის ბოროტი სულია, – მიპასუხა იგნოზიმ, – მოვკლავ მას და მის მისნებზე მონადირე ქალებსაც ამოვხოცავ. ეგ ყველას ასეთი მიხრწნილი ახსოვს, ცას შეაბერდა და ეგ არის. გაგულამ ასწავლა მისნებზე მონადირეებს ჯადოქრობა. ცათა უწყიან, რომ სულაც მაგ კუდიანის გამო გამეფდა ჩვენში ასეთი სისასტიკე.

– მართალია, მაგრამ გაგულამ ბევრი რამ იცის, – ვუთხარი, – ცოდნის მოსპობა უფრო ადვილია, ვიდრე მისი შეძენა, იგნოზი!

– გეთანხმებით, – მითხრა იგნოზიმ და ჩაფიქრდა, – მის გარდა არავინ იცის სამი ჯადოქრის საიდუმლო, რომლებიც იმყოფებიან იქ, სადაც გადის დიდი გზა, სადაც დაკრძალულნი არიან ჩვენი მეფენი და დაყურსებულები სხედან.

– დიახ და, ისიც იცის, სად არის დაფლული ალმასები. გახსოვს შენი პირობა, იგნოზი? უნდა ჩაგვიყვანო იმ საბადოში, თუნდაც ამისათვის გაგულას დანდობა მოგიხდეს. ხომ იცი, რომ მაგ ჯადოქრის გარდა, იქ გზას ვერავინ გაიგნებს?

– მახსოვს, რასაც შეგპირდი, მაკუმაზან, ვიფიქრებ შენს სიტყვებზე.

იგნოზი რომ წავიდა, გუდის საწოლთან მივედი, რომ ავადმყოფისათვის დამეხედა. საბრალო კაპიტანს ჭრილობაზე ციებ-ცხელება აჰყვა და ახლა სიცხით იწვოდა, თან ბოდავდა. რაც დრო გადიოდა, მისი მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უარესდებოდა, ოთხი-ხუთი დღე არ გამომჯობინებულა. დარწმუნებული ვარ, ვერც გადარჩებოდა, ფულატას თავი რომ არ გადაედო. ქალი ყველგან ქალია, კანის ფერს რა მნიშვნელობა აქვს.

გაოცებული ვადევნებდი თვალს, როგორ უვლიდა გუდს ეს შავკანიანი ტურფა ქალი, დღე და ღამე წახრილი იყო მის საწოლთან და ისე აკეთებდა ყველაფერს, რაც ავადმყოფს სჭირდებოდა, თითქოს კაი მოწყალების დაი ყოფილიყოს. პირველ ორ ღამეს ვცდილობდი, შევშველებოდი ფულატას. სერ ჰენრიც, თუმცა თვითონაც ძლივს იდგა ფეხზე, შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა, მაგრამ ქალს არ მოსწონდა ეს; მოსწონდა კი არა, ძლივძლივობით მიტანდა თავის გვერდით. ბოლოს და ბოლოს დაიჟინა: თქვენი აქ ყოფნით ავადმყოფი წუხდება და ჯობია, მისი მოვლა მე მომანდოთო.

ვფიქრობ, ამ შემთხვევაში მართალი იყო, დღე და ღამე ფხიზლობდა, ავადმყოფს უვლიდა, ბუზებს უგერიებდა, აძლევდა მხოლოდ ერთ თავ წამალს – ტულიპის ბოლქვებზე დაყენებულ რძეს. ეს ძალზე გამაგრილებელი სასმელიც იყო. თითქოს ახლაც თვალწინ მიდგას ეს სურათი, ჭრაქის მკრთალ შუქზე ყოველღამ რომ ვხედავდი: გუდი საწოლზე აქეთ-იქით აწყდებოდა, ფერმკრთალი და სახეჩამომხმარი იყო. თვალები ფართოდ გაეხილა და განუწყვეტლივ რაღაცას ბუტბუტებდა. მის გვერდით მიწაზე ფეხმორთხმული იჯდა კუკუანელი ტურფა ასული, ზურგით ქოხის კედელს რომ მიყრდნობოდა. დაღლილ-

დაქანცულ სახეზე და ხავერდივით შავ თვალებში უსაზღვრო სიბრალული ეხატებოდა. ან იქნებ ის შავი თვალები სიბრალულით კი არა, უფრო სხვაგვარი, თბილი გრძნობით იყო სავსე?

მთელი ორი დღის განმავლობაში ეჭვი არავის გვეპარებოდა, რომ გუდი სასიკვდილოდ იყო განწირული, დაღვრემილ-დადარდიანებულები დავეხეტებოდით კრაალში.

მხოლოდ ფულატა არ იზიარებდა ჩვენს ეჭვს და სულ ჩაგვჩიჩინებდა, არ მოკვდება, იცოცხლებსო.

თუალას ქოხის ირგვლივ მთელ სამას იარდზე და შეიძლება მეტზედაც სამარისებური სიჩუმე იყო. მეფის ბრძანებით, სერ ჰენრისა და ჩემ გარდა ახლომახლო ქოხებიდან ყველა გაასახლეს, რომ ავადმყოფი ხმაურს არ შეეწუხებინა. ერთხელ, ღამით, ვიდრე დავწვებოდი, ჩვეულებრივ, გუდის სანახავად წავედი. ეს სწორედ მისი ავადმყოფობის მეხუთე დღეს იყო.

ფეხაკრეფით შევედი ქოხში. იატაკზე დადგმული ჭრაქი მკრთალად ანათებდა იქაურობას, გუდი აღარ ბორგავდა, არც კვნესოდა, გაქვავებულ-გაშეშებული გაშხლართულიყო ტყავის საწოლზე.

მაშ, მოსახდენი მოხდა! გული შემეკუმშა და მკერდიდან მძიმე კვნესა აღმომხდა.

– შშშ! – მომესმა ამ დროს. ხმაზე მივიხედე და გუდის თავთით რაღაც შავი აჩრდილი დავლანდე. ნელ-ნელა მივუახლოვდი საწოლს. არა, გუდი მკვდარი არ იყო, ღრმა ძილით ეძინა, გაძვალტყავებული თეთრი ხელი ფულატას თლილი თითებისათვის წაევლო. მაშ კრიზისმა განვლო, გუდი გადარჩა. გადარჩა და მთელი თვრამეტი საათი ფეხგაუნძრევლად ეძინა. მეშინია ვთქვა, რადგან ვიცი, არავინ დამიჯერებს, მაგრამ მთელი ამ ხნის განმავლობაში ფულატა გაშეშებული იჯდა მის გვერდით; იმის შიშით, ვაითუ გაიღვიძოსო, ვერც განძრევა გაებედა და ვერც ხელის გათავისუფლება.

ვინ წარმოიდგენს, როგორ იტანჯებოდა ეს ქალი, ან როგორ ტეხდა ხანგრძლივი ჯდომით გაშეშებული ხელ-ფეხი.

იმ დღიდან გუდი სწრაფად გამობრუნდა და მალე ფეხზეც წამოდგა. როცა სერ ჰენრიმ უამბო, როგორ უვლიდა ფულატა და როგორ იჯდა მთელი თვრამეტი საათი გაუნძრევლად მის თავთით, ამ სპეტაკ ადამიანს თვალი ცრემლით აევსო. მერე შებრუნდა და გაემართა ქოხისაკენ, სადაც ფულატა საუზმეს გვიმზადებდა. თარჯიმნად მე წამიყვანა, მაგრამ ეს სულ ზედმეტი იყო, ფულატას საუცხოოდ ესმოდა მისი, მიუხედავად იმისა, რომ გუდმა სულ რაღაც ორიოდე სიტყვა იცოდა ზულუსურად.

– გადაეცით, – მითხრა გუდმა, – რომ მის სიკეთეს და ამაგს სიკვდილამდე არ დავივიწყებ.

მე ვუთარგმნე ფულატას გუდის ნათქვამი და დავინახე, როგორ მოედო სახეზე ალი.

იგი სწრაფი მოძრაობით შებრუნდა გუდისაკენ, ისე მოხდენილად, თითქოს ჩიტმა შეიფრთხიალაო, დიდი შავი თვალები შეანათა კაპიტანს და მშვიდად უთხრა:

– ჩემს ბატონს დაავიწყდა, რაც მოხდა. განა მან არ მიხსნა სიკვდილის კლანჭებიდან და განა მე მისი მხევალი არა ვარ?

როგორც ჩანდა, ამ ახალგაზრდა ლედის სულაც აღარ ახსოვდა, რომ მის გადარჩენაში მე და სერ ჰენრიც ვიღებდით მონაწილეობას. მაგრამ ქალები, საერთოდ, ასეთნი არიან. მახსოვს, ჩემი ძვირფასი მეუღლეც სწორედ ასე მომექცა. უნდა მოგახსენოთ, რომ ამ საუბრის შემდეგ ქოხში გულდამძიმებული

დავბრუნდი. არ მომეწონა, მისს ფულატა ასე ნაზად რომ შესციცინებდა გუდს, რადგან კარგად ვიცოდი, რა ადვილად მოედებათ ხოლმე მეზღვაურებს სიყვარულის ალი.

ჩემი დაკვირვებით, ამქვეყნად ორი რამ არის შეუძლებელი და გარდუვალი: წარმოუდგენელია, ზულუსი არ ჩხუბობდეს, ხოლო მეზღვაური ვინმეს არ ეტრფოდეს.

რამდენიმე დღის შემდეგ იგნოზიმ მოიწვია დიდი საბჭო, რასაც კუკუანელთა ქვეყანაში „ინდიბას" უწოდებენ. ამ საბჭოზე „ინდუნებმა", ანუ უხუცესებმა, ოფიციალურად ცნეს იგი მეფედ.

ამ ცერემონიალმა, ისევე როგორც ჯარების დათვალიერებამ, ხალხზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ჯარების დათვალიერების დღეს აღლუმზე რუხების პოლკის გადარჩენილი ნაწილიც მონაწილეობდა, მათ მთელი არმიის წინაშე გამოეცხადათ მადლობა განსაკუთრებული მამაცობისა და თუალას წინააღმდეგ გმირული ბრძოლისათვის. ყოველი რუხი მეომარი მეფემ დიდძალი საჩუქრით დააჯილდოვა. ამასთან, ყოველ მათგანს უბოძა უფროსობა რუხების ახალ პოლკში, რომელიც ის-ის იყო, უნდა შეედგინათ. გარდა ამისა, საყოველთაოდ გამოცხადდა, რომ ჩვენ სამს – სერ ჰენრის, გუდსა და მე, ვიდრე მათ ქვეყანას ჩვენი აქ ყოფნით ღირსვყოფდით – მოგვსალმებოდნენ ისე, როგორც ეს მეფეს შეეფერებოდა და პატივიც მეფის საკადრისი ეცათ. გამოაცხადეს აგრეთვე, რომ ჩვენ უფლებამოსილნი ვიყავით ადამიანთა სიკვდილ-სიცოცხლეზე, ხოლო იგნოზიმ ხალხის წინაშე ერთხელ კიდევ გაიმეორა თავისი დაპირება, რომ ტყუილუბრალოდ, განუსჯელად არ დაღვრიდა ადამიანთა სისხლს და მისნებზე ნადირობას საბოლოოდ აღკვეთდა.

ნადიმის შემდეგ იგნოზის საკუთარ ქოხში ვეწვიეთ. როცა ყველა წავიდ-წამოვიდა და მარტონი დავრჩით, ვუთხარი: ძალიან გვინდა გავიგოთ იმ საბადოს საიდუმლო, დიდი გზის ბოლოში რომ არის და ამის თაობაზე ხომ არაფერი შეგიტყვიათ-მეთქი.

– აი, რა გავიგე ამ საკითხზე, ჩემო მეგობრებო, – თქვა იგნოზიმ, – მითხრეს, რომ იქ ზის სამი უზარმაზარი ქანდაკება, ჩვენი ხალხი მათ დაყურსებულებს ეძახის. თუალას სწორედ მათთვის უნდოდა ფულატა მსხვერ-პლად შეეწირა. იქ, მთებში, უზარმაზარ მღვიმეში კრძალავენ ჩვენს მეფეებს, თუალას გვამიც იქ შეგიძლიათ ნახოთ. კუკუანელთა ყოფილი მეფე ზის მათთან ერთად, ვინც ეს ქვეყანა მასზე ადრე დატოვა. იქვეა უღრმესი ჭა. იგი დიდი ხნის წინათ გათხარეს ადამიანებმა, რომ ამოეღოთ ისეთი ქვები, თქვენ რომ დაეძებთ. ნატალში მეუბნებოდნენ ხოლმე, ბრჭყვიალა ქვები კიმბერლიშიც არისო. იმ ჭასთან არის სიკვდილის სავანე, მის გვერდით კი – საგანძური, რომლის ადგილსამყოფელი მხოლოდ თუალამ და გაგულამ იცოდნენ. მაგრამ თუალა ახლა მკვდარია, მე კი არც ის საგანძური ვიცი, სად არის და არც ის, რა არის შიგ ჩაფლული. ხალხში დადის ხმა, დიდი ხნის წინათ ერთ თეთრკანიანს ჩვენი მთები გადმოულახავსო. იგი ვიღაც ქალს წაუყვანია და განძეული უჩვენებია, მაგრამ ვიდრე უცხოელი განძის წაღებას მოასწრებდა, ქალს მოუხერხებია მისი დაბეზღება და მეფეს დაუყოვნებლივ გაუძევებია იგი კუკუანელთა ქვეყნიდან. იმ დღიდან მოყოლებული, იქ ძეხორციელს ფეხი არ შეუდგამსო.

– ეს ალბათ მართალია, იგნოზი, აკი იმ მთაზე თეთრკანიანი ვნახეთ.

– დიახ, ვნახეთ. ახლა კი, რაკი სიტყვა მოგეცით, თუ იმ საგანძურს ვიპოვით და თუ იქ მართლა აღმოჩნდა ძვირფასი ქვები...

– ქვები რომ არის, ამას ამტკიცებს ეგ ალმასი, შუბლზე რომ გიკეთია, – ვუთხარი და მივუთითე ძვირფას თვალზე, თუალას შუბლზე რომ ავაგლიჯე.

– შესაძლოა, თქვენ მართალი იყოთ, – მითხრა იგნოზიმ, – და თუ ასეა, წაიღებთ იმდენს, რამდენსაც ზიდავთ, თუკი მართლა მოისურვებთ ჩემს დატოვებას, ძმანო ჩემნო!

– პირველ ყოვლისა, უნდა ის საგანძური მოვიძიოთ, – ვთქვი მე.

– ეგ კი მხოლოდ გაგულას დახმარებით შეგვიძლია.

– მერე, უარი რომ თქვას?

– უარს თუ იტყვის, მოკვდება, – მკაცრად მომიგო იგნოზიმ, – განა მხოლოდ იმიტომ არ დავინდე მისი სიცოცხლე? მოითმინეთ, თვითონ გადაწყვიტოს, იცოცხლებს თუ მოკვდება.

იგნოზიმ მსახურს უხმო და გაგულას მოყვანა ბრძანა.

რამდენიმე წუთის შემდეგ კუდიანი ბებრუხანა წყევლა-კრულვით შემოვიდა ქოხში. უკან ორი მცველი მოსდევდა.

– დატოვეთ! – უბრძანა მათ იგნოზიმ.

როგორც კი მცველები გავიდნენ, ეს საზიზღარი ჩვრების ფუთა იატაკზე მიეფინა, – გაგულა მართლაც წააგავდა ძველი ჩვრების ფუთას. ამ ფუთაზე ორი, გველის თვალებივით ავბოროტი, თვალი ენთო.

– რას მიპირებ, რა გაქვს განზრახული, იგნოზი? – დაიწრიპინა გაგულამ, – შენ რა ნება გაქვს, ხელი შემახო. იცოდე, თითი რომ დამაკარო, ადგილზევე გაგაქრობ, უფრთხილდი ჩემს ჯადოს.

– შენმა ჯადომ თუალა სიკვდილისაგან ვერ იხსნა, ბებერო ძუკნავ, ამიტომ მეც ვერაფერს დამაკლებს, – მიუგო იგნოზიმ. – მისმინე, აი, რა მსურს შენგან, უნდა წაგვიძღვე საგანძურში, სადაც ის ბრჭყვიალა ქვებია დაფლული.

– ჰა, ჰა, ჰა! – გადაიხარხარა კუდიანმა, – იმ საგანძურს ჩემ გარდა ვერავინ მიაგნებს, მე კი კრინტს არ დავძრავ. თეთრი ჯადოქრები ცარიელ-ტარიელნი გაბრუნდებიან აქედან.

– ყველაფერს ახლავე მეტყვი, გაიძულებ, თქვა!

– რა გზით მაიძულებ, ჰოი, მეფეო? შენ ყოვლისშემძლე ხარ, მაგრამ განა შეგწევს ძალა სიმართლე ამოგლიჯო ქალის ბაგეს?

– ეს ძნელია, მაგრამ მაინც შევძლებ.

– ხომ არ გამანდობ, რა გზით, მეფეო?

– არ იტყვი და, ნელი სიკვდილით ამოგხდი სულს.

– სულს ამომხდი? – დაიწრიპინა კუდიანმა, მაგრამ, ეტყობოდა, შიშით თავზარი დაეცა. – ვერ გაბედავ ხელი მახლო, – დაუმატა გააფთრებით. – ადამიანო, შენ არ იცი, ვინა ვარ. როგორ გგონია, რამდენი წლის ვიქნები? მე მახსოვს თქვენი მამები და თქვენი მამის მამები. მე აქ ვიყავი, როცა ეს ქვეყანა ჯერ ნორჩი იყო, და აქვე ვიქნები, როცა იგი დროს მოიჭამს. კიდევ დიდხანს ვიქნები. მე არ მოვკვდები. შეიძლება, შემთხვევით მომკლან, დიახ, შემთხვევით, მაგრამ ამას ვერ გაბედავენ.

– მიუხედავად ამისა, მაინც მოკვდები. მისმინე, გაგულა, ბოროტების დედავ, შენ ისეთი მიხრწნილი ხარ, რომ სიცოცხლე აღარც კი გეყვარება. რის მაქნისია შენთვის სიცოცხლე? რად უნდა სიცოცხლე შენისთანა ბებერ ეშმაკს, რომელსაც აღარც ადამიანის სახე აქვს, არც თმა, არც კბილები – ერთი სიტყვით, არ გააჩნია არაფერი, გარდა სიძულვილისა და ბოროტი თვალებისა? ჩემი მხრივ დიდი სიკეთე იქნება, თუ მოგკლავ, გაგულა!

– სულელი ხარ! – კვლავ იწივლა დედაბერმა, – წყეულო, უგუნურო არსებავ! შენა გგონია, მარტო ახალგაზრდებს უყვართ სიცოცხლე? მაშ, გულისა არაფერი გცოდნია. ახალგაზრდები ზოგჯერ ჩქარობენ სიკვდილს, რადგან გრძნობებს ემონებიან. მათ უყვართ, იტანჯებიან, დარდობენ, როცა მათი

რჩეულნი აჩრდილთა სამყაროში მიდიან, მოხუცებს კი გრძნობები არ გააჩნიათ, მათ არ ტანჯავთ სიყვარული და – ჰა-ჰა-ჰა! – იცინიან, როცა სხვებს წყვდიადი ნთქავს. ჰა-ჰა! უხარიათ, როცა დედამიწაზე ბოროტებას ხედავენ. მათ უყვართ მხოლოდ სიცოცხლე, თბილი, ძალიან თბილი მზე და ტკბილი, ძალიან ტკბილი ჰაერი. მათ ეშინიათ სიცივის, სიცივისა და ბნელის. ჰა-ჰა-ჰა!

ბებერი კუდიანი მიწაზე ხოხავდა, შეშლილივით ხარხარებდა და იკლაკნებოდა.

– შეწყვიტე ეგ ბოროტი სისინი და მიპასუხე! – რისხვით უთხრა იგნოზიმ. – მიმიყვან იმ საგანძურთან, სადაც ბრჭყვიალა ქვები ინახება, თუ არა? თუ არ მიმიყვან, მოკვდები, აი აქვე, ამწამსვე გაგათავებ! – იგნოზიმ შუბს ხელი დაატანა და გაგულას თავზე აღმართა.

– არა-მეთქი, არ მიგიყვან. შენ ჩემი მოკვლის უფლება არა გაქვს, ჩემი მკვლელი უკუნითი უკუნისამდე დაწყევლილი იქნება.

იგნოზიმ ნელ-ნელა დასწია შუბი ძირს, წვერით შეეხო ამ ჩვრების გროვას.

გაგულა გიჟური ყვირილით წამოიჭრა ზეზე, მერე დაეცა და იატაკზე ხოხვას მოჰყვა.

– ოჰ, არ მომკლა, მიგიძღვებით იმ საგანძურთან, მხოლოდ მაცოცხლე! ნება დამრთე, მზეზე გავთბე და დღეში თითო ლუკმა ხორცი მქონდეს, ნუ მომისპობ ამას და ყველაფერზე თანახმა ვიქნები.

– კარგი, ვიცოდი, რა გზითაც მოგიყვანდი ჭკუაზე. ხვალვე წაიყვან იქ ინფადუსსა და ჩემს თეთრ ძმებს. მიფრთხილდი, თუ მომატყუე, ნელი სიკვდილით მოგკლავ.

– არ მოგატყუებ, იგნოზი, მე ჩემი სიტყვის პატრონი ვარ. ჰა-ჰა-ჰა! ერთხელ, ძალიან დიდი ხნის წინათ, ერთმა ქალმა იმ საგანძურში თეთრკანიანი შეიყვანა. მერე რა? იმ თეთრკანიანს ჭირის დღე დაადგა, – იმ ქალსაც გაგულა ერქვა, იქნებ... იქნებ მე ვიყავი ის ქალი?

– შენ ცრუობ, – ვუთხარი მე, – მას შემდეგ აგერ მეათე თაობა მოდის.

– შესაძლოა, შესაძლოა, როცა ამდენ ხანს ცხოვრობ, ყველაფერი გავიწყდება. ეგებ ჩემი დედის დედამ მომიყვა ეს ამბავი, მაგრამ იმ ქალს კი ნამდვილად გაგულა ერქვა. დაიხსომეთ, – გვითხრა მერე და ჩვენ მოგვიბრუნდა, – საგანძურში, სადაც ბრჭყვიალა ქვები ინახება, ავსებულ ტყავის გუდას ნახავთ. ის გუდა თეთრმა ადამიანმა აავსო, მაგრამ ვეღარ წაიღო. უბედურება დაატყდა თავს, გეუბნებით, უბედურება დაატყდა-მეთქი. ეგებ ჩემი დედის დედამ მიამბო ეს ყველაფერი!.. გზას მხიარულად გავლევთ, ვნახავთ მათ გვამებს, ვინც ბრძოლაში დაეცა. ალბათ ყვავებმა უკვე ამოკორტნეს თვალები, ძვლები კი მხეცებმა დახრეს. ჰა-ჰა-ჰა!

თ ა ვ ი X V I

ს ი კ ვ დ ი ლ ი ს ს ა ვ ა ნ ე

ზემოთ აღწერილი შემთხვევის შემდეგ ორმა დღემ განვლო. მესამე დღეს, საღამოს უკვე ბნელოდა, როცა „სამი ჯადოქრის" მთის ძირს მივაღწიეთ. აქ იდგა რამდენიმე ქოხი, სადაც ღამის გათევას ვაპირებდით.

„სამ ჯადოქარს" ეძახდნენ სამკუთხედივით აღმართულ სამ მთას, ამ მთებში წყდებოდა სოლომონ მეფის დიდი გზა. ჩვენ თან გვახლდა ფულატა – იგი,

რასაკვირველია, გუდის გამო წამოგვყვა, – ინფადუსი, გაგულა და მსახურთა და მცველთა რაზმი. გაგულა საკაცით მოჰყავდათ. მთელი გზა მხოლოდ მისი ბუზღუნი და წყევლა-კრულვა ისმოდა.

მთები, ან უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, სამი მწვერვალი, რომლებიც, როგორც ეტყობოდა, ერთი და იგივე გეოლოგიური დაწევით იყო წარმოქმნილი, სამკუთხედის მსგავსად იყო განლაგებული. ფუძე საერთო ჰქონდათ, ერთი მწვერვალი მარჯვნივ იდგა, მეორე – მარცხნივ, მესამე კი ზედ ჩვენ პირდაპირ იყო აღმართული.

რომ იცოდეთ, რა დიდებული სურათი წარმოგვიდგა თვალწინ მეორე დღეს დილით; ჩვენ წინ ცად აზიდულიყო თოვლის თეთრი გვირგვინებით შემკობილი სამი მწვერვალი, რომელთაც დილის მზის სხივები ელაციცებოდა. ქვემოთ, იქ, სადაც თოვლის ფაფანაკი მთავრდებოდა, მანანას ხშირი ბუჩქნარისაგან მთები წითლად იყო შეღებილი. ასეთივე ფერით იყო გადაქარგული ტორფის ჭაობები, რომლებიც დაბლობიდან მთის ფერდობებს მიუყვებოდნენ. ჩვენ წინ კი თეთრი ზოლივით გადაჭიმულიყო სოლომონ მეფის დიდი გზა. იგი ასდევდა შუა მწვერვალს, ჩვენგან ხუთიოდე მილით რომ იყო დაშორებული, და მის თხემზე წყდებოდა.

ძნელია იმის აღწერა, როგორ ვღელავდით იმ დილით. მკითხველი თვითონ წარმოიდგენს, რა ყოფაში ვიქნებოდით. აჰა, როგორც იყო, მივუახლოვდით იმ საოცარ საბადოს. განა მის გამო არ დაიღუპა სამასი წლის წინათ მოხუცი პორტუგალიელი, მისი ბედკრული შთამომავალი ჩემი მეგობარი ხოზე სილვესტრი და სერ ჰენრის ძმა ჯორჯ კურტისი?

ჩვენ რაღა გველოდა? ამდენი ტანჯვისა და განსაცდელის შემდეგ, რას გვიმზადებდა ბედი? და სილვესტრას, როგორც ამ კუდიანმა გაგულამ გვითხრა, დიდი ტანჯვა-წვალების გადატანა მოუხდა. ნუთუ ჩვენც იგივე გვეწერა? ასე იყო თუ ისე, გზა თანდათანობით მიილია. მე კი ვერა და ვერ გავართვი თავი შიშს, თუმცა, მგონი, სერ ჰენრი და გუდიც ვერ იყვნენ გულმაგრად.

ნახევარი საათი მაინც ვიარეთ გზაზე. გზას აქეთ-იქით მანანას ბუჩქები მიუყვებოდა. მღელვარებისაგან ისე სწრაფად მივაბიჯებდით, რომ მსახურები, რომელთაც გაგულას საკაცე მოჰქონდათ, ძლივძლივობით გვეწეოდნენ.

გაგულას ფარდებიდან გამოეყო დანაოჭებული სახე, თვალებანთებული გვიყურებდა და მოგვკიოდა:

– სად მიგეჩქარებათ, თეთრო ადამიანებო? ასე რატომ ესწრაფვით სიკვდილს, განძის მაძიებლებო? – თქვა და ისე საზარლად გადაიხარხარა, რომ ტანში ცივმა ჟრუანტელმა დამიარა. ამ სიცილმა ცოტათი გამოგვაფხიზლა და გზნება გაგვინელა, თუმცა მაინც ჯიუტად განვაგრძობდით გზას.

ბოლოს, სწორედ ჩვენ წინ გამოჩნდა დიდი, მრგვალი ხარო, დამრეცი კალთებით. იგი ნახევარ მილზე მაინც იყო გაჭიმული, სიღრმე კი სამას ფუტამდე ექნებოდა.

– თქვენ ალბათ მიხვდით, რაც უნდა იყოს ეს, – ვუთხარი სერ ჰენრის და გუდს, რომლებიც გაოცებულნი ჩაჰყურებდნენ ამ უზარმაზარ ძაბრისებურ ღრმულს.

მათ უარის ნიშნად თავი გააქნიეს.

– რაკი ასეა, ჩემთვის ცხადია, რომ თქვენ არასოდეს გინახავთ კიმბერლის ალმასის საბადოები. დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ სწორედ ეს არის სოლომონ მეფის ალმასის საბადო. აბა, აქეთ მოიხედეთ, – ვუთხარი და მყარ ცისფერ შლამზე მივუთითე, ბალახსა და ბუჩქნარს შორის აქა-იქ რომ მოჩანდა. – ეჭვი არ მეპარება, ამ მაღაროში რომ ჩავსულიყავით, კიმბერლიტის მაგმით ან

ალმასის შემცველი ბრეკჩიით ავსილ ალმასის მილაკებს აღმოვაჩენდით. ახლა კი ამას დააკვირდით, – ვთქვი მე და მაღაროს დამრეც ფერდობზე, ძველისძველი წყალსადინარის ქვემოთ, კლდის ჯიშების გამოფიტული ბრტყელი ფილების გროვისაკენ გავიწვდინე ხელი. – კაცი არ ვიყო, თუ ოდესღაც ამ ფილებს ქანების გამოსარეცხად არ იყენებდნენ.

დიახ, ეს ხარო გახლდათ მოხუცი პორტუგალიელის რუკაზე აღნიშნული საბადო, მის კიდესთან დიდი გზა ორად იყოფოდა და საბადოს ირგვლივ უვლიდა. ბევრგან ეს გზა უზარმაზარი ქვებით იყო მოკირწყლული, ალბათ, იმიტომ, რომ გაემაგრებინათ მაღაროს კედელი და დაეცვათ ჩამოქცევისაგან ფუჭი ფიქალი, რომელიც ალმასის შემცველ ბრეკჩიებს ერტყმოდა გარს. ფეხს ავუჩქარეთ, გვინდოდა, რაც შეიძლება მალე გვენახა, რას წარმოადგენდა ის სამი ქანდაკება, ხაროს მოპირდაპირე მხარეს რომ მოჩანდა. როცა მივუახლოვდით, აღმოჩნდა, რომ ეს იყო სამი უზარმაზარი კოლოსი – სწორედ ის სამი დაყურსებული, კუკუანელები ისეთი მოკრძალებითა და შიშით რომ იხსენიებდნენ.

შავი კლდის უზარმაზარ კვარცხლბეკზე, რომელზედაც გაურკვეველი იეროგლიფები იყო ამოკვეთილი, ერთმანეთისაგან ოც-ოცი ნაბიჯის დაშორებით იდგა სამი ვეება ქანდაკება – ორი მამაკაცისა, ერთი კი – ქალის. ისინი ლუუსკენ მიმავალ გზას გასცქეროდნენ. თითოეული მათგანი სიმაღლით თვრამეტ ფუტს აღწევდა.

შიშველი ქალის ქანდაკება საოცარი სილამაზით გამოირჩეოდა, თუმცა, ცოტა არ იყოს, მკაცრი იერი დაჰკრავდა. სამწუხაროდ, სახის ნაკვთები ძალიან დაზიანებული ჰქონდა. საუკუნეთა განმავლობაში ამინდის ცვალებადობას თავისი დაღი დაესვა. ქალს თავს უმშვენებდა ორთავ მხარეს აღმართული ნამგალა მთვარის რქები. მამაკაცთა ქანდაკებები კი, ქალისაგან განსხვავებით, მოსასხამებში იყო გახვეული. ორივეს საზარელი სახე ჰქონდა. მაგრამ მარჯვნივ მჯდომი ნამდვილი დემონის განსახიერება იყო, მეორეს კი უფრო მშვიდი, უშფოთველი სახე ჰქონდა. თუმცა ეს სიმშვიდე გზარავდათ. გზარავდათ არაადამიანური სიმკაცრითა და ულმობლობით. ამგვარ სიმკაცრეს, სერ ჰენრის აზრით, ძველი დროის ადამიანის ფანტაზია უძლიერეს პიროვნებებს ანიჭებდა. ამ პიროვნებას იქნებ სიკეთის ჩადენაც შეეძლო, მაგრამ მიუხედავად ამისა, თუ ადამიანის ტანჯვა-წამების ცქერა სიამოვნებას არ ჰგვრიდა, ყოველ შემთხვევაში, არც დიდ სატანჯველს მიაყენებდა. სამი განმარტოებული ქანდაკება, საუკუნეების მანძილზე რომ გადმოსცქეროდა დაბლა გაშლილ ტაფობს, მართლაც მოკრძალებისა და შიშის გრძნობას იწვევდა. შევცქეროდით დაყურსებულებს, როგორც მათ კუკუანელები უწოდებდნენ, და ძალიან გვეწადა გაგვეგო, ვისმა ხელებმა გამოკვეთა ბუმბერაზები, ვინ გაიყვანა გზა და ამოთხარა ეს უზარმაზარი ხარო. გაოცებული ვუყურებდი ამ ქანდაკებებს და უეცრად გამახსენდა თქმულება ძველი აღთქმიდან (ძველი აღთქმა ხომ კარგად ვიცოდი): სოლომონი გადაუდგა თავის სარწმუნოებას და თაყვანს სცემდა უცხო ქვეყნის ღმერთებს. გამახსენდა იმ სამი ღმერთის სახელებიც: აშტორეტი – სიდონელთა ღმერთი, ჩემოში – მოაბიტების ღმერთი და მილკომი – ამონას შვილთა ღმერთი. თანამგზავრებს ჩემი მოსაზრება გავუზიარე: იქნებ სამი ქანდაკება სწორედ ის სამი ცრუ ღმერთი არის-მეთქი.

– შეიძლება, თქვენ მართალი იყოთ, – დაფიქრებით მითხრა სერ ჰენრიმ. იგი ძალიან განათლებული კაცი იყო. ჯერ კიდევ კოლეჯში შეესწავლა კლასიკოსები. – ძველბერძნული აშტორეტი ხომ ფინიკიელთა შორის ასტარტას სახელით არის ცნობილი, – განაგრძო მან. – ფინიკიელები კი სოლომონის

დროს გამოჩენილი ვაჭრები იყვნენ. ასტარტას, რომელსაც მოგვიანებით ბერძნებმა აფროდიტას სახელი უწოდეს, ასახავდნენ ნამგალა მთვარის მსგავსი რქებით. ამ ქანდაკების თავზე კი ნათლად მოჩანს ასეთი რქები. ვინ იცის, შეიძლება ეს ბუმბერაზები გამოკვეთეს რომელიმე ფინიკიელი „დიდი კაცის" ბრძანებით, რომელიც ამ მაღაროების მუშაობას ხელმძღვანელობდა.

ჩვენ ჯერ კიდევ თვალი ვერ მოგვეწყვიტა უძველესი ხანის ამ უტყვი მოწმეებისათვის, რომ ინფადუსი მოგვიახლოვდა. მან შუბი აღმართა და დაყურსებულებს სალამი მისცა. შემდეგ მოგვიბრუნდა და გვითხრა, ისურვებთ სიკვდილის სავანეში ჩასვლას, თუ დაიცდით და ნაშუადღევს წახვალთ. თუ წასვლას ინებებთ, გაგულა მზად არის წამოგყვეთო. ჯერ თერთმეტი საათიც არ იქნებოდა, მაშასადამე, შუადღემდე კარგა დიდი დრო იყო. ცნობისწადილი გვკლავდა, ამიტომ გადავწყვიტეთ, შუადღეს არ დავლოდებოდით და ინფადუსს გამოვუცხადეთ, რომ მაშინვე გვინდოდა მაღაროში ჩაშვება. მე, ყოველი შემთხვევისათვის, ვთქვი, ვინ იცის, როდემდე დავყოვნდებით დაბლა და ცოტა რამ საჭმელი წავიღოთ-მეთქი. მოიტანეს საკაცე, რომელზედაც გაგულა იჯდა. პატივცემული ლედი ცნობისმოყვარეობით ადევნებდა თვალს ჩვენს სამზადისს. ამასობაში ფულატამ, ჩემი თხოვნით, ლერწმის კალათში ცოტაოდენი ბილტონგი ჩადო და პირთამდე წყლით ავსებული გოგრის წყვილი ბოთლი ჩადგა.

ზედ ჩვენ წინ, ბუმბერაზებიდან ორმოცდაათიოდე ნაბიჯზე, იწყებოდა ქვის ციცაბო კედელი, რომლის სიმაღლე რვაას ფუტზე ნაკლები არ იქნებოდა. ზევით ეს კედელი თანდათანობით ვიწროვდებოდა და წარმოქმნიდა თოვლით დაფარული დიდი მწვერვალის ძირს. მწვერვალი სამასი ფუტის სიმაღლეზე იქნებოდა აზიდული. გაგულა საკაციდან ჩამოვიდა, ჩვენკენ გამოიხედა, ერთი ბოროტად ჩაიცინა, შემდეგ ჯოხს დაეყრდნო და სწორედ იმ ციცაბო კლდისკენ წატუსტუსდა. ჩვენც, რასაკვირველია, უკან მივყევით. მალე მივუახლოვდით ვიწრო თაღოვან კარიბჭეს, რომელიც შახტში ჩასასვლელ ტალანს წააგავდა.

გაგულა აქ გველოდა. სახეზე ჯერ კიდევ არ ჩამოცლოდა ბოროტი ღიმილი.

– მაშ, ვარსკვლავეთიდან ჩამოსულო თეთრო ადამიანებო, სახელოვანო მებრძოლებო: ინკუბუ, ბუგვან და მაკუმაზან, მზადა ხართ თუ არა? მე აქ მოვედი, რომ აღვასრულო მეფის, ჩემი ბატონის ბრძანება, გიჩვენოთ ბრჭყვიალა ქვების საგანძური.

– ჩვენ მზადა ვართ, – ვუთხარი.

– კარგი, კარგი, მაშ გაიკაჟეთ გული, რომ გაუძლოთ, რასაც აქ ნახავთ. შენც მოდიხარ თუ არა, ჰოი, ინფადუს, მეფის მოღალატევ და გამყიდველო?

ინფადუსმა წარბი შეიკრა.

– არა, არ მოვდივარ, ჩემი იქ ჩამოსვლა არ შეიძლება. შენ კი, გაგულა, გირჩევ ენა დაიმოკლო! ამ ხალხს გაბარებ, უფრთხილდი, ცუდს არაფერს გადაეყარონ. იცოდე, თავზე ბეწვიც რომ დააკლდეთ, სიცოცხლეს გამოგასალმებ. ვერ გადამირჩები, თუნდაც ათას ქაჯად და ეშმაკად იქცე. ხომ გეყურება, რას გეუბნები?

– მეყურება, ინფადუს, მეყურება, მაგრამ ისიც ვიცი, რომ ტრაბახი გიყვარს. მახსოვს, პატარა რომ იყავი, დედას ემუქრებოდი ხოლმე. ეს კი სულ ახლახან იყო. ჰო, ნუ გეშინია-მეთქი, მე მხოლოდ იმისათვის ვცოცხლობ, რომ მეფის ბრძანება აღვასრულო. ჩემს სიცოცხლეში მრავალ მეფეთა ნება-სურვილი შემისრულებია, ინფადუს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ყველას ჩემს ნებაზე ვათამაშებდი. ჰა! ჰა! მივდივარ იქ, რათა ერთხელ კიდევ დავინახო მათი სახეები, თუალაც იქ დამხვდება. წამოდით! წამოდით-მეთქი! აი, ჭრაქი, – გაგულამ

თავისი ბეწვის მოსასხამიდან დიდი გულამოცლილი გოგრა ამოიღო. გოგრა ზეთით იყო ავსებული, პატრუქად კი ლერწმის ბოჭკო ჰქონდა.

– განა შენ კი არ წამოგვყვები, ფულატა? – ჰკითხა გუდმა, საშინლად დამტვრეულ კუკუანურ ენაზე. ჩვენი კაპიტანი ჯიუტად სწავლობდა კუკუანურს ამ ახალგაზრდა ლედის ხელმძღვანელობით.

– მეშინია, ჩემო მბრძანებელო, – მოკრძალებით მიუგო ფულატამ.

– მაშინ ეგ კალათი მომეცი, მე წავიღებ.

– არა, ჩემო მბრძანებელო, სადაც შენ წახვალ, მეც იქ ვიქნები.

„რაღა თქმა უნდა, წამოხვალ, ეშმაკმა დალახვროს შენი თავი, – გავიფიქრე მე. – ეს კარგა გვარიანად გაართულებს საქმეს, თუ ოდესმე აქედან წასვლას დავაპირებთ".

ამასობაში გაგულა ჩაძვრა ბნელ გასასვლელში, რომელშიაც თავისუფლად გაეტეოდა ორი გვერდი-გვერდ მიმავალი ადამიანი. ჩაძვრა და მოგვაკნავლა, უკან მომყევითო. ჩვენც, ცოტა არ იყოს, შემკრთალები მივყევით უკან მის ხმას. ფრთების ფართხუნით გადაგვიქროლეს თავზე რაღაც არსებებმა, რომელთაც ჩვენი მოსვლით მყუდროება დავურღვიეთ. ამ გარემოებას, თქმა არ უნდა, ჩვენი შიში არ გაუქარწყლებია.

– ეჰეი, ეს რაღაა? – წამოიძახა გუდმა, – ვიღაცა სახეში მიტყლაშუნებს.

– ღამურებია, – გამოვეხმაურე მე, – იარეთ, ნუ გეშინიათ.

ორმოციოდე ნაბიჯის შემდეგ შევამჩნიეთ, რომ გასასვლელი ოდნავ განათდა. კიდევ წუთი და საოცარ მღვიმეში აღმოვჩნდით.

წარმოიდგინე, მკითხველო, უდიდესი ტაძარი, რომელშიც კი ოდესმე ყოფილხარ, და მაშინ ნაწილობრივ მაინც მიხვდები, რამოდენა იქნებოდა ეს უზარმაზარი მღვიმე. დიდი არქიტექტორის, ბუნების, მიერ შექმნილი ეს ტაძარი ადამიანის ხელით აგებულ ყველა ტაძარზე უფრო მაღალი და ფართო იყო. ფანჯრები არსად ჩანდა, მაგრამ საიდანღაც ზემოდან ჩამოდიოდა მკრთალი შუქი. ალბათ თაღს, ჩვენგან რამდენიმე ფუტის სიმაღლეზე რომ აზიდულიყო, დატანებული ჰქონდა შახტები, რომლებშიც გარედან ჰაერი და სინათლე ატანდა. მღვიმეს მთელ სიგრძეზე მიუყვებოდა უზარმაზარი სვეტები, ისინი ყინულისაგან ჩამოსხმული გეგონებოდათ. ეს იყო უზარმაზარი სტალაქტიტები. გაგვაოცა ამ თეთრი სვეტების საოცარმა მოხაზულობამ და სინატიფემ. ზოგიერთის დიამეტრი ფუძესთან ოც ფუტზე მეტიც კი იქნებოდა. ზოგი მაღლა, პირდაპირ შორეული თაღისკენ მიიწევდა, ზოგი კი ახლა იქმნებოდა და, სერ ჰენრის თქმისა არ იყოს, ძველი ბერძნული ტაძრის სვეტების ნანგრევებს მოგაგონებდათ. მაღლა, თაღზე ბუნდოვნად ილანდებოდა უზარმაზარი ლოლუების წვეტები.

გაოცებულები უხმოდ შევყურებდით ამ სურათს. დროდადრო გვესმოდა წვეთების ოდნავ გასაგონი წკაპუნი – შორეულ ლოლუებს წყდებოდა წყლის წვეთი და სწორედ ქვის იატაკზე აღმართულ თეთრ სვეტებს ეცემოდა. ზოგ სვეტს წვეთები ყოველ ორ-სამ წუთში ერთხელ ეცემოდა. საინტერესო იქნებოდა გამოგვეთვალა, ამ სიჩქარით რამდენი ხანი დასჭირდებოდა ოთხმოცი ფუტი სიმაღლისა და ათი ფუტი დიამეტრის მქონე სვეტის წარმოქმნას. თუ რა საოცრად ნელა მიმდინარეობდა ეს პროცესი, ამაზე ის მეტყველებდა, რომ ერთ-ერთ სვეტზე ამოკვეთილი იყო მუმიის მსგავსი რაღაც უხეში ნახატი. მუმიას თავთით ღმერთი უჯდა. ღმერთი აშკარად ეგვიპტური იყო. იგი სვეტზე ამოკვეთა ადამიანმა, რომელიც შორეულ წარსულში ამ საბადოში მუშაობდა. უცნობ მხატვარს „ხელოვნების ეს ნიმუში" ნორმალური ადამიანის სიმაღლეზე, ესე იგი, იატაკიდან დაახლოებით ხუთ ფუტზე ამოეკვეთა. ალბათ, ყველა დროს ჰყავს თავისი უსაქმურები – უძველეს დროში მცხოვრები ფინიკიელი მუშა თუ

თანამედროვე ეპოქის ინგლისელი ბიჭი, რომელთაც სურთ, რადაც უნდა დაუჯდეთ, უკვდავჰყონ თავიანთი სახელები ბუნების მიერ შექმნილი შედევრების ხარჯზე.

მას შემდეგ, რაც ეგვიპტელმა ის გამოსახულება ამოჭრა, თითქმის სამი ათასმა წელმა განვლო. სვეტის სიმაღლე კი ახლა, როცა მას ვათვალიერებდით, რვა ფუტი თუ იქნებოდა და მისი შექმნის პროცესი ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული. გამომდინარე აქედან, უნდა გვეფიქრა, რომ სვეტი ყოველ ათას წელიწადში ერთი ფუტით, ან საუკუნეში ერთი დუიმით იზრდებოდა. ჩვენ ეს დავიანგარიშეთ, როცა ამ სვეტთან ვიდექით და წვეთების თანაბარ წკაპუნს ყურს ვუგდებდით.

მღვიმეში ზოგჯერ უცნაური ფორმის სტალაქტიტებიც გვხვდებოდა. ეს განსაკუთრებით შეიმჩნეოდა იქ, სადაც წყლის წვეთები დაცემისას ერთსა და იმავე ადგილზე არ ხვდებოდა. ასე, მაგალითად, ერთი უზარმაზარი ლოდი, რომლის წონა ასიოდე ტონა მაინც იქნებოდა, საყდრის კათედრას წააგავდა და გარედან ლამაზი, მაქმანების მსგავსი ნაყშებით იყო მორთული. სხვები ზღაპრულ ურჩხულებს მოგვაგონებდნენ. მღვიმის კედლები კი მოხატული იყო მარაოსებრი ჩუქურთმებით, რომლებიც მიწაზე ამოქარგულ ყინვის ნაყშებს ჰგავდა.

ამ უზარმაზარი დარბაზიდან მრავალი ტალანი გადიოდა უფრო პატარა მღვიმეებში. სერ ჰენრიმ თქვა – ეს ტალანები დიდი ტაძრიდან პატარ-პატარა ეკვდერებში გასასვლელებს მაგონებსო. ზოგიერთი ტალანი ძალიან ფართო იყო, მაგრამ ერთი-ორი ძალზე ვიწრო აღმოჩნდა. ეს იყო განსაცვიფრებელი მაგალითი იმისა, თუ როგორ ირჯება ბუნება და როგორ ხელმძღვანელობს იმავე უცვლელი კანონებით, ამ სამუშაოების მასშტაბებისაგან დამოუკიდებლად. მაგალითად, ერთი პაწაწკინტელა მღვიმე სათამაშო სახლისოდენა თუ იქნებოდა. მიუხედავად ამისა, იგი შესანიშნავად გამოდგებოდა უზარმაზარი დარბაზის არქიტექტურულ მოდელად. ამ მღვიმეშიც ისევე წკაპუნობდა წყლის წვეთები, ისევე ეკიდა თაღზე ერთი ბეწო ლოლუები და ისევე აღმართულიყო მაღაროს თეთრი სვეტები.

სამწუხაროდ, დრო არ გვქონდა იმისათვის, რომ უფრო მეტი ყურადღებით დაგვეთვალიერებინა ეს ლამაზი ქვაბული. გაგულას არაფრად აინტერესებდა სტალაქტიტები და, როგორც ეტყობოდა, ცდილობდა, რაც შეიძლება ჩქარა მოემთავრებინა საქმე. ამან ძალიან გამაბრაზა, განსაკუთრებით იმიტომ, რომ გულით მეწადა, გამეგო, საიდან შემოდიოდა მღვიმეში სინათლე, ვინ შექმნა იგი – ბუნებამ თუ ადამიანის ხელმა, იყენებდნენ თუ არა მას რაიმე მიზნით შორეულ წარსულში, რაც, რასაკვირველია, სრულიად შესაძლებელი იყო.

გულდაწყვეტილები მივყვებოდით ჩვენს ბოროტ წინამძღოლს; გადაწყვეტილი გვქონდა, აქეთობას ყველაფერი კარგად დაგვეთვალიერებინა და თავს ამით ვინუგეშებდით.

გაგულა სულ წინ და წინ მიიწევდა, ახლა რომელიღაც უზარმაზარი მდუმარე მღვიმის შორეული კედლისკენ მივყავდით. ამ მღვიმეს არ ჰქონდა თაღი, კვადრატული იყო და ეგვიპტური ტაძრის შესასვლელს წააგავდა.

– მზად ხართ თუ არა სიკვდილის სავანეში შესასვლელად? – გვკითხა გაგულამ. ეტყობოდა, უნდოდა ამ კითხვით ჩვენზე მეტი შთაბეჭდილება მოეხდინა.

– გაგვიძეხ, მაკდუფ! – ერთი ყოფით უთხრა გუდმა, თან ცდილობდა შიში არ დამჩნეოდა.

ფულატას გარდა ყველას მშვიდად გვეჭირა თავი. ფულატამ გუდს ხელზე ხელი წაავლო, თითქოს დაცვას სთხოვსო.

– ცოტა არ იყოს, შიში შეეპარება ადამიანს, – თქვა სერ ჰენრიმ. – გაგვიძეხ წინ, ქუოტერმენ, სენიორეს პნიორეს, ნუ ვალოდინებთ პატივცემულ ლედის, – და მან ზრდილობიანად დამითმო გზა, რისთვისაც გულის სიღრმეში სულაც არ ვუმადლოდი.

– კაკ-კუკ! – მიკაკუნობდა იატაკზე გაგულას ყავარჯენი. ეს კუდიანი არსება ბოროტი სიცილით მიგვიძღოდა ბნელ ტალანში. უსიამო წინათგრძნობით შეპყრობილი ნელ-ნელა ჩამოვრჩი უკან.

– წადით, წადით, მეგობარო, – მითხრა გუდმა. – ვიაროთ, თორემ ჩვენს მშვენიერ მეგზურს ჩამოვრჩებით.

ამ სიტყვების შემდეგ ფეხს ავუჩქარე. მალე ერთ ბნელ მღვიმეში შევედით. მღვიმის სიგრძე ასე, ორმოცი ფუტი იქნებოდა, სიმაღლე და სიგანე კი – ოცდაათ-ოცდაათი ფუტი. ეტყობოდა, ადამიანის ხელით იყო გამოკვეთილი.

აქ, იმ პირველ, სტალაქტიტებიან მღვიმესთან შედარებით, ნაკლები სინათლე იყო. ბინდში დავლანდე ქვის დიდი მაგიდა, რომელიც მღვიმის მთელ სიგრძეზე იდგა. მაგიდის თავში იჯდა უზარმაზარი თეთრი გამოსახულება, ირგვლივ კი ისეთივე თეთრი, მაგრამ ჩვეულებრივი სიდიდის გამოსახულებები ჩანდა. მაგიდის შუაგულში რაღაც ყავისფერი საგანი დავინახე. ამასობაში ბნელს თვალი შევაჩვიე და როდესაც გავარჩიე, ანგარიშმიუცემლად, რაც ძალი და ღონე მქონდა, უკან მოვკურცხლე. უნდა მოგახსენოთ, რომ არც ნერვიული ვარ და არც ცრუმორწმუნე, მაგრამ აქ ნანახმა სურათმა საშინლად შემაძრწუნა. სერ ჰენრის საყელოში რომ არ წაევლო ჩემთვის ხელი და არ შევეჩერებინე, ხუთი წუთის შემდეგ მღვიმეში აღარ ვიქნებოდი და, კიმბერლის მთელი ალმასები რომ შემოეძლიათ, უკან მაინც არ დავბრუნდებოდი. მაგრამ სერ ჰენრის მაგრად ვყავდი ჩაბღუჯული და, რა გაეწყობოდა, ბედს უნდა დავმორჩილებოდი. წუთის შემდეგ სერ ჰენრიმაც შეაჩვია თვალი ბნელს. იმწამსვე მიშვა ხელი და შუბლიდან ცივი ოფლი მოიწმინდა. გუდი ხმადაბლა იგინებოდა. ფულატა ყვირილით ჩამოეკიდა კისერზე. გაგულა კი ხმამაღლა და შეუჩერებლად ხარხარებდა.

სურათი მართლაც შემაძრწუნებელი იყო: ქვის გრძელი მაგიდის თავში ადამიანის ჩონჩხის სახით იჯდა თვით სიკვდილი. სიმაღლით თხუთმეტ ფუტზე მეტი იქნებოდა. გაძვალტყავებულ თითებში უზარმაზარი შუბი ეჭირა. შუბი თავზემოთ ისე აღემართა, თითქოს ვიღაცას უნდა უგმიროსო. მეორე ხელით მაგიდას იმგვარად დაყრდნობოდა, გეგონებოდათ, წამოდგომას ლამობსო. ჩონჩხი წინ იყო წამოხრილი, ასე რომ მისი კისრის მალებსა და მოლაპლაპე თავის ქალას გარკვევით ვხედავდით. თვალის ცარიელი ფოსოები ჩვენკენ ჰქონდა მოქცეული, ყბები კი ოდნავ გაეხსნა. ღმერთმანი, არ გაგვიკვირდებოდა, ახლა რომ რამე ეთქვა.

– ციურნო ძალნო! – დავიჩურჩულე ბოლოს, – რა არის ეს?

– ესენი ვინღა არიან? – იკითხა გუდმა და მაგიდის ირგვლივ მსხდარ საზოგადოებაზე მიგვითითა.

– ან იქ რა არის, დალახვროს ეშმაკმა! – თქვა თავის მხრივ სერ ჰენრიმ და ხელი მაგიდის შუაგულისკენ გაიწვდინა. – რა არის-მეთქი ის ყავისფერი საგანი?

– ჰი-ჰი-ჰი! – იცინოდა გაგულა, – ვაი მათ, ვინც სიკვდილის სავანეში ფეხს შემოდგამს, ჰი-ჰი-ჰი! აქეთ მობრძანდი, ინკუბუ, ბრძოლაში სახელგანთქმულო, მოდი და ნახე ის, ვინც საკუთარი ხელით მოჰკალი. –

დედაბერმა სერ ჰენრის გაძვალტყავებული თითები სახელოში ჩასჭიდა და თავისკენ მიიზიდა.

ჩვენ უკან მივყევით.

უეცრად გაგული შეჩერდა და მაგიდის შუაგულში იმ ყავისფერ საგანზე მიგვითითა. სერ ჰენრიმ მის თითს მზერა გააყოლა და ყვირილით გადმოხტა უკან. არც არის გასაკვირი, ასე რომ აღელდა – იქ, მაგიდაზე დავინახეთ ვეება გვამი. ეს გახლდათ თუალა, კუკუანელთა უკანასკნელი მეფე. სულ შიშველი იყო, მუხლებზე კი ედო თავი, სერ ჰენრიმ ნაჯახით რომ წააგდებინა. მთელი გვამი თხელი, მინისებრი აფსკით იყო დაფარული, რის გამოც კიდევ უფრო საზარელი ჩანდა. თავდაპირველად ვერაფრით მივხვდით, საიდან გაჩნდა, ან რა იყო ეს აფსკა, მაგრამ უეცრად შევამჩნიეთ, რომ მღვიმის ჭერიდან პირდაპირ გვამის კისერზე ჟამდაჟამ ეცემოდა წყლის წვეთები, – ტკაპ! ტკაპ! კისრიდან წყლის წვეთები ნელ-ნელა უვლიდა მთელ სხეულს და ბოლოს მაგიდაში დატანებული პაწაწინა ხვრელით კლდეში გადიოდა. ახლა კი ყველაფერი ცხადი გახდა ჩემთვის – თუალას გვამი თანდათანობით სტალაქტიტად უნდა ქცეულიყო.

ჩემი მოსაზრების სისწორეს ამტკიცებდა თეთრი გამოსახულებები, მაგიდას ირგვლივ რომ შემოსხდომოდნენ. ეჭვგარეშეა, ეს იყო ადამიანთა სხეულები, ან უკეთ რომ ვთქვათ, ის, რაც ოდესღაც ადამიანთა სხეულებს წარმოადენდა, ახლა კი სტალაქტიტებად ქცეულიყო. კუკუანელები უხსოვარი დროიდან ინახავდნენ ამგვარად თავიანთ მეფეთა გვამებს.

საბოლოოდ მაინც ვერ გავიგე, რაში მდგომარეობდა პეტრიფიკაციის, ანუ გაქვავების მთელი მეთოდი, თუკი იგი საერთოდ არსებობდა, გარდა იმისა, რომ მიცვალებულებს ათავსებდნენ მაგიდაზე ისეთ ადგილას, სადაც წვეთ-წვეთად ჩამოდიოდა წყალი და მათ ყინულისებრი აფსკით ფარავდა. აფსკს წარმოქმნიდა სილიციუმის ხსნარი, რომელიც გვამებს უკუნითი უკუნისამდე შეინახავდა.

საზარელ სურათს წარმოადგენდნენ შპატის თეთრ სუდარებში გახვეული მეფეები. აფსკის ქვეშ ბუნდად ილანდებოდა მათი სახის ნაკვთები. სულ ოცდაშვიდი მეფე დავთვალე. უკანასკნელი იგნოზის მამა იყო. უსხდნენ მეფენი ამაზრზენ მაგიდას, რომელზედაც თვით სიკვდილი მბრძანებლობდა. მათი რიცხვის მიხედვით შეიძლებოდა დაგვედგინა, რომ გვამების შენახვის ეს წესი შემოღებული იქნა ოთხი საუკუნის წინათ.

არ იქნებოდა მართალი, თუ ვიტყოდით, რომ აქ იყო კუკუანელთა ყველა მეფე, რადგან ზოგი მათგანი, ცხადია, სადმე, ბრძოლაში დაიღუპებოდა. თუ ჩავთვლით, რომ ყოველი მეფე საშუალოდ თხუთმეტი წელიწადი იჯდა ტახტზე, დაახლოებით ოთხას ოცდახუთ წელიწადს მივიღებთ, მაგრამ სიკვდილის უზარმაზარი ჩონჩხი კიდევ უფრო ადრე უნდა ყოფილიყო მღვიმეში შემოტანილი და თუ არ ვცდები, იმავე ადამიანის ხელით იყო შექმნილი, ვინც კლდეში ის დაყურსებულები გამოკვეთა. ჩონჩხი გამოქანდაკებული იყო სტალაქტიტისაგან და განსაკუთრებული ოსტატობით იყო შესრულებული.

გუდი ზედმიწევნით ერკვეოდა ანატომიაში და განაცხადა: ანატომიის თვალსაზრისით, ჩონჩხი სრულყოფილი არისო.

ჩემი აზრით, ეს საზარელი ჩონჩხი რომელიმე უძველესი მოქანდაკის გაუკუღმართებული ფანტაზიის ნაყოფი იყო და კუკუანელებს უფრო მოგვიანებით დაებადათ აზრი, თავისი გარდაცვლილი მეფეები დაესვათ მაგიდაზე სიკვდილის საშინელი აჩრდილის გვერდით. შესაძლოა, თავის დროზე ჩონჩხი აქ იმიტომაც შემოიტანეს, რომ დაეფრთხოთ მძარცველები, თუ

ვინიცობაა ისინი განძსაცავში შესვლას დააპირებდნენ. არ ვიცი, ნამდვილად ასეა თუ არა, დაე, ჩემი ნაამბობიდან მკითხველმა თვითონ გამოიტანოს საკუთარი დასკვნები.

ყოველ შემთხვევაში, ასეთი იყო სიკვდილის თეთრი აჩრდილი და ასეთნი იყვნენ თეთრი მიცვალებულები.

თ ა ვ ი X V I I

ს ო ლ ო მ ო ნ მ ე ფ ი ს ს ა გ ა ნ ძ უ რ ი

ვიდრე გაოცებულები სიკვდილის სავანეს ვათვალირებდით და ვცდილობდით, შიში დაგვეთრგუნა, გაგულა სულ სხვა საქმით იყო გართული. იგი რაღაც მანქანებით სწრაფად აძვრა უზარმაზარ მაგიდაზე (როცა სჭირდებოდა, ძალზე მარდი ბრძანდებოდა) და გაემართა იქით, სადაც ჩვენი განსვენებული მეგობარი თუალა იჯდა. გუდმა თქვა, უნდა ნახოს, როგორ „მუჭუჭდება" მისი საყვარელი მეფეო. მართლა ასე იყო, თუ სხვა რამ ფარული მიზანი ამოძრავებდა, ეს გაგულას გარდა არავინ უწყოდა. შემდეგ ბებერი კუდიანი ისევ უკან გამობრუნდა. დროდადრო შეჩერდებოდა, რათა ხან ერთი და ხან მეორე შესუდრული გვამისთვის მიემართა ჩემთვის გაუგებარი სიტყვებით. ამასთან, ისეთი სახე ჰქონდა, როგორიც მექნებოდა მე, ან თქვენ, მკითხველო, ჩვენს კეთილ მეგობრებს რომ შეხვედროდით. ეს საიდუმლო და საზარელი რიტუალი რომ დაამთავრა, პირდაპირ სიკვდილის ჩონჩხის წინ ჩაჯდა და, რამდენადაც მივხვდი, ლოცვა-ვედრებას მოჰყვა. ცხადი იყო, ეს ბოროტი კუდიანი ღვარძლს ანთხევდა კაცობრიობის უბოროტესი მტრის წინაშე. მისი სახე, მთელი მისი გარეგნობა იმდენად ამაზრზენი იყო, რომ შევეცადეთ, რაც შეიძლება სწრაფად გავცლოდით იქაურობას.

– აბა, გაგულა, – თითქმის ჩურჩულით ვუთხარი მე, რადგან ასეთ ადგილას ხმამაღლა ლაპარაკი ვერ გამებედა. – ახლა კი გაგვიძეხ საგანძურისკენ.

დედაბერი მარდად ჩამოცოცდა მაგიდიდან.

– ჩემს მბრძანებლებს არ ეშინიათ? – მკითხა და ალმაცერად გადმომხედა.

– გაგვიძეხ-მეთქი, წინ!

– ძალიან კარგი, მბრძანებლებო, – თქვა გაგულამ, – თან კოჭლობით შემოუარა მაგიდას და სიკვდილის ქანდაკების უკან მღვიმის კედელთან შეჩერდა, – აი, აქ არის საგანძურის კარი, ჩემმა მბრძანებლებმა ჭრაქი აანთონ და შევიდნენ, – თქვა, ზეთით სავსე გოგრა იატაკზე დადგა, თვითონ კი მღვიმის კედელს მიეყრდნო.

მე ასანთი ავიღე (ყუთში კიდევ რამდენიმე ცალი ეწყო), ლერწმის ფთილას მოვუკიდე, თვალებით შესასვლელს ძებნა დავუწყე, მაგრამ მთლიანი კედლის მეტი ვერაფერი დავინახე.

– შესასვლელი აქ არის, მბრძანებლებო, ჰა! ჰა! ჰა!

– ნუ ხუმრობ, – მკაცრად ვუთხარი.

– რა დროს ხუმრობაა, მბრძანებლებო, აბა, აქეთ მოიხედეთ! – თქვა და კედელზე მიგვითითა.

ჭრაქი მაღლა ავწიე და დავინახე, რომ ქვის უზარმაზარი ლოდი ნელ-ნელა მიიწევდა ზემოთ, სადაც მისთვის, ეჭვსგარეშეა, საგანგებო ხვრელი იყო

დატანებული. ლოდის სიმაღლე, ასე, ცხრა ფუტი იქნებოდა, სისქე ხუთი ფუტი, სიფართე კი დიდი კასრისოდენა ჰქონდა და, ალბათ, სულ ცოტა, ოცდაათ ტონას მაინც იწონიდა. რასაკვირველია, უბრალოდ შეწონასწორებული საპირწონის პრინციპით მოძრაობდა. როგორ ამოძრავდა ეს მოწყობილობა, არც ერთ ჩვენგანს არ დაუნახავს, გაგულამ ყველაფერი უჩუმრად მოიმოქმედა, მაგრამ ეჭვი არ მეპარება, რომ სადღაც იყო უმარტივესი ბერკეტი, რომელსაც საიდუმლო წერტილში ოდნავ დააჭერდი თითს და საპირწონეს მეოხებით ლოდი მაღლა ავიდოდა.

ლოდი ნელა, მსუბუქად მიიწევდა მაღლა, ბოლოს სულაც გაქრა და მის ნაცვლად ჩვენ წინ ბნელი ხვრელი გამოჩნდა.

ძნელი წარმოსადგენია, როგორ ვღელავდით... სოლომონ მეფის საგანძურში შესასვლელი თავისუფალი იყო! მე თავით ფეხებამდე ვცახცახებდი და ტანში ცივი ჟრუანტელი მივლიდა. „იქნებ ყველაფერი ეს ტყუილია, მისტიფიკაციაა, – ვფიქრობდი, – ან, პირიქით, შეიძლება, რასაც მოხუცი და სილვესტრა წერდა, ყველაფერი მართალი გამოდგეს. იქნებ ამ ბნელ ჯურღმულში მართლაც არის დაფლული განძი, რომელსაც შეუძლია ამქვეყნად უმდიდრეს ადამიანებად გვაქციოს?" დიახ, ერთი-ორი წუთის შემდეგ საიდუმლოს ფარდა უნდა ახდოდა.

– შემობრძანდით, ვარსკვლავეთიდან ჩამოსულო თეთრო ადამიანებო, – გვითხრა ჩვენმა ავბედითმა მეგზურმა და ზღურბლზე გადაალაჯა, – შემოდით, მაგრამ მოუსმინეთ მონასა თქვენსა გაგულას. ბრჭყვიალა ქვები, რომელთაც ახლა იხილავთ, ოდესღაც ამოიღეს ჭიდან, სადაც დაყურსებულები სხედან და აქ შეინახეს, მაგრამ ვინ ამოთხარა, ან ვინ შეინახა, ამაზე არაფერი ვიცი. ადამიანებმა, ვინც ეს მოიმოქმედა, სასწრაფოდ დატოვეს აქაურობა, ისე რომ, თან არაფერი წაუღიათ. საუკუნიდან საუკუნეში გადადიოდა ხალხში ხმა ბრჭყვიალა ქვებზე, თუმცა არავინ იცოდა, სად იყო დაფლული განძი, არც ამ კარის საიდუმლო უწყოდა ვინმემ. მაგრამ ერთხელ მთების გადაღმიდან მოვიდა ერთი თეთრკანიანი, ვინ იცის, იქნებ ისიც თქვენსავით ვარსკვლავეთიდან ჩამოსული იყო! მეფემ გულთბილად მიიღო უცხო სტუმარი. აი, სწორედ იმან, იქ რომ ზის, – გვითხრა და მაგიდაზე ჩამწკრივებულ გვამებს შორის მეხუთეზე მიგვითითა. – ჰოდა, მოხდა ისე, რომ ის თეთრკანიანი და ვიღაც კუკუანელი ქალი მოვიდნენ სიკვდილის სავანეში. იმ ქალმა შემთხვევით გაიგო კარის საიდუმლო, თუმცა თქვენ ათასი წელიც რომ ეძებოთ, მაინც ვერაფერს ნახავთ. დიახ, თეთრკანიანი ქალთან ერთად საგანძურში შევიდა და აავსო ქვებით გუდა, რომლითაც ქალმა საჭმელი მოიტანა. როცა კაცი საგანძურიდან გამოდიოდა, ერთი დიდი ბრჭყვიალა ქვა, ძალიან დიდი ქვა აიღო და ხელში დაიჭირა, – აქ გაგულა დადუმდა.

– მერე, მერე? – ვკითხე მე. თან აღელვებისაგან სუნთქვა მეკვროდა; კაპიტანი და სერ ჰენრიც ჩემს დღეში იყვნენ, – განაგრძე, თქვი, რა შეემთხვა და სილვესტრას?

ამ სიტყვების გაგონებაზე დედაბერი შეკრთა.

– საიდან იცი კაცის სახელი, რომელიც დიდი ხნის წინათ გარდაიცვალა? – უკმეხად მკითხა მან, თუმცა პასუხს არ დაელოდა და განაგრძო: – არავინ იცის, რა შეემთხვა იმ კაცს, მაგრამ, ეტყობა, თეთრკანიანი რაღაცამ შეაშინა, გუდა მიწაზე დააგდო და გაიქცა. ხელში მხოლოდ ის დიდი, ბრჭყვიალა ქვა შერჩა. ისიც მეფემ წაართვა. სწორედ ის იყო, შენ რომ თუალას შუბლზე ააგლიჯე, მაკუმაზან!

– და მას შემდეგ აქ არავინ ყოფილა? – ვკითხე და ბნელი ხვრელისკენ გავაპარე მზერა.

– არავინ ყოფილა, მბრძანებელო, მაგრამ კარის ამბავს საიდუმლოდ ინახავდნენ. მეფეები აღებდნენ ამ კარს, საგანძურში კი არ შედიოდნენ, რადგან ხალხში ხმა დადის, ვინც აქ ფეხს შემოადგამს, ერთი თვის შემდეგ მოკვდებაო. მოკვდება იმ თეთრკანიანივით, თქვენ რომ მთებში, მღვიმეში, იპოვეთ, მაკუმაზან. აი, რატომ არ შემოდიან აქ ჩვენი მეფეები. ჰა! ჰა! ჰა! მე მუდამ სიმართლეს ვამბობ.

ამ დროს ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდა და მე ძარღვებში სისხლი გამეყინა.

– შემოდით, ჩემო მბრძანებლებო, თუ მართალი გითხარით, ქვებით ავსებული გუდა აქვე, იატაკზე დაგხვდებათ. აქ შემოსულ კაცს სიკვდილი ემუქრება თუ არა, ამას შემდეგ გაიგებთ. ჰა! ჰა! ჰა! – მან ჭრაქს ხელი დაავლო და წინ გაგვიძღვა.

მართალი გითხრათ, ვყოყმანობდი, – შევიდეთ თუ არ შევიდეთ-მეთქი.

– წყეულიმც იყოს! – დაიყვირა ამ დროს გუდმა. – წამოდით! ეგ ბებერი კუდიანი ვერ შემაშინებს! – თქვა და გაგულას ბნელში აედევნა. გუდს ფულატა მიჰყვა. საბრალოს ეშინოდა, მთელი ტანით თრთოდა, მე და სერ ჰენრიც მივყევით.

გაგულამ რამდენიმე იარდი გაიარა და კლდეში გაჭრილ ვიწრო ტალანთან შეჩერდა. ჩვენ გველოდა.

– ხომ ხედავთ, ჩემო მბრძანებლებო, – თქვა და ჭრაქი წინ გაიწვდინა, – ყველაფერზე ეტყობა, განძის მფლობელმა სასწრაფოდ მიატოვა აქაურობა. ეშინოდა, ამ კარის საიდუმლო ვინმეს არ გაეგო, და რომ საგანძურში შესასვლელი დაეცვათ, აქ კედლის ამოყვანა გადაუწყვეტიათ, მაგრამ, ცხადია, დრო აღარ ეყოთ.

და მიგვითითა ორპირად ამოშენებულ ქვის კვადრატულ ფართო კედლის საძირკველზე, გასასვლელს რომ ხერგავდა. ეს კედელი სიმაღლით ორი ფუტი და სამი დუიმი იქნებოდა. გასასვლელში ეყარა აგრეთვე დათლილი ქვები და, რაც ძალიან საგულისხმოა, კირის ხსნარი და წყვილი ბარი, – დიახ, ბარი, სწორედ ისეთი, მუშები დღესაც რომ ხმარობენ.

უეცრად ფულატამ, შიშისა და აღელვებისაგან თავით ფეხამდე რომ კანკალებდა, თავი ცუდად იგრძნო და გვითხრა, თქვენ წადით, მე კი აქ დაგელოდებით, რადგან სიარული აღარ შემიძლიაო. ჩვენ ის დაუმთავრებელ კედელთან დავსვით, გვერდით სანოვაგიანი კალათი მივუდგით და მარტო დავტოვეთ, რომ ცოტა დამშვიდებულიყო.

ბნელ ტალანში კიდევ თხუთმეტიოდე ნაბიჯი გავიარეთ და საგულდაგულოდ შეღებილი ხის კარის წინ აღმოვჩნდით. კარი ფართოდ იყო მოფრიალებული. იმას, ვინც აქ უკანასკნელად იყო, ან დავიწყნოდა მისი დახურვა, ან დრო აღარ ჰყოფნოდა საამისოდ.

ამ კარის ზღურბლზე ეგდო გუდა, რომელიც, როგორც ეტყობოდა, ძვირფასი ქვებით უნდა ყოფილიყო ავსილი.

– ჰა! ჰა! თეთრო ადამიანებო, – ჩაიხითხითა გაგულამ, როცა ჭრაქის შუქი გუდას მოხვდა, – მე გითხარით, თეთრკანიანი აქედან შეშინებული გაიქცა-მეთქი. გაიქცა და დააგდო ეს გუდა, რომელიც ქალს ეკუთვნოდა. შეხეთ, შეხეთ, მანდ არის!

გუდი დაიხარა და გუდა აიღო. გუდა მძიმე იყო, შიგნით კი რაღაც ჩხარუნობდა.

– ღმერთს გეფიცებით, ეს გუდა ალმასებით არის სავსე, – კრძალვით დაიჩურჩულა მან.

საკმარისი იყო იმის გაფიქრებაც კი, რომ ეს პატარა გუდა ალმასებით იყო სავსე, რომ რაღაცნაირი მოკრძალება გვეგრძნო.

– წავიდეთ, – მოუთმენლად თქვა სერ ჰენრიმ, – აბა, პატივცემულო ლედი, მომეცით აქ ჭრაქი, – თქვა. გაგულას ჭრაქი ჩამოართვა, მაღლა ასწია და ზღურბლზე გადააბიჯა.

ჩვენც, რასაკვირველია, უკან მივყევით. დროებით დავივიწყეთ ალმასებით სავსე გუდა და სოლომონ მეფის საგანძურში შევედით.

ჭრაქის მკრთალ შუქზე დავლანდეთ კლდეში გამოკვეთილი პატარა ოთახი, ზომით არა უმეტეს ათი კვადრატული ფუტისა, შემდეგ თვალში მოგვხვდა ზედ თაღამდე ერთმანეთზე დაწყობილი სპილოს საუცხოო ეშვები. ძნელი სათქმელია, რამდენი ეშვი იყო, რადგან ვერ ვხედავდით, რა ადგილი ეჭირათ კედლამდე. მაგრამ ოთხას-ხუთას ეშვზე ნაკლები მაინც არ იქნებოდა. მარტო ეს ეშვები კმაროდა იმისთვის, რომ ადამიანს მთელი სიცოცხლე უზრუნველად ეცხოვრა.

შესაძლოა, სოლომონმა თავისი „ტახტისთვის", რომლის მსგავსი არც ერთ მეფეს არ ჰქონია, სწორედ აქედან წაიღო სპილოს ეშვები-მეთქი, – გავიფიქრე მე.

საგანძურის მეორე კედელთან იდგა ოციოდე ყუთი, რომლებიც მარტინ-ჰენრის ფირმის ტყვიის ყუთებს წააგავდა, მხოლოდ მათზე ცოტა მოზრდილი ჩანდა და წითლად იყო შეღებილი.

– აქ ალმასებია, ალმასები, – წამოვიძახე მე, – აქეთ მოანათეთ ჭრაქი!

სერ ჰენრი მომიახლოვდა და შუქი ზედ ყუთს მიანათა. ყუთის სახურავი, მიუხედავად იმისა, რომ აქ სიმშრალე იყო, დროთა ვითარებაში დამპალიყო და ერთ ადგილას ჩატეხილიც იყო. ალბათ და სილვესტრამ თუ ჩატეხა. მე აჩქარებით ჩავყავი ყუთში ხელი და მთელი მუჭა მოვბღუჯე. მაგრამ ეს ალმასები კი არა, ძალიან უცნაური ფორმის ოქროს ფული გამოდგა. ჩვენ ამგვარი ფული არასოდეს გვენახა და მოგვეჩვენა კიდეც, რომ ზედ ძველებრაულ ენაზე რაღაც ეწერა.

– ყოველი შემთხვევისათვის, აქედან ხელცარიელები არ გავბრუნდებით, – ვთქვი და ფული უკან ჩავაბრუნე, – თითოეულ ყუთში ორი ათასი ოქრო მაინც იქნება, აქ კი თვრამეტი ყუთი დგას. ეს ოქრო ალბათ მუშებისა და ვაჭრების გასასტუმრებლად იყო მოტანილი.

– მე კი ვფიქრობ, სწორედ ეს უნდა იყოს განძი, ალმასებს რაღაც ვერსად ვხედავ. ან იქნებ პორტუგალიელმა ყველა იმ გუდაში ჩაყარა? – შეესიტყვა გუდი.

– ჩემმა მბრძანებლებმა ის კუთხე მოსინჯონ, იქნებ ქვები იქ იპოვნონ, – შეგვესიტყვა გაგულა. იგი, ალბათ, ჩვენი სახის გამომეტყველებაზე მიხვდა, რაზეც ვლაპარაკობდით. – იქ ჩემი მბრძანებლები ნახავენ ღრმულს, რომელშიც სამი ქვის ყუთი დგას. ორი დაბეჭდილია, ერთი კი ღია.

ვიდრე მის სიტყვებს სერ ჰენრის ვუთარგმნიდი და ვეტყოდი, ჭრაქი იმ ბნელი კუთხისკენ წაეღო, ვერ მოვითმინე და გაგულას ვკითხე, საიდან იცი ყველაფერი ეს, თუკი იმ თეორკანიანის შემდეგ აქ ფეხი არავის შემოუდგამს-მეთქი.

– ჰოი, მაკუმაზან, და თქვენც ვარსკვლავეთის შვილნო, განა არ უწყით, ზოგ ადამიანს აქვს თვალი, რომელიც კლდეშიც ატანს? ჰა! ჰა! ჰა!

– ნახეთ იქ, კურტის, – ვუთხარი სერ ჰენრის და გაგულას მიერ მინიშნებული კუთხისკენ მივუთითე.

– ეჰეი, მეგობრებო, – შეჰყვირა სერ ჰენრიმ, – აქ ნიშაა. ციურნო ძალნო! ჩქარა, აქეთ, აქეთ მოდით!

მისკენ გავექანეთ. ღრმულში, რომელიც ნახევრად მრგვალ ფანჯარას წააგავდა, ქვის სამი ყუთი იდგა. თითოეული მათგანის სიგრძე ორი ფუტი იქნებოდა. ორს ქვის სახურავი ეფარა, მესამე ღია იყო, სახურავი კი იქვე იყო მიყუდებული.

– შეხედეთ, – თქვა სერ ჰენრიმ აღელვებისაგან მოგუდული ხმით და ჭრაქი ყუთს დაანათა.

თავდაპირველად ვერაფერი გავარჩიეთ, რადგან ვერცხლისფერმა მბზვინვარებამ კინაღამ თვალი მოგვჭრა. როცა მზერა შუქს შევაჩვიეთ, დავინახეთ, რომ ყუთი სამ მეოთხედზე მოყრილი იყო ალმასებით, ამათგან უმეტესობა კარგა მომსხო ჩანდა. მე ყუთში ხელი ჩავყავი და რამდენიმე ამოვიღე. დიახ, ეს ნამდვილი ალმასები იყო, ახლა ამაში ეჭვი აღარ მეპარებოდა. ხელის შეხებით ალმასის გამოცნობა ძნელი არ არის, რადგან იგი როგორღაც თავისებურად სრიალებს.

ალმასები კვლავ ყუთში ჩავყარე. მღელვარებისაგან სულს ძლივს ვითქვამდი.

– ჩვენ უმდიდრესი ადამიანები ვართ ამქვეყნად, –შევძახე უცებ, – მონტე-კრისტო ჩვენთან შედარებით ღატაკია.

– მთელ ბაზარს ალმასებით ავავსებთ, – წამოიძახა გუდმა.

– ჯერ მივიტანოთ ბაზრამდე და მერე ვილაპარაკოთ, – მშვიდად მიუგო სერ ჰენრიმ.

აღელვებისაგან ფერმიხდილნი და თვალებდაჭყეტილნი მივჩერებოდით ერთმანეთს. ჭრაქი მკრთალ შუქს აფრქვევდა ბრჭყვიალა ქვებს. ვიდექით შეთქმულებივით, რომელთაც ბოროტი საქმე განუზრახავთ. ჩვენი შემხედვარე არავინ იფიქრებდა, რომ ამ წუთებში დედამიწის ზურგზე უბედნიერესი ადამიანები ვიყავით, ყოველ შემთხვევაში, თავი ასე მიგვაჩნდა.

– ჰი! ჰი! ჰი! – ბოროტად ხითხითებდა გაგულა ჩვენ ზურგს უკან და უხმაუროდ, უზარმაზარ ღამურასავით დაფარფატებდა საგანძურში.

– აჰა, ის ბრჭყვიალა ქვები, თქვენ რომ ასე გიყვართ, თეთრო ადამიანებო! აქ ბევრი ქვაა, წაიღეთ, რამდენიც გსურდეთ, დატკბით მათი ცქერით, ხელი ალივლივეთ შიგ! ჭამეთ და სვით! ჰი! ჰი! ჰი! სვით და ჭამეთ! ჰა! ჰა!

გაგულას ბოლო სიტყვები იმდენად სულელური მეჩვენა, რომ გიჟივით ხარხარს მოვყევი, სერ ჰენრიც და გუდიც ანგარიშმიუცემლად ამყვნენ. ვიდექით და სიცილით ვიფხრიწებოდით. ვხარხარებდით, ვხარხარებდით! დიახ, ეს ალმასები ჩვენი იყო. მორჩილმა მუშებმა ჩვენთვის ამოიღეს უზარმაზარი ჭიდან და სოლომონ მეფის რომელიმე სანდო ხელქვეითმა ამ ყუთებში სწორედ ჩვენთვის ჩაყარა. იმ პიროვნების სახელი იქნებ იეროგლიფებით იყო ამოკვეთილი ცვილის ნარჩენებზე, ყუთების თავზე აქა-იქ ჯერ კიდევ რომ მოჩანდა. ეს ალმასები არ ეკუთვნოდა არც სოლომონს, არც დავითს, არც და სილვესტრას, არა! ამქვეყნად ჩვენ გარდა არავის ეკუთვნოდა. ჩვენ წინ ბრჭყვიალებდა ქვები და ეს ქვები მილიონობით გირვანქა სტერლინგი ღირდა, გროვა-გროვა ეყარა ათასობით და ათიათასობით გირვანქა სტერლინგი, ოქრო და სპილოს ძვალი.

დიახ, ყველაფერი აქ, ამ საგანძურში იყო თავმოყრილი და იმასდა ელოდა, წაგვეღო.

უეცრად ისტერიის შეტევამ გაგვიარა და ხარხარი შევწყვიტეთ.

– თავი ახადეთ სხვა ყუთებს, თეთრო ადამიანებო, – დაგვჩხავლა გაგულამ. – ქვები იქ უფრო მეტია, წაიღეთ, მბრძანებლებო, ჰა! ჰა! ჰა! რაც შეიძლება, ბლომად წაიღეთ!

მის ჩხავილში ორ დაბეჭდილ ყუთს სახურავები ავაგლიჯეთ, მაგრამ გულის სიღრმეში ვგრძნობდით, რომ ყუთებზე ბეჭდების აცლა ვიღაც სხვა ადამიანის უფლებების შებღალვას, სხვისი საკუთრების ხელყოფას უდრიდა.

ვაშა! ეს ყუთებიც სავსე იყო, პირთამდე სავსე! ყოველ შემთხვევაში, მეორე ყუთი მაინც – საბრალო და სილვესტრას თავის გუდაში აქედან ქვაც კი არ ჩაეგდო. მესამე ყუთი ერთ მეოთხედზე იყო ალმასებით მოყრილი. მაგრამ ქვები აქ არჩეული იყო და ყოველი მათგანი წონით ოც კარატზე ნაკლები არ იქნებოდა, ზოგი კი მტრედის კვერცხისოდენა იყო; მაგრამ როცა შუქზე დავლანდეთ, ვნახეთ, რომ მომსხო ალმასებს ყვითელი ფერი დაჰკრავდა, ესე იგი, როგორც კიმბერლიში ამბობდნენ, „შეფეროვნებულები" იყვნენ.

ამასობაში გაგულამ, ღვარძლიანად, ბოროტად აგვავლ-ჩაგვავლო თვალი, გველივით ნელ-ნელა გაცურდა განძსაცავიდან და კლდეში დატანებული საიდუმლო კარისკენ წატუსტუსდა.

ჩუ! ეს რა არის? რაღაცა ხმები ისმის. იქ, ტალანში, საიდუმლო კართან ვიღაც ყვირის, ფულატას ხმაა. რა დამართნია?

– ო, ბუგვან, ჩქარა, მიშველეთ! ქვა ვარდება!

– გამიშვი-მეთქი, გველის წიწილო, თორემ...

– მიშველეთ, მიშველეთ! დანა დამცა!

ჩვენ ტალანში გავრბივართ და ჭრაქის შუქზე აი რას ვხედავთ: ქვის კარი ნელ-ნელა ეშვება, სულ რაღაც სამიოდე ფუტით თუღაა იატაკიდან დაცილებული, ფულატა და გაგულა ზედ კართან ერთმანეთს ჩაბღაუჭებიან. ფულატა ერთიანად სისხლით არის მოთხვრილი, მიუხედავად ამისა, მაგრად უჭირავს მოხუცი კუდიანი, გარეულ კატასავით რომ იცავს თავს. ოჰ! ოჰ! ხელიდან დაუსხლტა, ფულატა დავარდა, გაგულა კი პირქვე დაეცა, გველივით დაიკლაკნა და ლოდქვეშ გაძრომას ლამობს. აჰა, უკვე ლოდქვეშ არის. ღმერთო, ღმერთო, გვიანღაა! უზარმაზარმა ლოდმა მიწას მიასრისა, არაადამიანური ტკივილისაგან იგი საზარლად კივის, ლოდი კი სულ უფრო და უფრო იწევს ძირს და მთელი სიმძიმით აწვება მახინჯ კუდიანს. უკანასკნელად გაისმის შემზარავი კივილი, ისეთი, როგორიც აქამდე არასოდეს გამიგონია. შემდეგ გვესმის ძვლების ლაწუნი, ამ ხმამ ძარღვებში სისხლი გაგვიყინა, გავრბივართ, გავრბივართ, სამივენი ზედ ვაწყდებით ქვის კარს, მაგრამ იგი სამუდამოდ იხურება.

ყველაფერი ეს რამდენიმე წამში მოხდა.

ახლა ფულატასაკენ გავექანეთ, წყეული კუდიანის დანას მისთვის გული გაეპო, იმწამსვე მივხვდი, სიცოცხლე აღარ ეწერა.

– ოჰ, ბუგვან, ვკვდები! – დაიჩურჩულა ფულატამ, თან სული ეგუბებოდა, – გაგულა გაცოცდა... არ დამინახავს... ცუდად ვიყავი...მერე ქვა ნელ-ნელა დაეშვა დაბლა. გაგულა გაბრუნდა და ტალანში დაიწყო ცქერა, მერე დავინახე, როგორ შემოძვრა კარქვეშ, თანდათანობით რომ ეშვებოდა, მაშინ ხელი წავავლე და დავაკავე. მაგრამ... დანა დამცა... ბუგვან, ვკვდები.

– საბრალო, საბრალო ფულატა! – წამოიძახა გუდმა და უეცრად თითქოს მეტი ვეღარაფერი მოიფიქრაო, მივარდა და კოცნა დაუწყო.

– ბუგვან, – თქა ფულატამ ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ, – მაკუმაზმანი აქ არის თუ არა? თვალთ დამიბნელდა, ვეღარაფერს ვხედავ.

– აქა ვარ, ფულატა.

– მაკუმაზმან, მათხოვე შენი ენა, ბუგვანს არ ესმის ჩემი ლაპარაკი, მინდა, რამდენიმე სიტყვა ვუთხრა, ვიდრე წყვდიადი ჩამნთქავს.

– ილაპარაკე, ფულატა, ყველაფერს გადავუთარგმნი.

– გადაეცი ბუგვანს, ჩემს ბატონს, რომ... მიყვარს, მიყვარს და მიხარია, რომ ვკვდები, რადგან ბუგვანს, ვიცი, არ შეუძლია თავისი ცხოვრება ჩემსას დაუკავშიროს, ისევე, როგორც მზეს არ შეუძლია ბნელეთს შეეუღლოს. უთხარი, ზოგჯერ ასე მეგონა, ჩემს გულში ჩიტი ფრთხიალებდა. ჩიტს გულიდან ამოფრენა და სიმღერა სურდა. აჰა, ტვინი მეყინება და ხელს ვეღარ ვანძრევ, მაგრამ ახლაც კი, ახლაც არ ვგრძნობ, თუ ეს გული უნდა მოკვდეს. იგი ისეა სიყვარულით სავსე, ათას წელსაც არ დაბერდებოდა, არ დაბერდებოდა, რომ მეცოცხლა. უთხარი, თუ კიდევ დამიბრუნდა სიცოცხლე... იქნებ ვარსკვლავეთში შევხვდე... გადაეცი, ვარსკვლავეთში ყველგან დავძებნი, თუმცა შეიძლება იქაც შავკანიანი ვიყო, უთხარი. არა, მაკუმაზან, ნურაფერს ეტყვი, ნურაფერს ეტყვი იმის გარდა, რომ მიყვარს... ოჰ, მიმიკარ მკერდზე, ბუგვან, ვეღარა ვგრძნობ შენს მკლავებს... ოჰ, ბუგვან, ბუგ...

– მოკვდა! მოკვდა! – დაიყვირა გუდმა და წამოდგა, სახეზე ცრემლები ჩამოსდიოდა.

– ნუ გლოვობთ ასე ძლიერ, მეგობარო, – უთხრა სერ ჰენრიმ.

– რა გიდათ ამით თქვათ?

– მხოლოდ ის, რომ მალე გაიზიარებთ ფულატას ბედს. განა ვერ ხედავთ, რომ ცოცხლად დავიმარხეთ?

ჩვენ იმდენად თავზარდაცემულები ვიყავით ფულატას სიკვდილით, რომ ამ წუთამდე არც გვიფიქრია, რა მოხდა, რა საშინელება დაგვატყდა თავს. ახლა უცებ ყველაფერს მივხვდით. უზარმაზარი ლოდი დაეშვა, დაეშვა სამუდამოდ, რადგან ერთადერთი ადამიანი, რომელმაც იცოდა კარის საიდუმლო, ახლა გაჭეჭყილი იწვა ლოდქვეშ. უაზრობა იყო იმაზე ფიქრიც კი, რომ როგორმე გაგვეტეხა ეს კარი; ამას მხოლოდ დინამიტით თუ შევძლებდით.

ჩვენ მიწის ქვეშ გამომწყვდეულები აღმოვჩნდით. რამდენიმე წუთს გაშეშებულები ვიდექით ფულატას გვამთან, თავზარდაცემულები ვფიქრობდით, რომ ნელი წამებით სიკვდილი გველოდა; შიმშილით, უწყლობით ამოგვხდებოდა სული. მხნეობამ გვიმტყუნა. ახლა ჩვენთვის ყველაფერი ცხადზე უცხადესი შეიქნა. იმ ეშმაკეულმა გაგულამ წინასწარ გაგვიწყო ხაფანგი. ეს იყო მისი მორიგი „ხუმრობა". მხოლოდ მის ღვარძლიან ტვინში შეიძლებოდა მომწიფებულიყო ასეთი ბოროტი აზრი. ამ კუდიანს ეწადა, დაეღუპა სამი თეთრკანიანი, რატომღაც იმთავითვე რომ ამოიძულა. დაეღუპა ნელი სიკვდილით განძეულს შორის, რომელსაც ასე ხარბად დაეძებდნენ. ახლაღა მივხვდი, რისი თქმა უნდოდა, როცა ღამურასავით დაფარფატებდა საგანძურში და გვთავაზობდა გვეჭამა და გვესვა ალმასები. ალბათ საბრალო და სილვესტრასაც ასე „გაეხუმრა" ვიღაც. იმიტომ თუ მიაგდო და მიატოვა ზღურბლზე ქვებით სავსე გუდა.

– მეტი სიმხნევე გვმართებს, – თქვა სერ ჰენრიმ აღელვებისაგან ჩახლეჩილი ხმით, – ჭრაქი მალე ჩაქრება. ვიდრე ანათებს, ვეძებოთ, იქნებ მივაგნოთ ზამბარას, ამ ლოდს რომ ამოძრავებს.

სასოწარკვეთილებამ ძალა გაგვიორკეცა და გასასვლელისაკენ გავექანეთ. წებოვან სისხლში მდგარნი ვათვალიერებდით კედელს, მაგრამ ბერკეტის ან ზამბარის მსგავსი არაფერი ჩანდა.

– მერწმუნეთ, ამ მხრიდან კარის გაღება არ შეიძლება, – ვოქვი მე. – აქედან რომ იღებოდეს, გაგულა თავს არ გასწირავდა და ლოდქვეშ არ

გაძვრებოდა. იცოდა, რაც იყო და ამიტომ ცდილობდა გაქცეულიყო. წყეულიმც იყოს მისი სახელი.

– ყოველ შემთხვევაში, – თქვა სერ ჰენრიმ და ნერვიულად გაიცინა, – მისაგებელი მალე მიეგო! გაგულა საზარელი სიკვდილით მოკვდა, მაგრამ არც ჩვენ დაგვადგება კარგი დღე. კარს არაფერი ეშველება. გავბრუნდეთ ისევ საგანძურთან.

სამივენი საგანძურისაკენ წავედით. რამდენიმე ნაბიჯი რომ გავიარეთ, დაუმთავრებელ კედელთან თვალი მოვკარი სანოვაგიან კალათას, საბრალო ფულატას რომ მოჰქონდა. ავიღე და განძეულით სავსე ოთახში შევიტანე. ეს ოთახი სულ მალე ჩვენს სამარედ უნდა ქცეულიყო.

შემდეგ ისევ გამოვბრუნდით. მოკრძალებით გადავიტანეთ ფულატას გვამი, ოქროთი ავსილი ყუთების გვერდით დავასვენეთ, თავად მიწაზე დავსხედით და ყუთებს ზურგით მივეყრდენით.

– მოდით, გავანაწილოთ საჭმელ-სასმელი, რომ რაც შეიძლება დიდხანს გვეყოს, – თქვა სერ ჰენრიმ.

იმწამსვე გავინაწილეთ ყველაფერი, რაც კალათაში იყო. ყოველ ჩვენგანს ერგო ოთხი-ხუთი ძალზე მცირე ულუფა. უფრო სწორად რომ ვთქვათ, ეს საჭმელი ორი დღე თუ გაგვატანინებდა თავს. ბილტონგის გარდა, კალათში იდგა წყლით სავსე ორი ბოთლი; თითო ბოთლი თითო კვარტ წყალს იტევდა.

– ახლა კი, – ნაღვლიანად თქვა სერ ჰენრიმ, – შევჭამოთ ცოტა რამ და წყალი დავლიოთ, თუმცა სულ ერთია, სიკვდილს მაინც ვერსად გავექცევით.

შევჭამეთ თითო ნაჭერი ხორცი და თითო ყლუპი წყალი დავაყოლეთ; რასაკვირველია, მადა სრულებით არ გვქონდა, მაგრამ კუჭი მაინც თავისას ითხოვდა. ცოტა დავნაყრდით, თავი უკეთ ვიგრძენით, წამოვდექით და გულმოდგინეთ შევუდექით საგანძურის დათვალიერებას. ვსინჯავდით ჩვენი ციხის კედლებს, ვაკაკუნებდით ზედ, თან ოდნავი, სულ ოდნავი იმედი გვქონდა, რომ სადმე ვიპოვიდით გასასვლელს. მაგრამ, ვაი რომ, ყველაფერი ამაო იყო.

თუმცა ვინ დატოვებდა გასასვლელს ან ხვრელს იქ, სადაც ასეთი განძეული ინახებოდა? ჭრაქის შუქი მიმკრთალდა. ზეთი თითქმის ამოიწვა.

– ქუოტერმენ, – მითხრა სერ ჰენრიმ, – მუშაობს თუ არა თქვენი საათი, რა დროა?

საათი ჯიბიდან ამოვიღე და დავხედე. ნაშაუდღევის ექვსი საათი იყო. მღვიმეში კი დილის თერთმეტ საათზე შემოვედით.

– ალბათ ინფადუსი მოიფიქრებს რამეს, კურტის, – ვთქვი მე. – ამ საღამოს რომ არ მივალთ, დილიდან ძებნას შეუდგებიან.

– ამაოდ დაგვიწყებს ძებნას, რადგან არ იცის არც კარის საიდუმლო და არც ის, სად არის იგი დატანებული. აქამდე ეს გაგულას გარდა ძეხორციელმა არ უწყოდა, ახლა კი, საერთოდ, არავინ იცის. ინფადუსმა კარი კიდეც რომ იპოვოს, ვერ შემოამტვრევს. კუკუანელთა მთელი არმიაც რომ მოადგეს, ხუთი ფუტის სისქის კედელს ვერაფერს დააკლებს. მეგობრებო, ჩვენ აღარაფერი დაგვრჩენია გარდა იმისა, რომ დავემორჩილოთ ბედს და ღვთის განგებას მივენდოთ. განძეულის ძიებამ ძალიან ბევრი მიიყვანა სიკვდილის კარამდე. ჩვენც მათ რიცხვს მივემატებით. ეს არის და ეს.

ჭრაქი ძლივსდა ბჟუტავდა. უეცრად იფეთქა და გაანათა მთელი საგანძური: თეთრი ეშვები, ოქროთი სავსე ყუთები, მათ წინ განრთხმული ფულატას ცხედარი, მოციმციმე ალმასები, ზღურბლზე მიგდებული სავსე გუდა და შეშლილი, გაწამებული სახეები სამი თეთრკანიანისა, სიკვდილის მოლოდინში იატაკზე რომ ისხდნენ.

ალი უკანასკნელად აციმციმდა და ჩაქრა.

თ ა ვ ი X V I I I

ს ა ს ო წ ა რ კ ვ ე თ ი ლ ნ ი

არ ძალმიძს აღვწერო ის საზარელი ღამე. მხოლოდ გულმოწყალე ძილმა, დროდადრო თავს რომ წაგვართმევდა ხოლმე, გადაგვატანინა წარმოუდგენელი ტანჯვა-წამება. მართალია, დაღლილობამ თავისი ქნა, მაგრამ დიდხანს ძილი მაინც არ შეგვეძლო. წუთითაც არ მშორდებოდა ფიქრი იმაზე, რომ უეჭველად უნდა დავღუპულიყავით. ეს ფიქრი ამქვეყნად ყველაზე მხნე და გაბედულ ადამიანსაც კი შეაძრწუნებდა, თორემ მე რა ვიყავი! გარდა ამისა, თვით სიჩუმე ისეთი უსასრულო და იმდენად დამთრგუნველი იყო, რომ ძილი წამისწამ მიფრთხებოდა.

მკითხველო! ეგებ შენც გაგიტარებია უძილო ღამე, შენც შეუწუხებიხარ მტანჯველ სიჩუმეს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, არავითარი წარმოდგენა არა გაქვს იმაზე, რა საზარელი და თითქმის ხელშესახებიც კი შეიძლება იყოს სრული სიჩუმე. ზემოთ, დედამიწის ზედაპირზე, მუდამ რაღაც მოძრაობს, მუდამ გაისმის ხმები. შეიძლება ეს ხმები ვერც კი მისწვდეს კაცის სმენას, მაგრამ ისინი მაინც ადუნებენ სრულ სიჩუმეს. აქ კი, ამ მღვიმეში ხმა არსაიდან აღწევდა. ჩვენ დამარხულები ვიყავით უზარმაზარი მთის ქვეშ, რომლის მწვერვალიც თოვლს დაეფარა. იქ, ზემოთ, ათასი ფუტის სიმაღლეზე ცივი ქარი თეთრი თოვლის ფანტელებს ხვეტდა, მაგრამ მისი ზუზუნი ჩვენს ყურამდე არ აღწევდა. გრძელი ტალანი და ხუთი ფუტის სისქის კედელი გვაშორებდა თვით იმ საზარელი სიკვდილის სავანესაც კი. მაგრამ მკვდრებს ხომ სიჩუმე უყვართ. ცისა და მიწის არტილერიისათვის რომ მოეყარათ ერთად თავი, მისი გრიალიც კი არ მოაღწევდა აქამდე. დიახ, ცოცხლად ვიყავით დამარხულები და ჩვენი სამარე მთელ სამყაროს მოწყვეტილი იყო.

უეცრად საოცარი სიმწვავით შევიგრძენი, რა სასტიკად, რა უწყალოდ დაგვცინა ბედმა. ირგვლივ ეწყო განძეულობა, რითაც შეგვეძლო გაგვსტუმრებინა ქვეყნის ნაციონალური ვალი, ან აგვეგო ჯავშნოსანთა მთელი ფლოტილია, მაგრამ ჩვენ სიხარულით შეველეოდით ამ სიმდიდრეს, ოღონდ კი აქედან გასვლის მცირეოდენი იმედი მაინც გვქონოდა. სულ მალე ალბათ სიხარულით გავცვლიდით ამ ალმასებს ერთ ლუკმა პურზე ან ჭიქა წყალზე, მერე კი იმაზეც, რომ ჩვენს ტანჯვას რაც შეიძლებოდა ჩქარა მოღებოდა ბოლო. მართლაც, სიმდიდრე, რომლის დასაგროვებლადაც ადამიანები სიცოცხლეს არ იშურებენ, სულის ამოხდის ჟამს კარგავს თავის ფასს.

დრო ზანტად მიიზლაზნებოდა.

– გუდ, – უეცრად წამოიძახა სერ ჰენრიმ და მისი ხმა დაძაბულ სიჩუმეში შემზარავად გაისმა. – ასანთის რამდენი ღერი დაგვრჩა?

– რვა, კურტის.

– აანთეთ ერთი, ნახეთ, რა დროა.

გუდმა ასანთი აანთო, მისმა ალმა ამ უკუნი სიბნელის შემდეგ პირდაპირ თვალი მოგვჭრა.

ჩემი საათის ისარი დილის ხუთს უჩვენებდა. ახლა ჩვენს ზემოთ ამომავალი მზის სხივები ალბათ ვარდისფრად აელვარებენ მთის მწვერვალებს, გრილი ქარი კი დამის ნისლს ხეობისკენ ერეკება.

– უთუოდ უნდა გადავყლაპოთ თითო ლუკმა საჭმელი, რომ ძალა შევინარჩუნოთ, – ვთქვი მე,

– რისთვის? – მომიგო გუდმა. – რაც უფრო ადრე დავიხოცებით, მით უკეთესი იქნება.

– ვიდრე ადამიანი ცოცხლობს, იმედი არ უნდა გადაიწყვიტოს, – ჩაურთო სერ ჰენრიმ.

ჩვენ ნაჩქარევად გადავყლაპეთ ორიოდე ლუკმა ბილტონგი და თითო ყლუპი წყალი დავაყოლეთ. გამოხდა მცირე ხანი. სერ ჰენრიმ წინადადება მოგვცა, კართან მივსულიყავით და რაც ძალა და ღონე შეგვწევდა, გვეყვირა, რადგან გულის სიღრმეში მაინც გვიღვივოდა იმედი, იქნებ ჩვენი ხმა ზემოთ ვინმემ გაიგონოსო. გუდი ხელის ცეცებით მიადგა კარს და ქაჯივით მოჰყვა ყვირილს. ამგვარი ხმა ჩემს სიცოცხლეში არსად გამეგონა, მაგრამ მერე რა, გინდ მას ეყვირა და გინდ კოღოს ებზუვლა სადმე!

გუდმა ყვირილი შეწყვიტა და ჩვენკენ წამოვიდა. ყელი გაშრობოდა და ისე საშინლად სწყუროდა, შეუძლებელი იყო, წყალი არ დაელია. ამის შემდეგ გადავწყვიტეთ, აღარ გვეყვირა, რადგან ეს შეამცირებდა ჩვენს ისედაც მცირე წყლის მარაგს.

კვლავ დავსხედით და ზურგით ალმასებით სავსე ყუთებს მივეყრდენით. ჰმ, ვისთვის რა საჭირო იყო ახლა ეს ალმასები? დიდხანს ვისხედით ასე უმოქმედოდ, გაუნძრევლად, რაც ჩვენს მდგომარეობაში ნამდვილად აუტანელი იყო. სასოწარკვეთილებამ შემიპყრო. სერ ჰენრის ფართო მხარზე მივეყრდენი და ავქვითინდი. დარწმუნებული ვარ, გუდიც ძლივს იკავებდა ცრემლს და ხმაჩახლეჩილი ლანძღავდა თავს სისუსტისათვის. მაგრამ რომ იცოდეთ, რარიგ კეთილი და ამავე დროს მტკიცე ხასიათის ადამიანი იყო სერ ჰენრი! მე და გუდი პატარა ბალღები რომ ვყოფილიყავით და ვინმეს შევეშინებინეთ, მაშინაც კი ვერ გამოიჩენდა ამდენ სინაზეს ჩვენდამი. კურტისს სრულიად გადაავიწყდა საკუთარი ტანჯვა და ყველაფერი მოიმოქმედა იმისათვის, რომ ოდნავ მაინც დაემშვიდებინა ეს ორი სასომიხდილი ადამიანი. მან გაიხსენა მრავალი შემთხვევა, როცა ჩვენსავით სასიკვდილოდ განწირულმა ადამიანებმა რაღაც საოცარი შემთხვევის წყალობით ბოლოს მაინც თავი დააღწიეს სიკვდილს. მერე მიხვდა, რომ მსგავსი ამბებით გულს ვერ გაგვიმხნევებდა, ვერც დაგვამშვიდებდა და თქვა, ჩვენი მდგომარეობა მხოლოდ წინა საფეხურია იმ გარდუვალი დასასრულისა, რომელიც ყველას ელის. ჩვენი ტანჯვა მალე დამთავრდება და ყველაზე მშვიდი სიკვდილით მოვკვდებითო (რაც, რასაკვირველია, წმინდა წყლის სიცრუე იყო).

შემდეგ ოდნავ შემკრთალმა წინადადება მოგვცა, განგებასა და ბედისწერას მივნდობოდით. ჭკუაში დამიჯდა მისი რჩევა. საოცარი ხასიათი აქვს სერ ჰენრის, ძალიან მშვიდი და ძლიერი კაცია.

ასე ღამესავით გაიწელა დღეც, თუკი, საერთოდ, შეიძლებოდა ამ უკუნი წყვდიადისათვის დღე გვეწოდებინა. ასანთი ავანთე და კვლავ დავხედე საათს. ისარი შვიდს უჩვენებდა.

კვლავ შევჭამეთ თითო ლუკმა საჭმელი და წყალი დავაყოლეთ. ამ დროს უეცრად ერთმა აზრმა გამიელვა.

– როგორ მოხდა, ამდენ ხანს უჰაერობით რომ არ ამოვიხრჩვით? – ვიკითხე, – აქ ცხელა, მაგრამ ჰაერი ადრინდელივით სუფთაა.

– ღმერთო ჩემო, – წამოიძახა გუდმა და ზე წამოიჭრა, – აქამდე როგორ ვერ მოვისაზრე? ჰაერი ქვის კარში ვერ შემოვა, რადგან იგი ჰერმეტულადაა დახშული. აქ რომ საიდანმე ჰაერის ნაკადი არ შემოდიოდეს, დიდი ხანია, სულს გავაცხებდით. მოდით, ვეძებოთ!

ამ სიტყვებმა გულში იმედი გაგვიღვიძა და ერთიანად გარდაგვქმნა. წამის შემდეგ სამივენი იატაკზე დავფორთხავდით. დავდიოდით, ვამოწმებდით კედლებს, რომ გვეპოვა ჰაერის თუნდაც სულ უმნიშვნელო დინება. უეცრად ხელი რაღაც ცივ საგანს მომიხვდა, – ეს საბრალო ფულუტას სახე იყო. ჩემი აღტყინება მყისვე ჩაქრა.

ერთ საათზე მეტს დავლასლასებდით აქეთ-იქით, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს მე და სერ ჰენრის ყოველგვარი იმედი გადაგვეწურა და ძებნა შევწყვიტეთ. ერთიანად დაშავებულ-დალილავებულები ვიყავით, რადგან ბნელში წამისწამ ვაწყდებოდით სპილოს ეშვებს, ყუთებს, კედლებს. გუდს ჯერ კიდევ არ გადაეწყვიტა იმედი, გულდაგულ განაგრძობდა ძებნას, თან ამბობდა, უმოქმედობას ისევ ფუჭი ძებნა სჯობიაო.

– მომისმინეთ, მეგობრებო, – თქვა მან ბოლოს უცნაურად მოგუდული ხმით, – აბა, ერთი აქეთ მოდით!

თქმა არ უნდა, მაშინვე მისკენ გავექანეთ, ბნელში ვბორძიკობდით და ერთმანეთს ვაწყდებოდით.

– ქუოტერმენ, აბა დაადეთ ხელი აქ, გრძნობთ რამეს?

– მე მგონია, აქ ჰაერი უნდა გადიოდეს.

– აბა, ყური დაუგდეთ! – თქვა გუდმა და იატაკზე ფეხი დაჰკრა.

ხმა ბუგე იყო. ამან გულში კვლავ იმედის ნაპერწკალი გაგვიღვივა.

აცახცახებული ხელით ავანთე ასანთი და დავინახეთ, რომ ერთ-ერთ კუთხეში ვიდექით. ჩვენ ქვეშ უდავოდ სიცარიელე იყო. სწრაფად მოვათვალიერეთ იატაკი და ზედ რაღაც ბზარი შევამჩნიეთ. მაგრამ ეს რა არის? ღმერთო ძლიერო, იატაკში ქვის რგოლია დატანებული! აღელვებისაგან ენას ვერ ვაბრუნებდით, გული ისე ძალუმად გვიცემდა, ლაპარაკი აღარ შეგვეძლო.

გუდს თან პატარა, კაუჭიანი დანა ჰქონდა. ამ კაუჭით ცხენს ფლოქვებში გაკვეტებულ კენჭებს აცლიან ხოლმე. კაპიტანმა დანა გახსნა და შეეცადა, კაუჭი რგოლისთვის მოედო. ნელ-ნელა შეაცურა ქვეშ და ფრთხილად მოსწია, რადგან ეშინოდა, ქვის სიმძიმეს არ გაეტეხა. მალე რგოლი შეინძრა. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი საუკუნის განმავლობაში გაუნძრევლად იდო, მისი ამოძრავება შესაძლებელი გახდა. ეს იმიტომ, რომ ქვისაგან იყო გაკეთებული. რკინის რგოლს ასე ადვილად როდი აამოძრავებდა კაცი. მალე რგოლი ვერტიკალურად წამოიზნიქა, მაშინ გუდმა ხელი გაუყარა და მთელი ძალით დაეჯაჯგურა, მაგრამ ამაოდ. ქვა არ ნებდებოდა.

– მოდით, ახლა მე ვცდი, – მოუთმენლად ვუთხარი. ქვა იმგვარად იყო კუთხეში ჩაჭედილი, რომ ორი კაცი ერთდროულად ვერ მიუდგებოდა. ამიტომ გუდმა თავისი ადგილი დამითმო. მე რგოლს ხელი წავავლე და, რაც კი შემეძლო, გამოვქაჩე. არა, მეც ვერაფერს გავხდი.

მაშინ სერ ჰენრიმ შემცვალა, თუმცა ისიც ტყუილად დაშვრა.

გუდმა ხელახლა აიღო კაუჭი და ამოწმინდა ბზარი, საიდანაც საგანძურში ჰაერი შემოდიოდა.

– ახლა კი საქმეს შევუდგეთ, კურტის, – თქვა მან, – კაი მაგარი სამუშაო გელით. მაგრამ არა უშავს, ორი კაცის ღონე მაინც გექნებათ. ერთი წუთით მომითმინეთ! – გუდმა მოიხსნა თავისი შავი ყელსახვევი, რომელსაც არასოდეს იცილებდა და რგოლს გამოდო. ყელსახვევი მაგარი აბრეშუმის ძაფისაგან იყო

ნაქსოვი და ასე იოლად არ გაწყდებოდა, – ქუოტერმენ, კურტის, მაგრად ჩასჭიდეთ ხელი და როგორც კი გეტყვით, აბა, გასწიეთ-მეთქი, მთელი ძალით გამოქაჩეთ.

სერ ჰენრიმ მთელი თავისი გოლიათური ძალა მოიკრიბა, მე და გუდმაც შეძლებისდაგვარად წავაშველეთ ხელი.

– მიდით, მიდით, დაიძრა! – დაიყვირა სერ ჰენრიმ, თან სული ეგუბებოდა. მესმოდა მისი ძლიერი კუნთების ტკაცუნი.

უეცრად გაისმა რაღაც ხმა და ქვის ფილა ნელ-ნელა გადმოიწია.

ხვრელში ჰაერის ნაკადი შემოიჭრა. ჩვენ ყველანი გულაღმა ვეყარეთ, ზემოდან კი უზარმაზარი ქვის ფილა გვედო. მხოლოდ სერ ჰენრის გოლიათურმა ძალამ გვიხსნა.

– აანთეთ ასანთი, ქუოტერმენ, – მითხრა სერ ჰენრიმ, როგორც კი წამოვდექით და ცოტა სული მოვითქვით. – ფრთხილად! ფრთხილად! აი, ახლა კი გაჰკარით!

ასანთის შუქზე თვალი მოვკარი ქვის კიბის პირველ საფეხურს. ოჰ, დიდება შენდა, უფალო!

– როგორ მოვიქცეთ ახლა? – იკითხა გუდმა.

– ეგ რა საკითხავია. ჩავყვეთ ამ კიბეს და განგებას მივენდოთ.

– მოითმინეთ, – თქვა სერ ჰენრიმ, – ქუოტერმენ, წამოიღეთ ბილტონგი და წყალი, ჩემთვის არც ერთი ზედმეტი არ იქნება.

მე ხელის ცეცებით გავბრუნდი იმ ადგილისკენ, სადაც ამ ცოტა ხნის წინათ ყუთებზე ზურგმიყრდნობილები ვისხედით. უეცრად თავში მოულოდნელმა აზრმა გამიელვა. ამ ბოლო დროს ალმასები აღარც კი მოგვგონებია. მათზე ფიქრიც კი აუტანელი იყო. რადგან დაღუპვის პირად სწორედ ამ ქვებმა მიგვიყვანა. ეს ხომ ასე იყო, მაგრამ მაინც ვიფიქრე, არაფერი დაშავდება, რამდენიმე ცალი ალმასი თან რომ წავიღო, იქნებ ამ საზარელ ხვრელს სასწაულით თავი დავაღწიოთ, მაშინ ხომ გამოგვადგება-მეთქი. ხელი ჩავყავი პირველ ყუთში და ჩემი სანადირო ქურთუკის ჯიბეები ალმასებით ავავსე. ბოლოს მესამე ყუთიდანაც ამოვიღე ორიოდე მუჭა მსხვილი ალმასი და იმ ალმასებს ზემოდან დავაყარე.

– მისმინეთ, მეგობრებო, – დავიყვირე, – ხომ არ წამოიღებთ ალმასებს? მე ჯიბეებში ადგილი აღარ დამრჩა.

– ოჰ, ეშმაკმა დასწყევლოს ეგ ქვები, – მიპასუხა სერ ჰენრიმ, – იმედი მაქვს, ჩემს სიცოცხლეში მათ თვალით აღარ დავინახავ!

გუდმა კი სულაც არ გამცა ხმა. ვფიქრობ, იგი საბრალო ფულატას ნეშტს ემშვიდობებოდა. საწყალი ფულატა, რა ძლიერ უყვარდა ჩვენი კაპიტანი! შენ, ჩემო მკითხველო, მშვიდად ზიხარ შინ და ალბათ ფიქრობ, როგორ მიატოვეს ასე გულგრილად ეს აურაცხელი ქონებაო. შეიძლება ჩვენი ასეთი გულგრილობა უცნაურიც კი გეჩვენოს. მაგრამ უჭმელ-უსმელს ჩვენსავით მიწისქვეშ რომ გაგეტარებინა მთელი ოცდარვა საათი, ცხადია, არც შენ მოისურვებდი ალმასების თრევით თავი დაგემძიმებინა. ისიც მაშინ, როცა სადღაც, ქვესკნელში უნდა ჩაჰყოლოდი კიბეს, რომ როგორმე თავი გეხსნა. მე რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე სისხლში არ მქონოდა გამჯდარი ჩვეულება, არ გადამეყარა ის, რისი გამოყენებაც ასე თუ ისე, შეიძლებოდა, რასაკვირველია, არც კი ვიფიქრებდი, ალმასებით ჯიბეები ამევსო.

– წამოდით, ქუოტერმენ, – მითხრა სერ ჰენრიმ, იგი უკვე კიბის საფეხურზე იდგა. – მშვიდად, მშვიდად! მე წინ ვივლი.

– ფრთხილად იყავით, დაბლა შეიძლება უფსკრული იყოს!

– ჩემი აზრით, უფსკრული კი არა, მღვიმე იქნება, – თქვა სერ ჰენრიმ, თან ნელ-ნელა ეშვებოდა დაბლა და საფეხურებს ითვლიდა.

თხუთმეტი საფეხური რომ ჩაითვალა, შედგა.

– კიბე აქ წყდება, – თქვა მან. – მგონი, აქ ტალანი უნდა იყოს. ჩამოდით!

სერ ჰენრის კაპიტანი მიჰყვებოდა, სულ უკან კი მე მივდიოდი. კიბის ბოლო საფეხურს რომ მივაღწიე, ასანთი ავანთე. ახლა ყუთში ერთი ღერი ასანთიღა დაგვრჩა. ასანთის შუქზე დავინახეთ, რომ ვიწრო გვირაბში ვიმყოფებოდით. გვირაბის ერთი შტო მარცხნივ მიემართებოდა, მეორე – მარჯვნივ. მეტი ვერაფერი დავლანდეთ. ნამწვმა თითები დამიწვა და ასანთიც ჩაქრა. ახლა საკითხავი ის იყო, საით წავსულიყავით, მარჯვნივ გავყოლოდით გვირაბს, თუ მარცხნივ გაგვეხვია? ვიდექით ბნელში და ვერაფერი მოგვესაზრებინა. ცხადია, არ ვიცოდით, რას წარმოადგენდა ან საით მიდიოდა ეს გვირაბები. მიუხედავად ამისა, ერთ-ერთ მათგანს შეიძლება გადავერჩინეთ, მეორეს კი დავეღუპეთ. ვერ გადაგვეწყვიტა, როგორ მოვქცეულიყავით, ვიდრე გუდმა უეცრად არ გაიხსენა, რომ ჰაერის დინებამ ასანთის ალი მარცხნივ გადახარა.

– წავიდეთ იქით, საიდანაც ჰაერის ნაკადი მოდის, – თქვა მან. – ჰაერი აქედან კი არ გადის, გარედან შემოდის.

დავთანხმდით. კედელ-კედელ მივდიოდით და, ვიდრე ნაბიჯს გადავდგამდით, მიწას ფრთხილად ვსინჯავდით ფეხით. ასე დავადექით საზარელ გზას და თანდათანობით დავშორდით იმ წყეულ საგანძურს. თუ ვინმეს უწერია, იქ ოდესმე ფეხი შედგას, რაც ვფიქრობ, არასოდეს მოხდება, საბუთად იმისა, რომ ჩვენ, სამივენი მართლაც იქ ვიყავით, ნახავთ ძვირფასი თვლებით სავსე ღია ყუთებს, ცარიელ ჭრაქს და საბრალო ფულატას გამოხრულ თეთრ ძვლებს.

თხუთმეტიოდე წუთი ხელის ცეცებით მივყვებოდით გვირაბს, მაგრამ აი, მან მკვეთრად მოუხვია, უეჭველია, იმ ადგილს მივაღწიეთ, სადაც ამ გვირაბს მეორე კვეთდა. გავყევით მას და მცირე ხნის შემდეგ მესამე გვირაბში მოვხვდით. რამდენიმე საათი ამგვარად დავეხეტებოდით. ასე გვეგონა, ქვის ლაბირინთში მოვხვდით და მას თავს ვეღარასოდეს დავაღწევდით. რასაკვირველია, არც ერთმა ჩვენგანმა არ იცოდა, რას წარმოადგენდა ეს გვირაბები, ვფიქრობდით, რომ ეს იყო სხვადასხვა მიმართულებით გაყვანილი საბადოს უძველესი გასასვლელები. ალბათ, ყველა გვირაბი საბადოს ძარღვს გასდევდა.

ბოლოს სრულიად ილაჯგაწყვეტილები შევჩერდით. ხსნის იმედი აღარ იყო. დარდით გული გვეწურებოდა. მაინც შევჭამეთ თითო ნაჭერი ბილტონგი და უკანასკნელი ყლუპი წყალი დავაყოლეთ, რადგან ყელი საშინლად გვქონდა გამშრალი. სწორედ რომ ბედის დაცინვა იყო: საგანძურში სიკვდილს თითქოს იმისთვის დავაღწიეთ თავი, რომ აქ, ამ ერთმანეთში ახლართულ-დახლართულ გვირაბებში დაგველია სული.

ვიდექით ასე დაღვრემილ-დაფიქრებულნი, აღარ ვიცოდით, რა გვეღონა ან რა გზას დავდგომოდით.

უცებ თითქოს რაღაც ხმა შემომესმა. ვიფიქრე, მომეჩვენა-მეთქი და ჩემს თანამგზავრებს ვთხოვე, ყური მიეგდოთ. დიახ, ეს ნამდვილად ხმა იყო, მაგრამ ძალზე სუსტი და შორეული, თითქოს სადღაც წყალი მირაკრაკებსო. ვერ აგიწერთ, რა ნეტარებამ შეგვიპყრო სამივენი, როცა ამდენი ხნის შემდეგ, თითქმის ცოცხლად დამარხულებმა ძლივს გავიგონეთ რაღაც ხმის მსგავსი.

– ვფიცავ, აქ სადღაც წყალი უნდა მირაკრაკებდეს, – წამოიძახა გუდმა. – წავიდეთ, რაღას ველით!

ისევ კედელ-კედელ მივყევით ტალანს. რაც უფრო წინ მივიწევდით, მით უფრო გარკვევით გვესმოდა წყლის ჩხრიალი და ბოლოს ამ სამარისებურ

სიჩუმეში კარგა ძლიერადაც დაირხა ეს ხმა. წინ! წინ! ახლა საეჭვო აღარა იყო რა, გარკვევით გვესმოდა წყლის ძლიერი ჩქერის ხმა. საოცარია, რა უნდოდა წყალს აქ, მიწის სიღრმეში!

ახლა სულ ახლოს ვიყავით მისგან. გუდი გვეფიცებოდა, წყლის სუნი მცემსო.

– ფრთხილად იყავით, – უთხრა სერ ჰენრიმ, – მგონი წყალი აქ ახლოს უნდა იყოს.

ამის თქმა-და მოასწრო, რომ შემოგვესმა წყლის შხაპუნი და გუდის ყვირილი, დიახ, დიახ, ჩვენი კაპიტანი წყალში ჩავარდა.

– გუდ! გუდ! სადა ხართ? – ვყვიროდით დაფეთებულები. რომ იცოდეთ, რა სიხარული ვიგრძენით, როცა შორიდან მოგვესმა მოგუდული ხმა.

– საშიში არაფერია, კლდეს ჩავეჭიდე, აანთეთ ასანთი, რომ დავინახო, საით გამოვცურდე!

მე საჩქაროდ ავანთე ასანთის უკანასკნელი ღერი, მის სუსტ ალზე, ზედ ჩვენს ფეხებთან გამოჩნდა ჩაშავებული წყალი. თქმა არ უნდა, ამგვარ შუქზე მდინარის მეორე ნაპირს ვერ დავინახავდით, მაგრამ ჩვენგან მოშორებით თვალი მოვკარით გუდს, იგი კლდის ქიმს ჩაბღაუჭებული ეკიდა.

– სხვა გზა არ არის, უნდა გამოვცურო, – დაგვიყვირა გუდმა, – მზად იყავით, რომ წყლიდან ამოსვლისას ხელი შემაშველოთ.

შემდეგ ისევ შემოგვესმა წყლის შხაპუნი. გუდი მოცურავდა და თავგანწირვით ებრძოდა ტალღებს. კიდევ წუთი და იგი უკვე ჩვენ გვერდით იდგა. სერ ჰენრიმ ხელი გაუწოდა და, როგორც იქნა, წყლიდან ამოვათრიეთ.

– ღმერთმანი, – თქვა კაპიტანმა, თან პირით ხარბად იჭერდა ჰაერს, – იმ კლდეს რომ არ მოვჭიდებოდი, ან ცურვა არ მცოდნოდა, ცუდად წავიდოდა ჩემი საქმე. ჩქერი წარმოუდგენლად სწრაფია, ფსკერს კი ვერაფრით ფეხი ვერ ჩავუწვდინე.

ცხადი იყო, წინ ფეხსაც ვერ წავდგამდით.

გუდმა ცოტა დაისვენა და სული მოითქვა, ჩვენც ბლომად დავლიეთ მიწისქვეშა წყალი და საკმაოდ გემრიელიც გვეჩვენა. ხელ-პირი დავიბანეთ, რამდენადაც კი შეგვეძლო ჩამოვირეცხეთ ჭუჭყი. შემდეგ კი დავტოვეთ აფრიკული სტიქსის ნაპირი და იმავე გვირაბს უკან გავყევით. გუდის სველი ტანსაცმლიდან ტკაპატკუპით მოწვეთავდა წყალი, მაგრამ კაპიტანი ახლაც წინ მიგვიძღოდა. ბოლოს მივაღწიეთ გზაგასაყარს, აქედან მარჯვნივ მეორე გვირაბი გადიოდა.

– რა გაეწყობა, უნდა ვცადოთ, – მოქანცული ხმით თქვა სერ ჰენრიმ, – აქ ყველა გზა ერთნაირია, ვიაროთ, სანამ არ დავეცემით.

დიდხანს, ძალიან დიდხანს მივლასლასებდით გვირაბში. ამჯერად წინ სერ ჰენრი მიგვიძღოდა.

უეცრად იგი შეჩერდა და დაიჩურჩულა:

– შეხედეთ! რა არის ეს, ჭკუაზე ვიშლები, თუ მართლა შუქია?

ჩვენ თვალჩაციებით დავაცქერდით ბნელს. წინ, სადღაც შორს, სარკმლისოდენად მართლაც მოჩანდა რაღაც მქრქალი შუქი. ეს შუქი იმდენად სუსტი იყო, რომ მხოლოდ ჩვენს ბნელსშეჩვეულ თვალებს შეეძლო მისი გარჩევა.

აღელვებისაგან სული შეგვეხუთა. იმედმა კვლავ გაგვინათა გული, მხნედ მივაბიჯებდით წინ. ხუთი წუთის შემდეგ ეჭვი გაგვიქარწყლდა, – დიახ, ეს ნამდვილად შუქი იყო. კიდევ წამი და უკვე საღ, სუფთა ჰაერს ვისუნთქავდით. დაღლილ-დაქანცულები სულ წინ და წინ მივიწევდით. უეცრად გვირაბი ისე

დავიწროვდა და დადაბლდა, რომ სერ ჰენრის ოთხზე სიარული უწევდა. შემდეგ კი, შემდეგ, მელიის სოროსოდენა რაღაც ხვრელში მივძვრებოდით, მაგრამ ეს სორო მიწაში გადიოდა. ქვის ტალანი უკან მოვიტოვეთ.

კიდევ ერთხელ დავატანეთ თავს ძალა და აჰა, სერ ჰენრი უკვე გაცოცდა ხვრელიდან, მას მე და გუდი მივყევით. ოჰ, ღმერთო! მაღლით კურთხეული ვარსკვლავები დაგვნათოდნენ, ხარბად ვისუნთქავდით სუფთა, კრიალა ჰაერს. მაგრამ მოულოდნელად მიწა ფეხქვეშ ჩაგვემზღვლა და კისრისტეხით დავქანდით ძირს. მივთელავდით მწვანე ბალახს, ვლეწავდით რბილ, ნოტიო მიწაზე ფეხმოკიდებულ ბუჩქებს.

როგორც იყო, ფესვს წავავლე ხელი, შევჩერდი, მერე ნელ-ნელა წამოვჯექი და, რაც ძალი და ღონე მქონდა, დავიყვირე. დაბლიდან სერ ჰენრი გამომეხმაურა, იგი ოდნავ წამოწეულ ადგილას გაჩხერილიყო. ძლივძლივობით მივცოცდი მასთან. ეს ამოდენა კაცი სულს ძლივს იბრუნებდა, თუმცა დაშავებით არა დაშავებოდა რა. შემდეგ ორივენი გუდის ძებნას შევუდექით. ისიც იქვე ახლოს ვნახეთ, ფართოდ გაშლილ ორკაპა ფესვში გაჭედილიყო. ძალიან იყო დაჟეჟილი, მაგრამ მალე მოვიდა გონს. სამივენი ბალახზე დავსხედით. ნანახ-განცდილმა ისე იმოქმედა ჩვენზე, რომ ბედნიერებისაგან, მგონი, ავტირდით კიდეც. ხუმრობა ხომ არ იყო, თავი დავაღწიეთ საზარელ საპყრობილეს, რომელიც, ცოტას გაწყდა, სამარედ არ გადაგვექცა. ალბათ რაღაც მოწყალე ძალამ წარმართა ჩვენი ნაბიჯი იმ მხარეს, სადაც მთავრდებოდა გვირაბი და მელიის სორო იწყებოდა, – დიახ, დიახ, ნამდვილად სოროში მოვფორთხავდით.

აი, ცამ პირი გახსნა და მთის მწვერვალზე ათრთოლდა განთიადის მაუწყებელი მოწითალო-მოვარდისფრო შუქი, მერე რუხი აისი დაუყვა მთის ფერდობებს, დილის რიჟრაჟმა ფრთა გაშალა და დავინახეთ, რომ უზარმაზარი საბადოს ფსკერზე ვიმყოფებოდით. იქვე მოჩანდა მღვიმეში შესასვლელიც. ჩვენ წინ კი სამი ბუმბერაზი იჯდა. ეჭვი არ მეპარება, რომ ის საზარელი გვირაბები, რომელშიც მთელი ღამის განმავლობაში დავდიოდით, ოდესღაც ამ ალმასის საბადოს უერთდებოდა. რაც შეეხება მიწისქვეშა მდინარეს, მხოლოდ ერთმა ღმერთმა უწყის, საიდან მოდიოდა ან საით მიედინებოდა. პირადად მე არავითარი სურვილი არა მაქვს, ვიკვლიო მისი გზა და კვალი.

მიწას თანდათანობით მოეფინა ნათელი. ახლა უკვე კარგად ვხედავდით ერთმანეთს და, უნდა გამოგიტყდეთ, საშინელი სანახავები ვიყავით. ლოყები და თვალები სამივეს ღრმად ჩაგვცვენოდა, თავით ფეხებამდე ჭუჭყსა და მტვერში ამოგანგლულები ვიყავით. სხეული და ხელ-ფეხი ერთიანად დაბეჟილ-დაჩეჩქვილი გვქონდა. სახეზე კი ღრმად აღგვბეჭდვოდა შიში, შიში სიკვდილის წინაშე, რომელსაც ამდენი ხანი ვებრძოდით. ერთი სიტყვით, ჩვენი შემხედვარე, თვით მზის სხივიც კი დაფრთხებოდა. ხომ ასე იყო, მაგრამ გუდს მონოკლი ისევ თვალზე ჰქონდა. არა მგონია, რომ ამ ხნის განმავლობაში ერთი წუთით მაინც მოეცილებინოს. ვერც წყვდიადში ხეტიალმა, ვერც მიწისქვეშა მდინარეში ჭყუმპალაობამ, ვერც ამ ფერდობზე კისრისტეხით კოტრიალმა ვერ გაჰყარა ჩვენი კაპიტანი თავის მონოკლს.

ცოტა დავისვენეთ და წამოვდექით. გვეშინოდა, დაღლილ-დაქანცულებს დიდხანს ჯდომით ფეხები არ დაგვბუჟებოდა. წამოვდექით და ნელ-ნელა შევუდექით ამ უზარმაზარი ძაბრის ფერდობს. მთელი სხეული გვტეხდა და გვტკიოდა, ამიტომ ყოველ ნაბიჯზე ვჩერდებოდით.

საათზე მეტი ჯიუტად მივყვებოდით აღმართს. ფრთხილად მივაბიჯებდით ცისფერ მოლიპულ თიხაზე და ბალახსა და ფესვებს ვებღაუჭებოდით.

აჰა, როგორც იქნა, დასრულდა ჩვენი მოგზაურობა, უკვე დიდ გზაზე ვიდექით, ჩვენ პირდაპირ კი სამი ბუმბერაზი მოჩანდა.

ასიოდე იარდზე, ქოხების წინ, კოცონი ენთო. ირგვლივ ხალხი უსხდა, ჩვენც იქითკენ წავედით, ერთმანეთს ვეშველებოდით და წამისწამ ვჩერდებოდით, რომ ცოტა სული მოგვეთქვა. უეცრად ვიღაც კაცი ფეხზე წამოდგა, დაგვინახა თუ არა, მიწაზე დაეცა და შეშინებული აყვირდა.

– ინფადუს, ინფადუს, ეს ჩვენა ვართ, შენი მეგობრები!

ინფადუსი იმწამსვე წამოხტა და ჩვენკენ გამოქანდა. შიშისაგან გაფართოებული თვალებით გვათვალიერებდა და ერთიანად კანკალებდა.

– ოჰ, ჩემო მბრძანებლებო, ჩემო მბრძანებლებო, თქვენ ნამდვილად მკვდართა ქვეყნიდან, მკვდართა სამყაროდან დაბრუნდით.

მოხუცი მეომარი ჩვენ წინაშე პირქვე დაემხო, სერ ჰენრის მუხლებზე ხელები შემოაჭდო და სიხარულისაგან ხმამაღლა აქვითინდა.

თ ა ვ ი X I X

მ შ ვ ი დ ო ბ ი თ , ი გ ნ ო ზ ი !

ათიოდე დღემ განვლო მას შემდეგ, რაც მიწისქვეშა საპყრობილეს თავი დავაღწიეთ. ახლა კვლავ ლუუში, ჩვენს ქოხში ვიყავით. უცნაურია, მაგრამ ჩვენი საზარელი თავგადასავლის შემდეგ მოვიკეთეთ კიდეც, მხოლოდ ჩემი ჯაგარა თმა ერთიანად გამითეთრდა. გუდი კი ფულატას სიკვდილის შემდეგ ძალიან გამოიცვალა. მე, როგორც ხანში შესული კაცი, ბევრს ვფიქრობდი იმაზე, რაც თავს გადაგვხდა და მივედი დასკვნამდე, რომ ყველაფერი კარგად დასრულდა. ფულატა რომ არ დაღუპულიყო, გამოუვალი მდგომარეობა შეიქნებოდა. საცოდავი უბრალო ქალს როდი ჰგავდა, საოცრად ლამაზი, მედიდური და საკმაოდ გონებაგახსნილი იყო. მიუხედავად ამისა, მაინც არ იქნებოდა სასურველი, გუდს თავისი ბედი მისთვის დაეკავშირებინა. საბრალომ აკი თავად თქვა: როგორც მზეს არ შეუძლია წყვდიადთან შეერთება, ისე თეთრკანიანს შავკანიანთან შეუღლებაო.

თქმა არ უნდა, სოლომონ მეფის საგანძურში შესვლა აღარ გვიცდია. როცა გონს მოვედით ყველა იმ საშინელების შემდეგ, რისი გადატანაც ამ ორმოცდარვა საათში მოგვიხდა, კვლავ ჩავეშვით საბადოში იმ იმედით, რომ ვნახავდით სოროს, რომლის მეოხებით ტყვეობას თავი დავაღწიეთ, მაგრამ ამაოდ დავეძებდით მას. ჯერ ერთი, გაავდრდა და წვიმამ ჩვენი კვალი გადარეცხა. გარდა ამისა, საბადოს ფერდობები მთლად დასერილი იყო ჭიანჭველაჭამიასა და სხვა ცხოველების სოროებით, ამიტომ შეუძლებელი იყო გარკვევა, რომელი იყო მათში ჩვენი მხსნელი. ვიდრე ლუუში გავბრუნდებოდით, ერთხელ კიდევ დავათვალიერეთ სტალაქტიტებიანი მღვიმის საკვირველებანი, რაღაც უცნაური მღელვარებით შეპყრობილებმა ერთხელ კიდევ მოვინახულეთ მკვდართა სავანე, თეთრი სიკვდილის შემართული შუბის ქვეშ გავძვერით და დიდხანს შევყურებდით ქვის კედელს, რომელმაც იმ დღეს გზა ჩაგვიკეტა და გადარჩენის იმედი მოგვისპო. შევცქეროდით გრძნობით, რომლის გადმოცემაც ჩემთვის ძნელია. ამ წუთებში სამივენი ვფიქრობდით აურაცხელ სიმდიდრეზე, უცნაურ ბებერ კუდიანზე და მშვენიერ ფულატაზე, ვისი აკლდამის კარიც სამუდამოდ იყო დახშული ყველასთვის.

მე მოგახსენეთ, კედელს შვცქეროდით-მეთქი. იმიტომ რომ, თუმცა ბევრი ვეძებეთ, ასაწევი კარის ნიშანწყალიც კი ვერსად ვნახეთ და, რასაკვირველია, ვერ გავიგეთ იმ მექანიზმის საიდუმლოც, რომელიც ამ კარს ამოძრავებდა. ასე რომ, ის კარი ყველასთვის სამუდამოდ დაკარგულია. ბოლოს და ბოლოს გაბრაზებულებმა შევწყვიტეთ ძებნა. ეს უზარმაზარი ქვა ჩვენ თვალწინ მართლა რომ აწეულიყო, გამბედაობა არც კი გვეყოფოდა, გადაგვებიჯებინა გაგულას დასახიჩრებული გვამისათვის და საგანძურში შევსულიყავით. არა, არა, რომ კიდეც დავერწმუნებინეთ ვინმეს, იმ ალმასებს ხელში ჩაიგდებთო, მაინც ვერ გადავდგამდით ამ ნაბიჯს. მიუხედავად ამისა, ჯავრით ლამის ავტირდი, როცა გავიფიქრე, რა უთვალავი სიმდიდრე რჩებოდა ამ კედელს იქით. ეს იყო ალბათ უდიდესი განძი, რომელიც კი ადამიანის ხელს ოდესმე დაეგროვებინა, მაგრამ რა უნდა გვეღონა? მხოლოდ დინამიტს შეეძლო ჩვენთვის გზა გაეკაფა ხუთი ფუტის სისქის კლდეში. ასე რომ, დავტოვეთ ეს საზარელი ადგილი. იქნებ შორეულ მომავალში, სხვა, უკეთეს საუკუნეში, ჩვენზე უფრო ბედნიერმა მკვლევარმა შემთხვევით მიაგნოს კარის საიდუმლოს, წარმოთქვას ჯადო სიტყვა „სეზამ, გაიღე!" და მსოფლიოს ბაზრები ძვირფასი ქვებით აავსოს. მაგრამ მაინც მგონია, რომ ხის სამ ყუთში ჩაყრილი ის ძვირფასი თვლები ვერასოდეს შეამკობენ ულამაზეს ასულთა და მანდილოსანთა თეთრ ყელს და, ვიდრე სამყარო ირსებებს, ის განძიც ისევე ხელუხლებლად იდება ბნელ დარანში ფულატას ძვლებთან ერთად.

გაწბილებულებმა დავტოვეთ იქაურობა და მეორე დღეს ლუუსკენ მიმავალ გზას დავადექით. უნდა ვთქვა, ჩვენი მხრივ უმადურობა იყო, ასე გულდაწყვეტილები რომ მივდიოდით. ალბათ გახსოვს, მკითხველო, ვიდრე საპყრობილეს სამუდამოდ მივატოვებდით, მე ყოველი შემთხვევისათვის ქურთუკის ჯიბეები ალმასებით ავივსე. ბევრი ძვირფასი ქვა დაკარგულიყო, როცა ფერდობზე დავგორდი, მათ შორის ის მსხვილი ალმასებიც, ზემოდან რომ დავაყარე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ბლომად დამრჩა: თვრამეტი მსხვილი ქვის ჩათვლით, რომელთაგან თითოეული ოცდაათიდან ას კარატამდე იწონიდა. დიახ, ჩემი ძველი ქურთუკის ჯიბეებში კიდევ იმდენი ძვირფასეულობა იყო, რომ ჩვენ ყველანი მილიონერები თუ არა, ძალზე მდიდარი ადამიანები მაინც ვიყავით. ამასთან, მთელს ევროპაში ალმასების ასეთი კოლექცია არავის ექნებოდა. ასე რომ, საწუწუნო და ბედის სამდურავი არაფერი გვქონდა

ლუუში რომ მივედით, იგნოზი სიხარულით შემოგვეგება. მშვენივრად გამოიყურებოდა, თუმცა საქმე თავსაყრელი ჰქონდა. ტახტი უნდა განემტკიცებინა და გარდაექმნა პოლკები, რომელთაც თუალასთან ბრძოლაში ძალზე დიდი დანაკლისი განიცადეს.

მეფემ დიდი ყურადღებით მოისმინა ჩვენი თავგადასავალი. გაგულას საზარელი სიკვდილი რომ გაიგო, დაფიქრდა.

– მოდი აქ! – იხმო მან მოხუცი ინდუნუ (უხუცესი) დაახლოებულ პირთა რიცხვიდან, რომლებიც მოშორებით ისხდნენ და ჩვენი საუბარი არ ესმოდათ.

მოხუცი წამოდგა. მეფეს ეახლა, მოწიწებით დაუკრა თავი და დაჯდა.

– შენ კარგა დიდი ხნის კაცი იქნები, – უთხრა იგნოზიმ.

– დიახ, ჩემო მბრძანებელო, შენი მამის მამა და მე ერთ დღესა ვართ დაბადებულნი.

– მითხარი, ბავშვობაში იცნობდი გაგულას?

– დიახ, ჩემო მბრძანებელო.

– იმ დროს გაგულაც ბავშვი იქნებოდა, არა?

– არა, ჩემო ბატონო, ახლა რომ არის, ზუსტად ასეთი იყო, ის კი არა, პაპაჩემის ყმაწვილკაცობაშიც სწორედ ასეთივე სახედაღარული, მახინჯი, მიხრწნილი და ბოროტებით სავსე ყოფილა.

– გაგულა აღარ არის, გაგულა მოკვდა.

– მესმის, ჰოი მეფეო. თუ ასეა, ოდინდელი წყევლა მოეხსნება ჩვენს ქვეყანას.

– კარგი, წადი!

– მივდივარ, შავო ლეკვო, ბებერი ძაღლის მკვლელო.

– ხომ ხედავთ, ძმებო, – გვითხრა იგნოზიმ, – გაგულა ძალიან უცნაური ქალი იყო და მე კმაყოფილი ვარ, რომ მოკვდა. იმ ბნელ მღვიმეში თქვენი ცოცხლად დამარხვა ეწადა, შემდეგ იქნებ რამე ხერხი ეღონა და მეც მოვეკალი, როგორც ერთ დროს მოკლა მამაჩემი და ტახტზე თუალა აიყვანა. თუალა ხომ ძალიან უყვარდა. ახლა კი გთხოვთ, განაგრძოთ თქვენი თავგადასავალი, რომლის მსგავსი ჯერ არავის გადახდენია.

მე ვუამბე იგნოზის ჩვენი გადარჩენის ამბავი, ამასთან, ვისარგებლე შემთხვევით და ვუთხარი, თქვენი ქვეყნიდან უნდა წავიდეთ-მეთქი. მე, სერ ჰენრიმ და გუდმა ამაზე წინასწარ მოვითათბირეთ.

– ახლა კი, იგნოზი, ჩვენი გამოთხოვების ჟამი დადგა. ჩვენ კვლავ უნდა გავუყვეთ გრძელ გზას სამშობლოსაკენ. მისმინე, იგნოზი, შენ ჩვენთან ერთად მოხვედი აქ ღარიბ-ღატაკი და უთვისტომო, ჩვენი მსახური იყავი, ახლა კი ძლევამოსილი მეფე ხარ. თუ ჩვენდამი მადლობის გრძნობა გიღვივის გულში, ნუ დაივიწყებ, რაც გვითხარი, მოიქეცი ისე, როგორც ამას გვპირდებოდი; მართე ქვეყანა სამართლიანად, პატივი დასდე კანონს, ნურავის მოკლავ უმიზეზოდ, იცოდე, მხოლოდ მაშინ იქნები ბედნიერი, თუ შეასრულებ, რაც გითხარი. ხვალ გარიჟრაჟზე კი გამოგვაყოლე მეომრები, რომ მთებზე გადასვლაში დაგვეხმარონ. რად დაღონდი, მეფეო, უარის თქმას ხომ არ აპირებ?

იგნოზიმ თვალებზე ხელები აიფარა და ერთხანს ხმა არ გაუღია.

– გული მეტკინა, – თქვა ბოლოს, – თქვენმა სიტყვებმა გული ორად გამიპო. რა დაგიშავეთ, ინკუბუ, მაკუმაზან და ბუგვან, რატომ გინდათ მომაყენოთ ასეთი მწუხარება, რად უნდა დამტოვოთ?! თქვენ ხომ ბრძოლაში გვერდით მედექით, ნუთუ დამტოვებთ გამარჯვების ჟამს, როცა ირგვლივ სრული სიმშვიდეა? რა გნებავთ? ცოლები? აირჩიეთ, ვინც კი მოგეწონებათ; საცხოვრებელი ადგილი? მთელი ქვეყანა თქვენს განკარგულებაშია; ისეთი სახლები გნებავთ, თეთრკანიანები რომ ცხოვრობენ? ასწავლეთ ჩვენს ხალხს, როგორ ააგონ და სახლებიც გექნებათ; საქონელი გინდათ, რძე ან ხორცი? – ყოველი ჩემი დაოჯახებული მამაკაცი მოგგვრით ხარს ან ძროხას. ნადირობას მოიწადინებთ? განა ირმები ჩემს ტყეებში არ დაეხეტებიან ან ბეჰემოტებს ლელიანებში არ სძინავთ? იქნებ გულში ბრძოლის ჟინი გიღვივით? ჩემი ჯარები თქვენს განკარგულებას ელიან. თუ გარდა იმისა, რაც ახლა ჩამოვთვალე, რამის ბოძება, ან რაიმე თხოვნის შესრულება კიდევ შემიძლიან, მითხარით და არც იმას დავიშურებ.

– არა, იგნოზი, – ვუთხარი. – ჩვენ არაფერი გვინდა, გარდა იმისა, რომ სამშობლოში დავბრუნდეთ და საკუთარი კერა მოვიძიოთ.

– მაშ ასე, – მწარედ თქვა იგნოზიმ და თვალებში ნაპერწკლებმა გაუელვა. – თქვენ ეგ ბრჭყვიალა ქვები ჩემზე, თქვენს ძველ მეგობარზე მეტად გიყვართ. ახლა ქვები ხელთ იგდეთ, ნატალში დაბრუნდებით, გადასერავთ შავ მღვრიე წყალს, რომ გაყიდოთ ისინი და მდიდრები შეიქნათ. ეს არის ყოველი თეთრი ადამიანის სურვილი და მისწრაფება. წყეულიმც იყოს ეგ ქვები, წყეულიმც

იყოს, ვინც მათ ეძებს, სიკვდილი იმას, ვინც ფეხს შეადგამს მკვდართა სავანეში სიმდიდრის საძებნელად. მე ვთქვი! შეგიძლიათ წაბრძანდეთ, თეთრკანიანებო!

– იგნოზი, – ვუთხარი და ხელი ხელზე შევახე. – მიპასუხე, შენ რომ ზულუსების ქვეყანაში მოგზაურობდი, მერე კი ნატალში თეთრკანიანებს ემსახურებოდი, განა გული არ გეწეოდა ქვეყნისაკენ, რომელზედაც დედაშენი იმდენ რამეს გიამბობდა? განა არ გენატრებოდა მშობლიური მხარე, სადაც პირველად აგეხილა თვალი, სადაც თამაშობდი; განა გული სამშობლოსკენ არ მიგიწევდა?

– დიახ, მაკუმაზან.

– აი, ასევე გვენატრება ჩვენც ჩვენი სამშობლო.

ჩამოვარდა სიჩუმე.

– მესმის, რასაც ნიშნავს ეგ სიტყვები, მაკუმაზან, – დაარღვია დუმილი იგნოზიმ; ხმაშეცვლილი ლაპარაკობდა. – როგორც ყოველთვის, ახლაც ბრძნულად მსჯელობ. ფრენას შეჩვეულს მიწაზე ფორთხვა არ ძალუძს. თეთრკანიანს არ შეუძლია ზანგივით იცხოვროს. დიახ, თქვენ უნდა წახვიდეთ. უნდა წახვიდეთ, მაგრამ ჩემი გული სევდით არის სავსე, იმიტომ რომ იქიდან, სადაც თქვენ იქნებით, თქვენს ამბავს ვერავინ მომაწვდის. მაგრამ, მისმინეთ. და, დაე, ჩემი სიტყვა გაიგოს ყველამ! დღეიდან გზა იმ მთებზე ყველა თეთრკანიანისათვის დაკეტილია, მაშინაც კი, თუ ვინმე შეძლებს აქამდე მოაღწიოს. მე ჩემს ქვეყანაში არ შემოვუშვებ თოფებითა და რომით მოვაჭრეებს, ჩემი თანამემამულენი მომავალშიც მხოლოდ შუბებით იბრძოლებენ და წყურვილსაც, მსგავსად მათი წინაპრებისა, მხოლოდ და მხოლოდ წყლით მოიკლავენ. მე არ დავუშვებ, რომ მისიონერებმა ჩემს ხალხს სიკვდილის შიში ჩაუნერგონ გულში, რომ უფრო ადვილად აამხედრონ მეფის წინააღმდეგ და ამით გზა გაუკაფონ თეთრკანიანებს, მათ მუდამ უკან რომ მიყვებიან. თუ რომელიმე თეთრკანიანი მოადგება ჩემს ქვეყანას, მე მას უკანვე გავაბრუნებ. ასი თეთრკანიანი რომ მოვიდეს, უკან დავახევინებ. თუ ჯარი მომადგება, მეც ჩემს ჯარს შევაგებებ და უცხოელებს გამარჯვება არ ეღირსებათ. ვერც ერთი ადამიანი ფეხს ვეღარ შემოდგამს აქ ბრჭყვიალა ქვებისთვის. ადამიანი კი არა, ჯარიც ვერ შემოაღწევს! მაგრამ, თუ ვინიცობაა, მოვიდნენ, გავგზავნი ჩემს მეომრებს, რომ ქვებით ამოავსონ მაღარო, დაამსხვრიონ თეთრი სვეტები და მილეწ-მოლეწონ იქაურობა ისე, რომ იმ კართან მიახლოვებაც ვერავინ შეძლოს. თქვენ სამისათვის კი – ინკუბუ, მაკუმაზან და ბუგვან – ჩემი ქვეყნის კარი მუდამ ღია იქნება, იმიტომ, რომ მოკვდავთა შორის ჩემს გულს თქვენზე ძვირფასი და მახლობელი არავინ ჰყავს. ახლა კი ნებას გაძლევთ წახვიდეთ აქედან. ინფადუსი, ჩემი მამის ძმა ხელს ჩაგკიდებთ და ისე გაგიყვანთ აქედან. მცველად მისი პოლკი წამოგყვებათ. მე შევიტყვე, რომ იმ მთებში სხვა გზაც გადის, ჩემი მეომრები სწორედ იმ გზით წაგიყვანენ. ახლა კი მშვიდობით, ძმებო, მამაცო თეთრო ადამიანებო. ჩემთან შეხვედრას ამის მეტად ნუღარ ეცდებით, იმიტომ, რომ გული მეტს ვეღარ აიტანს. მომისმინეთ, მე გამოვცემ ბრძანებას, რომელსაც ერთი მთიდან მეორეზე გადაძახილით შეატყობინებენ მთელს ქვეყანას. დღეიდან ჩემი ქვეყნის ხალხი თქვენს სახელებს მოიხსენიებს ისეთივე პატივით, როგორც თავის გარდაცვლილ მეფეთა სახელებს და სიკვდილი არ ასცდება მას, ვისი ბაგეც მათ წარმოთქვამს. ამგვარად, თქვენი ხსოვნა მუდამ იცოცხლებს ჩვენს ხალხში. წადით-მეთქი, წადით, ვიდრე ჩემს თვალებს, მსგავსად ქალისა, ცრემლი არ დაუფრქვევია. ოდესმე, როცა მოხუცდებით და გასათბობად ცეცხლის პირას დასხდებით, რადგან მაშინ მზის სითბო უკვე საკმარისი აღარ იქნება თქვენთვის, გაიხსენეთ, როგორ ვიდექით მხარდამხარ

დიდ ბრძოლაში, რომლის დასასრული შენმა ბრძნულმა სიტყვებმა იმთავითვე გადაწყვიტა, მაკუმაზან. გაიხსენეთ, ბუგვანი წვეტიანი რქის მსგავსად რომ შეიჭრა მტრის ჯარში, ინკუბუ კი იდგა, რუხებით გარშემორტყმული, და მისი ნაჯახით მოცელილი ადამიანები ისე ეცემოდნენ, როგორც თავთავი თიბვისას. მოიგონეთ, როგორ შემუსრა ინკუბუმ გარეული კამეჩის, თუალას, ძლიერება, და როგორ გაასწორა მიწასთან მისი სიამაყე. მშვიდობით, მშვიდობით, სამუდამოდ, ინკუბუ, მაკუმაზან და ბუგვან, ჩემო ძვირფასო მეგობრებო და მბრძანებლებო!

ამ სიტყვებით იგნოზი წამოდგა, რამდენიმე წუთს მდუმარედ, ღრმად ჩაფიქრებული გვიცქეროდა, შემდეგ მოსასხამის კალთა თავზე გადაიფარა, თითქოს იმისთვის, რომ მისი სახე აღარ დაგვენახა.

ჩვენ ხმაამოუღებლივ გავედით ქოხიდან.

მეორე დღეს რიჟრაჟზე დავტოვეთ ლუუ. თან მოგვყვებოდა კამეჩების პოლკი და ჩვენი მეგობარი ინფადუსი, რომელიც ძალიან ნაღვლობდა ჩვენთან განშორებას. ამ დილაადრიან ქალაქის მთავარი ქუჩა ხალხით იყო გაჭედილი. როცა პოლკის თანხლებით გვერდზე ჩავუარეთ, ისინი მოგვესალმნენ შეძახილებით – „კუუმ! კუუმ!" ქალები კი ყვავილებს გვესროდნენ და გვლოცავდნენ იმისათვის, რომ მათი ქვეყანა თუალას ბატონობისაგან გავათავისუფლეთ. ყველაფერი ეს ძალზე ამაღელვებელი იყო და სულაც არ ჰგავდა ველურებთან გამოთხოვების სურათს.

მაგრამ ძალიან სასაცილო ინცინდენტის გარეშე საქმე მაინც არ დამთავრებულა.

ის იყო, ქალაქის საზღვარს უნდა გავცდენოდით, რომ ხალხის ჯგუფიდან გამოქანდა ლამაზი ახალგაზრდა ქალი; ხელში რამდენიმე შროშანი ეჭირა. ყვავილები გუდს გაუწოდა (რატომღაც გუდს ქალთა შორის დიდი წარმატება ჰქონდა, ვფიქრობ, მონოკლი და ცალი ბაკენბარდი ამ ნაზი არსებების თვალში მას რაღაც განსაკუთრებულ რომანტიკულ ელფერს ანიჭებდა) და უთხრა, შენთან დიდი სათხოვარი მაქვსო.

– თქვი!

– ჩემმა მბრძანებელმა უჩვენოს მის მონასა და მხევალს თავისი მშვენიერი თეთრი ფეხები, რომ შემეძლოს ერთხელ კიდევ მოვკრა მათ თვალი და მერე ჩემს შვილებს ვუამბო ყველაფერი. თქვენი მონა ოთხი დღე მოდიოდა, რათა ენახა ისინი.

– ეშმაკმა წამიღოს, თუ ასე მოვიქცე! – აღელვებით წამოიძახა გუდმა.

– კმარა, კმარა, ძვირფასო, – დაამშვიდა სერ ჰენრიმ. – როგორ შეიძლება ლედი გააწბილოთ და თხოვნაზე უარი უთხრათ?

– არა, არა, – ჯიუტად გაიმეორა გუდმა, – ეს საშინელი უზრდელობა იქნებოდა. – მაგრამ ბოლოს და ბოლოს მაინც დათანხმდა, აეკარწახებინა შარვალი და თეთრი წვივები გამოეჩინა.

გაისმა აღფრთოვანებული შეძახილები. ყველაზე აღტაცებული ის ახალგაზრდა ლედი ჩანდა.

გუდი ასე შარვალაკაპიწებული მოდიოდა, ვიდრე ქალაქის კარიბჭეს არ გავცდით. ვშიშობ, ჩვენი კაპიტნის ფეხები აწ არასოდეს იქნება ესოდენი აღტაცების საგანი. მისი მოძრავი კბილები და, ასე გასინჯეთ, გამჭვირვალე თვალიც კი, საკმაოდ მობეზრდათ კუკუანელებს. „მშვენიერ თეთრ ფეხებზე" კი მსგავსს ვერაფერს ვიტყვით.

გზაში ინფადუსმა გვითხრა, იმ ქედის ჩრდილოეთით, რომლის გაგრძელებას სოლომონ მეფის დიდი გზა წარმოადგენს, სხვა გადასასვლელიც არსებობს, ან უკეთ რომ ვთქვათ, არის ადგილი, საიდანაც შეიძლება კლდოვან

ქედს დაბლა დაჰყვეო. ეს ქედი კუკუანელთა ქვეყანას დიდი უდაბნოსაგან ჰყოფს, მის ზემოთ კი აღმართულია დედოფალ საბიას ორი მთა. ამ ორიოდე წლის წინათ კუკუანელი მეომრები სირაქლემებს გასდევნებიან და იმ გზით უდაბნოში ჩასულან. სირაქლემას ფრთებს ამ ქვეყანაში ხომ დიდი გასავალი აქვთ. მათ მეომართა ჯიღებისათვის იყენებენ. მონადირეები, ცოტა არ იყოს, შორს შეჭრილან უდაბნოში და ძალზე მოსწყურებიათ. შორს რაღაც ხეების მსგავსი დაულანდავთ, იქითკენ წასულან და ამწვანებულ, წყალუხვ ოაზისს კი წადგომიან. ოაზისი რამდენიმე მილზე ყოფილა გადაჭიმული. ინფადუსის თქმით, ჩვენ სწორედ იქითკენ უნდა წავსულიყავით.

მოხუცი მეომრის რჩევა ჭკუაში დაგვიჯდა, რადგან ეს გზა აგვაშორებდა მთების ძნელადსავალ ბილიკებს. გარდა ამისა, ოაზისამდე მიგვაცილებდა რამდენიმე მონადირე, რომელთაც იგი აღმოაჩინეს. მონადირეები ამტკიცებდნენ, უდაბნოში სხვა ოაზისიც დავინახეთო. ჩვენ აუჩქარებლად მივიწევდით წინ და მეოთხე დღეს, საღამო ხანს, კვლავ კლდოვან ქედზე აღმოვჩნდით. უდაბნო დედოფალ საბიას მთების ჩრდილოეთით, დაახლოებით ოცდახუთ მილზე, იქნებოდა გადაშლილი. მისი ქვიშის ტალღები ზედ ჩვენ ფერხთით ადიჩადიოდა.

მეხუთე დღეს, განთიადზე ჩვენმა გამყოლებმა მიგვიყვანეს იმ ადგილამდე, სადაც იწყებოდა ციცაბო დაღმართი უდაბნოსაკენ. ჩვენ ახლა ორი ათას ხუთასი ფუტის სიმაღლეზე მაინც ვიმყოფებოდით.

აქ გამოვეთხოვეთ ჩვენს გულითად მეგობარს, ძველ მეომარს ინფადუსს. მან წარმატება და ბედნიერი მგზავრობა გვისურვა. თან მწუხარებისაგან ცრემლს ძლივს იმაგრებდა.

– ჩემი თვალები ვეღარასოდეს იხილავს თქვენისთანა ადამიანებს, ჩემო მბრძანებლებო. როგორ ცელავდა ინკუბუ ბრძოლაში მტერს! რა სანახავი იყო, ერთი დარტყმით თუალას თავი რომ მოჰკვეთა!.. ასეთ დარტყმას ჩემს სიცოცხლეში ვეღარ ვიხილავ, რასაკვირველია, თუ ძილში არ მესიზმრა.

ჩვენ ძალიან გვეძნელებოდა ინფადუსთან განშორება. გუდს ისე აუჩუყდა გული, რომ მოხუც მეომარს თავისი მონოკლიც კი აჩუქა (შემდეგ აღმოვაჩინეთ, რომ ერთი მონოკლი კიდევ ჰქონოდა შემონახული).

ინფადუსი აღტაცებული იყო. წინასწარ იცოდა, რომ ამ ნივთის პატრონი საოცრად ამაღლდებოდა ხალხის თვალში. ცოტაოდენი წვალების შემდეგ მან მაინც შეძლო მონოკლი თვალზე მიედგა. მართალი რომ მოგახსენოთ, ეს სულაც არ ეხამებოდა ძველი მეომრის ლეოპარდის წამოსასხამს და სირაქლემას ფრთების ჯიღას.

როცა დავრწმუნდით, რომ ჩვენს გამცილებლებს თან საკმარისი წყალი და სანოვაგე წამოეღოთ და როცა გრგვინვასავით გაისმა კამეჩების გამოსათხოვარი სიტყვები, სამივემ მაგრად ჩამოვართვით ხელი ინფადუსს და ქედიდან დაბლა დავეშვით. ეს არც თუ ისე ადვილი იყო, მაგრამ ავად თუ კარგად, იმავე დღეს, საღამოს, მშვიდობიანად მივაღწიეთ დაბლობს.

– იცით, – თქვა სერ ჰენრიმ, როცა ღამით კოცონს ვუსხედით და ჩვენს თავზე წამოყუდებულ ფრიალო კლდეებს შევსცქეროდით, – ვფიქრობ, დედამიწის ზურგზე მრავლის უმრავლესი ქვეყანაა კუკუანელთა მხარეზე უარესი. იყო დრო, როცა თავს გაცილებით უარესად ვგრძნობდი, ვიდრე ამ უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში, თუმცა უნდა გითხრათ, რომ ასეთი საოცარი ამბები თავს არასოდეს გადამხდენია. თქვენ რას იტყვით, მეგობრებო?

– მე მგონი, თითქმის ვნანობ კიდეც, რომ იმ ქვეყნიდან წამოვედით, – ოხვრით მიუგო გუდმა.

მე კი გულში გავიფიქრე, ყველაფერი კარგია, რაც კარგად მთავრდება-მეთქი. ჩემი ცხოვრების მანძილზე, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, სავსე იყო ფათერაკებით, არასოდეს ვყოფილვარ ისე ახლოს სიკვდილთან, როგორც ამ უკანასკნელ ხანებში ვიყავი. მარტო ბრძოლა რომ მომაგონდებოდა ხოლმე, თავით ფეხებამდე ჟრუანტელი დამივლიდა, რომ აღარაფერი ვთქვა იმაზე, რაც იმ დაწყევლილ განძსაცავში გადავიტანეთ.

მეორე დღეს დავადექით უდაბნოს ძნელად სავალ გზას. ჩვენს ხუთ გამყოლს ბლომად მოჰქონდა წყალი. ღამე ცის ქვეშ გავათიეთ, მეორე დღეს, რიჟრაჟზე კი ისევ განვაგრძეთ გზა. მესამე დღეს, შუადღისას დავინახეთ ხეები, – ჩვენ წინ ოაზისი იყო. მზის ჩასვლისას კი უკვე მაღალ ბალახში დავაბიჯებდით და წყლის რაკრაკს ყურს ვუგდებდით.

თ ა ვ ი X X

ვ ი პ ო ვ ე თ !

ახლა კი გადავდივარ ყველაზე საოცარ შემთხვევაზე ჩვენს უჩვეულო თავგადასავალში; აქედან შეგიძლიათ დაასკვნათ, რა არაჩვეულებრივი ამბები ხდება ცხოვრებაში.

მე ოდნავ გავუსწარი ჩვენს თანამგზავრებს და მშვიდად მივდიოდი ნაკადულის პირას, ოაზისიდან რომ მოედინებოდა და უდაბნოს გავარვარებულ ქვიშაში იკარგებოდა. მაგრამ უეცრად ერთ ადგილას გავშეშდი, თვალს არ ვუჯერებდი. ოციოდე იარდის დაშორებით, თვალწარმტაც ადგილას, ჩრდილში, იდგა პატარა, კოხტა ქოხი. იგი პირდაპირ ნაკადულს გადასცქეროდა. კაფრების ქოხების ყაიდაზე იყო აგებული ტირიფის დაწნული ტოტებისა და ბალახისგან, მაგრამ დატანებული ჰქონდა ჩვეულებრივი კარი და არა ვიწრო საძრომი.

„ეს რაღა ჯანდაბაა! – ვთქვი ჩემთვის – აქ ქოხს ნეტა რა უნდა!" ვერც კი მოვასწარი ამის გაფიქრება, რომ კარი გაიღო და ქოხიდან კოჭლობით გამოვიდა კაცი, მას ტყავის ტანსაცმელი ეცვა. ალბათ მზემ თუ დამკრა და ჭკუა ამირ-დამირია-მეთქი, გადავწყვიტე. ვიცოდი, რომ არც ერთ მონადირეს აქ ფეხი არასოდეს დაედგა და, რასაკვირველია, ცხოვრებითაც ვერავინ იცხოვრებდა. გაოცებისაგან თვალებდაჭყეტილი შევყურებდი ამ „მოჩვენებას". ის კაციც ნაკლებ გაკვირვებული როდი მომჩერებოდა. ამ დროს, საბედნიეროდ, სერ ჰენრი და გუდიც მოგვიახლოვდნენ.

– მომისმინეთ, მეგობრებო, – მივმართე მათ, – გონს გადავცდი, თუ ეს მართლა თეორკანიანია?

სერ ჰენრი და გუდიც შეაჩერდნენ უცნობს, რომელმაც იმავე წამს დაიყვირა და ჩვენკენ გამოიქცა, მაგრამ რამდენიმე ნაბიჯზე შედგა და უგრძნობლად დაენარცხა მიწაზე.

სერ ჰენრი ერთი ნახტომით მის გვერდით გაჩნდა.

– ღმერთო ჩემო, – წამოიყვირა მან, – ეს ხომ ჯორჯია!

ხმაურზე ქოხიდან მეორე კაცმაც გამოიხედა, მასაც ტყავის ტანსაცმელი ეცვა, ხელში თოფი ეჭირა. ისიც ჩვენსკენ გამოიქცა. დამინახა თუ არა, ხმამაღლა შეჰყვირა:

– მაკუმაზან, ვედარა მცნობ? მე ხომ მონადირე ჯიმი ვარ. შენ რომ ბაასს წერილი მისწერე, ის დამეკარგა და უკვე ორი წელია აქ ვცხოვრობთ.

იგი ჩემ ფერხთით დაეცა, მიწაზე გორავდა და სიხარულით ტიროდა.

– აი, შე დოყლაპია, შენა, მაგისათვის ერთი კარგად უნდა აგიჭრელოს კაცმა გვერდები, – ვუთხარი მე.

ამასობაში ის შავწვერა გრძნობაზე მოვიდა და წამოდგა. ისა და სერ ჰენრი დიდხანს უხმოდ ართმევდნენ ერთმანეთს ხელს, რადგან აღელვებისაგან სიტყვას ვერ ძრავდნენ. ვფიქრობ, წარსულში მათ ვინმე ლედის გულისთვის მოუხდათ უსიამოვნება (თუმცა სერ ჰენრისთვის ამის თაობაზე არაფერი მიკითხავს), მაგრამ რა ნიადაგზეც არ უნდა მოსვლოდათ უკმაყოფილება, ახლა აღარაფერი ახსოვდათ.

– ჩემო ძვირფასო, – აღმოხდა ბოლოს სერ ჰენრის, – მეგონა, ცოცხალი აღარ იყავი. მე ხომ სულეიმანის მთების იქით გეძებდი და უცებ ოაზისში კი შეგხვდი; ზღაპრული აასვოგელი -ვით აგიგია ბუდე.

– ორი წლის წინათ მეც ვცადე გადამელახა სულეიმანის მთები, – თქვა შავწვერამ. ისე გაუბედავად ლაპარაკობდა, თითქოს მშობლიურ ენაზე საუბარს გადაეჩვიაო, – მაგრამ აქ რომ მოვედით, ფეხზე დიდი ლოდი დამეცა და ძვალი გადამიმტვრია. სიარული აღარ შემეძლო, ვერც მთებისაკენ წავედი და ვერც კრაალ სიტანდაში დავბრუნდი.

ამასობაში მეც მივუახლოვდი მათ.

– გამარჯობათ, მისტერ ნევილ, აღარ გახსოვართ?

– ღმერთო ჩემო, – წამოიძახა მან, – ქუოტერმენ, ნუთუ ეს თქვენა ხართ? როგორ, გუდიც აქ არის? ხელი მომკიდეთ, თავბრუ მესხმის, რა უცნაურია ყველაფერი ეს, რა მოულოდნელად დამესხით თავს... თანაც სწორედ მაშინ, როცა საბოლოოდ გადამიწყდა იმედი. რა ბედნიერებაა!

* * *

იმ საღამოს გვიანობამდე შემოვრჩით კოცონს, ჯორჯ კურტისი თავის თავგადასავლს გვიყვებოდა; მასაც ბევრი რამ გამოევლო და გადაეტანა.

ორი წლის წინათ გამოვიდა კრაალ სიტანდადან იმ განზრახვით, რომ სულეიმანის მთებამდე მიეღწია. ჩემი წერილი ჯიმს დაუკარგავს და ჯორჯმა მასზე დღემდე არაფერი იცოდა. მაგრამ ზანგებმა მიასწავლეს და გაემართა არა დედოფალ საბიას მთებისკენ, არამედ ციცაბო ქედისკენ, ჩვენ რომ ახლახან გამოვიარეთ. ეს, რასაკვირველია, გაცილებით უფრო იოლი გზა იყო, იმასთან შედარებით, მოხუცი და სილვესტრას რუკაზე რომ იყო აღნიშნული. უდაბნოში მას და ჯორჯს დიდი გაჭირვება გამოევლოთ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მოსდგომოდნენ ამ ოაზისს. აქ კი ჯორჯ კურტისს მოსვლისთანავე თავს დასტყდომოდა უბედურება. ჯორჯი ნაკადულის პირას ჩამომჯდარიყო, ჯიმი კი მაღალ ციცაბო ნაპირზე აცოცებულიყო და ნაპრალიდან გარეული ფუტკრის თაფლს იღებდა. ამ ფუტკრებს ნესტარი არა აქვთ, ამიტომ ჯიმი უშიშრად მოქმედებდა. კლდეზე რომ მიცოცავდა, უნებლიეთ დიდი ლოდი შეუნძრევია. ლოდი დაგორებულა და ჯორჯ კურტისისათვის მარჯვენა ფეხი გადაუმტვრევია. მას შემდეგ თურმე ძლიერ კოჭლობდა და რაკი სიარული უჭირდა, გადაუწყვეტია, ოაზისში

დარჩენილიყო და შეხვედროდა სიკვდილს, რადგან, რომ წასულიყო, სულ ერთია, მაინც დაიღუპებოდა.

საჭმელი არ მოჰკლებიათ. ტყვია-წამალი ბლომად ჰქონდათ, ოაზისში კი წყლისთვის უამრავი ნადირი მოდიოდა. განსაკუთრებით ღამით მოაწყდებოდნენ ხოლმე აქაურობას.

ჩვენი მონადირეებიც მახეს უგებდნენ ან თოფით ხოცავდნენ ნადირს. ხორცს საჭმელად იყენებდნენ, ტყავს კი – ჩასაცმელად, რადგან ტანსაცმელი სულ შემოაცვდათ.

– ამრიგად, – თქვა დასასრულს ჯორჯმა, – თითქმის ორი წელიწადი რობინზონ კრუზოსა და პარასკევასავით ვცხოვრობდით ამ ოაზისში; იმედს მაინც არ ვკარგავდით, ვფიქრობდით, რამე შემთხვევის წყალობით ზანგი მონადირეები მოვიდოდნენ და აქედან გაგვიყვანდნენ, მაგრამ არავინ ჩანდა. ბოლოს, სწორედ გუშინ საღამოს, გადავწყვიტეთ, მე აქ დავრჩენილიყავ, ჯიმი კი კრაალ სიტანდაში დაბრუნებულიყო და მაშველად ვინმე წამოეყვანა. თუმცა, მართალი უნდა გითხრათ, ძალიან ცოტა იმედი მქონდა, რომ ჯიმი აქ ისევ მომაკითხავდა. და აი, შენ, სწორედ შენ, ვისი ნახვის იმედიც სრულიად აღარ მქონდა, – მიუბრუნდა იგი სერ ჰენრის, – უეცრად მომევლინე. მე კი დარწმუნებული ვიყავი, რომ შენ მშვიდად ცხოვრობდი ინგლისში და დიდი ხანია დაგავიწყდა კიდეც ჩემი არსებობა. ეს მეტად გასაოცარი ამბავია და უბედნიერესი ადამიანი ვარ, ყველაფერი ასე კარგად რომ დასრულდა.

თავის მხრივ სერ ჰენრიმაც უამბო ძმას ჩვენი თავგადასავალი.

საუბარში კარგა ძალმა ღამემ გაიარა.

– მადლობა უფალს, – თქვა ჯორჯ კურტისმა, – რომ ჩემნაირი გამოუსედაგარი არსების გარდა, კიდევ იპოვეთ რაღაც, რაც გადატანილ ტანჯვა-წამებასა და გაჭირვებას აგინაზღაურებთ.

სერ ჰენრიმ გაიცინა.

– ეგ ალმასები ქუოტერმენსა და გუდს ეკუთვნის. ჩვენ პირობა დავდეთ, რომ ორივენი გაიყოფდნენ მთელს ნადავლსა და ალაფს, რასაც კი გზაში გადავეყრებოდით, ან ვიშოვიდით.

ამ შენიშვნამ, ცოტა არ იყოს, ჩამაფიქრა. გუდს მოველაპარაკე და სერ ჰენრის ორივეს სახელით ვთხოვე აეღო ალმასების მესამედი. თუ უარს იტყვით, თქვენს წილს ჯორჯ კურტისს მივცემთ, რადგან ჯორჯი ამ ქვების გამო ყველა ჩვენგანზე მეტად დაზარალდა და დაიტანჯა-მეთქი, – ვუთხარი. დიდი გაჭირვებით დავითანხმეთ ამ წინადადებაზე. ჯორჯ კურტისმა კი ჩვენი გადაწყვეტილება უფრო გვიან გაიგო.

* * *

ვფიქრობ, აქ უნდა შევწყვიტო თხრობა. ჩვენი გზა კრაალ სიტანდამდე ძალზე ძნელი იყო, განსაკუთრებით იმიტომ, რომ უნდა დავხმარებოდით ჯორჯ კურტისს. ჯორჯს მარჯვენა ფეხი ძალზე ცუდ მდგომარეობაში ჰქონდა, დროდადრო დამსხვრეული ძვლის პატარა ნატეხებიც კი გამოდიოდა. მაგრამ, ასე იყო თუ ისე, უდაბნო მაინც გადავლახეთ. დაწვრილებით რომ აგიწეროთ ჩვენი მოგზაურობა, იძულებული ვიქნები გავიმეორო ყველაფერი, რაც იქეთობას გადაგვხდა თავს.

სიტანდაში ჩვენი თოფები და სხვა ნივთები ხელუხლებელი დაგვხვდა, თუმცა იმ ბებერ არამზადას, რომელსაც წასვლისას ყველაფერი ჩავაბარეთ,

ძალიან ეწყინა, ცოცხლები და კარგად მყოფნი რომ დაგვინახა. ექვსი თვის შემდეგ ყველანი დურბანში, ჩემს პატარა სახლში შევიკრიბეთ, სადაც ახლა ამ სტრიქონებს ვწერ. აქედან ვემშვიდობები ყველას, ვინც თან მახლდა ამ არაჩვეულებრივ მოგზაურობაში.

.შ. ვერც კი მოვასწარი უკანასკნელი სიტყვის დაწერა, რომ ჩემი ფორთოხლის ხეივანში დავინახე კაფრი. მას ორად გახლეჩილ ჯოხში წერილი გაეჩხირა. წერილს სერ ჰენრი მწერდა. რაკიღა ამ პატარა ბარათს ჩემს ნა-ამბობთან უშუალო კავშირი აქვს, მომყავს სიტყვა-სიტყვით.

ბ რ ე ი ლ ი - ჰ ო ლ ი , ი ო რ კ შ ი რ ი

ძ ვ ი რ ფ ა ს ო ქ უ ო ტ ე რ მ ე ნ

უკანასკნელი ფოსტით სულ რამდენიმე სტრიქონით მოგწერეთ, რათა მეცნობებინა თქვენთვის, რომ სამივენი – ჯორჯი, გუდი და მე – მშვიდობით ჩამოვედით ინგლისში. გადმოვედით საუტჰემპტონში, აქედან კი დაუყოვნებლივ გავეშურეთ ლონდონს. უნდა გენახათ, როგორ მოირთო გუდი მეორე დღესვე. გულდაგულ გაიპარსა. ჩაიცვა შესანიშნავი ფრაკი, რომელიც ხელთათმანივით მოადგა ტანზე. შეიძინა ახალი მონოკლი და ასე შემდეგ და ასე ამგვარად. ერთხელ პარკში დავსეირნობდით. იქ ერთი-ორი საერთო ნაცნობიც შეგვხვდა. ვისარგებლე შემთხვევით და გუდის „მშვენიერი თეთრი ფეხების" ამბავი მოვუყევი.

გუდი გაცოფდა... განსაკუთრებით იწყინა, რომ ვიღაც გესლიანმა ჟურნალისტმა ყველაფერი ეს უცვლელად დაბეჭდა ფეშენებელურ გაზეთში.

ახლა კი პირდაპირ საქმეზე გადავდივარ! რომ გაგვეგო ალმასების ღირებულება, მე და გუდმა სტრიტერის საიუველირო ფირმას მივმართეთ. პირდაპირ მეშინია გითხრათ, რამდენად შეაფასეს ისინი. საარაკო თანხა დაგვისახელეს. თანაც ეს შეფასება მიახლოებითია. გვითხრეს, არ გვახსოვს, ოდესმე ბაზარზე ასეთი შესანიშნავი და ამდენი ალმასი ყოფილიყოსო. აღმოჩნდა, რომ გარდა ერთი-ორი განსაკუთრებით მსხვილი ქვისა, ყველა წმინდა წყლის არის და არაფრით ჩამოუვარდება ბრაზილიის საუკეთესო ბრილიანტებს. შევთავაზე, ხომ არ იყიდით-მეთქი, მაგრამ მიპასუხეს, ვერ აუვალთო, და გვირჩიეს, ნაწილ-ნაწილ გაყიდეთ, რომ ბაზარი ალმასებით არ აივსოსო. მიუხედავად ამისა, მაინც შემოგვაძლიეს ას ოთხმოცი ათასი გირვანქა სტერლინგი სულ მცირე ნაწილში.

თქვენ ინგლისში უნდა ჩამოხვიდეთ, ქუოტერმენ, და თავად მიხედოთ ამ საქმეს. მით უმეტეს, რომ ძალას მატანთ, ჩემმა ძმამ აიღოს ეს ძვირფასი საჩუქარი – მთელი მესამედი ალმასებისა, რომლებიც მე არ მეკუთვნის.

რაც შეეხება გუდს, იგი სულ გაგიჟდა, მთელ დროს სახის პარსვას და ამაო მორთვა-მოკაზმვას ანდომებს. მაგრამ ვფიქრობ, ფულატა ჯერ კიდევ ვერ დაივიწყა. ამას წინათ გამომიტყდა, რაც ინგლისში ჩამოვედი, ფულატასთანა თვალწარმტაცი და ტანადი ქალი არსად შემხვედრიაო.

ჩემო ძვირფასო მეგობარო, მინდა სამშობლოში ჩამოხვიდეთ და სადმე, ჩემ მახლობლად დასახლდეთ. თქვენ საკმაოდ იშრომეთ მთელი სიცოცხლის მანძილზე და ახლა ძალიან მდიდარი კაცი ხართ. ჩემს მეზობლად იყიდება მამული, რომელიც უეჭველად მოგეწონებათ. მაშ, რაც უფრო მალე ჩამოხვალთ, მით უკეთესი იქნება. წიგნი კი შეიძლება გემზეც დაამთავროთ. ჩვენ არავის მვუამბობთ, რაც თავს გადაგვხდა, ვიდრე თქვენ წერას არ დაამთავრებთ, რადგან ვშიშობთ, მაინც არ დაგვიჯერებენ. თუ ჩემს რჩევას დაჰყვებით და საშობაოდ

ჩამოხვალთ, ძალიან გთხოვთ, პირდაპირ ჩემთან მოხვიდეთ. იმ დროისთვის ჩემს მამულში იქნებიან გუდი, ჯორჯი და თქვენი ვაჟიც (ეს იმიტომ, რომ თქვენ შეგაცდინოთ და ჩამოგიყვანოთ). ჰარი ერთხელ უკვე იყო ჩემთან, ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. თქვენი ვაჟი ძალიან მშვიდი ახალგაზრდაა. ნადირობისას მთელი გასროლა საფანტი დამახალა ფეხზე, მერე სათითაოდ ამომაცალა საფანტები ხორციდან და მითხრა, რა ბედნიერი დამთხვევაა, მონადირეთა შორის ექიმი-სტუდენტიც რომ ურევიაო.

მშვიდობით, ჩემო მეგობარო, მეტს აღარაფერს გეტყვით, მაგრამ ვიცი, უეჭველად ჩამოხვალთ, იმისათვის მაინც, რომ პატივი დასდოთ თქვენს გულწრფელ მეგობარს.

ჰენრი კურტისი

.შ. უზარმაზარი სპილოს ეშვები, იმ სპილოსი, საბრალო ხივა რომ დაფლითა, ჰოლში კამეჩის რქების თავზე მიკიდია. ის რქები ხომ თქვენ მაჩუქეთ! ნაჯახი კი, რომლითაც თუალას თავი მოვკვეთე, ჩემს საწერ მაგიდასთან დავკიდე. რა სამწუხაროა, ჯაჭვის პერანგები თან რომ არ წამოვიღეთ!

ჰ. კ.

დღეს სამშაბათია. პარასკევს კი გემი გადის. ვფიქრობ, უნდა ვისარგებლო კურტისის მიწვევით და ვესტუმრო ინგლისს თუნდაც იმისთვის, რომ ვინახულო ჩემი ჰარი და, ამასთან, წიგნის დაბეჭდვაზეც ვიზრუნო, რადგან არ მინდა, ეს საქმე სხვა ვინმეს მივანდო.

ალან ქუოტერმენი

ც ო ტ ა რ ა მ ა ვ ტ ო რ ზ ე

1867 წელს სამხრეთ აფრიკაში, ქალაქ კიმბერლის მახლობლად, აღმოაჩინეს ალმასის ქვიშრობი.

ამ აღმოჩენას უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნისათვის. მეჯოგე ბურებისა და ჩამორჩენილი ზანგი ტომების პატრიარქალურ მხარეს ჩანჩქერივით მოასკდა ავანტიურისტი სპეკულანტებისა და სწრაფი გამდიდრების მოსურნე საეჭვო პირების ნაკადი, ისინი ზღაპრული სისწრაფით იძენდნენ ქონებას. გუშინდელი მაწანწალა დღეს უკვე მილიონერი ხდებოდა.

ინგლისს, რომელმაც ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში კარგა მაგრად მოიკიდა ფეხი აფრიკის სამხრეთით – კაპის კოლონიასა და ნატალში, ალმასის ქვიშრობის აღმოჩენის შემდეგ უდიდესი ინტერესი აღეძრა ამ მატერიკისადმი. მას არ შეეძლო დაეშვა, რომ ეს უშრეტი სიმდიდრე სხვა ვინმეს ეგდო ხელთ.

ქვიშრობი ერთ-ერთი ადგილობრივი ზანგი ტომის მიწაზე იმყოფებოდა. ამ ტერიტორიაზე თავის უფლებებს აცხადებდა აგრეთვე ბურების ორანჟის რესპუბლიკაც. ინგლისის იმპერიალიზმს მდგომარეობიდან გამოსავალი მდიდარმა კოლონიალურმა გამოცდილებამ უკარნახა. საკითხი სულ უბრალოდ გადაწყდა: 1871 წელს ინგლისის მთავრობამ უბრძანა კაპის გუბერნატორს, დაეკავებინა ალმასის ქვიშრობის ტერიტორია.

ხუთი წლის შემდეგ ინგლისის მთავრობამ ამ ტერიტორიისათვის სულ უმნიშვნელო თანხა – 90 ათასი გირვანქა სტერლინგი გადაუხადა ორანჟის რესპუბლიკას.

დაიწყო სამხრეთ აფრიკის ინგლისის კოლონიად გადაქცევის ეპოქა. იგი აღსავსე იყო პროვოკაციებით, მკვლელობებით, მშვიდობიან მოსახლეობაზე შეიარაღებული თავდასხმებით, ერთი ტომის მეორეზე გადაკიდებით და სხვა.

ამ კოლონიური ეპოპეის, ყოველ შემთხვევაში, მისი პირველი ეტაპების მოწმე და მონაწილე გახლდათ მომავალი მწერალი – ჰენრი რაიდერ ჰაგარდი (1856-1925 წწ).

ინგლისურ არისტოკრატიულ ოჯახებში ძველთაგანვე არსებობდა ტრადიცია, გაეგზავნათ შვილები კოლონიებში, სადაც მათ უნდა გაევლოთ ერთგვარი ცხოვრებისეული სკოლა. ეს აუცილებელი იყო მმართველი წრეების წარმომადგენლებისათვის.

იმ ხანებში, როცა ახალგაზრდა ჰაგარდი თავის კარიერას იწყებდა, დედამიწის ზურგზე ყველაზე მიმზიდველი კუთხე სამხრეთ აფრიკა იყო და ცხრამეტი წლის ჰაგარდი 1875 წელს გაემგზავრა აფრიკაში ნატალის ინგლისის გუბერნატორის პირადი მდივნის თანამდებობაზე. ამ ძალზე დაკვირვებულ, ცნობისმოყვარე და სხარტი გონების ახალგაზრდას ინგლისის კოლონიებში კარგა ხანს მოუხდა ყოფნა. აქ გაეცნო ზანგ ტომებს, მათ ადათ-ჩვეულებებს, წესებს; თავს გადახდა უამრავი საინტერესო ამბავი, რაც შემდგომ თავის რომანებში გამოიყენა.

1877 წელს ინგლისის მთავრობამ ხელთ იგდო ტრანსვაალი. ჰაგარდი ამ დროს ინგლისის მთავრობის სპეციალური რწმუნებულის – შეპსტონის – შტაბში მუშაობდა. შემდგომ კი მომავალი მწერალი ტრანსვაალის სასამართლოს თავმჯდომარეობდა.

ჰაგარდი მოწმე გახდა იმისა, თუ როგორ აღდგნენ ბურები ინგლისელ დამპყრობთა წინააღმდეგ, როგორ დაიწყო ინგლისელებისა და ბურების პირველი ომი (1880-1881 წწ.), რომელიც ინგლისელების სრული დამარცხებით დამთავრდა.

მაგრამ ამის გამო ინგლისს სრულებით არ დაუკარგავს ინტერესი სამხრეთ აფრიკისადმი. ინგლისის იმპერიალიზმი ვერ შერიგებოდა დამარცხებას და კვლავ და კვლავ ცდილობდა, ხელში ჩაეგდო ბურების მიწის წიაღში ჩაფლული აურაცხელი სიმდიდრე 1899 წელს მან ხელახალი ომი წამოიწყო ბურების წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისელებს საკმაოდ ჭარბი ძალები ჰყავდათ, მათ ვერ შეძლეს, როგორც იტყვიან, ბურების ერთი ხელის მოსმით დამარცხება. ინგლისისთვის ეს სამარცხვინო ომი მხოლოდ 1902 წელს დამთავრდა და ბურების დამოუკიდებელი რესპუბლიკები ინგლისის კოლონიად იქცა. ბრიტანეთის იმპერიალიზმმა ხელთ იგდო ალმასისა და ოქროს უმდიდრესი საბადოები.

ინგლისში დაბრუნების შემდეგ ჰაგარდი იწყებს ლიტერატურულ მუშაობას და 1882 წელს აქვეყნებს წიგნს „კეჩვაიო დ მისი თეორი მეზობლები". ამის შემდეგ გამოსცა კიდევ ორი რომანი, რომლებშიც აღწერილი იყო ინგლისის ჯარის დამარცხება ბურებთან პირველი ომის დროს, მაგრამ ამ წიგნებმა მკითხველი საზოგადოება დიდად ვერ დააინტერესა.

ჰაგარდის შემდეგი რომანი იყო „სოლომონ მეფის საგანძური". ეს წიგნი გამოვიდა 1885 წელს და სულ რამდენიმე დღეში მოუპოვა ავტორს სახელი.

ახალი რომანის ეგზომ დიდი წარმატება, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეული იყო ინგლისელების უდიდესი ინტერესით სამხრეთ აფრიკის და მისი წიაღისეულის აურაცხელი სიმდიდრისადმი. თავგადასავალთა და სიმდიდრის მოყვარულებს რომანი კიდევ უფრო უცხოველებდა ინტერესს აფრიკის საიდუმლოებით მოცულ მთებში დაფლული განძეულის აღწერით.

ბევრმა გულუბრყვილო მკითხველმა მწერლის ფანტაზია სინამდვილედ მიიჩნია. ჰაგარდს წერილს წერილზე სწერდნენ, ემუდარებოდნენ, გაემხილა მათთვის სოლომონ მეფის საგანძურის ზუსტი ადგილსამყოფელი და კოორდინატები. ერთმა თავზეხელაღებულმა კი მოსწერა: მიუხედავად იმისა, რომ უარს მეუბნებით მაცნობოთ, სად არის დაფლული ის განძი, მე მაინც განზრახული მაქვს, მოვაწყო ექსპედიცია, რათა ხელთ ვიგდო აურაცხელი სიმდიდრე.

რომანს წარმატება მარტო ამ ინტერესმა როდი არგუნა. ეს ასე რომ იყოს, რომანი მოკვდებოდა მაშინვე, როგორც კი შესუსტდა მკითხველი საზოგადოების ინტერესი სამხრეთ აფრიკისადმი. ჰაგარდის რომანში ცოცხლობენ დამაჯერებლად და ნათლად დახატული გმირები. დაუვიწყარია მონადირის – ალან ქუოტერმენის სახე. ასევე სიყვარულითა და სიმპათიით არიან დახატულნი მისი სხვა გმირებიც. ისინი მკითხველის გულს ინადირებენ თავიანთი რაინდული, ვაჟკაცური ხასიათით, პირდაპირობით, კეთილშობილებით.

დიდი ინტერესით იკითხება ჰაგარდის ისტორიული რომანებიც: „მონტესუმას ასული", „აიშა", „მშვენიერი მარგარიტა". მკითხველს იტაცებს რომანის გმირთა საინტერესო თავგადასავალი, მისთვის გასაგები ხდება რომანებში აღწერილი ეპოქის პოლიტიკური და რე-ლიგიური მიმართულებები.

ჰაგარდის საუკეთესო სათავგადასავლო და ისტორიული რომანები უწინდებურად იზიდავს მკითხველს. ისინი მრავალ ენაზეა თარგმნილი და გამოცემული.